

# Georgian Scientists

## ქართველი მეცნიერები

ასოციაცია მეცნიერებისათვის

Association for Science

Journal DOI: <https://doi.org/10.52340/gS>

<https://journals.4science.ge/index.php/GS/index>

## სარედაქციო საბჭო

**თამარ ხახუტაშვილი:** მთავარი რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი, ასოციაცია მეცნიერებისათვის პრეზიდენტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი <https://orcid.org/0000-0003-0953-2073>

**ნინო ბერიანიძე:** მთავარი რედაქტორის მოადგილე, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი; ასოციაცია მეცნიერებისათვის აღმასრულებელი დირექტორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი

**მარიეტა სულაბერიძე:** რედაქტორი, კომპიუტერული მეცნიერებების მაგისტრი; ასოციაცია მეცნიერებისათვის თანადამფუძნებელი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების, მთავარი სპეციალისტი

**გიორგი გოროშიძე:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის განყოფილება; <https://orcid.org/0000-0002-6244-2942>

**ომარ ლანჩავა:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ტექნიკური მეცნიერებების დოქტორი, პროფესორი; <https://orcid.org/0000-0003-4249-9404>

**ვახტანგ კვაჭაძე:** ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი; <https://orcid.org/0000-0002-3875-505X>

**ლელა ბახტაძე:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. <https://orcid.org/0000-0003-0482-0711>

**ავთანდილ ამირანაშვილი:** მ.ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი <https://orcid.org/0000-0001-6152-2214>

**აგაევ რაუფ მაგსუდ ოღლუ:** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოს მ. თოფჩუბაშევის სახელობის ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიული სნეულებათა დეპარტამენტის პროფესორი, კათედრის გამგე (ბაქო, აზერბაიჯანი)

**ირაკლი ნადირაძე:** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პათოლოგიისა და კანის სიმსივნეების ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველო ისრაელის ერთობლივი კლინიკა GIDMEDI: თბილისი, საქართველო <https://orcid.org/0000-0002-4764-655X>

**ელი კაკიაშვილი:** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქირურგი, გალილეის სამედიცინო ცენტრი, ნაჰარია, ისრაელი; მედიცინის ფაკულტეტი გალილეაში, ბარ ილანის უნივერსიტეტი, საფადი, (ისრაელი) <https://orcid.org/0000-0002-8796-9724>

**ლუის მ. ალედორტი:** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მერი ვაინფელდი კლინიკური კვლევის პროფესორი ჰემოფილიაში, მოუნთ სინაის მედიცინის სკოლა, ნიუ იორკი, შშ

**ნადეი ჰაკიმი:** GCSJ, MD, PhD, FRCS, FRCSI, FACS, FICS(Hon), FASMB, FIMSA(Hon) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტრანსპლანტაციის ქირურგი, ლონდონის საიმპერატორო კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი; ზოგადი ქირურგი, კლივლენდის კლინიკა (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); <http://orcid.org/0000-0001-9442-7950>

**მამუკა ბოკუჩავა:** პროფესორი, სისხლძარღვთა ქირურგი, ანგიოლოგი, მედიცინის დოქტორი, ნ. ბოხუას სახელობის სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის დირექტორის მოადგილე; <https://orcid.org/0000-0002-6719-1302>

**მერაბ კილაძე:** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აშშ-ს, საერთაშორისო, ევროპის და რუსეთის ქირურგთა ასოციაციების წევრი, ქირურგი, კლინიკა გიდმედის ქირურგიული სამსახურის უფროსი.

**გოგი (გიორგი) ბოჭორიშვილი:** პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უროლოგი, თბილისი, საქართველო

**ნინო კიკნაძე:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს გარემოს დაცვის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ამერიკის ქიმიის საზოგადოების (ACS) წევრი, ბათუმი, საქართველო; <https://orcid.org/0000-0001-7864-3899>

### **ტექსტის რედაქტორი:**

**მარიამ ჩაჩანიძე:** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის

**მიხეილ ერგემლიძე:** ინფორმატიკის ბაკალავრი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

### **ვებ რედაქტორი:**

**გიორგი ბანეთიშვილი:** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი



სარჩევი

სოფიო მეტრეველი, ნინო ნანავა, ირინე კვაჭაძე, თინათინ ჩიქოვანი, ნონა ჯანიკაშვილი: TGF-β რეფრაქტერული იმუნური თრომბოციტოპენის მქონე პაციენტებში----- 1-8

**მამუკა მაცაბერიძე, ინგა ჯანელიძე: მიკროკაფსულირების სხვადასხვა ასპექტისათვის----- 9-21**

ნინო ნანავა, სოფიო მეტრეველი, გიორგი გიორგობიანი, თინათინ ჩიქოვანი, ნონა ჯანიკაშვილი: CD4+CD39+ უჯრედები ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებში----- 22-32

ნინო ნანავა, სოფიო მეტრეველი, გიორგი გიორგობიანი, თინათინ ჩიქოვანი, ნონა ჯანიკაშვილი: TGF-β ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებში----- 33-40

**ზურაბ ვარდოსანიძე, მედეა აბრამიშვილი, დავით ონიანი, ირაკლი ნახუცრიშვილი: ოპტიკურად მართვადი სივრცულად მოდულირებული ლაზერული გენერაცია DCM საღებავით დოპირებულ თხევადკრისტალურ ფენაში----- 41-44**

**ზურაბ ვარდოსანიძე, მედეა აბრამიშვილი, დავით ონიანი, ირაკლი ნახუცრიშვილი: ოპტიკურად მართვადი სივრცულად მოდულირებული ლაზერული გენერაცია როდამინ 6G საღებავით დოპირებულ პოლიმერულ (პვს) ფენაში----- 45-48**

ქეთევან ქოჩიაშვილი, რუსუდან ურიდია, მაია სტეფანიშვილი, ლიპარიტ დოლიძე, თამარ დგებუაძე, მაია ჯაფარიძე, ნინო ქავთარაძე: მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგების გაწმენდის კომპლექსური მეთოდის შემუშავება----- 49-53

**მაია რობაქიძე: განსხვავებული არხებით ფიქსირებულ განწყობათა შედარებითი დახასიათებაბეჭდური ვერსია გამოქვეყნებულია: პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ №3(23), 2005----- 55-57**

**მამუკა მაცაბერიძე, ინგა ჯანელიძე: კულტურული მემკვიდრეობის ქიმიისათვის (ნაწილი I - ფრესკის კონსერვაცია/რესტავრაციისათვის)----- 58-75**

**შრეიას ბჰუშან ჯეიადი, მანანა ჯიქურაშვილი: დიაგნოსტიკური სირთულეები მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის პროსტატის ადენოკარცინომისა და მაღალი**

ხარისხის ავთვისებიანობის უროთელური კარცინომის თანაარსებობისას - ლიტერატურის მიმოხილვა-----	76-85
<b>გიორგი არველაძე, რიმა ბერიაშვილი, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე:</b> კანის ბაზალურუჯრედოვანი და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომების პროგრესიისა და რეციდივის რისკის მოლეკულური მახასიათებლების პრობლემური საკითხები---	86-96
<b>რენიკო საკანდელიძე, იზოლდა ლომსიანიძე, ერეკლე ჯულაყიძე, ხათუნა რუსაძე:</b> შფოთვითი ქცევის შესწავლა წყალბადის ზეჟანგით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის პირობებში-----	97-107
<b>თამთა ყველიაშვილი, გიორგი დიდავა, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე:</b> ნაღვლის ბუმტის ლორწოვანი გარსის ანთებითი ცვლილებებისა და ჰორმონული ექსპრესიის თავისებურებების პრობლემური საკითხები დისპლაზია-კარცინომის განვითარებაში-----	108-119
<b>ლელა ებრალიძე:</b> თეთრი და წითელი ვარდების სიმბოლიკა ოსკარ უაილდის ზღაპრებში-----	120-133
<b>მამუკა მაცაბერიძე, ინგა ჯანელიძე:</b> კულტურული მემკვიდრეობის ქიმიისათვის (ნაწილი II- ქვის კონსერვაცია/რესტავრაციისათვის)-----	134-151
<b>კონსტანტინე სულამანიძე, ზურაბ ჩხაიძე, გიორგი ბურკაძე:</b> კელოიდისა და ჰიპერტროფიული ნაწიბურის ჰისტოპათოლოგიური და ფენოტიპური თავისებურებების პრობლემური საკითხები ჭრილობის კომპრესიული და არაკომპრესიული ძაფებით დახურვის დროს-----	152-163
<b>ლია წიკლაური, მალხაზ გეთია, ალიოშა ბაკურიძე:</b> ქართული ფუტკრის ნედლი და ლიოფილიზებული რძის და ბენტონიტურ ფუძეზე მომზადებული მისი შემცველი კრემის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები-----	164-174
<b>ნინო ქავთარაძე, ელენე (დოდო) ქართველიშვილი, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე:</b> ბარდაყის ძვლის თავის ოსტეოქონდრული ერთეულისა და სინოვიური გარსის სტრუქტურულ-მოლეკულური თავისებურებები და პროგრესიის და რეციდივის მახასიათებლები სხვადასხვა ტიპის ოსტეოართრიტების დროს-----	175-184
<b>დავით კუხალაშვილი:</b> უბედური შემთხვევების რისკის ფაქტორების კლასიფიკატორის დანერგვა, მისი ინფორმაციული კონტროლის და მასზე რეაგირების ელემენტები სს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში-----	185-192

<b>ნათია კუპრაშვილი, ნინო ჭალაგანიძე, ირმა ჭოლაძე:</b> სოფლის მეურნეობის დარგის ახალი ნორმალობა ინფოდემიის ფონზე (საქართველოს მაგალითი)-----	193-200
<b>გიორგი ხატიაშვილი:</b> კინემატიკური წყვილების მოდელირება 3D გრაფიკული რედაქტორებით-----	201-208
<b>ვასილ ფოცხვერია, ლელა მასხულია, ნატალია პავლიაშვილი, ვალერი ახალკაცი, მარინა მათიაშვილი:</b> მხრის რბილი ქსოვილების ტრავმების ფიზიოთერაპიული მკურნალობის შემდეგ განმეორებითი დაზიანებების შემთხვევების შესწავლა სპორტსმენებში-----	209-220
<b>სოფიო ძნელაძე, ელენე სორდია, ქეთევან სარაჯიშვილი, მაია კილაძე:</b> მზესუმზირას ზეთის კვებითი ღირებულების გაუმჯობესება მდოგვის ზეთის ხარჯზე-----	221-224
<b>ნინო ქარქაშაძე, რუსუდან ურიდია, ნანა წეროძე, ლეილა ტატიაშვილი, ქეთევან ებრალიძე, ლიპარიტ დოლიძე:</b> ბუნებრივი ნარჩენების გამოყენება მიკოტოქსინების ადსორბციისთვის-----	225-231
<b>Giorgi Gratiashvili, Davit Chikovani, Ana Qometiani:</b> Noise level and impact research on representatives of different professions employed in an open and closed space-----	232-238
<b>მარინა გიორგობიანი, ნანა ჩხაიძე, ზურაბ ჩეკურაშვილი, გიორგი იაკობაშვილი, ნიკოლოზ მესხი:</b> აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოყენებული პესტიციდების ტოქსიკოლოგიური დახასიათება, ორგანიზმზე მოქმედების თავისებურებები, მწვავე და ქრონიკული მოწამვლის პროფილაქტიკა-----	239-250
<b>ლელა ციხელაშვილი:</b> მეტყველების წრის ზმნის პირიანი და უპირო ფორმების გადმოტანა მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ქართულ ვერსიებში-----	251-258
<b>ნინო რამაზაშვილი:</b> სატრანზიტო სისტემა და მისი ოპერირების სარგებელი-----	259-265
<b>დავით შალამბერიძე, ირაკლი კორძახია:</b> ორლინზიანი კოლიმაციური სისტემა ერთი ასფერული ზედაპირით-----	267-271
<b>მამუკა მაცაბერიძე, ინგა ჯანელიძე:</b> კულტურული მემკვიდრეობის ქიმიისათვის (ნაწილი III - არქეოლოგიური ოქროსა და ვერცხლის ზედაპირის ქიმიისათვის)-----	272-289
<b>ირაკლი გოგიბერიძე:</b> კულტურული მემკვიდრეობის კუთხით არსებული მდგომარეობა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე-----	290-292

<b>დავით ქაჯაია, დავით ქოჩიაშვილი, შოთა კეპულაძე, გიორგი ბურკაძე:</b> შარდის ბუმტის არაინვაზიური პაპილური კარცინომის მიკროგარემოს, ღეროვან უჯრედულ და ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის თავისებურებების შედარებითი ანალიზი ინვაზიური კარცინომის შემთხვევებთან-----	293-303
<b>ოთარი სომხიშვილი:</b> დაზვერვის საქმიანობისა და ლობირების თეორიულ-მეთოდური ასპექტები-----	304-309
<b>ლელა ებრალიძე:</b> ინგლისურენოვან მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურების ქართულად თარგმნასთან დაკავშირებული სირთულეები-----	310-323
<b>ომარ ლანჩავა, გიორგი ნოზაძე:</b> ძლიერი ხანძრების FDS მოდელირება გვირაბების კომბინირებული ვენტილაციის პირობებში-----	324-333
<b>ზაზა ხოკერაშვილი, დავით ცანავა, ნანა მაჭავარიანი:</b> საავტომობილო გვირაბებში ხანძრის მხუთავი აირების გავრცელება კრიტიკული სიჩქარის, უკუდინების მანძილისა და გრადიენტ ფაქტორის გათვალისწინებით-----	334-336
<b>ომარ ლანჩავა, გიორგი ჯავახიშვილი:</b> ხანძრის გავლენა გვირაბის ვენტილაციაზე რიცხვითი მოდელირების შედეგების მიხედვით-----	337-354
<b>ომარ ლანჩავა:</b> სიცოცხლის გადარჩენის პრობლემები საავტომობილო გვირაბებისათვის ხანძრის პირობებში-----	355-358
<b>ზაზა ხოკერაშვილი, ნანა მაჭავარიანი, ნინო არუდაშვილი, დავით ცანავა:</b> ტრანსფორმირებადი ელემენტებით აღჭურვილ საავტომობილო გვირაბში ხანძრის განვითარების ანალიზი რიცხვითი მოდელირების მეთოდით-----	359-362
<b>ტერეზა პაპიანი:</b> პრობიოტიკური მიკროორგანიზმები – <i>Propionibacterium ssp</i> -----	363-368
<b>ლია ლურსმანაშვილი, გულნარ კვანტიძე, ნატო ფაილოძე:</b> ფერთა ჰარმონიზაცია ქართულ ორნამენტში-----	369-382
<b>რუსუდან დევაძე, არსენ გვენეტაძე, გიორგი ბურკაძე, შოთა კეპულაძე:</b> საკვერცხის სხვადასხვა ჰისტოლოგიური ტიპისა და ავთვისებიანობის ხარისხის ეპითელურ სიმსივნეებში სიმსივნისშიდა ლიმფოციტების განაწილების თავისებურებები-----	383-393
<b>ვახტანგ ჩხეიძე:</b> ადგილობრივი ნედლეულის გარდაქმნის პროცესები კლინკერის წარმოების მბრუნავი ღუმელის სისტემაში რეაქტორ-დეკარბონიზატორის გამოყენების გათვალისწინებით-----	394-397







## TGF- $\beta$ რეფრაქტერული იმუნური თრომბოციტოპენის მქონე პაციენტებში

სოფიო მეტრეველი<sup>1</sup>, ნინო ნანავა<sup>1</sup>, ირინე კვაჭაძე<sup>2</sup>, თინათინ ჩიქოვანი<sup>1</sup>, ნონა ჯანიკაშვილი<sup>1</sup>

<sup>1</sup>იმუნოლოგიის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

<sup>2</sup>ფიზიოლოგიის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

### აბსტრაქტი

აუტოიმუნური დაავადებების, მათ შორის - იმუნური თრომბოციტოპენიის (ითპ), პათოგენეზში წამყვანი ანთების რეგულაციას დარღვევა და იმუნური ტოლერანტობის დაკარგვაა. მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი ბეტა (TGF- $\beta$ ) წარმოადგენს მრავალფუნქციური, მარეგულირებელი ციტოკინების ოჯახს, რომელიც ახდენს როგორც ჰელპერული T-უჯრედების (Th1, Th2) დიფერენციაციის დათრგუნვას, ასევე, პერიფერიული Treg უჯრედების წარმოქმნასა და აქტივაციას. წინამდებარე კვლევაში შესწავლილია TGF- $\beta$ -ს დონე პლაზმაში ითპ-ს მქონე იმ პაციენტებში, რომლებსაც პირველი რიგის მკურნალობაზე რეზისტენტულობის გამო ჩაუტარდათ სპლენექტომია მეორე რიგის თერაპიის სახით. ასევე, წარმოდგენილია TGF- $\beta$ -ს კორელაციური ანალიზი სისტემური ანთების ბიომარკერებთან (NLR, PLR, PMR, SII, dNLR) სისხლში. სისხლის პლაზმაში TGF- $\beta$  კონცენტრაცია განისაზღვრა ELISA მეთოდით eBioscience, USA პროტოკოლის მიხედვით. სტატისტიკური ანალიზი შესრულდა Prism Graph Pad - Mann Whitney U ტესტის გამოყენებით. კორელაციური ანალიზისთვის გამოყენებულია სპირმანის ტესტი, SPSS პროგრამაში. კვლევის შედეგების მიხედვით, რეფრაქტერული ითპ-პაციენტების პლაზმაში TGF- $\beta$ -ს დონე მნიშვნელოვნად დაქვეითებულია როგორც ჯანმრთელ ასაკობრივ საკონტროლო ჯგუფთან, ასევე, სპლენექტომირებულ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით (სადაც სპლენექტომიის მიზეზს არ წარმოადგენდა აუტოიმუნური, ან ავთვისებიანი ჰემატოლოგიური დაავადება). ამასთან, TGF- $\beta$ -ს კონცენტრაცია არ კორელირებს სისტემური ანთების შესწავლილ ბიომარკერებთან სისხლში.

**საკვანძო სიტყვები:** იმუნური თრომბოციტოპენია, TGF- $\beta$ , ანთების ბიომარკერები.

## შესავალი

იმუნური თრომბოციტოპენია (ითპ, ასევე, იდიოპათიური თრომბოციტოპენიური პურპურა) წარმოადგენს შეძენილ თრომბოციტოპენიას, რომელიც ხასიათდება თრომბოციტების რაოდენობის შემცირებით (<100 მიკრო/ლ), რაც განპირობებულია აუტოანტისხეულების მიერ თრომბოციტების დესტრუქციით [1]. ყოველწლიურად 100,000 მოზრდილში 2,6-6,6 ითპ-ს შემთხვევა აღიწერება [2][3]. ითპ-ის პათოგენეზში წამყვანი როლი თრომბოციტების მემბრანის გლიკოპროტეინი GPIIb/IIIa-ს წინააღმდეგ მიმართულ აუტოანტისხეულებს ენიჭება [4], ხოლო დაავადების მიმდინარეობასა და მის კლინიკურ გამოსავალში კარდინალური მნიშვნელობა აქვს ანთებითი და იმუნოსუპრესორული მედიატორების ბალანსს. მათგან ბოლოდროინდელი კვლევების ფოკუსში მოექცა T-უჯრედები და მათი პროდუქტები - ციტოკინები და ქემოკინები, რომლებიც იმუნურ ნიშებში უჯრედ-უჯრედული ურთიერთქმედების მიკროგარემოს აყალიბებენ [5]. მიმდინარე კვლევებით დასტურდება მარეგულირებელი T უჯრედების (Treg) მნიშვნელობა ითპ პათოგენეზში რომელთა ფუნქციასა და აქტივაციაში დიდი როლი მატრანსფორმირებელ ზრდის ფაქტორ ბეტას (TGF-β) ენიჭება [6].

TGF-β წარმოადგენს მრავალფუნქციურ ციტოკინების ოჯახს, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა უჯრედის პროლიფერაციაში, დიფერენციაში, ადჰეზიასა და მიგრაციაში. განარჩევენ TGF-β-ს სამ ფორმას, TGF-β1, TGF-β2 და TGF-β3. [7] რომელთაგან TGF-β1 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმუნური სისტემის ბალანსში. [8] TGF-β-ს გავლენით, ერთი მხრივ, ხდება CD4+ T ლიმფოციტების ეფექტორულ Th1 და Th2 უჯრედებად დიფერენცირების დათრგუნვა [9][10], მეორე მხრივ კი აქტიურდება Treg უჯრედების წარმოქმნა [11][12].

მიუხედავად იმისა, რომ TGF-β-ს სასიგნალო გზა ბოლომდე შესწავლილი არ არის, ცნობილია მისი როლი სხვადასხვა აუტოიმუნური და ანთებითი დაავადების პათოგენეზში [11][13][14]. თუმცა, ჯერ კიდევ მწირია იმფორმაცია TGF-β როლის შესახებ იმუნური თრომბოციტოპენიის მქონე პაციენტებში. Zheng-Ju Zhou et al. კვლევაში TGF-β დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ითპ-პაციენტების პერიპერიულ სისხლში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ამავე კვლევაში საყურადღებოა TGF-β დადებითი კორელაცია თრომბოციტებთან პერიფერიულ სისხლში [15].

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა TGF-β-ის დონის განსაზღვრა ითპ-ს მქონე იმ პაციენტებში, რომლებსაც კორტიკოსტეროიდებზე რეზისტენტობის გამო ჩაუტარდათ სპლენექტომია, როგორც მეორე რიგის თერაპია, ასევე, მისი კორელაციის დადგენა სისტემური ანთების სისხლის ბიომარკერებთან.

## კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევა შესრულდა ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაციის მოთხოვნის პირობების მიხედვით. კვლევით გათვალისწინებული ყველა პროცედურა მიღებული და დამტკიცებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოეთიკის კომისიის მიერ.

კვლევის ფარგლებში შესწავლილია იმუნური თრომბოციტოპენიით დაავადებული 9 პაციენტი, რომელთაც კორტიკოსტეროიდებით მკურნალობაზე პასუხი ვერ მიიღეს და ჩაუტარდათ სპლენექტომია, როგორც მეორე რიგის თერაპია. ორი საკონტროლო ჯგუფიდან

ერთს (ჯგუფი 1) წარმოადგენდა ასაკით შესაბამისი ჯანმრთელი 22 პაციენტი, რომელთაც ჩაიტარეს რუტინული ლაბორატორიული შემოწმება, ხოლო მეორე ჯგუფს (ჯგუფი 2) - შესაბამისი ასაკის 9 სპლენექტომირებული პაციენტი, სადაც სპლენექტომიის მიზეზი არ იყო აუტოიმუნური, ან ავთვისებიანი ჰემატოლოგიური დაავადება.

**სისხლის ნიმუშების შეგროვება:** კვლევაში ჩართული პაციენტებიდან 5-7 მლ პერიფერიულ სისხლის მიღება ხორციელდებოდა უშუალოდ სპლენექტომიამდე, იდაყვის ვენიდან EDTA-ს შემცველ სინჯარაში. მასალა ცენტრიფუგირდებოდა 30 წთ-ის განმავლობაში 1500-2000 rpm ბრუნზე, გამოყოფილი პლაზმა ინახებოდა -80°C-ზე საკუთლივ იმუნოფერმენტული კვლევის ჩატარებამდე.

**იმუნოფერმენტული ანალიზი:** სისხლის პლაზმაში არსებული TGF-β განისაზღვრა იმუნოფერმენტული ანალიზისთვის განკუთვნილი ELISA ნაკრებით, მწარმოებლის (eBioscience, USA) პროტოკოლის მიხედვით.

**სისტემური ანთებითი მარკერების განსაზღვრა:**

პაციენტების სისხლის საერთო ანალიზიდან განისაზღვრებოდა/იანგარიშებოდა სისტემური ანთებითი მარკერები, უჯრედების - ლეიკოციტების (L), ნეიტროფილების (N), თრომბოციტების (P), მონოციტების (M) - თანაფარდობანი (R): NLR, PLR, PMR, ასევე, სისტემური ანთების ინდექსი - SII და ნეიტროფილ-ლიმფოციტის ფარდობის წარმოებული - dNLR.

ანთებითი მარკერების - NLR, PLR, PMR, - გამოსათვლელად ერთმანეთს ეფარდებოდა შესაბამისი უჯრედების აბსოლუტური რაოდენობა, მაგალითად, NLR - ნეიტროფილების აბსოლუტური რაოდენობის ფარდობა ლიმფოციტების აბსოლუტურ რაოდენობასთან.

dNLR გამოითვლებოდა ფორმულით:

$$dNLR = \text{ნეიტროფილი} / (\text{ლეიკოციტი} - \text{ნეიტროფილი});$$

SII-ის გამოსათვლელად გამოიყენებოდა ფორმულა:

$$SII = \text{მონოციტი} \times \text{თრომბოციტი} / \text{ლიმფოციტი}.$$

**მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი:** სტატისტიკური ანალიზი შესრულდა Prism Graph Pad გამოყენებით. მონაცემთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავების სანახავად გამოყენებული იყო არაპარამეტრული Mann Whitney U ტესტი; სხვადასხვა პარამეტრებს შორის კორელაციის შესაფასებლად გამოყენებულია სპირმანის ტესტი; მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამებში.

**მიღებული შედეგები და განხილვა:**

ბოლო წლებში რამდენიმე მასშტაბური კვლევა გამოქვეყნდა ითპ-პაციენტებში Treg უჯრედების სიხშირისა და ფუნქციის შესახებ. თუმცა, მწირია კვლევები ამ პაციენტების პლაზმაში იმუნოსუპრესორული ციტოკინების, მათ შორის - TGF-β-ს, როგორც იმუნური მიკროგარემოს კომპონენტის შესახებ.


როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, წინამდებარე კვლევაში ჩართული, კორტიკოსტეროიდებით მკურნალობაზე რეფრაქტერული ითპ-პაციენტების პლაზმაში TGF- $\beta$  დონე მნიშვნელოვნად დაქვეითებულია შესაბამისი ჯანმრთელი კონტროლის (ჯგუფი 1) მონაცემებსა და სპლენექტომირებულ (ჯგუფი 2) კონტროლთან შედარებით (ითპ -  $12.60 \pm 2.46$ , ჯგუფი 1 -  $75.54 \pm 35.28$ ;  $P=0.0046$ , ჯგუფი 2 -  $26.5 \pm 19.8$ ,  $P=0.0159$ ).

**ცხრილი 1. TGF- $\beta$  დონე ითპ-პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფების პლაზმაში**

	ითპ	ჯანმრთელი კონტროლი (ჯგუფი 1)	სპლენექტომირებული კონტროლი (ჯგუფი 2)	P (ჯგუფი 1/ითპ)	P (ჯგუფი 2 /ითპ)
TGF- $\beta$ (ნგ/მლ)	$12.60 \pm 2.46$	$75.54 \pm 35.28$	$26.46 \pm 19.82$	$=0.0046$	$=0.0159$

ითპ- იმუნური თრომბოციტოპენია

**სურათი 1. TGF- $\beta$  დონე ითპ პაციენტებისა და საკონტროლო ჯგუფების პლაზმაში**



\* - სარწმუნო განსხვავება, როდესაც  $P \leq 0.05$ .

\*\* - სარწმუნო განსხვავება, როდესაც  $P \leq 0.01$ .

**TGF-beta** - მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი ბეტა

**Control group 1** - ასაკით შესაბამისი ჯანმრთელი კონტროლი

**Control group 2** - სპლენექტომირებული კონტროლი

**ITP** - იმუნური თრომბოციტოპენია

ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ბოლოდროინდელ კვლევაში ნაჩვენებია, რომ სისტემური ანთების მარკერები - NLR და dNLR - მნიშვნელოვნად მომატებულია პაციენტებში იმუნური თრომბოციტოპენიით, ხოლო PLR, PMR და SII მაჩვენებელი სარწმუნოდ დაქვეითებულია, ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით [16]. წინამდებარე კვლევაში განვსაზღვრეთ პლაზმაში TGF- $\beta$  კონცენტრაციის კორელაცია სისტემური ანთების აღნიშნულ

ბიომარკერებთან (NLR, PLR, PMR, SII, dNLR). როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, TGF-β არც ერთ ამ მარკერთან არ კორელირებს (P>0.05).

**ცხრილი 2. TGF- β დონის კორელაცია სისტემური ანთების სისხლის ბიომარკერებთან პაციენტებში იმუნური თრომბოციტოპენიით**

ცვლადები		NLR	PLR	PMR	SII	dNLR
TGF- β	კორელაციის კოეფიციენტი	-.447	0.000	.447	-.447	-.447
	სარწმუნობა (P)	.553	1.000	.553	.553	.553

NLR – ნეიტროფილ-ლიმფოციტების თანაფარდობა

PLR -თრომბოციტ-ლიმფოციტების თანაფარდობა

PMR – თრომბოციტ-მონოციტების თანაფარდობა

SII - სისტემური ანთების ინდექსი

dNLR –ნეიტროფილ-ლიმფოციტის ფარდობის წარმოებული

მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი ბეტა წარმოადგენს მრავალფუნქციურ ციტოკინს, ჩართულს როგორც მასუპრესირებელ, ასევე, ანთებით იმუნურ პასუხში. ის ჰემოპოეზის მნიშვნელოვანი მარეგულირებელია, ახდენს T-უჯრედების სელექციას, აინჰიბირებს ციტიტოქსიურ T-უჯრედებს (CTL), მონაწილეობს Th1 და Th2 უჯრედების დიფერენციაციაში, პერიფერიაზე მარეგულირებელი T-უჯრედების (Treg), ასევე, TH17, Th9, და Tfh უჯრედების ექსპრესიას უწყობს ხელს. მისი როლი მნიშვნელოვანია როგორც B-ლიმფოციტების პროლიფერაციასა და აქტივაციაში, ასევე, ბუნებრივი იმუნური უჯრედების (მაკროფაგები, ბუნებრივი მკვლელი უჯრედები (NK), დენდრიტული უჯრედები და გრანულოციტები) ფუნქციასა და განვითარებაში [11].

TGF- β როლი იმუნური უჯრედების წარმოქმნასა და რეგულაციაში კომპლექსურია. ის სპეციფიკურად ასუპრესირებს ციტოტოქსიურ T-ლიმფოციტებს (TCL). ასევე, ის, ერთი მხრივ, ტრანსკრიფციული ფაქტორების (T-bet და GATA-3) ექსპრესიის ინჰიბირებით ახდენს T-ჰელპერული უჯრედებს (Th1 და Th2) სუპრესიას [17], მეორე მხრივ კი იწვევს გულუბრყვილო CD4 T ლიმფოციტებში Foxp3 ექსპრესიის გააქტიურებას, პერიფერიული Treg უჯრედების დიფერენციაციას და მათში იმუნოსუპრესორული ფუნქციის გაძლიერება [18][19].

სხვადასხვა კვლევის შედეგების მიხედვით, TGF-β ეფექტი აუტოიმუნური დაავადებების მიმდინარეობაში განსხვავებულია. რევმატოიდული ართრიტის (RA) ვირთაგვას მოდელში TGF-β ინიექცია სახსარში იწვევდა სინოვიურ ანთებას და სახსრის შეშუპებას, რაც კავშირში იყო მაკროფაგულ ინფილტაციასა და IL-1b ექსპრესიის გაზრდასთან [20]; იგივეს ადასტურებს სხვა კვლევა, სადაც TGF-β მახლოკირებელი ანტისხეულის შეყვანის ფონზე აღინიშნებოდა ართრიტის სიმპტომების შემსუბუქება [21].

ნაჩვენებია განსხვავებული ეფექტიც: Kuruvilla et al. და Thorbecke et al. კვლევებით თაგვებში სისტემური TGF- $\beta$  სიგნალი, პირიქით, ამსუბუქებდა დაავადების განვითარებას და ამცირებდა ართრიტის სიმპტომებს [22][23].

საინტერესოა კვლევები თაგვებში სისტემური წითელი მგლურით (SLE) (ქრონიკული აუტოიმუნური დაავადება, აუტოანტისხეულების წარმოქმნით და მრავალი ორგანოს დაზიანებით), სადაც TGF- $\beta$  ვექტორის შეყვანით დაავადების სიმპტომები მსუქბუქდებოდა, რაც TGF- $\beta$  დამცველობით ფუნქციას განსაზღვრავდა [24].

ასევე, საყურადღებოა Ohtsuka et al. მიერ ჩატარებული კვლევა, სადაც SLE პაციენტებში TGF- $\beta$ -ის დონე, ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, დაქვეითებული იყო, ხოლო ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებში აქტიური დაავადებით - კიდევ უფრო დაბალი, რაც მიანიშნებდა TGF- $\beta$  პროდუქციის კავშირს დაავადების სიმძიმესთან [25].

ამრიგად, წინამდებარე კვლევა ამტკიცებს, რომ რეფრაქტერული ითპ-ის მქონე პაციენტების პლაზმაში TGF- $\beta$  დონე მნიშვნელოვნად დაქვეითებულია. ამასთან, საინტერესოა, რომ TGF- $\beta$  პლაზმური კონცენტრაცია არ კორელირებს ჩვენს მიერ აქამდე შესწავლილ სისტემური ანთების ბიომარკერებთან სისხლში.

ჩვენი და სხვათა კვლევებით დასტურდება, რომ TGF- $\beta$  როლი აუტოიმუნურ დაავადებებში, მათ შორის - ითპ-ში მნიშვნელოვანია, რაც განსაზღვრავს ამ ფაქტორის, როგორც მკურნალობის პოტენციური სამიზნის უფრო მასშტაბურ კვლევებს ითპ-ის სხვადასხვა ფორმის და მართვის განსხვავებული სტრატეგიების გათვალისწინებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] D. Nugent, R. McMillan, J. L. Nichol, and S. J. Slichter, "Pathogenesis of chronic immune thrombocytopenia: Increased platelet destruction and/or decreased platelet production," *Br. J. Haematol.*, vol. 146, no. 6, pp. 585–596, 2009, doi: 10.1111/j.1365-2141.2009.07717.x.
- [2] H. Frederiksen and K. Schmidt, "The incidence of idiopathic thrombocytopenic purpura in adults increases with age," *Blood*, vol. 94, no. 3, pp. 909–913, 1999, doi: 10.1182/blood.v94.3.909.415k02\_909\_913.
- [3] J. B. Segal and N. R. Powe, "Prevalence of immune thrombocytopenia: Analyses of administrative data," *J. Thromb. Haemost.*, vol. 4, no. 11, pp. 2377–2383, 2006, doi: 10.1111/j.1538-7836.2006.02147.x.
- [4] S. Audia *et al.*, "Splenic TFH expansion participates in B-cell differentiation and antiplatelet-antibody production during immune thrombocytopenia," *Blood*, vol. 124, no. 18, pp. 2858–2866, 2014, doi: 10.1182/blood-2014-03-563445.
- [5] S. Audia, M. Mahévas, M. Samson, B. Godeau, and B. Bonnotte, "Pathogenesis of immune thrombocytopenia," *Autoimmun. Rev.*, vol. 16, no. 6, pp. 620–632, 2017, doi: 10.1016/j.autrev.2017.04.012.
- [6] J. A. Turner *et al.*, "Regulatory T Cell-Derived TGF- $\beta$ 1 Controls Multiple Checkpoints Governing Allergy and Autoimmunity," *Immunity*, vol. 53, no. 6, pp. 1202–1214.e6, Dec. 2020, doi: 10.1016/j.immuni.2020.10.002.
- [7] G. C. Blobe, W. P. Schiemann, and H. F. Lodish, "Role of Transforming Growth Factor  $\beta$  in Human Disease," *New England Journal of Medicine*, vol. 342, no. 18, pp. 1350–1358, 2000, doi:

10.1056/nejm200005043421807.

- [8] J. P. Annes, J. S. Munger, and D. B. Rifkin, "Making sense of latent TGFbeta activation," *J. Cell Sci.*, vol. 116, no. Pt 2, pp. 217–224, Jan. 2003, doi: 10.1242/JCS.00229.
- [9] L. Gorelik, P. E. Fields, and R. A. Flavell, "Cutting Edge: TGF-β Inhibits Th Type 2 Development Through Inhibition of GATA-3 Expression," *J. Immunol.*, vol. 165, no. 9, pp. 4773–4777, Nov. 2000, doi: 10.4049/JIMMUNOL.165.9.4773.
- [10] J. T. Lin, S. L. Martin, L. Xia, and J. D. Gorham, "TGF-β1 Uses Distinct Mechanisms to Inhibit IFN-γ Expression in CD4+ T Cells at Priming and at Recall: Differential Involvement of Stat4 and T-bet," *J. Immunol.*, vol. 174, no. 10, pp. 5950–5958, May 2005, doi: 10.4049/JIMMUNOL.174.10.5950.
- [11] S. Sanjabi, S. A. Oh, and M. O. Li, "Regulation of the Immune Response by TGF-β: From Conception to Autoimmunity and Infection," *Cold Spring Harb. Perspect. Biol.*, vol. 9, no. 6, p. a022236, Jun. 2017, doi: 10.1101/CSHPERSPECT.A022236.
- [12] M. G. Strainic, E. M. Shevach, F. An, F. Lin, and M. E. Medof, "Absence of signaling into CD4+ cells via C3aR and C5aR enables autoinductive TGF-β1 signaling and induction of Foxp3+ regulatory T cells," *Nat. Immunol.*, vol. 14, no. 2, pp. 162–171, Feb. 2013, doi: 10.1038/NI.2499.
- [13] J. J. Letterio and A. B. Roberts, "REGULATION OF IMMUNE RESPONSES BY TGF-β\*," <http://dx.doi.org/10.1146/annurev.immunol.16.1.137>, vol. 16, pp. 137–161, Nov. 2003, doi: 10.1146/ANNUREV.IMMUNOL.16.1.137.
- [14] K. Nakamura *et al.*, "TGF-β1 Plays an Important Role in the Mechanism of CD4+CD25+ Regulatory T Cell Activity in Both Humans and Mice," *J. Immunol.*, vol. 172, no. 2, pp. 834–842, Jan. 2004, doi: 10.4049/JIMMUNOL.172.2.834.
- [15] Z. J. Zhou, Y. S. Zhang, C. X. Liang, and Z. Y. Yang, "Role of Th9, Th17, Treg Cells levels and IL-9, IL-17 and TGF-β Expression in Peripheral Blood of Patients with ITP in Pathogenesis of ITP," *Zhongguo shi yan xue ye xue za zhi*, vol. 27, no. 1, pp. 180–184, 2019, doi: 10.7534/j.issn.1009-2137.2019.01.029.
- [16] S. Metreveli, I. Kvachadze, N. Kikodze, T. Chikovani, and N. Janikashvili, "PERIPHERIAL BLOOD BIOMARKERS IN PATIENTS WITH REFRACTORY IMMUNE THROMBOCYTOPENIA.," *Georgian Med. News*, no. 302, pp. 45–49, May 2020, Accessed: Sep. 27, 2022. [Online]. Available: <https://europepmc.org/article/med/32672688>.
- [17] L. Gorelik, S. Constant, and R. A. Flavell, "Mechanism of Transforming Growth Factor β<sub>1</sub> – induced Inhibition of T Helper Type 1 Differentiation," vol. 195, no. 11, pp. 0–6, 2002, doi: 10.1084/jem.20012076.
- [18] S. Yamagiwa, J. D. Gray, S. Hashimoto, and D. A. Horwitz, "A Role for TGF-β in the Generation and Expansion of CD4+CD25+ Regulatory T Cells from Human Peripheral Blood," *J. Immunol.*, vol. 166, no. 12, pp. 7282–7289, Jun. 2001, doi: 10.4049/JIMMUNOL.166.12.7282.
- [19] R. Shanmugasundaram and R. K. Selvaraj, "In vitro human TGF-β treatment converts CD4+CD25– T cells into induced T regulatory like cells," *Vet. Immunol. Immunopathol.*, vol. 137, no. 1–2, pp. 161–165, Sep. 2010, doi: 10.1016/J.VETIMM.2010.04.017.
- [20] J. B. Allen, C. L. Manthey, A. R. Hand, K. Ohura, L. Ellingsworth, and S. M. Wahl, "Rapid onset synovial inflammation and hyperplasia induced by transforming growth factor beta," *J. Exp. Med.*, vol. 171, no. 1, p. 231, Jan. 1990, doi: 10.1084/JEM.171.1.231.
- [21] S. M. Wahl, J. B. Allen, G. L. Costa, H. L. Wong, and J. R. Dasch, "Reversal of acute and chronic synovial inflammation by anti-transforming growth factor β," *J. Exp. Med.*, vol. 177, no. 1, pp. 225–230, 1993, doi: 10.1084/jem.177.1.225.



- [22] A. P. Kuruvilla, R. Shah, G. M. Hochwald, H. D. Liggitt, M. A. Palladino, and G. J. Thorbecke, "Protective effect of transforming growth factor beta 1 on experimental autoimmune diseases in mice.," *Proc. Natl. Acad. Sci. U. S. A.*, vol. 88, no. 7, p. 2918, Apr. 1991, doi: 10.1073/PNAS.88.7.2918.
- [23] G. J. Thorbecke, R. Shah, C. H. Leu, A. P. Kuruvilla, A. M. Hardison, and M. A. Palladino, "Involvement of endogenous tumor necrosis factor alpha and transforming growth factor beta during induction of collagen type II arthritis in mice," *Proc. Natl. Acad. Sci. U. S. A.*, vol. 89, no. 16, pp. 7375–7379, 1992, doi: 10.1073/PNAS.89.16.7375.
- [24] E. Raz *et al.*, "Modulation of disease activity in murine systemic lupus erythematosus by cytokine gene delivery," *Lupus*, vol. 4, no. 4, pp. 286–292, 1995, doi: 10.1177/096120339500400409.
- [25] K. Ohtsuka, J. D. Gray, M. M. Stimmler, and D. A. Horwitz, "The relationship between defects in lymphocyte production of transforming growth factor-beta1 in systemic lupus erythematosus and disease activity or severity," *Lupus*, vol. 8, no. 2, pp. 90–94, 1999, doi: 10.1191/096120399678847489.

## TGF- $\beta$ in patients with refractory immune thrombocytopenia

Sophio Metreveli<sup>1</sup>, Nino Nanava<sup>1</sup>, Irine Kvachadze<sup>2</sup>, Tinatini Chikovani<sup>1</sup> and Nona Janikashvili<sup>1</sup>

<sup>1</sup> Department of Immunology, Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

<sup>2</sup> Department of Physiology, Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

---

### Abstract

In the pathogenesis of autoimmune diseases, including immune thrombocytopenia (ITP), maintenance of inflammation and the loss of immune tolerance is essential. Transforming growth factor-beta (TGF- $\beta$ ) is a regulatory cytokine with pleiotropic function. TGF- $\beta$  inhibits differentiation of T helper (Th1, Th2) cells and promotes the development of peripheral Tregs. The aim of our study was to explore the plasma levels of TGF- $\beta$  and to perform its correlative analyses with peripheral blood biomarkers of systemic inflammation (NLR, PLR, PMR, SII, dNLR) in patients with ITP who did not respond to the first line treatment and had splenectomy as a second line therapy. The concentrations of TGF- $\beta$  in plasma was quantified using ELISA kits by eBioscience. Statistical analyses was performed using Graph Pad Prism - Mann Whitney U test; for the correlation analyses we used spearman rank correlation by SPSS program. Our study revealed that the level of TGF- $\beta$  in patients with refractory ITP is significantly diminished compared to the healthy subjects or patients undergoing splenectomy for other reasons than autoimmune or malignant hematological pathologies. There was no correlation observed between the plasma concentrations of TGF- $\beta$  and the peripheral blood biomarkers of systemic inflammation.

**Keywords:** *Immune thrombocytopenia, TGF- $\beta$ , Inflammation biomarkers.*

## მიკროკაფსულირების სხვადასხვა ასპექტისათვის

მამუკა მაცაბერიძე<sup>1</sup>, ინგა ჯანელიძე<sup>2</sup>

<sup>1</sup>პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი Orcid ID: <https://orcid.org/0000-0002-3228-1447>

<sup>2</sup>ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი Orcid ID: <https://orcid.org/0000-0002-9961-7638>

### აბსტრაქტი

მიკროკაფსულირება, როგორც სისტემების შექმნის პრინციპი ნივთიერებების მიზნობრივი მიწოდებისათვის ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა პროდუქტებისა და პრეპარატების წარმოებაში. მიკროკაფსულირების პრობლემებისადმი სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესი ძალზე მაღალია, რაზეც მოწმობს მიკროკაფსულირების საერთაშორისო საზოგადოების შექმნა. მიკროკაფსულირებული და გელის მსგავსი ფორმების პროდუქციისა და პრეპარატების შექმნა სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს საინოვაციო სეგმენტს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** მიკროკაფსულირება, პროგრამირებული და პროლონგირებული მოქმედების ფარმაცევტული საშუალებები, ცეცხლმქრობი პოლიმერული კომპოზიციური მასალები, ანტიპირენები, კოაცერვაცია, პესტიციდების მიკროკაფსულირებული ფორმები, ეპოქსიდური მიკროკაფსულირება, კონსერვაცია მიკროკაფსულირებით.

მიკროკაფსულირება წარმოადგენს სისტემის შექმნის პრინციპს ნივთიერებების მიზნობრივი მიწოდებისათვის სხვადასხვა პროდუქტებისა და პრეპარატების წარმოების პროცესის თანამედროვე უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული განეკუთვნება შემდეგ დარგობრივ სფეროებს:

- პროგრამირებული და პროლონგირებული მოქმედების ფარმაცევტული საშუალებები, რომლებიც იცავს კუჭის წველის ზემოქმედებისგან პოლიპეპტიდებს, ვაქცინებს და სხვა პრეპარატებს, აგრეთვე პარენტერალურ სისტემებს ბიოდეგრადირებად გარსში პერორალური მიღებისას.
- სოფლის მეურნეობის პროდუქტები (პესტიციდები, ფერომონები).
- ქიმიური ტექნოლოგიის, სხვადასხვა დანიშნულების, პროდუქტები (საღებავები, არანახშირბადიანი ასლის გადასაღები ქალაღდი, ტონერები, ანტიპირენები პოლიმერული კომპოზიციებისათვის, ანაერობული „ჰერმეტიკები“ და სხვა).
- საკვების და ცხოველთა საკვების ბიოაქტიური დანამატები.
- კოსმეტიკური საშუალებების ინგრედიენტები და ა.შ.

პოლიმერულ გარსში ჩაშენებული, მყარი და თხევადი სუბსტანციების მიკრონაწილაკები, სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების პრეპარატებს ანიჭებენ სრულიად ახალ თვისებებს.

### ცეცხლმქრობი პოლიმერული კომპოზიციური მასალების მიკროკაფსულირების გადაუდებელი აუცილებლობის მსაზღვრელი ფაქტორი

ტექნიკურად ღირებული, ზოგჯერ უნიკალური ფუნქციური თვისებების მთელ კომპლექსთან ერთად, პოლიმერულ მასალებს აქვთ ისეთი მნიშვნელოვანი ნაკლი, როგორცაა მათი აალება. მასალების წვადობის შემცირების ყველაზე ფართოდ გამოყენებული მეთოდია სხვადასხვა ანტიპიროგენების (ანუ იმ ნივთიერებების, რომლებიც შეიცავენ ფოსფორს და ჰალოგენებს) პოლიმერულ მატრიცაში შეყვანა.

ცეცხლმქრობ პოლიმერულ კომპოზიტურ მასალებს აქვთ უნარი აქტიურად აღკვეთონ აალების პროცესის ინიცირება, ე.ი. ნახსენებ, ცეცხლმქრობ პოლიმერულ კომპოზიტურ მასალებს, შეუძლიათ შეასრულონ ხანძრის მქრობი, დამოუკიდებელი ავტომატური სისტემის ფუნქცია.

ცეცხლმქრობი პოლიმერული კომპოზიტური მასალები პერსპექტიულია სხვადასხვა ობიექტების დაცვისთვის, კერძოდ:

- ყველაზე დაუცველი კვანძები და აგრეგატები სატრანსპორტო მანქანათმშენებლობაში (ავიამშენებლობა, გემთმშენებლობა, ვაგონ-მშენებლობა).
- ხანძარსაწინააღმდეგო და ფეთქებადი ტვირთები მათი შენახვისა და ტრანსპორტირების დროს.

- განსაკუთრებით ღირებული ტვირთები (ხელოვნების ნაწარმოებები, დოკუმენტები, ფულის ბანკნოტები შენახვისა და ტრანსპორტირების დროს).
- ელექტრონული მოწყობილობების და ელექტროსადგურების ყველაზე დაუცველი კვანძები და ენერგეტიკული აგრეგატები (ბირთვული, თერმული და ა.შ.).

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ანტიპირენების საერთო მოხმარებაში დანამატების წილი მუდმივად მცირდება, რაც განპირობებულია მათი უნარით, დროთა განმავლობაში „გამოიყონ“ მასალის ზედაპირზე სითხის ან კრისტალების სახით, რომლის შეჩერების ეფექტური მეთოდია მიკროკაფსულირება.

ზოგადად ანტიპირენებს ანუ ხანძარსაწინააღმდეგო ნივთიერებებს მიეკუთვნება ჰალოგენის, ფოსფორის, ბორის, აზოტის ატომების შემცველი ნივთიერებები, ცვლადი ვალენტობის ლითონები, დაჯგუფებები ამ ელემენტების სხვადასხვა კომბინაციით და ქიმიურად ბმული წყალი.

### სამკურნალო ნივთიერებების მიკროკაფსულირების დასაბუთებისათვის

ცნება „ნივთიერების მიწოდება“ ძირითადად ეხება სამკურნალო საშუალებებს და ნიშნავს წამლის მიზანმიმართულ ტრანსპორტირებას ორგანიზმში უშუალოდ მისი მოქმედების ადგილზე. ასეთი პრეპარატების შექმნის ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდებია მიკროკაფსულირება და გელირება (გელის პროდუცირება).

ეს ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის წამლების მიღებას ხანგრძლივი, დაპროგრამებული და ტრანსდერმული ეფექტით. ასეთი პრეპარატების გამოყენება ნიშნავს მათი თერაპიული დოზების და საერთო ტოქსიკურობის შემცირებას, აქტიური ნივთიერების მოქმედების მდგრადობას და უზრუნველყოფს ღვიძლისა და თირკმელების დაცვას.

ფარმაცევტული საშუალებების უმეტესობა წყალში ხსნადია. აქედან გამომდინარე, წყალხსნარიდან **კოაცერვაციის**<sup>1</sup> მეთოდი მათი მიკროკაფსულირებისათვის არ არის შესატყვისი და სასურველი.

<sup>1</sup> **coacervatio** - "ერთად თავმოყრა", "დაგროვება"; გახსნილი ნივთიერებით გამდიდრებული წვეთების მაღალმოლეკულური ნაერთების წარმოქმნა ხსნარში.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=3&t=dict&w1=%E1%83%99&w2=%E1%83%9D&w3=%E1%83%90>

## პესტიციდების მიკროკაფსულირებული ფორმები

ქიმიის განვითარების თანამედროვე მიმართულება მცენარეთა დაცვის საშუალებების პრეპარატიული ფორმების შექმნაზეა ორიენტირებული, რომლებიც უზრუნველყოფენ აქტიური ნივთიერების ბიოლოგიური პოტენციალის რეალიზაციის ოპტიმალურ პირობებს, მის მიზანმიმართულ და შერჩევით მოქმედებას და ამავე დროს მინიმუმამდე დაყავთ პესტიციდების უარყოფითი გავლენა გარემოზე და ადამიანზე. ამ მოთხოვნების განხორციელების ერთ-ერთი გზაა პესტიციდების პრეპარატიული ფორმების შექმნა მიკროკაფსულების სახით და აქტიური ნივთიერების კონტროლირებადი გამოყოფით.

### საარქივო და არქეოლოგიური მასალის კონსერვაცია მიკროკაფსულირებით

მატერიალური კულტურის ობიექტების შენარჩუნების პრობლემა, რომლებიც განადგურების ტერმინალურ სტადიაშია, მოითხოვს კონსერვაციის არატრადიციული მეთოდების გამოყენებას [1]. საარქივო და არქეოლოგიური მასალების კონსერვაციისა და რესტავრაციისათვის ნაჩვენებია, რომ ამისთვის ამ მიზნით შესაფერისია მიკროკაფსულირების მეთოდი, რომელიც ხორციელდება **ჰ-ქსილილენის**<sup>2</sup> დიმერის გაზფაზური პოლიმერიზაციით საკონსერვაციო/სარესტავრაციო ობიექტების ზედაპირზე.

საინტერესოა, რომ ეპოქსიდური ფისების მიკროკაფსულირება და მიკროკაფსულირების სხვადასხვა მეთოდები, თანამედროვე მასალათა მიღების გამორჩეული აქტუალობით ხასიათდება. გარდა აღნიშნულისა ძალზე მნიშვნელოვანია ახლად მიღებული მიკროკაფსულების მორფოლოგიის შესწავლა მიკროსტრუქტურული ანალიზით.

მიკროსტრუქტურული ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, დგინდება ფაქტორები, რომლებიც თავის მხრივ გავლენას ახდენენ მასალების ხარისხზე. საინტერესოა, რომ მიკროკაფსულების გამოყენებით მიიღება **თვითაღდგენადი პოლიმერული კომპოზიტი**.

---

<sup>2</sup> პოლი-პარა-ქსილილენი, პარილინი - **ჰ-ქსილილენის** წრფივი პოლიმერი, პიროლიზური პოლიმერიზაციით მიღებული თერმოპლასტი. მას აქვს საინტერესო თვისებები: გამხსნელებისა და მჟავებისადმი გამძლეობა, დნობის მაღალი წერტილი, კარგი დიელექტრიკული და ბარიერული თვისებები. პოლიმერი და მისი წარმოებულები გამოიყენება, როგორც ზედაპირული დანაფარი სხვადასხვა პროდუქტებისთვის, ძირითადად ელექტრონიკაში. კომერციული დასახელება - **Parylene N, C, D**, ბენზოლის რგოლში შემცვლელის მიხედვით.

განვაზოგადოდ ამ თვითაღდგენადი პოლიმერული კომპოზიტის ნიმუშის მიკროსტრუქტურული ანალიზის გამოყენებით ჩატარებული კვლევის ზოგადი ტოპოლოგია და მოვახდინოთ ამ კვლევის შედეგების ანალიტიკური კონცეპტუალიზება.

ნაირგვარი ინდივიდუალური ნივთიერებისა და მათი ნარევების მიკროკავსულირებამ ფართო გამოყენება ჰპოვა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგში [2], კერძოდ მიკროკავსულირება ფართოდ გავრცელდა კომპოზიტური მასალების [3] და მედიცინის, ბიოლოგიის და ფარმაციის სფეროში [4].

კომპოზიტური მასალების სფეროში, მიკროკავსულირება გამოიყენება როგორც შემავსებლების, ასევე დანამატების შესაქმნელად, რომლებიც აუმჯობესებენ მიკრობზარისადმი წინააღმდეგობას მასალის დაბზარვის ენერჯის გაფანტვით, მზარდი ბზარის წვერზე [5] და ასევე მიკროკავსულებზე დაფუძნებული თვითაღდგენადი პოლიმერული მასალების [6] შესაქმნელად.

თანამედროვე ტექნოლოგიებში, მიკროკავსულირების გამოყენებით მნიშვნელოვანი ამოცანებია გადაჭრილი, მაგალითად უნიკალური პროდუქტის - თვითაღდგენადი მასალების [7] შექმნა.

ამრიგად, მიკროკავსულის ბირთვში მოთავსებული „სამკურნალო“ აგენტი, როდესაც კავსულის კედლის მთლიანობა ირღვევა, გამოიყოფა (ეს „სამკურნალო“ აგენტი) წარმოქმნილ სიცარიელებში და ხსნის პოლიმერს თავის ირგვლივ გამხსნელის გამოყენებით [8], ან იწყებს გამკვრივებას ინიციატორი/გამამკვრივებელის [9] ზემოქმედების დროს, რითაც ნაწილობრივ ან მთლიანად აღადგენს დაზიანებულ ადგილს.

ასეთი თვითაღდგენადი მასალები ძალზე მნიშვნელოვანია თვითმფრინავების მშენებლობის [10-12] სფეროში, რადგან ისინი საშუალებას გვაძლევს შევამციროთ დრო და ფინანსური ხარჯები ამგვარი პროდუქციის (ე.ი. თვითაღდგენადი მასალების) ნაკეთობის ტექნიკური მომსახურებისათვის და გავახანგრძლივოთ მასალის ექსპლოატაციის [13-15] ვადა.

ეპოქსიდური ფისების აქტიური გამოყენების გათვალისწინებით კომპოზიციური მასალების წარმოებისთვის თვითმფრინავმშენებლობისთვის, დიდი ყურადღება ეთმობა მიკროკაფსულების წარმოებას [16-17], რომლებიც სავსეა ეპოქსიდური ფისებით და შეუძლია აღადგინოს კომპოზიციური მასალების თვისებები ნარჩენი გამამაგრებლის გამოყენებით.

ყველაზე პერსპექტიული საწყისი მასალა ასეთი მიკროკაფსულების გარსის მისაღებად არის **კარბამიდ-ფორმალდეჰიდური ოლიგომერი** [18-20], რომლის გამოყენების უპირატესობა არის მისი დაბალი ღირებულება, ხელმისაწვდომობა და ინერტულობა შემავსებლის მიმართ. აღნიშნულზე მსჯელობისას უნდა განისაზღვროს შემდეგი სტრატეგიები:


- ეპოქსიდური ფისებით სავსე მიკროკაფსულების მიღება სხვადასხვა მეთოდით.
- მიკროკაფსულების თვისებებზე გავლენის მომხდენი პირობები.
- მიკროკაფსულების სინთეზის ამოცანები.
- მიკროკაფსულების თვითაღდგენადი კომპოზიციური მასალების მისაღებად განსაზღვრული ეპოქსიდური ფისები.

### **ეპოქსიდური ფისის მიკროკაფსულირება ორსაფეხურიანი მეთოდიკით**

შარდოვანა-ფორმალდეჰიდის ოლიგომერის მისაღებად, 100 გ შარდოვანა და 125 გ პარაფორმალდეჰიდი უნდა ჩავასხათ 500 მლ-იან მრგვალ ფსკერიან, სამყელიან კოლბაში, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს ზედა შემრევით, თერმომეტრით და უკუმაცივრით, რის შემდეგაც 150 მლ გამოხდილი წყალი უნდა დაემატოს და ხსნარის **pH** უნდა დავარეგულიროთ ნეიტრალურ (**pH=7-7,1**) გარემოზე, კალიუმის ჰიდროქსიდის (10% (მასით) და ძმარმჟავას (10% (მასით) წინასწარ მომზადებული ხსნარების გამოყენებით. მიღებული ნარევი უნდა შევათბოთ 60°C-მდე მუდმივი მორევით და გავაგრძელოთ გათბობა შარდოვანას და პარაფორმალდეჰიდის სრულ დაშლამდე.

ამის შემდეგ, შარდოვანას მეთილოლის წარმოებულების წარმოქმნის დასასრულებლად, ხსნარს უნდა ვუვლით 60°C ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში. რეაქციის დასრულების შემდეგ, ხსნარის **pH** უნდა დავიყვანოთ 4,5-მდე ძმარმჟავას ხსნარით. შემდეგ ტემპერატურა უნდა ავწიოთ 80°C-მდე და გაცხელება გავაგრძელოთ კიდევ 1,5-2 სთ, რათა წარმოიქმნას შარდოვანა-ფორმალდეჰიდის ოლიგომერი. მიღებული გამჭვირვალე ხსნარის გაგრილების შემდეგ, მისი **pH** უნდა დავარეგულიროთ ნეიტრალურ (**pH=7**) გარემოზე.

მიღებული ოლიგომერით ეპოქსიდურ-ფისოვანი მიკროკაფსულირება ჩატარდა შემდეგი სქემით: 150 გ კარბამიდ-ფორმალდეჰიდის ოლიგომერის წყალხსნარი და 250 მლ წყალი დაემატა 700 მლ ჭიქაში, რომელიც აღჭურვილი იყო „პროპელერურ“/ფრთიანი ამრევით და გამახურებული პერანგით; ხსნარის pH დარეგულირდა მჟაუნ მჟავას 10% ხსნარით pH-ის 6,0–6,5 მნიშვნელობებამდე, რის შემდეგაც, მორევით (250 ბრ/წთ), ეპოქსიდური ფისი DER-330 თბება 70°C-მდე და ემატება 4,95 გ სალიცილის მჟავა, რომელიც გამოიყენება მიღებული კაფსულების სტაბილიზაციისთვის; შემდეგ ტემპერატურა უნდა დავიყვანოთ 30°C-მდე და ვურიოთ 10 წუთის განმავლობაში - შემრევის ბრუნვის სიჩქარით 250 ბრ/წთ. ამის შემდეგ, ხსნარის pH ვაქვეითებდით 4,0–4,5 მნიშვნელობებამდე და ამ ტემპერატურაზე მორევას ვაგრძელებდით 2,5–3 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც ხსნარის pH მცირდებოდა 2,5–2,8 მნიშვნელობებამდე, დავამატეთ 7,5 გ შარდოვანა და შევათბეთ 50°C-მდე და გავაგრძელეთ რეაქცია მიკროკაფსულის გარსის წარმოქმნამდე 1,5-2 სთ განმავლობაში. მიღებული ნარევის ვაგრილებთ, ვფილტრავთ, ვრეცხავთ დისტილირებული წყლით და ვაშრობთ ჰაერზე 48 საათის განმავლობაში.



პრინციპული სქემა: „პროპელერურ“/ფრთიანი ამრევი გამახურებული პერანგით

### in situ<sup>3</sup> ეპოქსიდური მიკროკაფსულირება

500 მლ-იან ქიმიურ ჭიქაში, „პროპელერურ“/ფრთიანი ამრევით და გამათბობელი პერანგით ჩავასხით 117 გ წყალი, 7,2 გ შარდოვანა, 0,3 გ რეზორცინოლი, 0,3 გ NaCl, 27 გ პოლივინილის სპირტის (PVA) 5%-იანი ხსნარი წყალში და 30 გ DER-330 ეპოქსიდური ფისი. ემულსიის შესაქმნელად მიღებული ნარევი უნდა დასტაბილიზდეს 10-15 წუთის განმავლობაში ამრევის სიჩქარით 700-900 ბრ/წთ, რის შემდეგაც ტემპერატურა უნდა გაიზარდოს 60°C-მდე, რეაქციის pH-ი რეგულირდება 2,5-3,5-მდე და რეაქტორში უნდა დაემატოს 19,2 გრ პარაფორმალდეჰიდისგან წინასწარ მომზადებულ ფორმალდეჰიდის 37,5%-იანი წყალხსნარი.

<sup>3</sup> ექსპერიმენტის ტიპი, რომელიც საკვლევი ობიექტის წარმოშობის ადგილზე ტარდება.



ფორმალდეჰიდის პოლიკონდენსაციის რეაქცია შარდოვანასთან ემულსიის წვეთების ზედაპირზე ტარდება 4 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც მიღებული ნარევი უნდა გაგრილდეს ოთახის ტემპერატურამდე, ვფილტრავთ ბუხნერის ძაბრით და მონაცვლეობით ვრეცხავთ წყლით და აცეტონით.


კარბამიდ-ფორმალდეჰიდის პოლიმერისგან **კაფსულის გარსების სინთეზი** ერთ-ერთი ადვილად განხორციელებადი მეთოდია წყალში ხსნადი დაბალმოლეკულური ოლიგომერის მიღება მისი შემდგომი პოლიმერიზაციით კაფსულის გარსის ფორმირებით. ამისათვის პირველ რიგში საჭიროა დაბალმოლეკულური და შესანახად მდგრადი კარბამიდ-ფორმალდეჰიდის ოლიგომერის მიღება. ასეთი ოლიგომერის მიღების პირველ ეტაპზე ხდება კარბამიდის რეაქცია ფორმალდეჰიდთან, რის შედეგადაც შესაძლოა წარმოიქმნას კარბამიდის მონო-, დი- და ტრიმეთილოლ წარმოებულები. ოლიგომერის მიღების პროცესის შემდგომი გაგრძელებით, მიმდინარეობს ზემოთნახსენები წარმოებულების (კარბამიდის მონო-, დი- და ტრიმეთილოლ წარმოებულები) პოლიკონდენსაციის რეაქცია მჟავა გარემოში საჭირო ოლიგომერის წარმოქმნით.

წყალში ხსნადი შარდოვანა-ფორმალდეჰიდის ოლიგომერის მიღების პროცესის შესწავლისას დადგინდა, რომ მეთილოლის წარმოებულების მიღებისას ძალიან მნიშვნელოვანია გარემოს pH-ის მონიტორინგი, რადგან ეს რეაქცია კარგად მიმდინარეობს ნეიტრალურ და ტუტე გარემოში. მჟავა გარემოში ეს რეაქცია ჩერდება და იწყება რეაქცია მეთილოლის ჯგუფებსა და აზოტთან მდებარე წყალბადის თავისუფალ ატომებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თავდაპირველად შერჩეული, "ფორმალდეჰიდი/კარბამიდი", სტექიომეტრიული თანაფარდობის ცვლილება.

ოლიგომერს ვღებულობთ „ფორმალდეჰიდი/კარბამიდის“ მოლური თანაფარდობით 2:1 და 2,5:1. არ არის მიზანშეწონილი ფორმალდეჰიდის უფრო მცირე რაოდენობით გამოყენება, რადგან ეს წარმოქმნის ჰიდროქსილის ჯგუფების ძალიან მცირე რაოდენობას, რომლებიც ხელს უწყობენ წყალში ხსნადი ოლიგომერის წარმოქმნას.

ყველაზე მარტივად მისაღები და სტაბილური აღმოჩნდა ოლიგომერის ხსნარი, რომელიც მიღებულია მოლური თანაფარდობით [21] "ფორმალდეჰიდი /კარბამიდი" - 2.5: 1, რაც დროთა განმავლობაში ინარჩუნებს თავის თვისებებს და ოპტიმალურია მისი გამოიყენება, როგორც წინამორბედი/პრეკურსორისა მიკროკაფსულების გარსის მისაღებად. მისი სტაბილურობა განპირობებულია ჰიდროფილური ჯგუფების საკმარისი არსებობით და NH-სარეაქციო ცენტრების ამოწურვით, მეთილოლის წარმოებულების ერთმანეთთან რეაქციის დროს.

შარდოვანასთან რეაქციის დროს, მოლეკულური მასის ზრდის და ჰიდროფილური ჯგუფების რაოდენობის შემცირების გამო დისპერგირებულ სისტემაში გაფანტული ეპოქსიდური ფისის ზედაპირზე წარმოიქმნება პოლიმერული ფირი, რომლის სისქე და სიმტკიცე დროთა განმავლობაში იზრდება:



#### მიკროკაფსულების გარსის პოლიმერული ფირის წარმოშობის პრინციპული სქემა

დადგენილია, რომ ოლიგომერის კონცენტრაცია ხსნარში უნდა შემცირდეს 20-30%-მდე,


ვინაიდან მიკროკაფსულების წარმოქმნის პროცესში უფრო მაღალი კონცენტრაციის გამოყენებისას მიიღება ძალიან მაღალი სიბლანტის მქონე ნარევები, რომლებიც

უარყოფითად მოქმედებს მიღებულ ნაწილაკებზე. ისიც დადასტურდა, რომ სალიცილის მჟავის დამატებით 3-5% ოდენობით, ხდება აგლომერაციის (შეცხობის) მნიშვნელოვანი შემცირება და უფრო ერთგვაროვანი ფირების ფორმირება, მისი ჩამოყალიბების და ოლიგომერული ფაზის თვისებების გაუმჯობესების წყალობით.


pH-ის გარემოს გავლენის შესწავლისას, ეპოქსიდური ფისიდან, მიკროკაფსულების წარმოქმნის პროცესზე გამოვლინდა, რომ როდესაც ძალზე დაბალია pH მნიშვნელობები (ან მაღალია პროცესის ტემპერატურა) უხსნადი პოლიმერის წარმოქმნა ძალიან აქტიურდება და კაფსულის გარსის ფორმირების ნაცვლად, ის გამოილექება ცალკეულ ფაზაში. შედეგად, პოლიმერის მნიშვნელოვანი ნაწილი ხსნარიდან გამოიყოფა მყარი ნაწილაკების სახით, რომელთა მოშორება თითქმის შეუძლებელია.

ეპოქსიდური ფისის შემცველი მიკროკაფსულების ორეტაპიანი წარმოებისას გამოვლინდა, რომ წარმოქმნილი ნაწილაკების ზომაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემრევის ბრუნვის სიჩქარე; ასე მაგალითად, ბრუნვის სიჩქარით 250 ბრ/წთ მიიღება დიდი კაფსულები დიამეტრით 200–400 მიკრომეტრი (იხილე სურათი. 1, a), ხოლო ბრუნვის სიჩქარე 400 ბრ/წთ საშუალებას იძლევა მივიღოთ პატარა მიკროკაფსულები - 200 მკმ-მდე დიამეტრით (სურათი. 1, b), სურათი 1-ზე წარმოდგენილი ფოტო გადაღებული ოპტიკური მიკროსკოპით.

მიკროკაფსულირების მეთოდი, რომელიც მიმდინარეობს ერთ ეტაპად, ეფუძნება კარბამიდ-ფორმალდეჰიდის ოლიგომერის წარმოებას *in situ* წყალი-ფისი ფაზების საზღვარზე. კარბამიდის და ფორმალდეჰიდის პოლიკონდენსაციის რეაქცია ამ შემთხვევაში მიმდინარეობს შემდეგი სქემის მიხედვით:



ზემოთმოყვანილი სქემა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ აღწერილი მეთოდის ნაკლოვანებები. ამრიგად, დროისა და ენერჯის ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება პროცესის საფეხურების რაოდენობის შემცირებით, მარტივდება pH-ის რეგულირება გარემოში "ოლიგომერი-ფისი" და არ არსებობს პრობლემები პოლიმერის გამოლექვასთან ოლიგომერის ხსნარიდან ცალკე ფაზაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენახვისას.



სურათი 1. მიკროკაფსულების ფოტოები DER-330 ეპოქსიდური ფისით, შემრევის ბრუნვის სიჩქარით 250 ბრ/წთ (a) და 400 ბრ/წთ (b). ინფორმაციის წყარო: [21]

ეპოქსიდის შემცველი მიკროკაფსულების მიღების ერთსაფეხურიანი პროცედურის შესწავლილის საფუძველზე (იხ. იქვე), განისაზღვრა მორევის სიჩქარის და პოლივინილის სპირტის მახასიათებლების გავლენა მიკროკაფსულირების პროცესზე - ყველაზე ოპტიმალური აღმოჩნდა პოლივინილის სპირტი ჰიდროლიზის უმაღლესი ხარისხით, ხოლო მორევის ოპტიმალური სიჩქარეა - 600-700 ბრ/წთ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Development of microencapsulated and gel-like products and materials for various industries // M. S. Vilesova, N. I. Aizenshtadt, M. S. Bosenko, A. D. Vilesov, E. P. Zhuravsky, A. G. Klimov, V. A. Marey, V. B. Moshkovsky, V. E. Mukhin, A. S. Radilov, L. A. Rubinchik, N. N. Saprykina, R. P. Stankevich, B. I. Tkachev, Yu. I. Trulev. Ros. chem. and. (J. Russian Chemical Society named after D.I. Mendeleev), 2001, v. XLV, No. 5-6; page 9.
2. Monodispersed Sirolimus-Loaded PLGA Microspheres with a Controlled Degree of Drug-Polymer Phase Separation for Drug-Coated Implantable Medical Devices and Subcutaneous Injection. CS Appl. Bio Mater. 2022, 5, 8, 3766–3777; Publication Date: July 16, 2022, <https://doi.org/10.1021/acsabm.2c00319>.
3. Rule J.D., Brown E.N., Sottos N.R., et al. Wax-protected catalyst microspheres for efficient self-healing materials // Advanced Materials. 2005. Vol. 17. P. 205–208.

4. Menshutina N.V. Encapsulation technologies // *Pharmaceutical technologies and packaging*. 2014. No. 5. pp. 30–33.
5. Giannakopoulos G., Masania K., Taylor A.C. Toughening of epoxy using core-shell particles // *Journal of Materials Science*. 2011. Vol. 46. P. 327–338.
6. Liao L.P., Zhang W., Xin Y., et al. Preparation and characterization of a microcapsule containing epoxy resin and its self-healing performance of anticorrosion covering material // *Chinese Science Bull*. 2011. Vol. 56. P. 439–443.
7. Chowdhury R.A., Hosur M.V., Nuruddin M. Self-healing epoxy composites: preparation, characterization and healing performance // *Journal of Materials Research and Technology*. 2015. Vol. 4. P. 33–43.
8. Caruso M.M., Delafuente D.A., Ho V. Solvent-promoted self-healing materials // *Macromolecules*. 2007. Vol. 40. P. 8830–8832.
9. Rule J.D. The chemistry of self-healing polymers // *Education in Chemistry*. 2005. Vol. 42 (5). P. 130–132.
10. Kablov E.N. New generation materials as the basis for innovation, technological leadership, and Russia's national security // *Intellect & Technologies*. 2016. №2, pp. 41–46.
11. Kuznetsova V.A., Deev I.S., Zheleznyak V.G., Silaeva A.A. Wear-resistant paint coating with quasi-crystalline filler // *Proceedings of VIAM: electron. scientific and technical magazine* 2018. №3. Art. 08. URL: <http://www.viam-works.ru> DOI: 10.18577/2307-6046-2018-0-3-8-8.
12. Kablov E.N. Materials and chemical technologies for aviation equipment // *Bulletin of the Russian Academy of Sciences*. 2012. V. 82. No. 6, pp. 520–530.
13. Raskutin A.E., Khrulkov A.V., Yazvenko L.N. Polymer film coating for PCM structures (review) // *Proceedings of VIAM: electron. scientific and technical magazine* 2017. No. 2 (50). Art. 05. URL: <http://www.viam-works.ru> (date of access: 06/13/2018). DOI: 10.18577/2307-6046-2017-0-2-5-5.
14. Kablov E.N. Aerospace materials science // *All materials. Encyclopedic reference book*. 2008. No. 3. pp. 2–14.
15. Solovyanchik L.V., Kondrashov S.V., Shashkeev K.A., Marakhovskiy P.S., Soldatov M.A. A new approach for imparting functional properties to PCM // *Proceedings of VIAM: electron. scientific and technical magazine* 2017. No. 4 (52). Art. 05. URL: <http://www.viam-works.ru> DOI: 10.18577/2307-6046-2017-0-4-5-5.
16. Grebeneva T.A., Terekhov I.V., Chursova L.V., Shlensky V.A. Microencapsulation in self-healing composite materials // *Klei. Sealants. Technology*. 2016. No. 10. pp. 40–45.
17. Liu X., Sheng X., Lee J.K., Kessler M.R. Synthesis and Characterization of Melamine-Urea-Formaldehyde Microcapsules Containing ENB-Based Self-Healing Agents // *Macromolecular Materials Engineering*. 2009 Vol. 294. P. 389–395.
18. Grebeneva T.A., Terekhov I.V., Chursova L.V., Shlensky V.A. Microencapsulation in self-healing composite materials // *Klei. Sealants. Technology*. 2016. No. 11. pp. 39–46.

19. Yin T., Rong M.Z., Zhang M.Q., Yang G.C. Self-healing epoxy composites – Preparation and effect of the healing consisting of microencapsulated epoxy and latent curing agent // Composites Science and Technology. 2007 Vol. 67. P. 201–212.
20. Wang R., Li H., Hu H. et al. Preparation and characterization of self-healing microcapsules with poly(urea-formaldehyde) grafted epoxy functional group shell // Journal of Applied Polymer Science. 2009 Vol. 113. R. 1501-1506.
21. I.V. Terekhov, V.A. Shlensky, E.V. Kurshev, S.L. Lonsky, V.A. Dyatlov. Study Of Factors Affecting The Formation Of Epoxy-Containing Microcapsules For Self-Healing Compositions DOI: 10.18577/2071-9140-2018-0-3-27-34. Aviation Materials And Technologies №3 (52) 2018, p. 27-34.

## **For various aspects of microencapsulation**

Mamuka Matsaberidze<sup>1</sup>, Inga Janelidze<sup>2</sup>

Professor, Faculty of Chemical Technology and Metallurgy of Georgian Technical University

Association Professor, Faculty of Chemical Technology and Metallurgy of Georgian Technical University

---

### **Abstract**

Microencapsulation as a principle of creating systems for targeted delivery of substances is widely used in the production of various products and preparations. The scientific and practical interest in the problems of microencapsulation is very high, as evidenced by the creation of the international community of microencapsulation. The creation of products and preparations in microencapsulated and gel-like forms is an innovative segment of various fields of scientific and technical activity.

**Key words:** *microencapsulation, programmed and prolonged action pharmaceuticals, flame retardant polymer composite materials, flame retardants, coacervation, microencapsulated forms of pesticides, epoxy microencapsulation, preservation by microencapsulation.*

## CD4+CD39+ უჯრედები ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებში

ნინო ნანავა<sup>1</sup>, სოფიო მეტრეველი<sup>1</sup>, გიორგი გიორგობიანი<sup>2</sup>, თინათინ ჩიქოვანი<sup>1</sup>, ნონა ჯანიკაშვილი<sup>1</sup>

<sup>1</sup>იმუნოლოგიის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო <sup>2</sup>ქირურგიის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

### აბსტრაქტი

T ლიმფოციტებში ექტონუკლეოტიდაზა CD39-ის ექსპრესიის ცვლილება აღწერილია სხვადასხვა იმუნოპათოლოგიის დროს სოლიდური სიმსივნეების ჩათვლით. თუმცა საკმაოდ მწირია ინფორმაცია ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პაციენტებში ამ იმუნომარეგულირებელი მოლეკულის მატარებელ უჯრედებზე. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა CD39+ უჯრედების სიხშირის შესწავლა ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტების სისხლისა და ელენთის CD4+ პოპულაციაში და სისტემური ანთების სისხლის ბიომარკერებთან მათი კორელაციის დადგენა.

კვლევა ჩატარდა ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე შვიდ პაციენტზე, რომელთაც თერაპიული ჩვენებით ჩაუტარდათ სპლენექტომია. კონტროლად გამოყენებულ იქნა სპლენექტომირებული პაციენტების ორი ჯგუფი. პირველ საკონტროლო ჯგუფს შეადგენდა ექვსი პაციენტი, რომელთაც არ ჰქონდათ სიმსივნური ან აუტოიმუნური დაავადებების დიაგნოზი, ხოლო მეორე საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენდა იმუნური თრომბოციტოპენიის (ითპ) დიაგნოზის მქონე ცხრა პაციენტი.

დადგინდა, რომ ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტთა სისხლსა და ელენთაში CD4+CD39+ უჯრედების რაოდენობა არ განსხვავდება იმ სპლენექტომირებულ პაციენტთა ანალოგიური მაჩვენებლებისგან, ვისაც არ აქვს რაიმე სახის კიბო ან აუტოიმუნური დაავადება. ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტების ელენთაში CD4+CD39+ უჯრედების სიხშირე მნიშვნელოვნად აღემატება ითპ პაციენტების ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავდროულად, ძლიერი უარყოფითი კორელაცია დასტურდება საკვლევი ჯგუფის პაციენტთა ელენთაში CD4+CD39+ უჯრედების სიხშირესა და სისხლში თრომბოციტების მონოციტებთან ფარდობას შორის.

**საძიებო სიტყვები:** *CD4+CD39+ T ლიმფოციტები, ანთებითი მარკერები, ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნე*

## **შესავალი**

ჯანმრთელ ქსოვილებში უჯრედგარე ატფ-ის კონცენტრაცია უმნიშვნელოა. თუმცა, ანთების პირობებში და ისეთი სტიმულის საპასუხოდ, როგორცაა ჰიპოქსია/ქსოვილის დაზიანება ან სიმსივნე, ატფ-ის რაოდენობა მნიშვნელოვნად იმატებს (Moestra et al., 2020; Mittal et al., 2016; Di Virgilio et al., 2017). ანთებით გამოწვეული ატფ-ის წარმოქმნა ნეიტროფილების გასააქტიურებელ და, საერთოდ, იმუნური თავდაცვის განსახორციელებელ ძირითად მექანიზმს წარმოადგენს (Chen et al., 2010). ექტონუკლეოტიდაზა CD39 (ექტო-ნუკლეოზიდ ტრიფოსფატ დიფოსფოჰიდროლაზა) ატფ-ის ადფ-ად ჰიდროლიზებით იმუნურ პასუხს არეგულირებს. ის სიმსივნის /ანთების საწინააღმდეგო იმუნური პასუხის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშედ გვევლინება და დღეისათვის იმუნომარეგულირებელ მედიატორად არის აღიარებული (Tan et al., 2016; Allard et al., 2017).

ადამიანის სხვადასხვა სახის სიმსივნე CD39-ის მაღიან მაღალი ექსპრესიით ხასიათდება. ეს სიმსივნეებია: თირკმლის უჯრედული კიბო, საკვერცხის კიბო, ძუძუს კიბო, ლიმფომა, შარდის ბუშტის კიბო, მსხვილი ნაწლავის კიბო და მელანომა (Wu et al., 2020; Hayes et al., 2015; Bastid et al., 2015; Hausler et al., 2011). CD39-ის ჭარბი ექსპრესია სიმსივნის მიერ შემუშავებული, სიმსივნის საწინააღმდეგო შეტევისგან თავის დასაღწევი ეფექტური მექანიზმია, რაც კიბოს მიკროგარემოში იმუნური სისტემით სტიმულირებული უჯრედგარეთა ატფ-ის დაშლას გულისხმობს. ამიტომ, ავთვისებიანი პროცესების დროს, CD39-ის მაღალი მაჩვენებელი დაავადების პროგრესირებისა და ცუდი გამოსავლის მარკერად განიხილება (Cai et al., 2016; Munoz-Godinez et al., 2020; Cai et al., 2016).

სიმსივნური უჯრედების გარდა ამ იმუნომარეგულირებელი მოლეკულის მაღალი ექსპრესია გამოვლინდა ენდოთელურ უჯრედებზე, კიბოსთან ასოცირებულ ფიბრობლასტებზე (CAF) და იმუნურ უჯრედებზეც, განსაკუთრებით, ბუნებრივ მკვლელებზე (NK), სიმსივნესთან ასოცირებულ მაკროფაგებზე (TAM) და სიმსივნეში ინფილტრირებულ ლიმფოციტებზე (TILs), მათ შორის Tregs და CD8+ T უჯრედებზე (Simoni et al., 2018; Borsellino et al., 2007; Li et al., 2019; Yan et al., 2020; Zhang et al., 2019; Canale et al., 2018; Nagate et al., 2021; Timperi, Barnaba, 2021).

საგულისხმოა, რომ ჰემატოლოგიურ სიმსივნეებში CD39+ იმუნური უჯრედების სიხშირე და ფუნქცია მწირად არის შესწავლილი. მისი ასოციაცია სხვა ონკოჰემატოლოგიურ მარკერებთან კი სრულიად დაუდგენელია. სისხლის საერთო ანალიზი (CBC) იაფი და ადვილად შესასრულებელი სადიაგნოსტიკო ტესტია, რომელიც ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ კლინიკურ პრაქტიკაში. მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჰემატოლოგიური, არამედ ყველა სხვა სამედიცინო მდგომარეობის დიაგნოსტიკასა და მონიტორინგში.

სამედიცინო პრაქტიკაში წლების განმავლობაში CBC-ის ფართოდ გამოყენების მიუხედავად, მისი ახალი შესაძლებლობები ჯერ კიდევ აღმოჩენის პროცესშია. ბოლო წლებში სულ უფრო მატულობს იმ კვლევების რიცხვი, რომლებიც სისხლის ფორმულის შემადგენელი



კომპონენტების თანაფარდობათა დიაგნოსტიკურ და კლინიკურ ღირებულებაზე მეტყველებს. ესენია: ნეიტროფილების, თრომბოციტების, ლიმფოციტების თანაფარდობები ლიმფოციტებთან, მონოციტებთან (NLR, PLR, PMR, LMR) და ა.შ. ეს თანაფარდობები, ასახავს რა ორგანიზმში მიმდინარე სისტემურ ანთებას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ინფექციური, აუტოიმუნური, სიმსივნური დაავადებების, ასევე გადაუდებელი მდგომარეობების პროგნოზული და სადიაგნოსტიკო მარკერი (Stefaniuk et al., 2020).

ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების დროს სისხლის საერთო ანალიზიდან მიღებული სისტემური ანთებითი მარკერების (NLR, PLR, PMR, HLR-ჰემოგლობინი/ლიმფოციტი, SII-ნეიტროფილი/თრომბოციტი/ლიმფოციტი, dNLR - ნეიტროფილი/(ლეიკოციტი-ნეიტროფილი) პოტენციური დიაგნოსტიკური და პროგნოზული მნიშვნელობა ჩვენს მიერაც იქნა ნანახი (Nanava et al., 2020). სულ ახლახანს, ერთ-ერთმა კვლევამ (Zang et al., 2021) პერიფერიული T უჯრედული ლიმფომით დაავადებულებში დაადგინა, რომ პაციენტებს, რომელთა  $LMR \leq 1.68$  და  $PMR \leq 300$ , მკურნალობაზე სრული კლინიკური პასუხისა და გადარჩენის დაბალი მაჩვენებლები აქვთ.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა CD39+ უჯრედების სიხშირის შესწავლა ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტების სისხლისა და ელენთის CD4+ პოპულაციაში და სისტემური ანთების სისხლის ბიომარკერებთან მისი კორელაციის დადგენა.

#### **მასალა და მეთოდები:**

კვლევა შესრულდა ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაციის მიხედვით. ეთიკურ სტანდარტებთან მისი შესაბამისობა დამტკიცდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკური კომიტეტის მიერ. კვლევაში ჩაერთო ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე 7 პაციენტი, რომელთაც თერაპიული ჩვენებით ჩაუტარდათ სპლენექტომია. ორი საკონტროლო ჯგუფიდან ერთს (კონტროლი 1) წარმოადგენდა 6 პაციენტი, რომელთაც სამედიცინო ჩვენებით ჩაუტარდათ სპლენექტომია, თუმცა არა ავთვისებიანი სიმსივნის ან აუტოიმუნური დაავადების გამო (ელენთის კისტა (არაექინოკოკური), ელენთის ტრავმა). მეორე ჯგუფს კი წარმოადგენდა იმუნური თრომბოციტოპენიური პურპურის (ითპ) დიაგნოზის მქონე 9 პაციენტი, რომელთაც თერაპიული ჩვენებით ჩაუტარდათ სპლენექტომია.

**სისხლის ნიმუში:** პერიფერიული სისხლის ფიკოლის გრადიენტზე დასმით და მისი ცენტრიფუგირებით მიღებული მონონუკლეარული უჯრედები გროვდებოდა, ირეცხებოდა და მზადდებოდა გამდინარე ციტომეტრიული ანალიზისთვის.

**ელენთის ნიმუში:** ქირურგიული ოპერაციის მიმდინარეობისას ელენთის ქსოვილის მცირე ნაჭერი იღებოდა ფიზიოლოგიურ ხსნარში და მასალის დამუშავებამდე 4-5 საათის განმავლობაში ინახებოდა მაცივარში. ელენთის ქსოვილზე შპრიცის დგუმის მექანიკური ზეწოლით და 100 მკმ ზომის ნეილონის საცერის გამოყენებით (BD, Bioscience) ხდებოდა ქსოვილის დისოციაცია. უჯრედები ირეცხებოდა და მზადდებოდა ფენოტიფირებისთვის. ფენოტიპირებისთვის გამოყენებული იქნა CD39 მარკერი, რომელიც გაიზომა CD4 T ლიმფოციტთა პოპულაციაში. უჯრედების შეღებვა განხორციელდა რეაგენტის მწარმოებლის

ინსტრუქციის მიხედვით. მასალა გაანალიზდა FacsCalibur გამდინარე ციტომეტრით და საბოლოო მონაცემთა მისაღებად გამოყენებულ იქნა FlowJo® v10 პროგრამა.

**სისტემური ანთებითი მარკერები:** პაციენტის სისხლის საერთო ანალიზში მოცემული ლეიკოციტების, ნეიტროფილების, ლიმფოციტების, თრომბოციტების, მონოციტების და ჰემოგლობინის რაოდენობიდან ვანგარიშობდით სისტემურ ანთებით მარკერებს: NLR, PLR, PMR, HPR, HLR, LMR, SII და dNLR. ანთებითი მარკერები გამოთვლილია შემდეგნაირად: NLR - ნეიტროფილების აბსოლუტური რაოდენობის ფარდობა ლიმფოციტების აბსოლუტურ რაოდენობასთან, მსგავსად, შესაბამისი უჯრედების შეფარდებით გამოითვლება PLR, PMR, HLR, HPR და LMR. dNLR და SII-ის გამოსათვლელად გამოყენებულია შემდეგი ფორმულები: dNLR=ნეიტროფილი/(ლეიკოციტი-ნეიტროფილი);

SII=ნეიტროფილი x თრომბოციტი/ლიმფოციტი.

**სტატისტიკური ანალიზი**

ორ სატესტო ნიმუშს შორის მნიშვნელოვანი განსხვავების სანახავად გამოყენებული იქნა მან-ვიტნის ტესტი (Mann Whitney test). სხვადასხვა პარამეტრებს შორის კორელაციის სანახავად გამოვიყენეთ სპირმანის ტესტი. მონაცემები დამუშავდა GraphPad და SPSS პროგრამებში.

**მიღებული შედეგები და განხილვა:**

უჯრედშიდა ატფ ენერჯის მნიშვნელოვანი წყაროა, უჯრედგარე ატფ კი "საფრთხის სიგნალად" გვევლინება. ის ფაგოციტებს ანთების ადგილებზე მიიზიდავს, იმუნურ სისტემას ქსოვილთა დაზიანებისა და პათოგენთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ აცნობებს და მის გააქტიურებას იწვევს. ყოველივე ეს ანთებითი პროცესების გააქტიურების, ინტერლეიკინ-1β-ს და ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების წარმოქმნის შედეგია. დადგინდა, რომ CD39, რომელიც ატფ-ს ადფ-ად და ამფ-ად გარდაქმნის, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კიბოს პათოგენეზში (Boisonet al., 2022; Zhulai et al., 2019). სიმსივნურ ქსოვილში მისი ექსპრესიისა და აქტივობის მატება, ზოგიერთი სახის კიბოს დროს, ცუდ პროგნოზთან ასოცირდება (Shevchenko et al., 2020; Zhulai et 2018; Cai et al., 2016; Nagate et al., 2021).

ლეიკემიის, ლიმფომისა და მიელომის უჯრედები, სოლიდური კიბოს მსგავსად, ურთიერთქმედებს გარემოში მდებარე არასიმსივნურ უჯრედებთან. ეს ურთიერთქმედება ხდება როგორც სისხლის მიმოქცევაში, ასევე დაცულ ნიშებში - ლიმფურ ორგანოებში - და უზრუნველყოფს დამატებით სტიმულს, რაც გავლენას ახდენს უჯრედების ქცევაზე. ის, რაც ხდება გარემოს ნიშებში, ძირითადად გადამწყვეტია დაავადების პროგრესირებისა და ქიმიოთერაპიის ტენციის განსახორციელებლად, ხოლო ლეიკემიური უჯრედები, თავის მხრივ, აყალიბებენ გარემოს, რათა შემდგომში ხელი შეუწყონ თავიანთ ზრდას და იმუნური ზედამხედველობიდან თავის დამპყრენას.

CD39-ის რეგულაციის დარღვევა, სოლიდური სიმსივნეების მსგავსად, აღწერილია ლიმფოიდური და მიელოიდური ავთვისებიანი სიმსივნეების დროსაც. CD39-ის ექსპრესია ზოგადად ტოლერანტული გარემოს განვითარებასთან ასოცირდება, რაც დაავადების პროგრესირებას უწყობს ხელს. სხვადასხვა სახის სიმსივნის დროს CD39-ის ექსპრესია პაციენტთა პერიფერიულ სისხლსა და ლიმფურ კვანძებშია ნანახი.

ჩვენ გამოვიკვლიეთ CD4+CD39+ სუბპოპულაციათა სიხშირე ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტების პერიფერიულ სისხლსა და ელენთაში და შევადარეთ საკონტროლო ჯგუფების პაციენტთა მონაცემებს.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, პერიფერიულ სისხლში აღნიშნული მაჩვენებელი ჩვენს მიერ შესწავლილ პაციენტთა სამ ჯგუფში სტატისტიკურად სარწმუნოდ ერთმანეთისგან არ განსხვავდება (ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებში -  $25.59 \pm 16.61$ , კონტროლი 1 -  $20.10 \pm 16.59$ ; ითპ-კონტროლი -  $32.24 \pm 23.35$ ; ჯგუფებს შორის  $p > 0.05$ ).

**ცხრილი 1. CD4+CD39+ უჯრედების პროცენტული შემცველობა ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების მქონე პირებსა და საკონტროლო ჯგუფის პაციენტებში**

ცვლადები	ჰას	კონტროლი1	ითპ-კონტროლი	P value (კონტროლი1/ჰას)	P value (კონტროლი1/ითპ)	P value (ითპ/ჰას)
CD4+CD39+ (%) სისხლში	$25.59 \pm 16.61$	$20.10 \pm 16.59$	$32.24 \pm 23.35$	$>0.05$	$>0.05$	$>0.05$
CD4+CD39+ (%) ელენთაში	$33.36 \pm 19.92$	$33.48 \pm 23.00$	$15.80 \pm 4.41$	$>0.05$	<b>0.0286</b>	<b>0.0190</b>

ჰას - პაციენტები ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზით

ითპ - პაციენტები იმუნური თრომბოციტოპენიის დიაგნოზით


განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა, თუ  $p < 0.05$

განსხვავებული შედეგები მივიღეთ ელენთის უჯრედების გამოკვლევისას. აღმოჩნდა, რომ ჰემატოლოგიური ავთვისებიანი დაავადების დიაგნოზის მქონე პაციენტთა ელენთაში CD4+CD39+ უჯრედების რაოდენობა არ განსხვავდება კონტროლი 1 პაციენტების ანალოგიური მაჩვენებლისგან (შესაბამისად,  $33.36 \pm 19.92$  და  $33.48 \pm 23.00$ ), თუმცა ის სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია ითპ-კონტროლის პაციენტთა მონაცემთან შედარებით ( $33.36 \pm 19.92$  და  $15.80 \pm 4.41$ ;  $p > 0.0190$ ). ითპ-კონტროლის პაციენტთა ჯგუფში CD4+CD39+ უჯრედების რაოდენობა სტატისტიკურად სარწმუნოდ დაბალია კონტროლი 1-ის პაციენტებთან შედარებითაც ( $15.80 \pm 4.41$  vs  $33.48 \pm 23.00$   $P = 0.0286$ ) (იხ. სურათი).

ამდენად, ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჰემატოლოგიური ავთვისებიანი დაავადების მქონე პაციენტთა სისხლსა და ელენთაში CD4+CD39+ უჯრედების რაოდენობა არ განსხვავდება იმ სპლენექტომირებულ პაციენტთა ანალოგიური მაჩვენებლებისგან, ვისაც არ აქვს რაიმე სახის კიბო ან აუტოიმუნური დაავადება. ჰემატოლოგიური ავთვისებიანი დაავადების მქონეთა ელენთის CD4+ უჯრედებში CD39-ის ექსპრესიის სიხშირე

სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალია, ვიდრე ითპ-ით დაავადებულებში. ჰემატოლოგიური ავთვისებიანი დაავადებების მქონეთა სისხლში, ჯანმრთელ დონორებთან შედარებით, სიმსივნურ, CD4(+), CD8(+) და სხვა უჯრედებზე CD39-ის მაღალი ექსპრესიაა ნანახი, რაც სიმსივნის მიერ იმუნური ზედამხედველობის თავიდან არიდების საშუალებად მიიჩნევა (Pulte et al., 2011; Vaisitti et al., 2019; Nagate et al., 2021).

**სურათი. CD4+CD39+ უჯრედების სიხშირე ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის და იმუნური თრომბოციტოპენიის მქონე პაციენტთა ელენთაში**



\* - გამოხატავს სარწმუნო განსხვავებას, როდესაც  $P \leq 0.05$ .

HM - ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნე

ITP - იმუნური თრომბოციტოპენია

მრავალი ჰემატოლოგიური პროგნოზული მახასიათებლის არსებობის მიუხედავად, დაავადების პროგრესი და გადარჩენის მაჩვენებელი ხშირად პაციენტების ერთიდაიგივე ქვეჯგუფშიც კი ძალიან განსხვავებულია. უკანასკნელი კვლევების თანახმად, სისხლის ისეთი მარტივი, ეკონომიური, დაბალი რისკის ტესტები, როგორცაა სისხლის საერთო ანალიზში უჯრედების რაოდენობა ან/და მათი თანაფარდობა შეიძლება გამოყენებულ იქნას დაავადების პროგნოზის შესაფასებლად. NLR, PLR, PMR, LMR და სხვ. - სიმსივნის მიკროგარემოს ბიომარკერებია, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სოლიდური, ასევე ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის პროგნოზულ მარკერებად (Wang et al., 2017; Kumagai et al., 2014; Wilcox et al., 2011; Stefaniuk et al., 2020). ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებში აღნიშნული მარკერები ჩვენს მიერაც იქნა გამოკვლეული (Nanava et al., 2020).

თუმცა, საყურადღებოა, რომ მოცემულ კვლევაში პირველად იქნა შესწავლილი კორელაცია ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტების სისხლსა და ელენთაში CD4+CD39+ უჯრედების სიხშირესა და სისხლის საერთო ანალიზიდან მიღებულ სისტემურ ანთების ბიომარკერებს შორის.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 2-ზე.

**ცხრილი 2. ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტთა სისხლსა და ელენტაში CD4+CD39+ უჯრედების სიხშირის კორელაცია სისტემური ანთების სისხლის ბიომარკერებთან**

ცვლადები		NLR	PLR	PMR	HLR	SII	LMR	HPR	dNLR
<b>CD4+CD39+ სისხლში</b>	კორელაციის კოეფიციენტი	-.179	-.250	-.464	-.214	-.250	-.536	.180	-.179
	სარწმუნოება (2-კუდიანი)	.702	.589	.294	.645	.589	.215	.699	.702
<b>CD4+CD39+ ელენტაში</b>	კორელაციის კოეფიციენტი	-.071	-.536	<b>-.857*</b>	.071	-.679	-.643	.721	-.321
	სარწმუნოება (2-კუდიანი)	.879	.215	<b>.014</b>	.879	.094	.119	.068	.482

\*. კორელაცია მნიშვნელოვანია 0.05 დონეზე (2-კუდიანი)

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, სტატისტიკურად სარწმუნო ძლიერი უარყოფითი კორელაცია დადასტურდა PMR-სა და ელენტაში CD4+CD39+ უჯრედების სიხშირეს შორის (კორელაციის კოეფიციენტი  $\rho = -0.857$ ,  $p = 0.014$ ). სხვა შესწავლილ ცვლადებს შორის კორელაციის არსებობა არ დადგინდა.

ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის დროს სისხლის სისტემურ ბიომარკერსა და სიმსივნის მიკროგარემოს ერთ-ერთ უჯრედულ პოპულაციას შორის კორელაციის არსებობა ვანგისა და თანაავტორთა (Wang et al., 2017) კვლევითაც იქნა გამოვლენილი. მათ დაადგინეს, რომ დიფუზური გიგანტურუჯრედული B ლიმფომის დროს LMR უარყოფითად კოლერილებს სიმსივნურ ქსოვილში CD163+ M2 მაკროფაგების რაოდენობასთან.

უდავოა, რომ უკანასკნელ წლებში ონკოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკის, პროგნოზის განსაზღვრისა და მკურნალობის სტრატეგიებში მზარდი ინტერესი გაჩნდა არა მხოლოდ ახალი ბიომარკერების გამოსავლენად, არამედ უკვე დანერგილ და ხელმისაწვდომ ტესტ-მარკერებთან მათი კორელაციის დადგენის მიმართულებით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Allard B, Longhi MS, Robson SC, Stagg J. The ectonucleotidases CD39 and CD73: novel checkpoint inhibitor targets. *Immunol Rev* (2017) 276:121–44. 10.1111/imr.12528
2. Bastid J., Regairaz A., Bonnefoy N., Déjou C., Giustiniani J., Laheurte C., Cochaud S., Laprevotte E., Funck-Brentano E., Hemon P., et al. Inhibition of CD39 Enzymatic Function at the Surface of Tumor Cells Alleviates Their Immunosuppressive Activity. *Cancer Immunol. Res.* 2015;3:254–265. doi: 10.1158/2326-6066.CIR-14-0018.

3. Boison D., Yegutkin G.G. Adenosine Metabolism: Emerging Concepts for Cancer Therapy. *Cancer Cell*. 2019;36:582–596. doi: 10.1016/j.ccell.2019.10.007.
4. Borsellino G., Kleinewietfeld M., Di Mitri D., Sternjak A., Diamantini A., Giometto R., Höpner S., Centonze D., Bernardi G., Dell’Acqua M.L., et al. Expression of Ectonucleotidase CD39 by Foxp3+ Treg Cells: Hydrolysis of Extracellular ATP and Immune Suppression. *Blood*. 2007;110:1225–1232. doi: 10.1182/blood-2006-12-064527.
5. Cai X.-Y., Ni X.-C., Yi Y., He H.-W., Wang J.-X., Fu Y.-P., Sun J., Zhou J., Cheng Y.-F., Jin J.-J., et al. Overexpression of CD39 in Hepatocellular Carcinoma Is an Independent Indicator of Poor Outcome after Radical Resection. *Medicine*. 2016;95:e4989. doi: 10.1097/MD.0000000000004989
6. Cai X.-Y., Wang X.-F., Li J., Dong J.-N., Liu J.-Q., Li N.-P., Yun B., Xia R.-L., Qin J., Sun Y.-H. High Expression of CD39 in Gastric Cancer Reduces Patient Outcome Following Radical Resection. *Oncol. Lett.* 2016;12:4080–4086. doi: 10.3892/ol.2016.5189.
7. Canale F.P., Ramello M.C., Núñez N., Araujo Furlan C.L., Bossio S.N., Gorosito Serrán M., Tosello Boari J., Del Castillo A., Ledesma M., Sedlik C., et al. CD39 Expression Defines Cell Exhaustion in Tumor-Infiltrating CD8+ T Cells. *Cancer Res.* 2018;78:115–128. doi: 10.1158/0008-5472.CAN-16-2684.
8. Chen Y, Yao Y, Sumi Y, Li A, To UK, Elkhail A, et al. Purinergic signaling: a fundamental mechanism in neutrophil activation. *Sci Signal* (2010) 3:ra45. 10.1126/scisignal.2000549
9. Di Virgilio F., Adinolfi E. Extracellular Purines, Purinergic Receptors and Tumor Growth. *Oncogene*. 2017;36:293–303. doi: 10.1038/onc.2016.206
10. Häusler S.F.M., Montalbán del Barrio I., Strohschein J., Chandran P.A., Engel J.B., Höning A., Ossadnik M., Horn E., Fischer B., Krockenberger M., et al. Ectonucleotidases CD39 and CD73 on OvCA Cells Are Potent Adenosine-Generating Enzymes Responsible for Adenosine Receptor 2A-Dependent Suppression of T Cell Function and NK Cell Cytotoxicity. *Cancer Immunol. Immunother.* 2011;60:1405–1418. doi: 10.1007/s00262-011-1040-4.
11. Hayes G.M., Cairns B., Levashova Z., Chinn L., Perez M., Theunissen J.-W., Liao-Chan S., Bermudez A., Flory M.R., Schweighofer K.J., et al. CD39 Is a Promising Therapeutic Antibody Target for the Treatment of Soft Tissue Sarcoma. *Am. J. Transl. Res.* 2015;7:1181–1188.
12. Kumagai S, Tashima M, Fujikawa J, Iwasaki M, Iwamoto Y, Sueki Y, et al. Ratio of peripheral blood absolute lymphocyte count to absolute monocyte count at diagnosis is associated with progression-free survival in follicular lymphoma. *Int J Hematol.* 2014;99:737–742. doi: 10.1007/s12185-014-1576-0.
13. Li X.-Y., Moesta A.K., Xiao C., Nakamura K., Casey M., Zhang H., Madore J., Lepletier A., Aguilera A.R., Sundarajan A., et al. Targeting CD39 in Cancer Reveals an Extracellular ATP- and Inflammasome-Driven Tumor Immunity. *Cancer Discov.* 2019;9:1754–1773. doi: 10.1158/2159-8290.CD-19-0541.

14. Mittal D., Sinha D., Barkauskas D., Young A., Kalimutho M., Stannard K., Caramia F., Haibe-Kains B., Stagg J., Khanna K.K., et al. Adenosine 2B Receptor Expression on Cancer Cells Promotes Metastasis. *Cancer Res.* 2016;76:4372–4382. doi: 10.1158/0008-5472.CAN-16-0544.
15. Moesta A.K., Li X.-Y., Smyth M.J. Targeting CD39 in Cancer. *Nat. Rev. Immunol.* 2020;20:739–755. doi: 10.1038/s41577-020-0376-4.
16. Muñoz-Godínez R., de Lourdes Mora-García M., Weiss-Steider B., Montesinos-Montesinos J.J., Del Carmen Aguilar-Lemarroy A., García-Rocha R., Hernández-Montes J., Azucena Don-López C., Ávila-Ibarra L.R., Torres-Pineda D.B., et al. Detection of CD39 and a Highly Glycosylated Isoform of Soluble CD73 in the Plasma of Patients with Cervical Cancer: Correlation with Disease Progression. *Mediat. Inflamm.* 2020;2020:1678780. doi: 10.1155/2020/1678780.
17. Nanava N., Betaneli M., Giorgobiani G., Chikovani T., and Janikashvili N., “COMPLETE BLOOD COUNT DERIVED INFLAMMATORY BIOMARKERS IN PATIENTS WITH HEMATOLOGIC MALIGNANCIES,” *Georgian Med. News*, no. 302, pp. 39–44, May 2020.
18. Nagate Y, Ezoe S, Fujita J, Okuzaki D, Motooka D, Ishibashi T, Ichii M, Tanimura A, Kurashige M, Morii E, Fukushima T, Suehiro Y, Yokota T, Shibayama H, Oritani K, Kanakura Y. Ectonucleotidase CD39 is highly expressed on ATLL cells and is responsible for their immunosuppressive function. *Leukemia.* 2021 Jan;35(1):107-118. doi: 10.1038/s41375-020-0788-y.
19. Nagate Y, Ezoe S, Fujita J, Okuzaki D, Motooka D, Ishibashi T, Ichii M, Tanimura A, Kurashige M, Morii E, Fukushima T, Suehiro Y, Yokota T, Shibayama H, Oritani K, Kanakura Y. Ectonucleotidase CD39 is highly expressed on ATLL cells and is responsible for their immunosuppressive function. *Leukemia.* 2021 Jan;35(1):107-118. doi: 10.1038/s41375-020-0788-y. Epub 2020 Mar 20. PMID: 32203145; PMCID: PMC7787980
20. Pulte D, Furman RR, Broekman MJ, Drosopoulos JH, Ballard HS, Olson KE, Kizer JR, Marcus AJ. CD39 expression on T lymphocytes correlates with severity of disease in patients with chronic lymphocytic leukemia. *Clin Lymphoma Myeloma Leuk.* 2011 Aug;11(4):367-72. doi: 10.1016/j.clml.2011.06.005. PMID: 21816376; PMCID: PMC3590911.
21. Shevchenko I., Mathes A., Groth C., Karakhanova S., Müller V., Utikal J., Werner J., Bazhin A.V., Umansky V. Enhanced Expression of CD39 and CD73 on T Cells in the Regulation of Anti-Tumor Immune Responses. *OncoImmunology.* 2020;9:1744946. doi: 10.1080/2162402X.2020.1744946.
22. Simoni Y., Becht E., Fehlings M., Loh C.Y., Koo S.-L., Teng K.W.W., Yeong J.P.S., Nahar R., Zhang T., Kared H., et al. Bystander CD8+ T Cells Are Abundant and Phenotypically Distinct in Human Tumour Infiltrates. *Nature.* 2018;557:575–579. doi: 10.1038/s41586-018-0130-2.
23. Stefaniuk P, Szymczyk A, Podhorecka M. The Neutrophil to Lymphocyte and Lymphocyte to Monocyte Ratios as New Prognostic Factors in Hematological Malignancies - A Narrative Review. *Cancer Manag Res.* 2020 Apr 29;12:2961-2977. doi: 10.2147/CMAR.S245928. PMID: 32425606; PMCID: PMC7196794.

24. Tan DBA, Ong NE, Zimmermann M, Price P, Moodley YP. An evaluation of CD39 as a novel immunoregulatory mechanism invoked by COPD. *Hum Immunol* (2016) 77:916–20. doi: 10.1016/j.humimm.2016.07.007
25. Timperi E, Barnaba V. CD39 Regulation and Functions in T Cells. *Int J Mol Sci.* 2021 Jul 28;22(15):8068. doi: 10.3390/ijms22158068. PMID: 34360833; PMCID: PMC8348030.
26. Wang J, Gao K, Lei W, Dong L, Xuan Q, Feng M, Wang J, Ye X, Jin T, Zhang Z, Zhang Q. Lymphocyte-to-monocyte ratio is associated with prognosis of diffuse large B-cell lymphoma: correlation with CD163 positive M2 type tumor-associated macrophages, not PD-1 positive tumor-infiltrating lymphocytes. *Oncotarget.* 2017; 8:5414–5425. doi: 10.18632/oncotarget.14289
27. Wilcox RA, Ristow K, Habermann TM, Inwards DJ, Micallef IN, Johnston PB. The absolute monocyte and lymphocyte prognostic score predicts survival and identifies high risk patients in diffuse large B-cell lymphoma. *Leukemia.* 2011;25(9):1502–1509. doi: 10.1038/leu.2011.112.
28. Wu J., Wang Y.-C., Xu W.-H., Luo W.-J., Wan F.-N., Zhang H.-L., Ye D.-W., Qu Y.-Y., Zhu Y.-P. High Expression of CD39 Is Associated with Poor Prognosis and Immune Infiltrates in Clear Cell Renal Cell Carcinoma. *Onco Targets Ther.* 2020;13:10453–10464. doi: 10.2147/OTT.S272553.
29. Yan J., Li X.-Y., Roman Aguilera A., Xiao C., Jacobberger-Foissac C., Nowlan B., Robson S.C., Beers C., Moesta A.K., Geetha N., et al. Control of Metastases via Myeloid CD39 and NK Cell Effector Function. *Cancer Immunol. Res.* 2020;8:356–367. doi: 10.1158/2326-6066.CIR-19-0749.
30. Zhang H., Vijayan D., Li X.-Y., Robson S.C., Geetha N., Teng M.W.L., Smyth M.J. The Role of NK Cells and CD39 in the Immunological Control of Tumor Metastases. *OncoImmunology.* 2019;8:e1593809. doi: 10.1080/2162402X.2019.1593809.
31. Zhang Y, Shi Y, Shen H, Shou L, Fang Q, Zheng X, Zhu M, Huang X, Huang J, Li L, Zhou D, Zhu L, Zhu J, Ye X, Jin J, Xie W. The value of a new prognostic model developed by lymphocyte-monocyte ratio and platelet-monocyte ratio in peripheral T-cell lymphoma. *Cancer Cell Int.* 2021 Oct 29;21(1):573. doi: 10.1186/s12935-021-02275-2. PMID: 34715862; PMCID: PMC8555175.
32. Zhulai G, Oleinik E, Shibaev M, Ignatev K. Adenosine-Metabolizing Enzymes, Adenosine Kinase and Adenosine Deaminase, in Cancer. *Biomolecules.* 2022 Mar 8;12(3):418. doi: 10.3390/biom12030418. PMID: 35327609; PMCID: PMC8946555.
33. Zhulai G.A., Churov A.V., Oleinik E.K., Romanov A.A., Semakova V.M., Oleinik V.M. Activation of CD4+CD39+ T Cells in Colorectal Cancer. *Bull. Russ. State Med. Univ.* 2018;3:47–53. doi: 10.24075/brsmu.2018.027.
34. Vaisitti T, Arruga F, Guerra G, Deaglio S. Ectonucleotidases in Blood Malignancies: A Tale of Surface Markers and Therapeutic Targets. *Front Immunol.* 2019 Oct 4;10:2301. doi: 10.3389/fimmu.2019.02301. PMID: 31636635; PMCID: PMC6788384.



## CD4+CD39+ cells in patients with hematologic malignancies

Nino Nanava,<sup>1</sup> Sophio Metreveli,<sup>1</sup> Giorgi Giorgobiani,<sup>2</sup> Tinatin Chikovani<sup>1</sup> and Nona Janikashvili<sup>1</sup>

<sup>1</sup>Tbilisi State Medical University, Department of Immunology, <sup>2</sup>Department of surgery

### Abstract

Altered expression of the ectonucleotidase CD39 in T lymphocytes has been described in various immunopathologies including solid tumors. However, the information on the cells expressing this immune checkpoint molecule in patients with hematological malignancies is limited. The aim of the present study was to see the frequency of CD39+ cells in circulating and splenic CD4+ T lymphocyte populations of patients with hematological malignancies and to determine their correlation with blood biomarkers of systemic inflammation.

The study was conducted on seven patients diagnosed with hematologic malignancies, who underwent splenectomy for therapeutic reasons. Two groups of splenectomized patients were used as controls. The first control group consisted of six patients without a diagnosis of cancer or autoimmune diseases, and the second control group consisted of nine patients diagnosed with immune thrombocytopenia (ITP).

Our results revealed that the frequencies of CD4+CD39+ cells in the blood and spleen of patients with hematologic malignancies do not differ from similar values in splenectomized patients having no history of cancer or autoimmune disease. The frequency of CD4+CD39+ cells in the spleen of patients with hematologic malignancies is significantly higher than the similar rate of ITP patients. In addition, a strong negative correlation is confirmed between the frequency of CD4+CD39+ cells in the spleen of the patients of the study group and the platelets to monocytes ratio in the blood.

**Keywords:** *CD4+CD39+ T lymphocytes, Inflammatory markers, Hematologic malignancies*

## TGF- $\beta$ ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებში

ნინო ნანავა<sup>1</sup>, სოფიო მეტრეველი<sup>1</sup>, გიორგი გიორგობიანი<sup>2</sup>, თინათინ ჩიქოვანი<sup>1</sup>, ნონა ჯანიკაშვილი<sup>1</sup>  
<sup>1</sup>იმუნოლოგიის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო <sup>2</sup>ქირურგიის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

### აბსტრაქტი:

**შესავალი:** TGF- $\beta$ -ს ექსპრესია ხშირად იმატებს ისეთი დაავადებების დროს, როგორც არის ავთვისებიანი პროცესი, ანთეზა და ფიბროზული პათოლოგია. TGF- $\beta$ -ს ლიგანდი ლიმფოციტური უჯრედების განვითარების მრავალ პროცესში მონაწილეობს. TGF- $\beta$  მაინჰიბირებელ სტიმულს ავლენს ღეროვანი უჯრედების წინამორბედთა დიფერენციაციასა და პროლიფერაციაში. ღეროვანი უჯრედების წინამორბედებზე TGF- $\beta$ -ს რაოდენობა შეიძლება სხვადასხვა ბიოლოგიურ ეფექტს განსაზღვრავდეს. ასე მაგალითად, თუ TGF- $\beta$ -ს მაღალ კონცენტრაციას ღეროვანი უჯრედების წინამორბედებზე მაინჰიბირებელი მოქმედება აქვს, დაბალ დოზებში ის შეიძლება მასტიმულირებელი გახდეს, განსაკუთრებით ღეროვანი უჯრედების წინამორბედთა იმ ჯგუფში, რომელსაც მიელოიდური უჯრედებისკენ განვითარების მაღალი ალბათობა აქვს.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტების პერიფერიულ სისხლში TGF- $\beta$ -ს შემცველობის განსაზღვრა და მისი კორელაციის დადგენა სისტემური ანთეზის სისხლის ბიომარკერებთან.

**მასალა და მეთოდები:** კვლევაში ჩაერთო ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე 7 პაციენტი, რომელთაც თერაპიული ჩვენებით ჩატარდათ სპლენექტომია. ერთ საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენდა შესაბამისი ასაკის 22 ჯანმრთელი პაციენტი, მეორე საკონტროლო ჯგუფს კი 9 სპლენექტომირებული პაციენტი, სადაც სპლენექტომიის თერაპიული ჩვენების მიზეზი არ ყოფილა ავთვისებიანი სიმსივნე ან აუტოიმუნური დაავადება.

TGF- $\beta$ -ს კონცენტრაცია პერიფერიულ სისხლში განისაზღვრა იმუნოფერმენტული ანალიზის საშუალებით (eBioscience, USA) მომწოდებლის ინსტრუქციის თანახმად.

პაციენტების სისხლის საერთო ანალიზიდან ვანგარიშობდით სისტემურ ანთებით მარკერებს, უჯრედების: ლეიკოციტების, ნეიტროფილების (N), ლიმფოციტების (L), თრომბოციტების (P), მონოციტების (M) და ჰემოგლობინის (H) თანაფარდობებს (R): NLR, PLR, PMR, HPR, HLR, LMR, ასევე სისტემური ანთების ინდექსს - SII და ნეიტროფილ-ლიმფოციტის ფარდობის წარმომბუღს - dNLR.

**კვლევის შედეგები:** TGF- $\beta$ -ს დონე ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის (ჰას) მქონე პაციენტებში სარწმუნოდ განსხვავდება შესაბამისი ასაკობრივი ჯანმრთელი კონტროლის მონაცემებისგან, მაგრამ არ განსხვავდება სპლენექტომირებული პაციენტების საკონტროლო ჯგუფის ანალოგიური მონაცემებისგან. TGF- $\beta$  არ კორელირებს ჩვენს მიერ შესწავლილ სისტემური ანთების სისხლის ბიომარკერებთან.

**სამიზნო სიტყვები:** TGF- $\beta$ , ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნე

### შესავალი:

მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი ბეტა (TGF- $\beta$ ) ნორმალური ჰემოპოეზის მნიშვნელოვანი რეგულატორია. TGF- $\beta$ -ს რეგულაციის დარღვევა სხვადასხვა ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებასთან ასოცირდება. ბოლო წლებში მკურნალობის ახალი საშუალებების დანერგვის მიუხედავად, პაციენტთა დიდ ნაწილს მაინც დაავადების რეციდივი უვითარდება. ავთვისებიანი უჯრედებისთვის სიმსივნის მიკროგარემო ქმნის დამცავ ნიშას, რომელიც იცავს მათ იმუნური მოშორებისგან და სხვადასხვა თერაპიისგან. [1] სიმსივნის მიკროგარემოს შესწავლა მნიშვნელოვანია ლიმფომაგენეზის და წამლის მიმართ რეზისტენტობის განვითარების მიზეზებში გარკვევისთვის. ახალი კვლევები მოწმობს მატრანსფორმირებელ ზრდის ფაქტორ ბეტას (TGF- $\beta$ ) მნიშვნელოვან როლზე სოლიდური ავთვისებიანი სიმსივნეების მიკროგარემოს რემოდილირებაში. თუმცა, ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების დროს მისი როლი ნაკლებადაა ცნობილი. [2] TGF- $\beta$ -ს სასიგნალო გზა მრავალ უჯრედულ პროცესშია ჩართული, ეს პროცესებია: ზრდა, მიგრაცია, ექსტრაუჯრედული მატრიქსის რემოდილირება, ინვაზია და იმუნური სუპრესია. TGF- $\beta$ -ს ექსპრესია ხშირად იმატებს ისეთი დაავადებების დროს, როგორც არის ავთვისებიანი პროცესი, ანთება და ფიბროზული პათოლოგია. [3] TGF- $\beta$ -ს ლიგანდი ლიმფოიდური უჯრედების განვითარების მრავალ პროცესში მონაწილეობს, მაგალითად უჯრედული ხაზის განსაზღვრაში და იმუნურ რეგულაციაში. TGF- $\beta$  მაინჰიბირებელ სტიმულს ავლენს ღეროვანი უჯრედების წინამორბედთა დიფერენციაციასა და პროლიფერაციაში [4], [5]. TGF- $\beta$ -ს რაოდენობა შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ბიოლოგიურ ეფექტს ღეროვანი უჯრედების წინამორბედებზე. ასე მაგალითად, თუ TGF- $\beta$ -ს მაღალ კონცენტრაციას ღეროვანი უჯრედების წინამორბედებზე მაინჰიბირებელი მოქმედება აქვს, დაბალ დოზებში ის შეიძლება მასტიმულირებელი გახდეს, განსაკუთრებით ღეროვანი უჯრედების წინამორბედთა იმ ჯგუფში, რომელსაც მიელოიდური უჯრედებისკენ განვითარების მაღალი ალბათობა აქვს [6].

მწვავე ლეიკემია ჰემოპოეზური ღეროვანი უჯრედების წინამორბედიდან წარმოქმნილი ნეოპლაზიების ყველაზე აგრესიული ფორმაა. ის მოიცავს მიელოიდურ (AML) და ლიმფოიდურ (ALL) ფორმას. TGF-β-ს სასიგნალო გზის ცვლილებას, სოლიდური სიმსივნისგან განსხვავებით, არ გააჩნია ცენტრალური როლი ლეიკემიაგენეზში, თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარკვეულ სიტუაციებში. [7] მწვავე მიელოიდური ლეიკემიის დროს TGF-β-ს მაინჰიბირებელი ეფექტი დაკარგულია TGF-β-ს სასიგნალო გზის სუპრესიის გამო. მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიის დროს ასევე დაკარგულია მგრძნობელობა TGF-β-ს სიგნალზე[8]. TGF-β-ს რეგულაციის დარღვევა ნაჩიხია B უჯრედული ავთვისებიანი სიმსივნეების დროსაც, ასე მაგალითად, TGF-β-ს ექსპრესია მომატებულია ქრონიკული ლიმფოიდური ლეიკემიის (CLL), ფოლიკულური ლიმფომის (FL), ბუსუსოვანუჯრედული ლეიკემიის (HCL), მანტიის ზონის ლიმფომის (MCL) და მრავლობითი მიელომის (MM) დროს.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტების პერიფერიულ სისხლში TGF-β-ს შემცველობის განსაზღვრა და მისი კორელაციის დადგენა სისტემური ანთების სისხლის ბიომარკერებთან.

### **მასალა და მეთოდები:**

კვლევა შესრულდა ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაციის მიხედვით. ეთიკურ სტანდარტებთან მისი შესაბამისობა დამტკიცდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკური კომიტეტის მიერ. კვლევაში ჩაერთო ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზის მქონე 7 პაციენტი, რომელთაც თერაპიული ჩვენებით ჩაუტარდათ სპლენექტომია. ორი საკონტროლო ჯგუფიდან ერთს (ჯგუფი 1) წარმოადგენდა ასაკით შესაბამისი ჯანმრთელი 22 ინდივიდი, რომელთაც ჩაიტარეს რუტინული ლაბორატორიული შემოწმება; მეორე ჯგუფს (ჯგუფი 2) წარმოადგენდა 9 სპლენექტომირებული პაციენტი, სადაც სპლენექტომიის თერაპიული ჩვენების მიზეზი არ ყოფილა ავთვისებიანი სიმსივნე ან აუტოიმუნური დაავადება.

### **TGF-β-ს განსაზღვრა პერიფერიულ სისხლში:**

TGF-β-ს კონცენტრაცია განისაზღვრა EDTA სინჯარებში შეგროვებულ პერიფერიულ სისხლში იმუნოფერმენტული ანალიზით. ანალიზი ჩატარდა ELISA (eBioscience, USA) ნაკრების საშუალებით, მომწოდებლის ინსტრუქციის თანახმად.

### **სისტემური ანთებითი მარკერების განსაზღვრა:**

პაციენტების სისხლის საერთო ანალიზიდან ვანგარიშობდით სისტემურ ანთებით მარკერებს, უჯრედების: ლეიკოციტების, ნეიტროფილების (N), ლიმფოციტების (L), თრომბოციტების (P), მონოციტების (M) და ჰემოგლობინის (H) თანაფარდობებს (R): NLR, PLR, PMR, HPR, HLR, LMR, ასევე სისტემური ანთების ინდექსს - SII და ნეიტროფილ-ლიმფოციტის ფარდობის წარმოებულს - dNLR.

ანთებითი მარკერების - NLR, PLR, PMR, HPR, HLR, LMR - გამოსათვლელად ვაფარდებით შესაბამისი უჯრედების აბსოლუტურ რაოდენობას. მაგ NLR - ნეიტროფილების აბსოლუტური რაოდენობის ფარდობა ლიმფოციტების აბსოლუტურ რაოდენობასთან.

dNLR-ს ვითვლიდით ფორმულით:

$$dNLR = \text{ნეიტროფილი} / (\text{ლეიკოციტი} - \text{ნეიტროფილი});$$

SII-ის გამოსათვლელად გამოვიყენეთ ფორმულა:

$$SII = \text{ნეიტროფილი} \times \text{თრომბოციტი} / \text{ლიმფოციტი}.$$

### მასალის სტატისტიკური დამუშავება

მონაცემები მოცემულია საშუალო მაჩვენებლებისა და სტანდარტული გადახრის სახით. მონაცემთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავების სანახავად გამოყენებული იყო არაპარამეტრული მან-ვიტნის U ტესტი (Mann Whitney test). სხვადასხვა პარამეტრებს შორის კორელაციის სანახავად გამოვიყენეთ სპირმანის ტესტი. მონაცემები დამუშავდა GraphPad და SPSS პროგრამებში.

### მიღებული შედეგები და განხილვა:

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, TGF-β-ს დონე ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის (ჰას) მქონე პაციენტებში სარწმუნოდ განსხვავდება შესაბამისი ასაკობრივი ჯანმრთელი კონტროლის (ჯგუფი 1) მონაცემებისგან (ჰას - 20.8±26.8, ჯგუფი 1 – 82.0±32.0; P=0.005), მაგრამ არ განსხვავდება სპლენექტომირებული (ჯგუფი 2) კონტროლისგან (ჯგუფი 2 - 26.5±19.8).


**ცხრილი 1. TGF-β-ს დონე ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებში და საკონტროლო ჯგუფის პაციენტებში**

	ჰას	ჯანმრთელი კონტროლი (ჯგუფი 1)	სპლენექტომირებული კონტროლი (ჯგუფი 2)	P ჯგუფი 1/ჰას	P ჯგუფი 1/ჯგუფი 2
<b>TGF-β</b>	20.8±26.8	82.0±32.0	26.5±19.8	0.0050	0.0007

ჰას = ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტები  
 განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა, თუ p<0.05

ასევე, ერთმანეთისგან სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავებულია საკონტროლო ჯგუფების მონაცემები (ჯგუფი 1 – 82.0±32.0, ჯგუფი 2 - 26.5±19.8; P=0.0007), იხ. სურათი.

სურათი. TGF-β-ს დონე საკონტროლო ჯგუფებსა და ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებში



\*\* - გამოხატავს სარწმუნო განსხვავებას, როდესაც  $P \leq 0.01$ .

\*\*\* - გამოხატავს სარწმუნო განსხვავებას, როდესაც  $P \leq 0.001$ .

**Control 1** - ასაკით შესაბამისი ჯანმრთელი კონტროლი

**Control 2** - სპლენექტომირებული კონტროლი

**HM** - ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტები

ცხრილი 2-ში მოცემულია TGF-β-ს კორელაცია სისხლის ანთებად ბიომარკერებთან (NLR, PLR, PMR, HLR, SII, LMR, HPR, dNLR). როგორც ცხრილიდან ჩანს, TGF-β არც ერთ მარკერთან არ კორელირებს ( $P > 0.05$ ).

**ცხრილი 2. ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტებში TGF-β დონის კორელაცია სისტემური ანთების სისხლის ბიომარკერებთან**

ცვლადები		NLR	PLR	PMR	HLR	SII	LMR	HPR	dNLR
TGF-β	კორელაციის კოეფიციენტი	.800	.400	.400	0.000	.400	0.000	0.000	.400
	სარწმუნოება (2-კუდიანი)	.200	.600	.600	1.000	.600	1.000	1.000	.600

კორელაცია მნიშვნელოვანია 0.05 დონეზე (2-კუდიანი)

TGF- $\beta$ -ს სასიგნალო გზა კომპლექსური ქსელია. ის აერთიანებს ლიგანდს, რეცეპტორს და უჯრედშიდა სიგნალებს. ამ სასიგნალო გზას საბოლოოდ განსხვავებული ეფექტი შეიძლება ჰქონდეს იმის მიხედვით, თუ რა უჯრედზე მოქმედებს და დიფერენციაციის რა სტატუსი აქვს უჯრედს. მასზე გავლენა შეიძლება ჰქონდეს ასევე სხვა სასიგნალო გზებსაც. TGF- $\beta$  მნიშვნელოვან მარეგულირებელ როლს ასრულებს ჰემატოლოგიურ ჰომეოსტაზში. ეს როლი უმეტესად მაინჰიბირებელია და მნიშვნელოვანია ძვლის ტვინის თვითგანახლებადი უნარის შესანარჩუნებლად. TGF- $\beta$  პათოლოგიურ პროცესებშიც არის ჩართული, მაგალითად, მიელოიდური ნეოპლაზიების დროს TGF- $\beta$  შესაძლოა ინაქტივირდეს, რითიც ხელს უწყობს სიმსივნური უჯრედების რეპლიკაციას, ან გაძლიერდეს მისი ფუნქცია, რითაც ხელს შეუწყობს არალეიკემიურ უჯრედებში მაინჰიბირებელი მიკროგარემოს შენარჩუნებას. TGF- $\beta$ -ს კომპლექსური სასიგნალო გზა, სხვა სასიგნალო გზებისგან განსხვავებით, ჰემატოლოგიური ავთვისებიანი სიმსივნეების დროს ჯერ კიდევ არ არის კარგად აღწერილი. თუმცა, მზარდია მის მიმართ ინტერესი, რადგან ის პოტენციურ თერაპიულ სამიზნედ მიიჩნევა.[8]

იმუნური სისტემის გამართული მუშაობა მუდმივ რეგულაციას მოითხოვს, რაც უზრუნველყოფს უცხო აგენტებისგან დაცვას და, ამავდროულად, საკუთარის მიმართ ტოლერანტობას. ამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ბალანსის შენარჩუნებაში სხვადასხვა მარეგულირებელი კომპონენტი მონაწილეობს, მაგალითად მარეგულირებელი T (Treg) უჯრედი, რომელიც იმუნური ეფექტორული უჯრედების ექსპანსიას ზღუდავს; მარეგულირებელი მოლეკულები (CTLA-4 და PD-1), რომელიც ანტიგენ-რეცეპტორის სიგნალს აბალანსებს და იმუნუმასუპრესირებელი ციტოკინები [9] რომელთაგან ყველაზე გამოხატული მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი ბეტაა.

TGF- $\beta$  ბევრი იმუნური უჯრედის წარმოქმნას და მის ეფექტორულ ფუნქციას არეგულირებს.[10], [11] ის ადაპტაციური იმუნური სისტემის კონტროლს Treg უჯრედების ექსპანსიის გაზრდით, ხოლო ეფექტორული T-უჯრედების და ანტიგენწარმდგენი დენდრიტული უჯრედების წარმოქმნისა და ფუნქციის ინჰიბიციით უზრუნველყოფს. TGF- $\beta$  ანალოგიურად აკონტროლებს თანდაყოლილ იმუნურ სისტემასაც, ის აინჰიბირებს ბუნებრივ მკვლელ უჯრედებს (NK) და არეგულირებს მაკროფაგებისა და ნეიტროფილების კომპლექსურ ქცევას.[12] აღსანიშნავია, რომ TGF- $\beta$ -ს სიმსივნის მასუპრესირებელი ძლერი ეფექტი აქვს, სიმსივნის წინამორბედი უჯრედების აპოპტოზის გზით, ასევე კარცინომული უჯრედების პროლიფერაციის ინჰიბიციით, თუმცა სიმსივნურ უჯრედულ კლონებს, შეუძლიათ TGF- $\beta$ -ს სასიგნალო გზის ინაქტივაცია და სიმსივნის მასუპრესირებელი ეფექტის ცვლილება, რის შედეგადაც სიმსივნური უჯრედები TGF- $\beta$ -ს სიმსივნის პროგრესირებისთვის იყენებენ. ასეთ შეცვლილ კონტექსტში სიმსივნე წარმოებულ TGF- $\beta$ -ს შეუძლია წარმოქმნას სიმსივნოგენური და პრომეტასტაზური პასუხი როგორც სიმსივნურ უჯრედებში, ასევე სტრომაში. ეს უზრუნველყოფს იმუნომასუპრესირებელი გარემოს ჩამოყალიბებას.[13], [14]

## გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] M. B. Meads, R. A. Gatenby, and W. S. Dalton, “Environment-mediated drug resistance: a major contributor to minimal residual disease,” *Nat. Rev. Cancer*, vol. 9, no. 9, pp. 665–674, Sep. 2009, doi: 10.1038/NRC2714.
- [2] A. L. Grauel *et al.*, “TGF $\beta$ -blockade uncovers stromal plasticity in tumors by revealing the existence of a subset of interferon-licensed fibroblasts,” *Nat. Commun.*, vol. 11, no. 1, Dec. 2020, doi: 10.1038/S41467-020-19920-5.
- [3] M. A. Timmins and I. Ringshausen, “Transforming Growth Factor-Beta Orchestrates Tumour and Bystander Cells in B-Cell Non-Hodgkin Lymphoma,” *Cancers (Basel)*, vol. 14, no. 7, Apr. 2022, doi: 10.3390/CANCERS14071772.
- [4] S. S. Söderberg, G. Karlsson, and S. Karlsson, “Complex and Context Dependent Regulation of Hematopoiesis by TGF- $\beta$  Superfamily Signaling,” *Ann. N. Y. Acad. Sci.*, vol. 1176, no. 1, pp. 55–69, Sep. 2009, doi: 10.1111/J.1749-6632.2009.04569.X.
- [5] A. Hinge and M. D. Filippi, “Deconstructing the Complexity of TGF $\beta$  Signaling in Hematopoietic Stem Cells: Quiescence and Beyond,” *Curr. Stem Cell Reports*, vol. 2, no. 4, pp. 388–397, Dec. 2016, doi: 10.1007/S40778-016-0069-X/FIGURES/3.
- [6] G. A. Challen, N. C. Boles, S. M. Chambers, and M. A. Goodell, “Distinct Hematopoietic Stem Cell Subtypes Are Differentially Regulated by TGF- $\beta$ 1,” *Cell Stem Cell*, vol. 6, no. 3, pp. 265–278, Mar. 2010, doi: 10.1016/j.stem.2010.02.002.
- [7] S. J. Kim and J. Lettirio, “Transforming growth factor- $\beta$  signaling in normal and malignant hematopoiesis,” *Leuk. 2003 179*, vol. 17, no. 9, pp. 1731–1737, Sep. 2003, doi: 10.1038/sj.leu.2403069.
- [8] A. Bataller, G. Montalban-Bravo, K. A. Soltysiak, and G. Garcia-Manero, “The role of TGF $\beta$  in hematopoiesis and myeloid disorders,” *Leuk. 2019 335*, vol. 33, no. 5, pp. 1076–1089, Feb. 2019, doi: 10.1038/s41375-019-0420-1.
- [9] M. O. Li and R. A. Flavell, “Contextual Regulation of Inflammation: A Duet by Transforming Growth Factor- $\beta$  and Interleukin-10,” *Immunity*, vol. 28, no. 4, pp. 468–476, Apr. 2008, doi: 10.1016/j.immuni.2008.03.003.
- [10] S. Sanjabi, S. A. Oh, and M. O. Li, “Regulation of the Immune Response by TGF- $\beta$ : From Conception to Autoimmunity and Infection,” *Cold Spring Harb. Perspect. Biol.*, vol. 9, no. 6, p. a022236, Jun. 2017, doi: 10.1101/CSHPERSPECT.A022236.
- [11] R. A. Flavell, S. Sanjabi, S. H. Wrzesinski, and P. Licona-Limón, “The polarization of immune cells in the tumour environment by TGF $\beta$ ,” *Nat. Rev. Immunol. 2010 108*, vol. 10, no. 8, pp. 554–567, Jul. 2010, doi: 10.1038/nri2808.
- [12] E. Batlle and J. Massagué, “Transforming Growth Factor- $\beta$  Signaling in Immunity and Cancer,” *Immunity*, vol. 50, no. 4, pp. 924–940, Apr. 2019, doi: 10.1016/J.IMMUNI.2019.03.024.
- [13] C. J. David and J. Massagué, “Contextual determinants of TGF $\beta$  action in development, immunity and cancer,” *Nat. Rev. Mol. Cell Biol.*, vol. 19, no. 7, pp. 419–435, Jul. 2018, doi:



- [14] M. W. Pickup, P. Owens, and H. L. Moses, "TGF- $\beta$ , Bone Morphogenetic Protein, and Activin Signaling and the Tumor Microenvironment," *Cold Spring Harb. Perspect. Biol.*, vol. 9, no. 5, May 2017, doi: 10.1101/CSHPERSPECT.A022285.

## TGF- $\beta$ in patients with hematologic malignancies

Nino Nanava,<sup>1</sup> Sophio Metreveli,<sup>1</sup> Giorgi Giorgobiani,<sup>2</sup> Tinatin Chikovani<sup>1</sup> and Nona Janikashvili<sup>1</sup>

<sup>1</sup>Tbilisi State Medical University, Department of Immunology, <sup>2</sup>Department of surgery

### Abstract:

**Introduction:** TGF- $\beta$  expression is often increased in diseases such as malignancy, inflammation and fibrotic pathology. TGF- $\beta$  ligand is involved in many processes of lymphoid cell development. TGF- $\beta$  exerts an inhibitory stimulus on the differentiation and proliferation of stem cell progenitors. The amount of TGF- $\beta$  on stem cell progenitors can determine various biological effects. For instance, if high concentrations of TGF- $\beta$  have an inhibitory effect on stem cell progenitors, at low doses it can become stimulatory, especially in that group of stem cell progenitors that have a high probability of developing into myeloid cells.

The aim of the study was to determine the level of TGF- $\beta$  in the peripheral blood of patients with hematologic malignancies and to see its correlation with blood biomarkers of systemic inflammation.

**Materials and methods:** 7 patients diagnosed with hematologic malignancy, who underwent splenectomy with therapeutic indications, were included in the study. One control group consisted of 22 healthy age-matched individuals, and the other control group consisted of 9 splenectomized patients, where the reason of splenectomy was not cancer or autoimmune disease.

TGF- $\beta$  concentration in peripheral blood was determined by enzyme immunoassay (eBioscience, USA) according to the supplier's instructions.

From the complete blood count of the patients, we calculated systemic inflammatory markers, cell: leukocytes, neutrophils (N), lymphocytes (L), platelets (P), monocytes (M) and hemoglobin (H) ratios (R): NLR, PLR, PMR, HPR, HLR, LMR, as well as systemic immune-inflammation index - SII and derived neutrophil-lymphocyte ratio - dNLR.

**Results:** TGF- $\beta$  levels in patients with hematologic malignancies (HM) are significantly different from those of age-matched healthy controls, but not different from those of a similar control group of splenectomized patients. TGF- $\beta$  did not correlate with the blood biomarkers of systemic inflammation we studied.

**Keywords:** TGF- $\beta$ , Hematologic malignancies




## ოპტიკურად მართვადი სივრცულად მოდულირებული ლაზერული გენერაცია DCM საღებავით დოპირებულ თხევადკრისტალურ ფენაში

ზურაბ ვარდოსანიძე, მედეა აბრამიშვილი, დავით ონიანი, ირაკლი ნახუცრიშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვ.ჭავჭავანიძის კიბერნეტიკის ინსტიტუტი*


როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი ჰოლოგრაფიული სტრუქტურები (ჰოლოგრამები) წარმოადგენენ პასიურ ოპტიკურ ელემენტებს, რომლებიც ინფორმაციის რეკონსტრუქციას ახორციელებენ გარედან დაცემული სინათლის პასიური ტრანსფორმაციის (დიფრაქციის) ხარჯზე. სტატიაში შემოთავაზებულია ლაზერულად აქტიური ფენები, რომლებიც თვითონვე გენერირებენ და ოპტიკური ინფორმაციის რეკონსტრუქციას ახორციელებენ საკუთარი ლაზერული გამოსხივების მეშვეობით. ამ დროს ლაზერული ფენის აღგზნება (ოპტიკური დატუმბვა) ხორციელდება ჰოლოგრაფიულად, ორი ურთიერთკოჰერენტული ტალღის ინტერფერენციული სურათის მეშვეობით. ლაზერული ფენების ჰოლოგრაფიული ოპტიკური დატუმბვისათვის გამოყენებულ იქნა Nd:YAG ლაზერის კოჰერენტული გამოსხივების II (532 ნმ) და III (355 ნმ) ჰარმონიკები და შევისწავლეთ ხსენებული სტრუქტურების ლაზერული გამოსხივების მახასიათებლები. საღებავით დოპირებული თხევადკრისტალური ფენის [1] დატუმბვა ხორციელდებოდა იმპულსური ლაზერის ორი ურთიერთკოჰერენტული, სინათლის კონის ზედდების შედეგად მიღებული ინტერფერენციული სურათის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ლაზერული ფენები წარმოადგენენ დინამიურ ჰოლოგრაფიულ სტრუქტურებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან დროის რეალურ მასშტაბში განხორციელდეს აღმგზნები ტალღური ფრონტის (ოპტიკური ინფორმაციის) რეკონსტრუქცია არა დიფრაგირებული, არამედ გენერირებული ლაზერული გამოსხივების მეშვეობით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, აღმგზნები სინათლის ჯამური ინტერფერენციული ველის ზემოქმედების შედეგად ჰოლოგრაფიული რეგისტრაცია ხორციელდება არა გარემოს ოპტიკური პარამეტრების (ოპტიკური სიმკვრივე, გარდატეხის მაჩვენებელი, ანიზოტროპია), არამედ ლაზერულ ფენებში (აქტიურ გარემოში) გენერაციის პირობების მოდულაციის ხარჯზე. ამდენად, ლაზერულად აქტიური ჰოლოგრაფიული სტრუქტურები საშუალებას იძლევიან, განხორციელდეს ობიექტების სივრცული გამოსახულების რეკონსტრუქცია საკუთარი ლაზერული გამოსხივების მეშვეობით.

ოპტიკური დანადგარი შეესაბამებოდა ორი ბრტყელი ტალღის ჰოლოგრაფიული რეგისტრაციის სქემას ელემენტარული ჰოლოგრამების (ჰოლოგრაფიული დიფრაქციული მესერების) მისაღებად (სურ. 1). ჩატარებული ექსპერიმენტისათვის გამოყენებულ იქნა  $\text{Nd}^{3+}:\text{YAG}$  ლაზერის გამოსხივების მეორე ჰარმონიკა და DCM (4-Dicyanomethylene-2-methyl-6-p-dimethylaminostyryl-4H-pyran) საღებავით [2] დოპირებული ქოლესტერული თხევადკრისტალური ლაზერული ფენა. სხივამყოფის (1,2 - სურ.1-ზე) მეშვეობით გამოსხივება იყოფა ორი თანაბარი ინტენსივობის კონად, რომელთა თანხვედრა ხდება ლაზერული უჯრედის საღებავით დოპირებულ ქოლესტერულ თხევად კრისტალური ფენის სიბრტყეში. ლაზერული ფენის აღზნებას (ოპტიკურ დატუმბვას) ახდენს ორი ბრტყელი ტალღის ინტერფერენციული სურათი.



სურ.1. ლაზერული უჯრედის ჰოლოგრაფიული აღზნების სქემა.

შედეგად, ლაზერულ ფენაში მიიღება მიკროლაზერების ერთობლიობა (სურ. 2), რომლებიც ერთდროულად ასხივებენ და მათი გამოსხივების დიაგრამა მიმართულია ლაზერული ფენის მართობულად. ანალოგიური სქემა გამოიყენება სპექტრულად გადაწყობად უკუკავშირის მქონე ლაზერებშიც ოპტიკური დატუმბვით [3], იმ განსხვავებით, რომ აღმზნებ ინტერფერენციულ ველში ინტენსივობა განაწილებულია ლაზერული გამოსხივების გასწვრივ.




სურ.2. ქოლესტერულ თხევადკრისტალურ ფენაში აღზნების შედეგად მიღებული მიკროლაზერების ერთობლიობის ინტერფერენციული სურათი.

მიკროლაზერებს შორის მანძილი, ე.ი. ლაზერულად აქტიური, ჰოლოგრაფიული სტრუქტურის პერიოდი განისაზღვრება ფორმულით:

$$d = \frac{\lambda}{2 \sin \theta/2} \quad (1)$$

სადაც  $\theta$  აღმზნები კონების შეხვედრის კუთხეა,  $\lambda$  - აღმზნები (დატუმბვის) სინათლის ტალღის სიგრძე.

ჰიუგენს-ფრენელის პრინციპის თანახმად, როდესაც მიღებული ცალკეული მიკროლაზერები ურთიერთკორელაციაშია, მათი ერთობლივი გამოსხივება უნდა ქმნიდეს ჯამურ ველს, რომელიც პერიოდულ სტრუქტურაზე დიფრაქციის ანალოგიურია. სურ. 3 - ზე ნაჩვენებია გამოკვლეული ლაზერული უჯრედების მიერ გენერირებული ტალღური ველის სურათები აღმგზნები (ოპტიკური დატუმბვის) კონების შეხვედრის სხვადასხვა კუთხეებისათვის. მიღებული შედეგები იმის დადასტურებაა, რომ მიკროლაზერები ერთმანეთთან ურთიერთკორელაციაშია. სურ. 3 **a** და **b** შეესაბამება აღმგზნები კონების შეხვედრის  $0.66^\circ$  და  $1.86^\circ$  კუთხეებს. როგორც ვხედავთ, ამ დროს გენერირებული ლაზერული გამოსხივების ველი მოდულირებულია სივრცულად და ანალოგიურია (1) ფორმულით განსაზღვრული, პერიოდულ სტრუქტურაზე დიფრაქციის შედეგად მიღებული სურათისა. ეს მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს აღმგზნები სინათლის ტალღური ფრონტის რეკონსტრუქციას არა დიფრაქციის, არამედ ლაზერული გენერაციის ხარჯზე. ამ დროს ასევე ადგილი აქვს ლაზერული გამოსხივების სივრცულ მოდულაციას, რომელიც ხორციელდება ოპტიკურად, ლაზერული ფენის განივად განაწილებული აღგზნებით (დატუმბვით).




**a** **b**

**სურ. 3.** DCM – ით დოპირებული ქოლესტერული

თხევადკრისტალური ლაზერული უჯრედიდან გენერირებული გამოსხივების ველის ინტერფერენციული სურათი (**a** -  $0.66^\circ$ , **b** -  $1.86^\circ$ ).

სურ.4-ზე წარმოდგენილია მიღებული ჰოლოგრაფიული სტრუქტურის მქონე ლაზერების გამოსხივების სპექტრი.



**სურ.4.** ჰოლოგრაფიული ლაზერული სტრუქტურების გამოსხივების სპექტრი DCM საღებავით დოპირებული ქოლესტერული თხევადკრისტალური ფენისათვის.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოთავაზებული მიდგომა გარკვეული სიახლეა და მოცემული სამუშაოს შედეგები ახალ პერსპექტივებს ქმნის ოპტიკურ-ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით. მოსალოდნელია, რომ მიღებულმა შედეგებმა წინაპირობები შეუქმნას ჰოლოგრაფიული **3-D** დისპლეების დამზადების ამოცანებს.

#### ლიტერატურა

1. Z.V.Wardosanidze, A.Chanishvili et al. Cholesteric liquid crystal holographic laser. Optics Letters, 2014, v.39, N4, pp.1008-1010.
2. P.R.Hammond. Laser dye DCM, its spectral properties, synthesis and comparison with other dyes in the red. Optics Communications, 1979, v.29, N3, pp.331-333.
3. S.Schiller, M.M.Frjer et al. Monolithic total internal reflection resonators: principles and applications. Conf. on lasers and electro-optics, Anaheim, California, USA, May 1992, pp.1-2, 10-15.

## Optically guided spatially modulated Laser generation with DCM dye-doped in the liquid crystal layer

**Zurab Vardosanidze, Medea Abramishvili, Davit Oniani, Irakli Nakhutsrishvili**

Institute of Cybernetics of Georgian Technical University

#### Abstract

The article proposes laser-active layers that generate and reconstruct optical information through their own laser radiation. At this time, the excitation of the laser layer (optical pumping) is carried out holographically, the interference of two mutually coherent waves through the image. The II (532 nm) and III (355 nm) harmonics of the coherent emission of the Nd: YAG laser was used for holographic optical pumping of the laser layers, based on which the characteristics of the laser radiation of liquid crystal structures doped with DCM dye were studied.



## ოპტიკურად მართვადი სივრცულად მოდულირებული ლაზერული გენერაცია როდამინ 6G საღებავით დოპირებულ პოლიმერულ (პვს) ფენაში

ზურაბ ვარდოსანიძე, მედეა აბრამიშვილი, დავით ონიანი, ირაკლი ნახუცრიშვილი


*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვ.ჭავჭავანიძის კიბერნეტიკის ინსტიტუტი*

წინამდებარე სტატია წარმოადგენს [1]-ის გაგრძელებას, რომელშიც შესწავლილი იყო ოპტიკურად მართვადი სივრცულად მოდულირებული ლაზერული გენერაცია ქოლესტერული თხევადკრისტალური ლაზერული ფენის გამოყენებით. ამ ნაშრომში გამოყენებულია როდამინ 6G საღებავით [2] (როდამინის ქიმიური ფორმულა:  $C_{28}H_{31}ClN_2O_3$ ) დოპირებული პოლივინილის სპირტის (PVA:( $C_2H_4O$ )<sub>x</sub>) ფენა. ლაზერული ფენების ჰოლოგრაფიული ოპტიკური დატუმბვისათვის გამოვიყენეთ Nd:YAG ლაზერის კოჰერენტული გამისხივების II (532 ნმ) და III (355 ნმ) ჰარმონიკები და შევისწავლეთ ხსენებული სტრუქტურების ლაზერული გამოსხივების მახასიათებლები. ასეთი ლაზერული სტრუქტურები (სივრცულად განაწილებული გამოსხივებით) წარმოადგენენ ახალი ტიპის ოპტიკურ მოწყობილობებს. მათში ერთდროულად შერწყმულია ლაზერისა და ჰოლოგრამის ფუნქციები, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ოპტიკურ-ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში, კერძოდ, მოსალოდნელია ჰოლოგრაფიული 3-D დისპლეების მიღების პერსპექტივა. ორი (ან რამდენიმე) ტალღის ინტერფერენციული სურათის ზემოქმედების შედეგად (ე.ი. ჰოლოგრაფიული მიდგომით) შესაძლებელია მივიღოთ სივრცულად მოდულირებული ფოტოლუმინესცენცია და საბოლოოდ, ლაზერული გენერაცია.


დატუმბვა ხორციელდებოდა (წინა სტატიაში მოყვანილი პროცედურის ანალოგიურად) იმპულსური ლაზერის ორი ურთიერთკოჰერენტული სინათლის კონის ზედდების შედეგად მიღებული ინტერფერენციული სურათის მეშვეობით. ასეთ პირობებში ლაზერული ფენები წარმოადგენენ დინამიურ ჰოლოგრაფიულ სტრუქტურებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან განხორციელდეს აღმგზნები ტალღური ფრონტის რეკონსტრუქცია არა დიფრაგირებული, არამედ არამედ გენერირებული ლაზერული გამოსხივების მეშვეობით.

თხევადკრისტალური ფენის [1] დატუმბვა ხორციელდებოდა იმპულსური ლაზერის ორი ურთიერთკოპერენტული, სინათლის კონის ზედდების შედეგად მიღებული ინტერფერენციული სურათის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში ლაზერული ფენები წარმოადგენენ დინამიურ ჰოლოგრაფიულ სტრუქტურებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან დროის რეალურ მასშტაბში განხორციელდეს აღმგზნები ტალღური ფრონტის (ოპტიკური ინფორმაციის) რეკონსტრუქცია არა დიფრაგირებული, არამედ გენერირებული ლაზერული გამოსხივების მეშვეობით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, აღმგზნები სინათლის ჯამური ინტერფერენციული ველის ზემოქმედების შედეგად ჰოლოგრაფიული რეგისტრაცია ხორციელდება არა გარემოს ოპტიკური პარამეტრების (ოპტიკური სიმკვრივე, გარდატეხის მაჩვენებელი, ანიზოტროპია), არამედ ლაზერულ ფენებში გენერაციის პირობების მოდულაციის ხარჯზე. ამდენად, ლაზერულად აქტიური ჰოლოგრაფიული სტრუქტურები საშუალებას იძლევიან, განხორციელდეს ობიექტების სივრცული გამოსახულების რეკონსტრუქცია საკუთარი ლაზერული გამოსხივების მეშვეობით.

სურ.1-ზე წარმოდგენილია ლაზერული უჯრედის ჰოლოგრაფიული აღგზნების სქემა, რაც ანალოგიურია [1]-ში გამოყენებული დანადგარისა; ხოლო სურ.2-ზე კი მოყვანილია მიკროლაზერების ინტერფერენციული სურათი.




სურ.1. ლაზერული უჯრედის ჰოლოგრაფიული აღგზნების სქემა.




სურ.2. აღგზნების შედეგად მიღებული მიკროლაზერების ერთობლიობის ინტერფერენციული სურათი პოლიმერულ ფენაში.

სურ.3-ზე ნაჩვენებია კვლევის შედეგები როდამინ 6G-ით დოპირებული პლიმერული ლაზერული უჯრედებისათვის. სურ. 4 a და b შეესაბამება აღმგზნები კონების შეხვედრის  $0.45^\circ$  და  $0.9^\circ$  კუთხეებს. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც შედეგები თვისობრივად იდენტურია (იხ. [1]).



სურ.3. გენერირებული ლაზერული სინათლის ველი როდამინ 6G - ით დოპირებული პოლიმერული ლაზერული უჯრედიდან ინტერფერენციული სურათი (a - 0.45°, b - 0.9°).

სურ.4-ზე წარმოდგენილია . ჰოლოგრაფიული ლაზერული სტრუქტურების გამოსხივების სპექტრი როდამინ 6G საღებავით დოპირებული პოლივინილის სპირტის ფენებისათვის.



სურ.4. ჰოლოგრაფიული ლაზერული სტრუქტურების გამოსხივების სპექტრი როდამინ 6G საღებავით დოპირებული პოლივინილის სპირტის ფენებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიღებული შედეგები მიუთითებს ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომის უნივერსალობაზე (ანალოგია DCM და როდამინ 6G საღებავების გამოყენების შემთხვევებისათვის).

სტრიქონსქვედა შენიშვნა

ჰოლოგრაფიული სტრუქტურის პერიოდი განისაზღვრება ფორმულით:  $d = \frac{\lambda}{2 \sin \theta/2}$ , სადაც  $\theta$  აღმზნები კონების შეხვედრის კუთხეა,  $\lambda$  - აღმზნები (დატუმბვის) სინათლის ტალღის სიგრძე.



## ლიტერატურა

1. ვარდოსანიძე ზ., აბრამიშვილი მ., ონიანი დ., & ნახუცრიშვილი ი. (2022). ოპტიკურად მართვადი სივრცულად მოდულირებული ლაზერული გენერაცია DCM საღებავით დოპირებულ თხევადკრისტალურ ფენაში. *ქართველი მეცნიერები*, 4(5), 41–44. <https://doi.org/10.52340/gc.2022.04.05.05>
2. M. F. Hadi Al-Kadhemy , K. N. Abbas, W. B. Abdalmuhdia. Physical Properties of Rhodamine 6G Laser Dye Combined in Polyvinyl Alcohol films as Heat Sensor. *Iop Conf. Series: Materials Science and Engineering*, v.298, 2nd Intern. Scientific Conf. Of Al-Ayen University, 15-16 Juli, 2020, Thi-Qar, Iraq.

## **Optically guided spatially modulated Laser generation doped with rhodamine 6G dye in the polymer (PVS) layer**

**Zurab Vardosanidze, Medea Abramishvili, Davit Oniani, Irakli Nakhutsrishvili**

Institute of Cybernetics of Georgian Technical University

### **Abstract**

The article is a continuation of a previous work in which optically controlled spatially modulated laser generation by means of a cholesteric liquid crystal laser layer was studied. In this work, a layer of polyvinyl alcohol doped with rhodamine 6G dye is used. The mentioned has been studied Laser radiation characteristics of the structure.

## ELABORATION OF COMPLEX PURIFICATION METHOD OF SOILS CONTAMINATED WITH HEAVY METALS

Ketevan Kochiashvili, Rusudan Uridia, Maia Stephanishvili, Liparit Dolidze, Tamar Dgebuadze, Maia Japaridze, Nino Kavtaradze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, P. Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry, Tbilisi, Georgia

### Abstract

The wrong strategy for the utilization of the huge amount of organic and inorganic waste generated every day has created significant problems. Pollution of the environment with heavy metals causes particularly serious consequences. There are many methods of cleaning the polluted environment caused by heavy metals. The ideal way is biological remediation, which is an effective method of managing and restoring the polluted environment. Works on biostimulation of local microorganisms necessary for the bioremediation of soils contaminated with heavy metals have been carried out. The results of the studies showed that local microorganisms are effective for the bioremediation of heavy metals. The use of a consortium of bacteria and microscopic fungi selected by us, which did not have a mutually antagonistic effect on each other, was especially effective.

**Key words:** *heavy metals, pollution, remediation, microorganisms.*

### Introduction

Population growth, industrialization, urbanization, anthropogenic activities, and natural resources are causing environmental pollution on a global scale. The wrong strategy for the utilization of the huge amount of organic and inorganic waste generated every day has created significant problems. Pollution of the environment with heavy metals causes particularly serious consequences.

The term heavy metals is a general collective term used for metallic and non-metallic elements having high atomic mass. They are highly toxic even at low concentrations. Heavy metals belong to widespread pollutants, they are persistent and therefore non-degradable and pose serious threats to environment. These elements are released into the environment as a result of various production processes. Zn, Cu, Cd, Pb, Ni are considered as the most toxic pollutants. They accumulate in microorganisms, plants, animals and the human body and disturbance metabolic and physiological processes.

Scientific and technical processes have revealed new prospects for the methods of combating environmental pollutants. There are many methods of cleaning the polluted environment caused by heavy metals, which are divided into 2 main groups: abiotic, which includes physical and chemical methods, and biotic. The use of traditional removal methods of heavy metal in practice on a large scale is unprofitable due to the high cost. Also, this method is dangerous due to the negative consequences of constant monitoring and control.

Removing heavy metals in an eco-friendly way is important. The ideal way is biological remediation, which is an effective method of managing and restoring the polluted environment. Many metals, such as Zn, Cu, Cr, Ni, are essential and useful trace elements for the growth and development of organisms. Cd, Hg, Pb do not have a similar nature and their significance in physiological processes has not been established. It should be noted that even high concentrations of essential metals above the permissible level adversely affect the microbial community of soils and their functional activity. Microorganisms play an important role in removing heavy metals from the environment. They are known to have high potential for bioremediation of contaminated soils, as well as increasing yields at lower costs. Microorganisms carry out bioremediation by changing the oxidation state of heavy metals, which leads to a decrease in their toxicity. Secretions released as a result of the metabolic activity of microorganisms are able to dissolve, precipitate, biosorb and enzymatically transform heavy metals; as a result, these heavy metals undergo degradation, detoxification and transformation into more stable, inert, less dangerous and mobile forms [1].

Special soil treatment helps to modify soil in a form inaccessible to humans and animals and to remove dangerous substances, including radionuclides, from the soil. The basis of this method is that substances toxic to humans are not harmful to plants. Studying the binding of heavy metals by microorganisms in-situ is difficult. They can be bound by both microorganisms and their secretions, which change their mobility. Some microorganisms synthesize extracellular polymers of acidic nature capable of mobilizing heavy metals in soils.

The binding of heavy metals is possible through plant accumulators (sorrel, nettle), but it needs several years of treatment (sowing, mowing.). This prolongs the process and requires the safe disposal of this plant biomass. Some microorganisms are able to transform dangerous substances into insoluble forms to make them inaccessible and safe for plants. In such preserved form, heavy metals can settle in the soil for tens and hundreds of years and do not threaten living organisms.

Microorganisms have different abilities to break down heavy metals. It is based on the accumulation of heavy metal ions in the cells of microorganisms and the subsequent reduction of these ions into a non-toxic form

It should be noted that the soil is a multi-component dynamic system, the properties of which constantly change as a result of microbial, chemical, hydrological, and geological processes. Environmental factors such as temperature, pH, low-molecular organic acids, and humic acids affect the transformation and mobility of heavy metals in soils, their oxidation state, bioavailability to microorganisms, and the effectiveness of microorganisms in the bioremediation process of heavy metals. It is promising to use consortia of fungi and bacteria for this purpose [2].

## Research results

Works on biostimulation of local microorganisms necessary for the bioremediation of soils contaminated with heavy metals have been carried out [3,4]. At this stage, various microorganisms, which almost have no antagonistic effect on each other activity have been selected and studied.

Cellulose-degrading bacteria and microscopic fungi were selected from the microorganisms isolated from the local soil. Their content is defined, accordingly,  $5.5 \cdot 10^3$  and  $1.3 \cdot 10^3$  (calculated on 1 g of dry soil), soil moisture was 7.9%.

Since these microorganisms do not exhibit antagonistic action towards each other, they were also co-inoculated and solutions contaminated with heavy metal ions were introduced. Both individual cultures and their consortium have been incubated in appropriate liquid nutrient medium for 24 hours. After that, we added aqueous solutions of nickel, cadmium and lead salts (1600 mg/l) to the mentioned microbial inoculants, waited for 96 hours under constant stirring conditions at 28°C. All experiments were done twice. After 96 hours, the microbial biomass was centrifuged and filtered. The separated microbial biomass was treated with distilled water and dried in hot air at  $65^\circ\text{C} \pm 5$  for 24 hours. The existing heavy metals were separated from the microbial biomass by treating it with nitric acid and perchloric acid (3:1 ratio). Samples were taken on the first day of inoculation (0 h for initial residual levels), and repeated every 24 h. The initial and final residual content of heavy metals in inoculant and biomass is determined.

In order to study the bioremediation capacity of microorganisms, cellulose-degrading bacteria *Myxococcus* and a representative of the microscopic fungi, genus *Rhizopus* were isolated and selected from local soil. The effects of bacteria and fungi on the bioremediation of heavy metals, as well as the possible impact of their joint consortium on the reduction of the amount of Pb, Cd, and Ni ions in a liquid nutrition medium, are investigated. The content of heavy metals after 96 h indicates a decrease in their content in the nutrient area as a result of absorption by these microorganisms.

**Table 1. Accumulation of heavy metals by Cellulose-degrading bacteria (*Myxococcus*)**

Heavy metals ions	Amount of heavy metals in liquid nutrient medium (mg/ml)					Amount of heavy metals in cell of bacteria (mg/g)				
	0 h	24 h	48 h	72 h	96 h	0 h	24 h	48 h	72 h	96 h
Ni	1.60	1.40	1.20	0.90	0.80	0	0.1	0.30	0.55	0.65
Pb	1.90	1.60	1.40	1.20	1.00	0	0.25	0.3	0.45	0.80
Cd	1.50	1.40	1.25	1.10	0.85	0	0.05	0.25	0.35	0.6

**Table 2. Accumulation of heavy metals by microscopic fungi (*Rhizopus*)**

Heavy metals ions	Amount of heavy metals in liquid nutrient medium (mg/ml)					Amount of heavy metals in cell of <i>Rhizopus</i> (mg/g)				
	0 h	24 h	48 h	72 h	96 h	0 h	24 h	48 h	72 h	96 h
Ni	1.60	1.30	1.10	0.85	0.75	0	0.20	0.35	0.60	0.70
Pb	1.90	1.50	1.35	1.10	1.00	0	0.3	0.55	0.60	0.85
Cd	1.50	1.30	1.10	1.00	0.80	0	0.15	0.25	0.45	0.55

**Table 3. Accumulation of heavy metals by consortiums of Cellulose-degrading bacteria (*Myxococcus*) and microscopic fungi (*Rhizopus*)**

Heavy metals ions	Amount of heavy metals in liquid nutrient medium (mg/ml)					Amount of heavy metals in consortiums (mg/g)				
	0 h	24 h	48 h	72 h	96 h	0 h	24 h	48 h	72 h	96 h
Ni	1.60	1.25	1.00	0.75	0.60	0	0.35	0.50	0.80	0.95
Pb	1.90	1.35	1.2	1.0	0.85	0	0.40	0.60	0.75	1.10
Cd	1.50	1.10	0.95	0.75	0.60	0	0.20	0.35	0.55	0.75

The results of the studies (Table 1, 2 and 3) showed that local microorganisms are effective for the bioremediation of heavy metals. The use of a consortium of bacteria and microscopic fungi selected by us, which did not have a mutually antagonistic effect on each other, was especially effective.

#### REFERENCES:

1. Munees A., Abdul M. Bioaccumulation of Heavy Metals by Zinc Resistant Bacteria Isolated from Agricultural Soils Irrigated with Wastewater. *Bacteriology Journal*. 2012; 2, 1: 12-21.
2. Njoku, K. L., Akinyede, O. R., Obidi, O. F. Microbial remediation of heavy metals contaminated media by bacillus megaterium and Rhizopus Stolonifer. *Scientific African*. 2022; 10.
3. Kavtaradze N.A., Kochiashvili K. N., Stephanishvili M.A., Dgebuadze T.A., Japaridze M. Z. Possibilities of purification of heavy metals contamination in soils. *International Academy Journal Web of Scholar*. 2019; 11(41), 1:7-9.

4. R. Z. Uridia, N. A. Kavtaradze, K. N. Kochiashvili, M. A. Stephanishvili, I. I. Mikadze, L. A. Dolidze, T.A. Dgebuadze. Bioremediation of soils contaminated with heavy metals. International Academy Journal Web of Scholar. 2021; 2(52).

## **მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგების გაწმენდის კომპლექსური მეთოდის შემუშავება**

**ქეთევან ქოჩიაშვილი, რუსუდან ურიდია, მაია სტეფანიშვილი, ლიპარიტ დოლიძე, თამარ დგებუაძე, მაია ჯაფარიძე, ნინო ქავთარაძე**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

### **აბსტრაქტი**

ყოველდღიურად წარმოქმნილი უზარმაზარი რაოდენობის ორგანული და არაორგანული ნარჩენების უტილიზაციის არასწორმა სტრატეგიამ შექმნა მნიშვნელოვანი პრობლემები. განსაკუთრებით მძიმე შედეგს წარმოადგენს გარემოს მძიმე მეტალებით დაბინძურება. არსებობს მძიმე მეტალებით გამოწვეული დაბინძურებული გარემოს გასუფთავების მრავალი მეთოდი. გასუფთავების იდეალურ გზას წარმოადგენს ბიოლოგიური რემედიაცია, რომელიც დაბინძურებული გარემოს მართვისა და აღდგენის ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს. სამუშაოები განხორციელდა მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგების ბიორემედიაციისათვის საჭირო ადგილობრივი მიკროორგანიზმების ბიოსტიმულირების მიმართულებით. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ადგილობრივი მიკროორგანიზმები ეფექტურია მძიმე მეტალების ბიორემედიაციისათვის. განსაკუთრებით, ეფექტიანი აღმოჩნდა ჩვენს მიერ შერჩეული ბაქტერიისა და მიკროსკოპული სოკოს კონსორციუმის გამოყენება, რომელთაც ერთმანეთის მიმართ ურთიერთანტაგონისტური ზემოქმედება არ გამოავლინეს.

**საკვანძო სიტყვები:** მძიმე მეტალები, დაბინძურება, რემედიაცია, მიკროორგანიზმები.

## 19.00.00 ფსიქოლოგიური მეცნიერებანი PSYCHOLOGICAL SCIENCES

მაია რობაქიძე

## განსხვავებული არხებით ფიქსირებულ განწყობათა შედარებითი დახასიათება

განწყობის კლასიკურ ექსპერიმენტებში საგანწყობო ობიექტების რაოდენობრივი პარამეტრების აღბეჭდვისას დაცულია მსგავსების პრინციპი: ობიექტურად დიდი საგანი დიდადაა აღბეჭდილი როგორც სენსორულ ხატში, ასევე განცდამიც. ეს იმას ნიშნავს, რომ სენსორული და პერცეფტული არხებით სუბიექტის მიერ მიღებული ინფორმაცია ერთმანეთის იზომორფულია. მაგრამ როგორია განწყობის ფიქსაციის შესაძლებლობა სენსორულ და პერცეფტულ ხატებზე სიტუაციის პარამეტრების ანიზომორფული აღბეჭდვის შემთხვევაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სცადეს როგორც ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლებმა, ასევე განწყობის ფსიქოლოგიაში მომუშავე უცხოელმა მეცნიერებმაც. მაგალითად, ქ.დ.ცინცაძისა ( К. Д. Цинцадзе, 1966) და იაპონელი მეცნიერების (Takai L., Kawaguchi I., 1984) მონაცემებით შესაძლებელია უტოლობის განწყობის ფიქსირება განცდაში არატოლ, მაგრამ რეტინალურად ტოლ სიდიდეებზე, კერძოდ, გეომეტრიულ ფიგურათა ოპტიკურ ილუზორულ უტოლობაზე, ხოლო ნ.გ.ადამაშვილის ცდებით მტკიცდება კრიტიკული ობიექტების რეტინალური ტოლობის ვარიაციის პირობებში ფიქსირებული განწყობის გამოვლენის შესაძლებლობა. (Адамашвили Н. Г., 1960) მაგრამ განწყობის შემუშავების და ჩაქრობის პროცესის თავისებურებანი სენსორულად და პერცეფტულად უტოლო ობიექტებზე სპეციალურად ნაკვლევი არ ყოფილა.

ჩვენ დავინტერესდით სენსორულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობის მახასიათებლები განსხვავდება თუ არა უშუალოდ განცდაზე ფიქსირებული განწყობის მახასიათებლებისაგან და დ.უზნაძის ტრადიციული სქემით შემუშავებული განწყობის მახასიათებლებისაგან, რომელიც გულისხმობს როგორც სენსორული, ასევე უშუალოდ განცდითი კომპონენტების ასახვას, ე.ი. მისი ფიქსაცია ხდება პერცეფტულ უტოლობაზე. შევადარეთ ამ სამი განსხვავებული არხით შემუშავებული განწყობის შემდეგი ფორმალურ-სტრუქტურული მახასიათებლები: სიმტკიცე, ჩაქრობის ტიპი(დინამიკურობა-სტატიკურობა და პლასტიკურობა-სიტლანქე), კონსტანტობა-ვარიანტობა.

ცდები ტარდებოდა სპეციალური ხელსაწყოთი, რომელიც გვაძლევდა საგანწყობო ობიექტების პარამეტრებს შორის განსხვავებულობის გრადუალური ცვალებადობის შესაძლებლობას, ექსპერიმენტი ჩატარდა სამ სერიად.

ექსპერიმენტის I სერიაში ცდის პირს მიეწოდებოდა სენსორულად უტოლო და განცდისეულად (ობიექტურადაც) ტოლი ობიექტები, II სერიაში - პირიქით, განცდისეულად უტოლო, ხოლო სენსორულად ტოლი ობიექტები, III სერიაში კი როგორც სენსორულად, ასევე განცდაში უტოლო ობიექტები(ტრადიციული დ.უზნაძისეული სქემით). სენსორული უტოლობის მისაღებად I სერიაში გამოყენებული იყო საგნის აღქმადი სიდიდის (ტოლობის) კონსტანტობის ფაქტი. ექსპერიმენტული მეთოდის არსი მდგომარეობდა ობიექტურად ტოლი სიდიდეების (წრეწირების) განწყობის ფიქსაციაში რეტინალურ (სენსორულ) უტოლობაზე ერთი მხრივ და პერცეფტული ტოლობის განწყობის ფიქსაციაში მეორე მხრივ. ეს მიიღწეოდა წრეწირებს შორის შედარებითი მანძილის ვარიაციით, რასაც თან სდევდა მათი სიდიდეების ტოლობის პერცეფცია მათი რეტინალური უტოლობისას. ექსპერიმენტის II სერიაში კი ხდებოდა ობიექტურად უტოლო სიდიდეთა პერცეფტული უტოლობის განწყობის ფიქსაცია მათი რეტინალური ტოლობისას. რეტინალური ტოლობა მიიღწეოდა დიდი და მცირე ობიექტების (წრეწირების) ერთმანეთისაგან ისეთ მანძილზე დაშორებით, რომ მათი დიამეტრების რეტინალურ გამოსახულებათა სიდიდეები ტოლი ყოფილიყო. ექსპერიმენტის სამივე ვარიანტის კრიტიკულ ცდაში გამოვლინდა ფიქსირებული განწყობის კონტრასტული ეფექტები. აღსანიშნავია, რომ სენსორულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობა, ისევე როგორც პერცეფტული განწყობა, შემუშავებული ტრადიციული პროგრამით, არის უფრო ძლიერი და მტკიცე, ვიდრე განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებული. არ აღმოჩნდა სახლო განსხვავება განწყობის ილუზიათა სიხშირეთა განაწილებაში და არც განწყობის სიმტკიცის მაჩვენებელში I და III სერიას, ე.ი. განწყობის კლასიკურ ვარიანტსა და სენსორულ უტოლობაზე ფიქსირებულ განწყობას შორის.

ფიქსირებული განწყობის ტიპის დადგენისას გამოყენებული იყო ტრადიციული მეთოდი: განწყობის ფიქსაციის ცდები განმეორებით ტარდებოდა დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ.

ექსპერიმენტები ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თითოეულ სერიაში მონაწილეობა მიიღო 30 ცდის პირმა. მათი ასაკი მერყეობდა 20-დან 35 წლამდე. ცდის პირები იყვნენ სტუდენტები და უნივერსიტეტის თანამშრომლები.

სამივე სერიის ექსპერიმენტები ჩატარდა სამ-სამჯერ ერთკვირიანი ინტერვალებით. ექსპერიმენტის ჩატარების პირობები იყო იდენტური. განწყობას კონსტანტურად ვთვლიდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განწყობის სამივე ცდაში ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესის ერთგვაროვნება დასტურდებოდა. იმ შემთხვევაში, როცა ამ ცდაში, თუნდაც ერთხელ ადგილი ექნებოდა ფიქსირებული განწყობის შეცვლას, განწყობას ვარიანტულად მივიჩნევდით.

ფიქსირებული განწყობის ტიპების განაწილება განსხვავებული არხებით ფიქსირებულ განწყობათა შემთხვევაში მოცემულია პირველ ცხრილში :

ცხრ.:#1 ფიქსირებული განწყობის ტიპების % განაწილება სენსორულ, განცდისეულ და პერცეფტულ უტოლობაზე ფიქსირებულ ცდებში

განწყობის ტიპები	ცდის პირთა ჯგუფები					
	სენსორულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობა		განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობა		პერცეპტული განწყობა	
	პროცენტი	აბსოლუტური რაოდენობა	პროცენტი	აბსოლუტური რაოდენობა	პროცენტი	აბსოლუტური რაოდენობა
დინამიკური	50.00%	15.00	16.67%	5.00	53.33%	16.00
სტატიკური	10.00%	3.00	10.00%	3.00	13.33%	4.00
ვარიაბელური	23.33%	7.00	40.00%	12.00	16.67%	5.00
ნულოვანი	16.67%	5.00	33.33%	10.00	16.67%	5.00

ცხრილიდან ჩანს, რომ არსებობს განსხვავება განწყობის ტიპების პროცენტულ გადანაწილებაში ჯგუფებს შორის, სადაც ხდებოდა განსხვავებული არხებით განწყობათა შემუშავება. ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა სენსორულ და განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებულ განწყობებს შორის განწყობის ტიპების განაწილებაში ( $\chi^2=7.9$ , თ.ხ.=3  $p<0.05$ ): კერძოდ, სენსორულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობისათვის უფრო დამახასიათებელია განწყობის დინამიკური ტიპი, ვიდრე ვარიაბელური, ხოლო განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობისათვის – პირიქით. ამ თვალსაზრისით, სენსორული განწყობის მსგავსია პერცეფტული განწყობა ( $\chi^2=0.5$  თ.ხ.=3  $p>0.05$ ). სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა განსხვავება აგრეთვე მხოლოდ განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებულ განწყობასა და პერცეფტულ, ანუ ტრადიციული სქემით შემუშავებულ განწყობათა ტიპების განაწილებაში ( $\chi^2=10.45$ , თ.ხ.=3  $p<0.01$ ). რაც შეეხება სტატიკურ ტიპს, ის ერთნაირად იშიათად გვხვდება სამივე სერიის ცდებში. მიღებული შედეგები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს იმას, რომ სენსორულ უტოლობაზე ფიქსირებულ განწყობასა და პერცეფტულ განწყობას შორის უფრო მეტი მსგავსებაა, ვიდრე განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებულ განწყობას შორის. თუ გავითვალისწინებთ ზემოთნახსენებ განსხვავებას განწყობის ილუზიების სიხშირესა და სიმეტრიცეში I და III სერიის ექსპერიმენტების შედეგების მსგავსებას და მათ განსხვავებას II სერიის ექსპერიმენტებისაგან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პერცეფტული განწყობის ფორმირებაში სენსორულ ფაქტორს დომინანტური როლი ენიჭება.

ცხრ.#2 ფიქსირებული განწყობის ტიპების % განაწილება სენსორულ, განცდისეულ და პერცეფტულ უტოლობაზე ფიქსირებულ ცდებში

განწყობის ტიპები	ცდის პირთა ჯგუფები					
	სენსორულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობა		განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობა		პერცეპტული განწყობა	
	პროცენტი	აბსოლუტური რაოდენობა	პროცენტი	აბსოლუტური რაოდენობა	პროცენტი	აბსოლუტური რაოდენობა
კონსტანტური	60	18.00	26.67	8.00	66.67	20.00
ვარიაბელური	23.33	7.00	40	12.00	16.67	5.00
ნულოვანი	16.67	5.00	33.33	10.00	16.67	5.00

ცხრილში #2 შეჯამებულია განწყობის დინამიკური და სტატიკური ტიპები, რომელიც წარმოადგენს კონსტანტურ ტიპებს. ამ ცხრილიდანაც აშკარად ჩანს, რომ განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობისათვის დამახასიათებელია უფრო ხშირად ვარიაბელური ტიპის განწყობა, ვიდრე კონსტანტური, განსხვავებით სენსორულ და პერცეფტულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობებისაგან. ( $\chi^2=6.83$ , თ.ხ.=2,  $p<0.01$  I და II სერიას შორის და  $\chi^2=9.7$ , თ.ხ.=2,  $p<0.001$  II და III სერიას შორის). როგორც აღინიშნება მთელ რიგ გამოკვლევებში ვარიაბელური ტიპის განწყობასთან მხოლოდ ნორმიდან გადახრის შემთხვევაში გვაქვს საქმე \_იქნება ეს გადახრა დროებითი და სწრაფად წარმავალი თუ შედარებით მუდმივი და სტაბილური.“(უზნაძე, 1949). ცხადია, ჩვენს ექსპერიმენტებში შემთხვევითი წესით შერჩეული ცდის პირებში შეუძლებელია აღმოჩენილიყო ასეთი რაოდენობის `ნორმიდან გადახრილი` სუბიექტები. მიღებული შედეგი შეიძლება იმით აიხსნას, რომ “განწყობა გარკვეული სიტუაციის ნიადაგზე წარმოიშობა და ამ სიტუაციის სუბიექტში გადატანით მისი მოქმედება ამ სიტუაციის დადს ატარებს; ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ამ სხვადასხვა სიტუაციებში ფიქსირებულმა განწყობამ ერთსა და იმავე სუბიექტში ზოგადად ერთგვაროვანი, მაგრამ პირობის შესატყვისად განწყობის მოქმედების სხვადასხვაგვარი მიმდინარეობა მოგვეცეს.”(აკინწურაშვილი, 1967)



## ლიტერატურა:

1. Сб. «Бессознательное: природа, функции, методы исследования». Т.1. А. Г. Асмолов. «Об иерархической структуре установки как механизма регуляции деятельности».
2. Сб. «Бессознательное: природа, функции, методы, исследования». Т.1. Ш. А. Надирашвили. «Закономерности формирования и действия установок различных уровней».
3. აკინწურაშვილი, „განწყობა და მისი აღკვეთის პროცესი“, თბილისი, 1967
4. Сб. «Бессознательное: природа, функции, методы, исследования». Т.1. В. П. Зинченко. «Установка и деятельность: нужна ли парадигма?»
5. Сб. «Экспериментальные исследования по психологии установки». Тбилиси, 1966. К. Д. Цинцадзе. «Об установочном действии некоторых иллюзорных восприятия».
6. Takai L., "Conditions of set formation in the situation of geometrical-optical illusions". «The size comparison form the standpoint of the psychology of set». Ed. by I. Kawaguchi. Osaka University, 1984".
7. Адамшвили Н. Г., «Отражение в фиксированной установке соотношения величины и отдаленности предметов». ж. «Вопросы психологии», 1960, № 3.
8. გ. ქირია "სენსორული და პერცეპტული პროცესების განწყობისეული ორგანიზაციის საკითხისათვის" კრ. "ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. ფსიქოლოგია" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
9. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 6, 1977, თბილისი

## რეზიუმე

განსხვავებული არხებით შემუშავებული განწყობის მახასიათებლების შედარებისას აღმოჩნდა, რომ სენსორულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობა, ისევე როგორც პერცეფტული განწყობა, შემუშავებული ტრადიციული პროგრამით განსხვავდება განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობისაგან თავისი სიმტკიცით და ასევე ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ტიპების პროცენტული გადასწილებით. კერძოდ, განცდისეულ უტოლობაზე ფიქსირებული განწყობისათვის დამახასიათებელია უფრო ნაკლები სიმტკიცე, ვარიაციული და ნულოვანი განწყობის ტიპების სიჭარბე. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პერცეფტული განწყობის ფორმირებაში სენსორულ ფაქტორს დომინანტური როლი ენიჭება.

Майя Робакидзе

## Сравнительная характеристика установок фиксированных различными каналами

## Резюме

При сравнении установок фиксированных различными каналами обнаружались следующие закономерности: эффекты сенсорной и перцептивной установок, фиксированной по традиционной схеме Д.Н.Узнадзе отличаются от установки выработанной на непосредственно феноменологическое неравенство прочностью, а также и процентным распределением типов угасания фиксированной установки. Установка, выработанная на непосредственно феноменологическое неравенство, характеризуется меньшей прочностью, большей частотой переменных и нулевых типов угасания фиксированной установки, что позволяет нам сделать предположение о ведущей роли сенсорного фактора в проявлении установки.

Maya Robakidze

## Comparative description of Sets fixed through the different channels

## Summary

The aim of our research is to compare sets formed on the three different levels: first, it is the set fixed on the sensory unequivalence (in condition of phenomenal equivalence); second, it is the set fixed on the phenomenal unequivalence (in condition of sensory equivalence) and the third, it is the set fixed on both sensory and phenomenal unequivalence. (The set was fixed according to the traditional method adopted in Uznadze Psychological School). In consequence of statistical analysis of our experiments' we obtained following results: the strength of the set illusion formed on sensory unequivalence and set formed on both sensory and phenomenal unequivalence prevailed over the same index of the set fixed on the phenomenal unequivalence. The research also revealed differences in frequency of set extinction types between the set fixed on the phenomenal unequivalence and two other forms of sets: set fixed on the phenomenal unequivalence has prevailing type of set extinction as the variable set; but the constant type of set extinction mainly characterize set fixed on the sensory unequivalence as the set fixed on both sensory and phenomenal one. These results prove our hypothesis about predominating of sensory factor in the process of set formatting.



## კულტურული მემკვიდრეობის ქიმიისათვის (ნაწილი I - ფრესკის კონსერვაცია/რესტავრაციისათვის)

მამუკა მაცაბერიძე<sup>1</sup>, ინგა ჯანელიძე<sup>2</sup>

<sup>1</sup>პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი

<sup>2</sup>ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი

### აბსტრაქტი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ჩვენი ქვეყნის სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარების უკვდავი მატრიანე, ქართველი ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის კოგნიტურ-სახელოვნებო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. წინამდებარე სტატია წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის გეგმის მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მცდელობას. როგორც ცნობილია კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის გეგმა მოიცავს მეცნიერულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ რეგლამენტირებას, განსაზღვრავს ძირითად რეგულაციებსა და მისაღები სამუშაოების ნუსხას, აგრეთვე მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნებისა და გამოყენების პროცედურებს.

სტატიაში განხილულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის გამოყენებადი ქიმიური სუბსტანციების ფუნქციური მახასიათებლები და ფრესკის ფერწერული ფენის ხანგამძლეობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების მართვის ქიმიური ასპექტები.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის გეგმა, ქიმიური სუბსტანციების ფუნქციური მახასიათებლები, ფრესკის ფერწერული ფენის ხანგამძლეობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორები, ვენეციის ქარტია, UNESCO, ICOMOS, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების

ავთენტურობა, კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია, ჯონ რასკინი, უილიამ მორისი, ეჟენ ვიოლე-ლე-დიუვი, მაღალმოლეკულური ნაერთების სასიცოცხლო ციკლი, სარესტავრაციო/საკონსერვაციო მასალა, ქარხნულად დამზადებული სარესტავრაციო/საკონსერვაციო პოლიმერული მასალები, ფრესკული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავი ქიმიური სუბსტანციები, ჩამქრალი კირის საღებავები, წებოს საღებავები, ტემპერის საღებავები, ჩენინო ჩენინი, ჯორჯო ვასარი, ჯოტო, მიქელანჯელო, პერუჯინო, „ტრილონ ბ“, BASF, ხელატირების ფუნქციის ქიმიური აგენტი - Chelating Agent, პოლიელექტროლიტი, იზოპროპილის- და უაით სპირტები, ფიჭვის ეთერზეთი, პინენი, მეთილცელულოზა, კარბოქსიმეთილცელულოზა, პოლივინილის სპირტი, ფრესკის გაწმენდა ჭვარტლისა და ფისისებრი ნივთიერებებისაგან, ქსილოლი, ტოლუოლი, საფრესკო ანტიესპტივები, კატამინ AB, პოლიმერული ბიოციდი კატაპოლი (Catapol), ბიოციდური პროდუქტების დირექტივა REACH (Registration, Evaluation, and Authorisation of Chemicals) - „ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაცია, შეფასება და ავტორიზაცია“ ევროპული კანონმდებლობით, 10% პოლივინილაცეტატური დისპერსია, ვინილაცეტატის და ეთილენის თანაპოლიმერის 3-5% დისპერსული ნარევი, დისპერსია თანაპოლიმერისა ვინილაცეტატისა 2-ეთილჰექსილაკრილატთან, სილიციუმორგანული პოლიმერები, დაბალმოლეკულური პოლიორგანულსილოქსანები, წყალგაუმტარი სილოქსანები.

### კულტურული მემკვიდრეობის კოგნიტური მახასიათებლები და თანამედროვეობა

კულტურული მემკვიდრეობის თანამედროვე რაობა წარმოადგენს საზოგადოების ღირებულებებისა და მოთხოვნების განვითარების შედეგს. წარსულ წლებში ძირითადი ყურადღება მიმართული იყო ხელოვნების ცალკეული ნიმუშებისა და ძეგლებისაკენ.

დღეს კულტურული მემკვიდრეობა აღიქმება მისი ყოვლისმომცველობითი გაგებით და მოიცავს ნებისმიერ მახასიათებელს, რომელიც ასახავს ადამიანის ქმედებებსა და კოგნიტურ მიღწევებს კაცობრიობის განვითარების მთელ ტრანექტორიაზე.

რადგან კულტურული მემკვიდრეობა მსოფლიოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი არა-განახლებადი რესურსია - განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო ადამიანის მოთხოვნილებებსა და მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებს შორის წონასწორობის აღსადგენა-შენარჩუნებისათვის.

კულტურული მემკვიდრეობის მდგენელები, მათი კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლოა ასოცირებულ იქნენ ნაირგვარ ღირებულებებთან<sup>1</sup>, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებენ სხვადასხვა შემთხვევაში მათი დაცვა-შენარჩუნების სპეციფიკას.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის, მისი ღირებულებებისა და მის დაცვა-შენარჩუნებასთან დაკავშირებული ცნებები მკაფიოდ უნდა იქნან განსაზღვრულ-განმარტებულნი, რათა თავიდან აცილებულ იქნას ცნების სემანტიკის მცდარი გაგება.

კულტურული მემკვიდრეობის დახასიათების, მასთან დაკავშირებული ღირებულებების განსაზღვრისა და შესაბამისი დამცავი პოლიტიკის შემუშავების საკითხი განხილულია UNESCO<sup>2</sup>-ს მიერ შექმნილ მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში, კერძოდ, მთელ რიგ

<sup>1</sup> მემკვიდრეობის შეფასების ანგარიში. საქართველო. თბილისი 2015 - <https://rm.coe.int/168070b5f5>

<sup>2</sup> UNESCO: United Nations Educational, Scientific and Cultural Organization. The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO) was born on 16 November 1945. UNESCO has 195 Members and 8 Associate Members and is governed by the General Conference and the Executive Board. The Secretariat, headed by the Director-General, implements the decisions of these two

რეკომენდაციებსა და კონვენციებში. რეკომენდაციები წარმოადგენენ ერთგვარ სახელმძღვანელოს კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული სახეობების მიხედვით, როგორცაა არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიული არეალები და შენობები. კონვენციები კი, როგორცაა, მაგალითად, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, წევრი სახელმწიფოს კანონმდებლის მიერ რატიფიცირებულია, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტია, რომელიც ცნობილია, როგორც „ვენეციის ქარტია“. ვენეციის ქარტია მიღებულ იქნა 1964 წელს ვენეციაში გამართულ არქიტექტორებისა და ისტორიული ძეგლების სპეციალისტების მეორე საერთაშორისო კონგრესზე ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭომ (ICOMOS<sup>3</sup>), რომელიც დაარსდა 1965 წელს, ვენეციის ქარტია მის ფუძემდებელ საწესდებო დოკუმენტად აღიარა [1]. აღნიშნული დოკუმენტი გახდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის პოლიტიკის საფუძველი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა/შენარჩუნების სტრატეგია შემუშავებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის შემდეგი პრინციპების მიხედვით:

ა) უზრუნველყოფილ უნდა იქნას კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების შესაძლებლობა (რევერსიულობა):

- თუკი ეს ტექნიკურად შესაძლებელია, გამოყენებულ უნდა იქნას მასალები, რომელთა მიერ გამოწვეული ზემოქმედების აღმოფხვრა შესაძლებელია;
- დაცვა/შენარჩუნებამ შეუძლებელი არ უნდა გახადოს ოდესმე, მომავალში აუცილებელი ჩარევა;
- დაცვა/შენარჩუნების შემდეგ მიუწვდომელი არ გახდეს ობიექტის რომელიმე ინფორმატიული კომპონენტი.

ბ) კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებმა უნდა შეინარჩუნონ ავთენტურობა:

- უზრუნველყოფილ უნდა იქნას არსებული ისტორიული მასალის მაქსიმალურად შენარჩუნება (მასალის ავთენტურობა);
- უზრუნველყოფილ უნდა იქნას თავდაპირველ მხატვრულ გადაწყვეტასა და ხელობასთან ჰარმონიული შერწყმა (ფერით, ტონალობით, ფაქტურით, ფორმითა და მასშტაბით);

---

bodies. The Organization has more than 50 field offices around the world and its headquarters are located in Paris. UNESCO's mission is to contribute to the building of a culture of peace, the eradication of poverty, sustainable development, and intercultural dialogue through education, the sciences, culture, communication, and information. <https://www.un.org/youthenvoy/2013/08/unesco-United-nations-educational-scientific-and-cultural-organization/>

<sup>3</sup> ICOMOS is a non-governmental international organization dedicated to the conservation of the world's monuments and sites.

<https://www.icomos.org/en>

- ახალი დანამატები არ უნდა დომინირებდნენ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის თავდაპირველ ქსოვილზე, არამედ ანგარიშს უნდა უწევდნენ ობიექტის არქეოლოგიურ პოტენციალს;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი, დაცვა/შენარჩუნების პროცედურის შემდგომ უნდა აკმაყოფილებდეს მხატვრული გადაწყვეტის, მასალის, ხელობის, გარემოს და, კულტურული ლანდშაფტის შემთხვევაში - მისი გამორჩეული ხასიათისა და კომპონენტების ავთენტურობის ტესტს.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა/შენარჩუნების პროცედურა რთული წამოწყებაა, რომელიც მოითხოვს კონსერვაციის საერთაშორისო პრინციპების ზუსტ ცოდნას. კონსერვაციის სპეციალისტებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ კონსერვაციის მეთოდების გამოყენება. კონსერვაციის თითოეული პროექტი სათანადოდ შესწავლილ და შეფასებულ უნდა იქნას, პრობლემები კი რეალური საჭიროებებისა და პირობების შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის სპეციალისტებს სიფრთხილე მართებთ წინასწარი ინტუიციური გადაწყვეტილებების მიღებისას. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა/შენარჩუნების პროცედურის სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მსგავს ძეგლებზე ადრე განხორციელებული ქმედებების გამოცდილება. ობიექტების დაცვა/შენარჩუნების პროცედურა უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ მონიტორინგს მისი ეფექტურობის შეფასების მიზნით.

კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია ქვეყნისა თუ ადგილობრივი თემის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. ამგვარი უძვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის გადაუდებლად აუცილებელი პირობაა.

მრავალი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსად იქცა კულტურული ტურიზმი. რაციონალურად დაგეგმილი კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს, აუმჯობესებს ადგილობრივ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას და ავითარებს ადგილობრივი თემის ცხოვრების პირობებს. აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის გააზრება არა მხოლოდ ჩვენი წარსულის მონაპოვრად, არამედ როგორც აწმყოსა და მომავლის მსაზღვრელ მდგენელად.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის რისკ-ფაქტორებიც, რომლებიც თან სდევს უკონტროლო და მასობრივ ტურიზმს, კერძოდ, მისი უარყოფითი გავლენა როგორც ადგილობრივ თემზე, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე. კიდევ ერთი ფაქტორი, თუ რატომ გვმართებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არის ის, რომ აღნიშნული მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არაგანახლებადი რესურსია. განადგურებული საგანძურის განმეორებით შექმნა ან აღდგენა შეუძლებელია, ამიტომ

კულტურული ფასეულობის განადგურება აუნაზღაურებელი დანაკარგია მთელი კაცობრიობისათვის.

საყურადღებოა, რომ არქიტექტურულ კონსერვაციასა და უძველესი ნიმუშების დაცვას ბიძგი მიეცა მე-18 მე-19 საუკუნეებში. ეს იყო ტრიგერული პასუხი მოდერნიზმზე და მის არქიტექტურულ პერსპექტივაზე, რომელმაც უარყო ძველი არქიტექტურული სენტიმენტალიზმი და ჩაანაცვლა ახალი ტექნოლოგიებითა და არქიტექტურული პროგრესით. ამ დრომდე ხანდაზმული შენობები მხოლოდ იმ შემთხვევაში ინარჩუნებდნენ იერსახეს, თუ რაიმე განსაკუთრებული კულტურული ან რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდათ ან ჯერ კიდევ აღმოუჩენელი იყო.

არქიტექტურული კონსერვაციის მოძრაობის განვითარება და ზრდა დაიწყო კონკრეტული არქეოლოგიური აღმოჩენებისა და მეცნიერული პროგრესის პარალელურად. ამ სფეროში გათვითცნობიერებულმა ხალხმა დაიწყო არქიტექტურული ნიმუშების გარჩევა, როგორც “სწორი” და “არასწორი”. აქედან გამომდინარე, არქიტექტურის კონსერვაციის სფეროში ორი სკოლა ჩამოყალიბდა.

შენარჩუნება/ კონსერვაცია გამოიყენებოდა არქიტექტურული სკოლის მიმართ რომელიც მხარს უჭერდა ზომებს, რაც დაიცავდა და შეინარჩუნებდა ძეგლებს არსებულ მდგომარეობაში ან თავიდან აიცილებდა შემდგომ დაზიანებას და ობიექტის მდგომარეობის გაუარესებას. არქიტექტურული აზროვნების ეს სკოლა მიიჩნევდა ძეგლის თავდაპირველ, ორიგინალ სახეს მართებულად.

კონსერვაცია/შენარჩუნების ორი ყველაზე აქტიური მომხრე მე-19 საუკუნეში იყვნენ: ხელოვნების კრიტიკოსი ჯონ რასკინი და ხელოვანი უილიამ მორისი [2]. პირველ მაგალითად, როდესაც თეორიული ცოდნის გამოყენება მოხდა კონსერვაციის მიზნებისთვის, მაინც მიიჩნევა „უძველესი შენობების დაცვის საზოგადოების“ შექმნა დიდ ბრიტანეთში 1877 წელს. საზოგადოება უილიამ მორისმა და ფილიპ უებმა დააარსეს. ორივე ჯონ რასკინის იდეების მიმდევარი იყვნენ. რესტავრაციას უწოდებდნენ კონსერვაციონისტების სკოლას, რომლის მიმდევართაც სჯეროდათ, რომ ისტორიული შენობების გაუმჯობესება და ზოგჯერ დასრულებაც შესაძლებელია, თანამედროვე ტექნოლოგიის, მასალისა და დიზაინის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით, ის წააგავს მოდერნისტულ არქიტექტურულ თეორიას იმ განსხვავებით, რომ ის არ გულისხმობს უძველესი შენობების განადგურებას. ამ თეორიის ერთერთი ყველაზე გამორჩეული მხარდამჭერი მე-19 საუკუნეში იყო ფრანგი არქიტექტორი და თეორეტიკოსი ეჟენ ვიოლე-ლე-დიუკი, რომელმაც სახელი შუასაუკუნეების შენობების აღდგენით გაითქვა. შუა საუკუნეების ტაძრების ვიქტორიანული რესტავრაცია ფართოდ იყო გავრცელებული ინგლისში და სხვაგანაც.

## კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის გამოყენებადი ქიმიური სუბსტანციები

კულტურული მემკვიდრეობის დასაცავი ქიმიკატების ნუსხაში შედიან არაორგანულ და ორგანულ ნივთიერებათა ყველა სახეობები, მათ შორისაა პოლიმერები, როგორც ბუნებრივი წარმოშობის ასევე სინთეზის გზით მიღებულნი.

პოლიმერთა ფართო ფუნქციური დიაპაზონი საშუალებას იძლევა მათი სარესტავრაციოდ გამოყენებისა ისეთი მასალებისათვის, რომლებიც სხვადასხვა წარმოშობისანი არიან.

მაკრომოლეკულურ ნაერთთა ხსნარები ორგანულ გამხსნელებში გამოიყენებიან წებოების სახით. პოლიმერთა წყალხსნარების გამოყენებით იღებენ ისეთ ფირებს, რომლებიც ზედაპირებიდან სორბრციის საშუალებით იღებენ დაბინძურებას.

მაღალმოლეკულური ნაერთების გამოჩენის დროიდან დაიწყო კვლევები მათი „სასიცოცხლო ციკლების“ ხანგრძლივობის დასადგენად.

სხვადასხვა მაკრომოლეკულების სტრუქტურის მქონე პოლიმერები ხასიათდებიან განსხვავებული მდგრადობით გარემოს ზემოქმედების მიმართ. პოლიმერთა „დაბერება“ მიმდინარეობს:

1. სიმტკიცის დაქვეითებით (ანუ დესტრუქციით და მონომერული ნაერთების გამოყოფით).
2. ხსნადობის დაქვეითებით (სამგანზომილებიანი სტრუქტურის ჩამოყალიბება - მონომერის მოლეკულების „შეკერვა“).
3. გამუქება ან ფერის შეცვლა (პოლიმერის ჯაჭვის გვერდითა ჯგუფების ცვლილება და რეაქციის პროდუქტების გამოყოფა).

მიუხედავად პოლიმერების ქიმიის თანამედროვე ტექნოლოგიური და პრაქტიკული მიღწევებისა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში პოლიმერების მხოლოდ მცირე რაოდენობაა გამოყენებული. საყურადღებოა, რომ რესტავრაციის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შესაძლებელია მხოლოდ ისეთი პოლიმერის გამოყენება, რომლის კონტაქტი ექსპონატთან მიზანშეწონილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით. თუმცა, ძნელად წარმოსადგენია იმგვარი პოლიმერის მოძიება, რომელიც იარსებებდა კულტურის ძეგლთან ერთად დიდი ხნის განმავლობაში, სარესტავრაციო საწყისი ხარისხის შენარჩუნებით.

მრავალწლიანმა გამოცდილებამ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა, გააჩინა საშუალება, კულტურული მემკვიდრეობის დასაცავ პოლიმერთა ქვემოთჩამოთვლილი შესარჩევი კრიტერიუმებით დახასიათებისათვის:

6. Amin MB, Trpkov K, Lopez-Beltran A, Grignon D; Members of the ISUP Immunohistochemistry in Diagnostic Urologic Pathology Group. Best practices recommendations in the application of immunohistochemistry in the bladder lesions: report from the International Society of Urologic Pathology consensus conference. *Am JSurg Pathol.* 2014;38(8):e20-e34. doi:10.1097/PAS.0000000000000240.
7. Genega EM, Hutchinson B, Reuter VE, Gaudin PB. Immunophenotype of high-grade prostatic adenocarcinoma and urothelial carcinoma. *Mod Pathol.* 2000;13(11):1186- 1191. doi:10.1038/modpathol.3880220
8. Chuang AY, DeMarzo AM, Veltri RW, Sharma RB, Bieberich CJ, Epstein JI. Immunohistochemical differentiation of high-grade prostate carcinoma from urothelial carcinoma. *Am J Surg Pathol.* 2007;31(8):1246-1255. doi:10.1097/PAS.0b013e31802f5d33.
9. Hameed O, Humphrey PA. Immunohistochemistry in diagnostic surgical pathology of the prostate. *Semin Diagn Pathol.* 2005;22(1):88-104. doi:10.1053/j.semmp.2005.11.001
10. Hameed O, Humphrey PA. Immunohistochemistry in diagnostic surgical pathology of the prostate. *Semin Diagn Pathol.* 2005;22(1):88-104. doi:10.1053/j.semmp.2005.11.001
11. Higgins JP, Kaygusuz G, Wang L, et al. Placental S100 (S100P) and GATA3: markers for transitional epithelium and urothelial carcinoma discovered by complementary DNA microarray. *Am J Surg Pathol.* 2007;31(5):673-680. doi:10.1097/01.pas.0000213438.01278.5f
12. Miettinen M, McCue PA, Sarlomo-Rikala M, et al. GATA3: a multispecific but potentially

- useful marker in surgical pathology: a systematic analysis of 2500 epithelial and non-epithelial tumors. *Am J Surg Pathol*. 2014;38(1):13-22.  
doi:10.1097/PAS.0b013e3182a0218f
13. Rubin MA, Zhou M, Dhanasekaran SM, et al. alpha-Methylacyl coenzyme A racemase as a tissue biomarker for prostate cancer. *JAMA*. 2002;287(13):1662-1670.  
doi:10.1001/jama.287.13.1662.
  14. Luo J, Zha S, Gage WR, et al. Alpha-methyl acyl-CoA racemase: a new molecular marker for prostate cancer. *Cancer Res*. 2002;62(8):2220-2226.
  15. Paner GP, Luthringer DJ, Amin MB. Best practice in diagnostic immunohistochemistry: prostate carcinoma and its mimics in needle core biopsies. *Arch Pathol Lab Med*. 2008;132(9):1388-1396. doi:10.5858/2008-132-1388-BPIDIP
  16. Ud Din N, Qureshi A, Mansoor S. Utility of p63 immunohistochemical stain in differentiating urothelial carcinomas from adenocarcinomas of prostate. *Indian J Pathol Microbiol*. 2011;54(1):59-62. doi:10.4103/0377-4929.77326
  17. Ordóñez NG. Thrombomodulin expression in transitional cell carcinoma. *Am J Clin Pathol*. 1998;110(3):385-390. doi:10.1093/ajcp/110.3.385
  18. Mohammed KH, Siddiqui MT, Cohen C. GATA3 immunohistochemical expression in invasive urothelial carcinoma. *Urol Oncol*. 2016;34(10):432.e9-432.e13.  
doi:10.1016/j.urolonc.2016.04.016
  19. McDonald TM, Epstein JI. Aberrant GATA3 Staining in Prostatic Adenocarcinoma: A Potential Diagnostic Pitfall. *Am J Surg Pathol*. 2021;45(3):341-346.  
doi:10.1097/PAS.0000000000001557.
  20. Chou J, Provot S, Werb Z. GATA3 in development and cancer differentiation: cells GATA has it! *J Cell Physiol*. 2010;222(1):42-49. doi:10.1002/jcp.21943.
  21. Miettinen M, McCue PA, Sarlomo-Rikala M, et al. GATA3: a multispecific but potentially useful marker in surgical pathology: a systematic analysis of 2500 epithelial and non-epithelial tumors. *Am J Surg Pathol*. 2014;38(1):13-22.  
doi:10.1097/PAS.0b013e3182a0218f
  22. Tian W, Dorn D, Wei S, et al. GATA3 expression in benign prostate glands with radiation atypia: a diagnostic pitfall. *Histopathology*. 2017;71(1):150-155.  
doi:10.1111/his.13214
  23. Olsburgh J, Harnden P, Weeks R, et al. Uroplakin gene expression in normal human tissues and locally advanced bladder cancer. *J Pathol*. 2003;199(1):41-49.  
doi:10.1002/path.1252
  24. Kageyama S, Yoshiki T, Isono T, et al. High expression of human uroplakin Ia in urinary bladder transitional cell carcinoma. *Jpn J Cancer Res*. 2002;93(5):523-531.  
doi:10.1111/j.13497006.2002.tb01287.
  25. Mhaweche P, Uchida T, Pelte MF. Immunohistochemical profile of high-grade urothelial bladder carcinoma and prostate adenocarcinoma. *Hum Pathol*. 2002;33(11):1136-1140.

doi:10.1053/hupa.2002.129416

26. Xu X, Sun TT, Gupta PK, Zhang P, Nasuti JF. Uroplakin as a marker for typing metastatic transitional cell carcinoma on fine-needle aspiration specimens. *Cancer*. 2001;93(3):216-221. doi:10.1002/cncr.9032
27. Chuang AY, DeMarzo AM, Veltri RW, Sharma RB, Bieberich CJ, Epstein JI. Immunohistochemical differentiation of high-grade prostate carcinoma from urothelial carcinoma. *Am J Surg Pathol*. 2007;31(8):1246-1255. doi:10.1097/PAS.0b013e31802f5d33

#### Abbreviations:

PAC - Prostatic AdenoCarcinomaUC -

Urothelial Carcinoma

WHO/ISUP – World Health Organization/the International Society of Urologic Pathologists  
PSA - Prostate-Specific Antigen

PSAP - Prostate-Specific Acid Phosphatase PSMA -

Prostate-Specific Membrane Antigen

ERG - Erythroblast transformation specific-Related Gene

AMACR - Alpha-Methyl-Acyl-CoA Racemase

HMWCK - High Molecular Weight Cytokeratin

დიაგნოსტიკური სირთულეები მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის პროსტატის  
ადენოკარცინომისა და მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის უროთელური კარცინომის  
თანაარსებობისას - ლიტერატურის მიმოხილვა  
შრეიას ბჰუმან ჯეიადი<sup>1</sup>, მანანა ჯიქურაშვილი<sup>2</sup>

<sup>1</sup>დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტი <https://orcid.org/0000-0002-5875-2497>

<sup>2</sup>პათოლოგიის დეპარტამენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,  
<https://orcid.org/0000-0002-1472-7417>

**აბსტრაქტი:** მამაკაცებში ორ ყველაზე გავრცელებულ სიმსივნეს მიეკუთვნება პროსტატის ადენოკარცინომა და გარდამავალუჯრედული, იგივე უროთელური კარცინომა. ორივე სიმსივნე შესაძლოა გამოვლინდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად პროსტატაში ან შარდის ბუშტში ან ერთდროულად ცალკეულ სიმსივნეებად, რომლებიც ერთ-ერთ ორგანოშია გავრცელებული ან სპორადულად ე.წ. შერწყმული სიმსივნის სახით. პათოლოგანატომისათვის ამ სიმსივნეების ერთმანეთისაგან განსხვავება წარმოადგენს დიაგნოსტიკურ სირთულეს მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის მქონე ფორმების დროს, როდესაც ხდება სიმსივნის ირგვლივმდებარე ორგანოებში გავრცელება. აღნიშნული

სიმსივნეების განსხვავებული მკურნალობის ტაქტიკის გამო მნიშვნელოვანია მათი სწორი დიაგნოსტიკა.

ჩვენი მიმოხილვითი სტატიით შეკრებილია ინფორმაცია დიაგნოსტიკური სირთულეებისა და გადამწყვეტი იმუნოჰისტოქიმიური მარკერების შესახებ პროსტატის ადენოკარცინომისა და უროთელური კარცინომის სწორად დიფერენცირების მიზნით. ამ მიმოხილვაში გამოყენებულია PubMed და Google Scholar მონაცემთა ბაზების აკადემიურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები. მათგან მოპოვებულია პათოლოგანატომებისათვის მნიშვნელოვანი, აქტუალური და უახლესი ინფორმაცია.

წარმოდგენილი მიმოხილვით გამოვლინდა რომ: 1) პროსტატის ადენოკარცინომისა და უროთელური კარცინომის დიფერენცირების მიზნით ყველაზე ინფორმატიული იმუნოჰისტოქიმიური მარკერებია: NKX3.1, p63, თრომბომოდულინი და GATA3. 2) პროსტატის სპეციფიკური ანტიგენი (PSA) არის კარგი კლინიკური სასკრინინგო მარკერი, თუმცა მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის მქონე სიმსივნეებში ის კარგავს სენსიტიურობას (რაც უფრო მაღალია ავთვისებიანობის ხარისხი, იგივე გრეიდი, მით უფრო დაბალია PSA მგრძობელობა/შედგენის ინტენსივობა) და სწორად ვერ ადიფერენცირებს აღწერილ სიმსივნეებს ერთმანეთისაგან. 3) უროთელური კარცინომის გამოსავლენად HMWCK (34βe12) და p63 უფრო ეფექტურია, ვიდრე თრომბომოდულინი და S100p. 4) თრომბომოდულინი გამოირჩევა ზომიერი მგრძობელობით უროთელური კარცინომის დიაგნოსტიკაში. 5) ციტოკერატინი 7 და 20 შესაძლოა დადებითი იყოს როგორც უროთელური კარცინომის, ასევე პროსტატის ადენოკარცინომის დროს, ამიტომ მათი გამოყენება ნაკლებად სასარგებლო ინფორმაციის მომცემია.

წარმოდგენილი მარკერების ოპტიმალური კომბინაციით შესაძლებელია გაუმჯობესებულ იქნას აღწერილი სიმსივნეების დიფერენციული დიაგნოსტიკა.

**საძიებო სიტყვები:** პროსტატის ადენოკარცინომა, უროთელური კარცინომა, იმუნოჰისტოქიმიკა, პათოლოგიური დიაგნოზი, შერწყმული სიმსივნე

## კანის ბაზალურუჯრედოვანი და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომების პროგრესიისა და რეციდივის რისკის მოლეკულური მახასიათებლების პრობლემური საკითხები

გიორგი არველაძე<sup>1</sup>, რიმა ბერიაშვილი<sup>2</sup>, შოთა კეპულაძე<sup>3</sup>, გიორგი ბურკაძე<sup>4</sup>

<sup>1</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის Phd სტუდენტი; ექიმი-დერმატოლოგი;

<sup>2</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ციტოპათოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

<sup>3</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის Phd სტუდენტი; ექიმი პათოლოგანატომი;

<sup>4</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

### აბსტრაქტი

კანის არამელანომური სიმსივნეები წარმოადგენს საკმაოდ ხშირ სიმსივნურ პათოლოგიას. განსაკუთრებით მაღალი ავთვისებიანობით ხასიათდება კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, რომელსაც ახასიათებს მაღალი მეტასტაზირების უნარი. თუმცა ასევე ნაჩვენებია, რომ კანის ბაზალურ კარცინომის მქონე პაციენტებში გაზრდილია კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის განვითარების რისკი. აღნიშნული სიმსივნეების მოლეკულური ფენოტიპი, ისევე როგორც პროგრესიის მარკერები კარგად შესწავლილი არაა. ასევე არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება ამ სიმსივნეების წარმოშობის შესახებ, თუმცა ვარაუდობენ, რომ ორივე აღნიშნულ სიმსივნეს გააჩნია საერთო წინამორბედი ბაზალური უჯრედი, კერძოდ, ბაზალურ უჯრედოვან კარცინომას კანის დანამატების ბაზალური უჯრედები, ხოლო ბრტყელუჯრედოვან კარცინომას ეპიდერმისის ბაზალური უჯრედები. სადღეისოდ არსებულ ლიტერატურაში არსებობს მხოლოდ მწირი და ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები კანის არამელანომური სიმსივნეების მოლეკულური მარკერებისა და მათი პროგრესიის რისკის შესახებ. გარდა ამისა არ არის შესწავლილი კორელაციური კავშირი კანის ალამერანომური სიმსივნეების დერმოსკოპიულ მონაცემებსა და ჰისტოპათოლოგიურ მახასიათებლებს შორის. ჩვენს მიერ წარმოდგენილ სადოქტორო კვლევის პროგრამაში დეტალურად იქნება შესწავლილი კანის არამელანომური სიმსივნეების, კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის მოლეკულური მახასიათებლები, კერძოდ აღნიშნული სიმსივნეების პროგრესიის და რეციდივის რისკის მარკერები. ასევე შესწავლილი იქნება დერმოსკოპიულ და

ჰისტოპათოლოგიურ მონაცემებს შორის კორელაციური კავშირები. ამიტომ მნიშვნელოვანია ბაზალური უჯრედების ფენოტიპური თავისებურებების შესწავლა და მათი მოლეკულური მახასიათებლების გამოყენება აღნიშნულ დაავადებათა რეციდივისა და პროგრესიის რისკის შესაფასებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომა; ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა; მოლეკულური მარკერები;

კანის არამელანომური სიმსივნეები წარმოადგენს საკმაოდ ხშირ ავთვისებიან პათოლოგიას. საქართველოში, ყოველ 100 000 მოსახლეზე ვითარდება 4.8 კანის არამელანომური სიმსივნე[1]. კანის არამელანომური სიმსივნეების 70-80% წარმოდგენილია ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომით, ხოლო დაახლოებით 20-30% კი ბრტყელუჯრედოვანი კარცინომით. კანის არამელანომური სიმსივნეები ხასიათდება განსხვავებული ქცევით, ზრდისა და მეტასტაზირების უნარით. მეტასტაზური ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომა საკმაოდ იშვიათია და სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 0,02-ს 100,000 შემთხვევიდან. მეორე მხრივ, ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა ხასიათდება უფრო მაღალი მეტასტაზირების უნარით, რომელიც ცვალებადობს 0,1-9,9%-მდე და იგი წარმოადგენს კანის არამელანომური კარცინომებით სიკვდილიანობის დაახლოებით 75%-ს.[2]

კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა წარმოადგენს კანის ეპითელიური წარმოშობის პირველადი სიმსივნეების 75%-ს (5). ახასიათებს ნელი ზრდა და იშვიათად იძლევა მეტასტაზებს დაბალი ანგიოგენური პოტენციალის გამო, თუმცა გააჩნია ლოკალური ინვაზიის, ქსოვილის დესტრუქციისა და რეციდივის განვითარების უნარი[5]. ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის ინდივიდუალური რისკ-ფაქტორებია სქესი, ასაკი, იმუნოსუპრესია, კანის ნათელი ფოტოტიპი (I and II, Fitzpatrick classification), კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის ოჯახური ანამნეზი, ჭორფლები, კანისა და თმის ღია შეფერილობა. გარემოს რისკ-ფაქტორებიდან კარგად შესწავლილია კანზე მზის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება. ულტრაიისფერი B გამოსხივება (UBV) დნმ-ში წარმოქმნის მუტაგენურ ფოტო-პროდუქტს, როგორცაა ციკლოპირიმიდინის დიმერი და იწვევს სიმსივნის სუპრესორი P53 გენის მუტაციას. ულტრაიისფერი A გამოსხივება (UAV) კი ახდენს არაპირდაპირ ზემოქმედებას ციტოტოქსიური და მუტაგენური თავისუფალი რადიკალების დაგროვებით[2], [3].

ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის პათოგენეზი, ძირითადად, დაკავშირებულია Hedgehog სასიგნალო გზის აქტივაციასთან. უჯრედშიდა Hedgehog (Hh) ცილების ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ემბრიოგენული განვითარების მრავალ ფუნდამენტურ პროცესში. კანში Hh სასიგნალო გზა პასუხისმგებელია ღეროვანი უჯრედების პოპულაციის შენარჩუნებაზე, თმის ფოლიკულებისა და ცხიმოვანი ჯირკვლების განვითარებაზე. Hh სასიგნალო გზის ცენტრალური კომპონენტები წარმოადგენილია სამი სეკრეტირებული ლიგანდით (Sonic HH, indiana HH and Desert HH), ტრანსმემბრანული რეცეპტორის ცილებით (PTCH1 and PTCH2), SMO ცილით და ბოლოს, GLI ტრანსკრიფციის ფაქტორებით (Gli1, Gli2, Gli3). Hh სასიგნალო გზის გააქტიურება დამოკიდებულია სპეციალიზებულ სტრუქტურაზე, რომელიც გვხვდება თითქმის ყველა ტიპის უჯრედის პლაზმურ მემბრანაზე და მოქმედებს,

როგორც სენსორი უჯრედგარე სიგნალებისთვის. Hh სასიგნალო გზა აქტიურდება, როდესაც HH ლიგანდები უკავშირდებიან PTCH1-ს, რაც განაპირობებს SMO-ს ინჰიბიციას და ტრანსკრიფციის ფაქტორების გამოთავისუფლებას. ისინი გადაინაცვლებენ ბირთვში და იწვევენ სპეციფიკური გენების ტრანსკრიფციას, რომლებიც პასუხიმგებლები არიან უჯრედების თვითგანახლებაზე[4].

ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა ხასიათდება ინვაზიური ბრტყელუჯრედოვანი უჯრედების ატიპური პროლიფერაციით, რომელთაც გააჩნიათ მეტასტაზირების უნარი. გარდა ამისა, ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა ხასიათდება რეციდივის განვითარების მაღალი რისკით, რომელიც ასევე დამოკიდებულია სიმსივნის დიფერენციაციის ხარისხზე, დაზიანების სიღრმეზე, პერინევრულ ინვაზიაზე, პაციენტის იმუნური სისტემის მდგომარეობასა და ანატომიურ ლოკალიზაციაზე. იდენტიფიცირებულია კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომების განვითარების რამდენიმე რისკ-ფაქტორი, მათ შორის, დიდი დროის გატარება მზის ქვეშ, ადამიანის პაპილომაავირუსის მე-16, 18 და 31-ე ტიპები და კანის გენეტიკური პათოლოგიები, როგორებიცაა ალბინიზმი, პიგმენტური ქსეროდერმა და ვერუციფორმული ეპიდერმოლისპლაზია. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორია მზის სხივებისა და ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედება. ჩვეულებრივ ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა ვითარდება მზის მიერ ადვილად მიდგომად კანის ნაწილებში, კერძოდ, ამ სიმსივნეების 55% ვითარდება თავისა და კისრის რეგიონში. გარდა ამისა, ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა ხშირად ვითარდება ხელის მტევნებსა და წინამხრებზე. თუმცა, ასევე შესაძლებელია, შემთხვევათა 13%-ში კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის განვითარება ქვედა კიდურებზე. იგი წარმოადგენს საკმაოდ ხშირ დაზიანებას და გვხვდება მოზრდილთა პოპულაციის დაახლოებით 40%-ში[2], [5].

აქტინური კერატოზი ითვლება კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის ყველაზე ადრეულ მანიფესტაციად. აქტინური კერატოზის ბრტყელუჯრედოვან კარცინომად ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანია დისპლაზიის ხარისხი და P53-ის ექსპრესია. კვლევებმა აჩვენა, რომ P53 გენი მუტაციას განიცდის აქტინური კერატოზის შემთხვევების ნახევარში და კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის ნახევარზე მეტში, თუმცა, კავშირი აქტინური კერატოზის სისქესა და დისპლაზიის ხარისხს, ან P53 გენის ექსპრესიასთან არ არის კარგად გამოვლენილი. გარდა ამისა, შესწავლია T-კადჰერინების როლი აქტინური კერატოზის კანის ბრტყელუჯრედოვან კარცინომად ტრანსფორმაციის პროცესში. აღმოჩნდა, რომ აქტინური კერატოზი, რომელიც ხასიათდება ეპიდერმისის ბაზალურ შრეში T-კადჰერინის ნაწილობრივი, ან ვრცელი რეგიონალური კარგვით, გარდაიქმენა კანის T-კადჰერინ ნეგატიურ ბრტყელუჯრედოვან კარცინომად. სავარაუდოა, რომ ცალკეულ ნიმუშებში T-კადჰერინის დანაკარგი მიუთითებს აქტინური კერატოზის აგრესიულ ბრტყელუჯრედოვან ტრანსფორმაციაზე[4], [6].

კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის პათოგენეზისა და მოლეკულური მექანიზმების შესწავლისას ჩატარებული კვლევით აღმოჩნდა, რომ მხოლოდ სამი გენი (KRT16, PI3 and EGR3) ექსპრესირებს დიფერენცირებულად და მათგან EGR3 ხასიათდება ერთნაირი ექსპრესიით გამოსაკვლევი მასალის უმრავლესობაში. აღსანიშნავია, რომ EGR3 აღმოჩნდა ყველაზე



დიფერენცირებულად ექსპრესირებული გენი კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის შემთხვევაში, შესაბამისად, აქვს პოტენციალი, დადებითი როლი შეასრულოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროცესში[7].

კლინიკური კვლევებით ნაჩვენებია, რომ იმ ინდივიდებში, რომლებშიც ვითარდება კანის ბაზალური კარცინომა, ასევე აღინიშნება ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის ახალი უბნის განვითარების მაღალი რისკი. გარდა ამისა, იმატებს კანის სხვა სიმსივნეების განვითარების რისკიც, მათ შორის მელანომისა და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის. ბოლო 20 წლის განმავლობაში ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის და ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის განვითარების რისკი გაიზარდა 35% და 133%-ით შესაბამისად.[8], [9]

ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომები ხშირად კლასიფიცირდება როგორც აგრესიული და არააგრესიული. ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის მიკრონოდულური, ინფილტრაციული და სკლეროდერმიფორმული ჰისტოლოგიური ქვეტიპები ითვლება შედარებით უფრო აგრესიულად, ზედაპირულ და ნოდულურ ქვეტიპებთან შედარებით. რაც შეეხება ბრტყელუჯრედოვან კარცინომებს, არჩევენ მრავალ ჰისტოლოგიურ ტიპს, თუმცა შესაძლებელია მათი ორ ძირითად ქვეტიპად დაყოფა, როგორცაა კერატინიზებული და არაკერატინიზებული ბრტყელუჯრედოვანი კარცინომები. სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია, რომ არაკერატინიზებული ბრტყელუჯრედოვანი კარცინომები ხასიათდებიან ადამიანის პაპილომავირუსთან მკვეთრი ასოციაციით. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომ ბრტყელუჯრედოვანი კარცინომების დროს კერატინიზაცია ასოცირდება გაზრდილ სიკვდილიანობასთან [7], [9].

კანის ბიოფსიების გამოკვლევისას ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა ხასიათდება მნიშვნელოვანი ბტყელუჯრედოვანი ატიპიით, არანორმალური კერატინიზაციისა და ინვაზიური მახასიათებლებით. კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის დიფერენციალური დიაგნოსტიკისას შესაძლოა დაშვებულ იქნა შეცდომა, რადგან იგი მიკროსკოპულად ემსგავსება ისეთ კეთილთვისებიან პათოლოგიებს, როგორცაა ფსევდოეპითელიური ჰიპერპლაზია, ინვერსიული ფოლიკულური კერატოზი, კერატოაკანტომა და ავთვისებიან პათოლოგიებს, როგორცაა კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომა, მელანომა, მეტასტაზური კარცინომა. დიაგნოსტიკური კრიტერიუმების დროული შერჩევა, მჭიდრო კლინიკო-პათოლოგიური კორელაცია და შემდგომი, ღრმა ბიოფსიის მოთხოვნა რჩება ყველაზე სასარგებლო სტრატეგიად სწორი დიაგნოზის დასასმელად.

ვარაუდობენ, რომ კანის არამელანომური სიმსივნეების პროგრესიასა და მეტასტაზირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეპითელიურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია. მეზენქიმური უჯრედების წარმოშობა, რომლებიც მონაწილეობენ ქსოვილის რეპარაციასა და პათოლოგიურ პროცესებში, განსაკუთრებით ქსოვილის ფიბროზში, სიმსივნის ინვაზიურობასა და მეტასტაზირების პროცესში, კარგად არ არის შესწავლილი. თუმცა, ახალი მტკიცებულებების მიხედვით, ეპითელიურ მეზენქიმური ტრანსფორმაცია წარმოადგენს ამ უჯრედების ძირითად წყაროს. ეპითელიურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია, წარმოადგენს რთულ ბიოლოგიურ პროცესს, რომლის დროსაც ეპითელიური უჯრედები იძენენ მეზენქიმური უჯრედებისათვის სპეციფიკურ მახასიათებლებს, რაც გულისხმობს გაძლიერებულ

მიგრაციულ შესაძლებლობებს, ინვაზიურობას, აპოპტოზის მიმართ გაზრდილ წინააღმდეგობაა და უჯრედგარე მატრიქსის კომპონენტების გაზრდილ პროდუქციას. შესაბამისად, ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის დროს უჯრედები ხდება უფრო მეტად აგრესიული და გააჩნიათ მიმდებარე ქსოვილებში მიგრაციის უნარი. ეს პროცესი მოიცავს მრავალ საფეხურს, როგორებიცაა ტრანსკრიფციის ფაქტორების გააქტიურება, უჯრედის ზედაპირზე სპეციფიკური ცილების ექსპრესია, ციტოჩონჩხის ცილების რეორგანიზაცია და ექსპრესია, უჯრედგარე მატრიქსის დამშლელი ფერმენტების წარმოება და სპეციფიკური მიკრო-რნმ-ების ექსპრესიის ცვლილებები. ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის ნიშნები როგორც ინ ვიტრო ისე ინ ვივო არის: თითისტარისებური ფორმის უჯრედების წარმოქმნა, რომლებიც ემსგავსებიან ფიბრობლასტებს; მეზენქიმური მარკერების და ექსტრაცელულური მატრიქსის კომპონენტების ჭარბი ექსპრესია და სპეციფიკური ეპითელური ზედაპირული მარკერების და ციტოჩონჩხის კომპონენტების ექსპრესიის შემცირება. გარდა ამისა, ამ დროს ხდება სპეციფიკური ბირთვული ტრანსკრიპციის ფაქტორების ჭარბი ექსპრესიაც [10], [11].

ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია გვხვდება სამ ძირითად ბიოლოგიურ პარამეტრში, რომლებიც იწვევენ განსხვავებულ ფუნქციურ შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სიგნალები, რომლებიც განასხვავებენ ეპითელურ-მეზენქიმურ ტრანსფორმაციას სამპარამეტრში, ჯერ კიდერ არ არის შესწავლილი, ფუნქციური განსხვავება აშკარაა. ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია იმპლანტაციასთან, ემბრიონის ფორმირებასა და ორგანოთა განვითარებასთან, ორგანიზებულია სხვადასხვა ტიპის უჯრედების ფორმირებისთვის, რომელთაც აქვთ საერთო მეზენქიმური ფენოტიპი. ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია იყოფა სამ ძირითად კლასად. პირველი ტიპი არ იწვევს ფიბროზსა და ინვაზიურ ფენოტიპს ცირკულაციის მეშვეობით სისტემური გავრცელებით. ამ ტიპის შემთხვევაში წარმოიქმნება მეზენქიმური უჯრედები, რომელთაც აქვთ პოტენციალი შემდგომი ტრანსფორმაციით წარმოქმნან მეორეული ეპითელი. ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ჭრილობის შეხორცებასთან, ქსოვილების რეგენერაციასა და ფიბროზთან, მიეკუთვნება მეორე ტიპს. ამ ტიპის ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია იწყება, როგორც ქსოვილის რეპარაციასთან დაკავშირებული მოვლენა და ჩვეულებრივ წარმოქმნის ფიბრობლასტებსა და სხვა მონათესავე უჯრედებს ტრავმისა და ანთებითი დაზიანების შემდგომ ქსოვილის რეკონსტრუქციის მიზნით. ქსოვილის ფიბროზის ფონზე, მეორე ტიპის ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია რეაგირებს მიმდინარე ანთებით პროცესზე, რასაც შესაძლოა მოყვეს ორგანოს დესტრუქცია. მესამე ტიპის ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია ხდება ნეოპლაზიურ უჯრედებში, რომელთაც განიცადეს გენეტიკური და ეპიგენეტიკური ცვლილებები, კონკრეტულად იმ გენებში, რომლებიც ხელს უწყობენ კლონურ ზრდასა და ლოკალიზებული სიმსივნეების განვითარებას. კარცინომის უჯრედები, რომლებიც განიცდიან მესამე ტიპის ეპითელურ-მეზენქიმურ ტრანსფორმაციას, არიან მეტად ინვაზიურები და აქვთ მეტასტაზირების უნარი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სიმსივნის პროგრესირების სიცოცხლისთვის საშიში გამოვლინებები. მნიშვნელოვანია, რომ სიმსივნის

უჯრედები განიცდიან ეპითელურ-მეზენქიმურ ტრანსფორმაციას სხვადასხვა ზომით, მაგალითად, უჯრედების ნაწილი ინარჩუნებს ეპითელურ მახასიათებლებს და იძენს მეზენქიმურს, ნაწილი კი სრულად ტრანსფორმირდება მეზენქიმურ უჯრედად. ჯერ კიდევ უცნობია, რა სპეციფიკური სიგნალები იწვევენ მესამე ტიპის ეპითელურ-მეზენქიმურ ტრანსფორმაციას[10]–[12].

ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის დროს ხდება უჯრედების პოლარულობის და უჯრედ-უჯრედული ურთიერთქმედებების დაკარგვა, ამ პროცესის დროს აღინიშნება როგორც არხისებური ისე მკვრივი უჯრედ-უჯრედშორისი კავშირების შემცირება. კადჰერინებით გაშუალებული ადჰეზია წარმოადგენს დინამიკურ პროცესს, რომელიც რეგულირდება რამოდენიმე სასიგნალო გზით. გარდა ამისა არსებობს გარკვეული მტკიცებულებები, რომ კადჰერინები წარმოადგენენ არამარტო სამიზნეებს იმ სასიგნალო გზებისათვის რომლებიც არეგულირებენ უჯრედშორის ადჰეზიას, არამედ ისინი ასევე წარმოადგენენ სასიგნალო მოლეკულებს, რომლებიც არეგულირებენ ძირითად უჯრედულ ფუნქციებს, როგორებიცაა მიგრაცია, პროლიფერაცია, აპოპტოზი და უჯრედების დიფერენციაცია. ნაჩვენებია, რომ ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის დროს აღინიშნება კადჰერინების დაკარგვა (22). რაც ასევე ხელს უწყობს ბაზალური მემბრანის მთლიანობის დარღვევას. უფრო მეტიც, ასევე ვარაუდობენ, რომ ეპითელურ მეზენქიმური ტრანსფორმაციის დროს ხდება ციტოჩონჩხის ფილამენტების განაწილების შეცვლა, კერძოდ ეპითელური უჯრედებისათვის დამახასიათებელი ციტოკერატინის ფილამენტები, ჩანაცვლდება მეზენქიმური უჯრედებისათვის დამახასიათებელი ვიმენტინის ფილამენტებით[10], [13].

ასეთ დროს გამოცალკევებული უჯრედები შესაძლებელია მოხვდნენ ლიმფურ და სისხლძარღვებში და გამოიწვიონ შორეული მეტასტაზების განვითარება. ვარაუდობენ, რომ ამ ფენომენს განსაკუთრებულად უწყობს ხელს E-კადჰერინის ექსპრესიის შემცირება. შესაბამისად, ეს ცილა ითვლება ძირითად ეპითელურ მარკერად, რომელსაც გააჩნია სიმსივნის სუპრესორული ფუნქცია და ინვაზიის და მეტასტაზირების ინჰიბირების უნარი. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სიმსივნეებში შესაძლებელია აღინიშნებოდეს E-კადჰერინის გენის ტრანსკრიპციის შემცირება. სხვა ეპითელური მარკერები, როგორებიცაა ციტოკერატინები ასევე იკარგება ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის პროცესში, მაშინ როდესაც რიგი კვლევებით ნაჩვენებია, რომ იმატებს ვიმენტინის ექსპრესია, რომელიც წარმოადგენს მეზენქიმურ მარკერს[13], [14].

ეპითელურ მეზენქიმური ტრანსფორმაციის პროცესი კანის სიმსივნეებში კონტროლდება სხვადასხვა ტრანსკრიპციის ფაქტორებით, რომლებიც ექსპრესირებს არამარტო სიმსივნურ უჯრედებზე, არამედ სიმსივნის მიკროგარემოშიც. სიმსივნის მიკროგარემო, რომელიც შედგება სიმსივნესთან ასოცირებული მაკროფაგებისგან, ფიბრობლასტებისგან, ლიმფოციტებისა და სხვა მრავალი იმუნური უჯრედისგან, ასევე ნაჩვენებია რომ მონაწილეობს სიმსივნეების პროგრესიასა და დისემინაციაში[11], [13], [15].

კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის პროგრესიის პროცესში, ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის როლი ბოლომდე ნათელი არაა. რამოდენიმე კვლევით

ნაჩვენებია, რომ კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის უჯრედებში აღინიშნება E-კადჰერინის ექსპრესიის შემცირება, შედარებით მის წინამორბედ დაზიანებებთან და კანის ნორმალურ ქსოვილთან. მემბრანული E-კადჰერინი დაკავშირებულია  $\beta$ -კატენინთან, რომელის გამოთავისუფლებაც ხდება E-კადჰერინის ექსპრესიის შემცირებისას. შემდეგ ხდება ბეტა-კატენინის ბირთვში რელოკალიზაცია და მის მიერ ისეთი გენების გააქტიურება, რომლებიც ხელს უწყობს უჯრედების პროლიფერაციასა და ინვაზიურ ზრდას. გარდა ამისა, ზოგიერთი კვლევები ასევე უჩვენებს, რომ E-კადჰერინის მემბრანული ექსპრესია კორელაციაშია სიმსივნის დიფერენციაციის ხარისხთან. კერძოდ მაღალდიფერენცირებულ სიმსივნეებში აღინიშნება მისი ექსპრესია, ხოლო კანის დაბალდიფერენცირებულ ბრტყელუჯრედოვან კარცინომებში კი E-კადჰერინის ექსპრესია შემცირებულია. სამაგიეროდ, დაბალდიფერენცირებულ სიმსივნეებში შესაძლებელია აღინიშნებოდეს E-კადჰერინის ციტოპლაზმური ექსპრესია. ამ მოლეკულის ასეთი ტრანსლოკაცია სავარაუდოდ მიუთითებს მისი ფუნქციის დაკარგვაზე [16], [17].

ეპითელურ მეზენქიმური ტრანსფორმაცია ასევე წარმოადგენს ბაზალურ უჯრედოვანი კარცინომის პროგრესიისა და მეტასტაზირების სავარაუდო გამომწვევ მიზეზს. რამოდენიმე კვლევით, ნაჩვენებია E-კადჰერინის დაკარგვა მეტასტაზურ ბაზალურუჯრედოვან კარცინომაში.

კანის არამელანომური სიმსივნეების პროგრესიისა და მკურნალობისადმი დაქვემდებარების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს ასევე შესაძლებელია წარმოადგენდეს ამ სიმსივნეების შიდა ჰეტეროგენულობა. არჩვენ სიმსივნის ჰეტეროგენულობის რამოდენიმე დონეს, რომელიც მოიცავს ჰეტეროგენულობას ქსოვილის, უჯრედის და მოლეკულურ დონეზე. კანის სიმსივნეების მოლეკულური ჰეტეროგენულობა ვლინდება მათი ფენოტიპური მახასიათებლების ცვლილებაში. თუმცა, ეს საკითხი კანის არამელანომურ სიმსივნეებში ჯერ-ჯერობით კარგად შესწავლილი არაა.

კანში კერატინოპოეზი ემყარება ღეროვან უჯრედებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ქსოვილის ხანგრძლივ შენარჩუნებაზე მათი თვითგანახლების პოტენციალის მეშვეობით. კანი არის რადიოაქტიური ქსოვილი, სადაც ვითარდება ყველა სახის რადიაციული დაზიანება და პათოლოგია, მათ შორის ადრეული რეაქციები, როგორცაა დისპლაზია და ეპიდერმისის გაშიშვლება და მოგვიანებითი რეაქციები, როგორცაა ფიბროზი დერმაში და აკანტოზი ეპიდერმისში. ასევე არსებობს ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის განვითარების რისკი, რომელიც წარმოიქმნება ეპიდერმული კერატინოციტებიდან, განსაკუთრებით PTCH1 ან TP53 გენებში ონკოგენური მუტაციის შემდეგ.

არსებობს კვლევები კანის ბრტყელუჯრედოვან კარცინომაში სიმსივნის ღეროვანი უჯრედების რამდენიმე განსხვავებული პოპულაციის თანარსებობის შესახებ. ამ პოპულაციების მიერ სიმსივნის ინიცირებისა და მეტასტაზირების პოტენციალი, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ამიტომაც, ღეროვანი უჯრედების ბიოლოგიის გაგება მნიშვნელოვანია მიზნობრივი თერაპიის შერჩევითი ცუდი პროგნოზის მქონე პაციენტებში. როგორც ცნობილია, ნორმალური ღეროვანი უჯრედები პასუხისმგებლები არიან ქსოვილია რეგენერაციასა და შენარჩუნებაზე და აქვთ უნიკალური განმსაზღვრელი

მახასიათებლები, როგორცაა თვითგანახლების უნარი, ნელი უჯრედული ციკლი, დაბალი პროლიფერაციული აქტივობა, შვილელ უჯრედებთან შედარებით სიცოცხლის მეტი ხანგრძლივობა. ნორმალური ღეროვანი უჯრედები არადიფერენცირებულია, თუმცა, შეუძლიათ წარმოქმნან უჯრედების ერთი, ან რამდენიმე თაობა (მულტიპოტენცია, პლურიპოტენცია). ეპიდერმული ღეროვანი უჯრედები განლაგებულია თმის ფოლიკულების ბოლქვში, ინტერფოლიკულური ეპიდერმისის ბაზალურ შრესა და ცხიმოვანი ჯირკვლის ფუძეში და ჩვეულებრივ, წარმოქმნიან თმის ფოლიკულებს, თუმცა, ასევე შეუძლიათ ეპიდერმისისა და ცხიმოვანი ჯირკვლების რეგენერაცია კანის დაზიანების საპასუხოდ. რაც შეეხება, სიმსივნის ღეროვან უჯრედებს, ისინი განისაზღვრება ერთი ძირითადი კრიტერიუმით: სიმსივნის ინიცირების უნარი. სიმსივნის ღეროვანი უჯრედები წარმოქმნება ნორმალური ღეროვანი უჯრედებისგან, ან არადეროვანი უჯრედებისგან, რომელთაც გააჩნიათ რეგენერაციის უნარი. ჩვეულებრივი ღეროვანი უჯრედებისგან განსახვავებით, სიმსივნის ინიციატორი უჯრედები, შესაძლოა, არ იყოს მულტიპოტენტური და ისინი წარმოქმნიან ერთგვაროვან სიმსივნეებს, როგორცაა კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომა, ფოლიკულური სიმსივნის სხვადასხვა ტიპები, ან ცხიმოვანი ჯირკვლის სიმსივნეები.

სიმსივნის ღეროვანი უჯრედები შეიძლება დაიყოს უჯრედის ზედაპირული მარკერების მიხედვით. CD133 მარკერი, რომელიც სპეციფიკურია ჰემატოპოეზური ღეროვანი უჯრედებისთვის, იყო პირველი, რომელიც გამოყენებულ იქნა სიმსივნის ინიციატორი უჯრედების განსაზღვრისთვის კანის ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის შემთხვევაში. გარდა ამისა, გამოიყენება CD200, CD44 მარკერები. უჯრედის ზედაპირული მარკერების გარდა, კანის ბრტყელუჯრედოვან კარცინომებში სიმსივნის ღეროვანი უჯრედები შესაძლოა დაიყოს, ალდეჰიდდეჰიდროგენაზისა და ABC ტრანსპორტერის აქტივობის საფუძველზე [13], [18].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადასტურებულია, რომ ბაზალუჯრედოვანი კარცინომის განვითარებას საფუძვლად უდევს Hedgehog სასიგნალო გზის აქტივაცია (29). ამრიგად, სიმსივნის განვითარების ხელშემწყობი ამ სასიგნალო გზის აღმოჩენამ, ხელი შეუწყო არა მხოლოდ, კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის პათოგენეზის გაგებას, არამედ ხელი შეუწყო სრულიად ახალი თერაპიული მიდგომის შემუშავებას. რამდენიმე პოტენციურ მუტაციაზე ზემოქმედებით, HH ინჰიბიტორმა, როგორცაა GDC-0449 უკვე მიაღწია პირველ პერსპექტიულ შედეგს კანის მეტასტაზური, ან ადგილობრივად განვითარებული ბაზალურუჯრედოვანი კარცინომი მკურნალობაში.

კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის ქირურგიული გზით მკურნალობის შემდეგ ჰისტოპათოლოგიურად სიმსივნეზე პოზიტიური რეზექციის კიდებები, საკამათო საკითხია შემდგომი თერაპიის შერჩევის თვალსაზრისით. ზოგიერთი ავტორის აზრით, მკურნალობის ოპტიმალური ვარიანტია დაუყოვნებელი ხელახალი ქირურგიული ჩარევა, სხვა ავტორები კი უპირატესობას ანიჭებენ პერიოდულ დაკვირვებას. სხვადასხვა ლიტერატურის მიხედვით, რეციდივის რისკები მერყეობს 10%-დან 67%-მდე. ჩატარდა რეტროსპექტიული კვლევა (Hospital de Clínicas da Universidade Federal do Paraná) რეციდივის რისკის შესაფასებლად. გამოკვლეული იყო კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის 402 ნიმუში. შეფასებულ იქნა ყველა შემთხვევის კლინიკური მახასიათებლები, როგორცაა სქესი, ასაკი, სიმსივნის ზომა, ლოკალიზაცია,

დაწყლულება, ჰისტოლოგიური ტიპი, რათა გამოვლენილიყო მათი კავშირი რეციდივის სიხშირესთან. ქირურგიული მკურნალობის შემდეგ რეზექციის კიდეების სიმსივნე-პოზიტიურობა აღმოჩენილ იქნა გამოსაკვლევი შემთხვევების 12,18%-ში, საიდანაც დაფიქსირდა რეციდივის ხუთი შემთხვევა. სიმსივნის ხელახალი ამოკვეთის შემთხვევაში კი რეციდივი გამოვლინდა სამ გამოსაკვლევ ნიმუშში. სიმსივნის ზომა, ადგილი, ჰისტოლოგიური ტიპი სტატისტიკურად არ განსხვავდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის განვითარება გარემოს, ფენოტიპური და გენეტიკური ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია, თუმცა, მისი ბიოლოგია და სისტემურ მკურნალობაზე რეზისტენტობის მექანიზმი არ არის საკმარისად შესწავლილი. ამ დრომდე, კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის მკურნალობა ეყრდნობოდა დაზიანებული უბნის ქირურგიულ ამოკვეთას, თუმცა, მისი პროგრესირების პათოგენეზის გაგებამ საფუძველი ჩაუყარა მოლეკულურ სისტემაზე მოქმედი მკურნალობის მეთოდის შემუშავებას. აღმოჩნდა, რომ იმუნური სისტემის გააქტიურება, ან მოდულაცია აჩვენებს კარგ და სტაბილურ კლინიკურ გამოსავალს. დღესდღეობით FDA-ის მიერ დამტკიცებულია სამი ძირითადი იმუნომოდულატორი კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის მკურნალობისთვის. ესენია: იმიქვიმოდი, სონიდეგიბი და ვისმოდეგიბი. რამდენიმე სხვა მედიკამენტის მოქმედების ეფექტურობა ამჟამად შესწავლის საგანია. მოსალოდნელია, რომ მომავალში იმუნოთერაპია მკვეთრად შეცვლის კანის ბაზალურუჯრედოვანი კარცინომის მკურნალობის სტანდარტს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- [1] R. L. Siegel, K. D. Miller, and A. Jemal, “Cancer statistics, 2020.,” *CA Cancer J Clin*, vol. 70, no. 1, pp. 7–30, 2020, doi: 10.3322/caac.21590.
- [2] D. Didona, G. Paolino, U. Bottoni, and C. Cantisani, “Non Melanoma Skin Cancer Pathogenesis Overview.,” *Biomedicines*, vol. 6, no. 1, Jan. 2018, doi: 10.3390/biomedicines6010006.
- [3] L. L. Griffin, A. Faisal, R. Ali, and J. T. Lear, “CMJv16n1-Griffin.indd,” 2016.
- [4] A. Combalia and C. Carrera, “Squamous Cell Carcinoma: An Update on Diagnosis and Treatment,” *Dermatol Pract Concept*, p. e2020066, Jun. 2020, doi: 10.5826/dpc.1003a66.
- [5] H. Rönisch and A. Bauer, “The Preventive Value of Sun Protection,” 2021, pp. 316–328. doi: 10.1159/000517641.
- [6] S. I. Goolamali, “Non-melanoma Skin Cancer in HIV Infection: the Role of Human Papillomavirus (HPV), Individual Immunogenotype (HLA ‘tissue type’) and Merkel Cell Polyomavirus (MCV),” 2020.
- [7] M.-M. Chren, E. Linos, J. S. Torres, S. E. Stuart, R. Parvataneni, and W. J. Boscardin, “Tumor Recurrence 5 Years after Treatment of Cutaneous Basal Cell Carcinoma and Squamous Cell Carcinoma,” *Journal of Investigative Dermatology*, vol. 133, no. 5, pp. 1188–1196, May 2013, doi: 10.1038/jid.2012.403.

- [8] Q.-J. Wu *et al.*, “Shift work and health outcomes: an umbrella review of systematic reviews and meta-analyses of epidemiological studies,” *Journal of Clinical Sleep Medicine*, vol. 18, no. 2, pp. 653–662, Feb. 2022, doi: 10.5664/jcsm.9642.
- [9] M. Wen, H. Ren, S. Zhang, T. Li, J. Zhang, and P. Ren, “CT45A1 promotes the metastasis of osteosarcoma cells in vitro and in vivo through  $\beta$ -catenin,” *Cell Death Dis*, vol. 12, no. 7, p. 650, Jul. 2021, doi: 10.1038/s41419-021-03935-x.
- [10] A. Dongre *et al.*, “Direct and Indirect Regulators of Epithelial-Mesenchymal Transition-Mediated Immunosuppression in Breast Carcinomas.,” *Cancer Discov*, vol. 11, no. 5, pp. 1286–1305, 2021, doi: 10.1158/2159-8290.CD-20-0603.
- [11] B. Wang, X. Li, L. Liu, and M. Wang, “ $\beta$ -Catenin: oncogenic role and therapeutic target in cervical cancer.,” *Biol Res*, vol. 53, no. 1, p. 33, Aug. 2020, doi: 10.1186/s40659-020-00301-7.
- [12] S. Ramón y Cajal *et al.*, “Clinical implications of intratumor heterogeneity: challenges and opportunities,” *Journal of Molecular Medicine*, vol. 98, no. 2. Springer, pp. 161–177, Feb. 01, 2020. doi: 10.1007/s00109-020-01874-2.
- [13] S. R. Georgescu *et al.*, “Tumour Microenvironment in Skin Carcinogenesis,” 2020, pp. 123–142. doi: 10.1007/978-3-030-36214-0\_10.
- [14] “Melanoma and nonmelanoma skin cancer.,” *Curr Opin Oncol*, vol. 3, no. 2, pp. 420–32, Apr. 1991, doi: 10.1097/00001622-199104000-00024.
- [15] M. L. Council, “Common Skin Cancers in Older Adults,” *Clin Geriatr Med*, vol. 29, no. 2, pp. 361–372, May 2013, doi: 10.1016/j.cger.2013.01.011.
- [16] V. Mittal, “Epithelial Mesenchymal Transition in Tumor Metastasis,” *Annual Review of Pathology: Mechanisms of Disease*, vol. 13, pp. 395–412, Jan. 2018, doi: 10.1146/ANNUREV-PATHOL-020117-043854.
- [17] K. T. Yeung and J. Yang, “Epithelial-mesenchymal transition in tumor metastasis,” *Mol Oncol*, vol. 11, no. 1, pp. 28–39, Jan. 2017, doi: 10.1002/1878-0261.12017.
- [18] S. Labiano, A. Palazon, and I. Melero, “Immune response regulation in the tumor microenvironment by hypoxia,” *Semin Oncol*, vol. 42, no. 3, pp. 378–386, Jun. 2015, doi: 10.1053/J.SEMINONCOL.2015.02.009.

# Problematic issues in Molecular Characterization, Risk of Progression and Recurrence of Basal Cell and Squamous Cell Carcinomas of the Skin

G. Arveladze R. Beriashvili Sh. Kepuladze G. Burkadze

Tbilisi State Medical University

## Abstract

Non-melanoma skin tumors are a fairly common. Squamous cell carcinoma of the skin is characterized by particularly high malignancy, which is due to a high ability to metastasize. However, it has also been shown that patients with basal cell carcinoma of the skin have an increased risk of developing squamous cell carcinoma. The molecular phenotype of these tumors, as well as markers of progression, are not well studied. There is also no clear opinion about the origin of these tumors, although it is assumed that both of them have a common progenitor cell, namely, basal cells of the skin appendages of basal cell carcinoma, and basal cells of the epidermis of squamous cell carcinoma. In the current literature, there are only sparse and conflicting data on molecular markers of non-melanoma skin tumors and the risk of their progression. In addition, the correlation between dermoscopic data and histopathological characteristics of nonmelanocytic skin tumors has not been studied. The molecular characteristics of non-melanoma skin tumors, basal cell carcinoma and squamous cell carcinoma of the skin need to be studied in detail, in particular the risk markers of progression and recurrence of these tumors. Correlation between dermoscopic and histopathological data can also reveal valuable information. Therefore, it is important to study the phenotypic characteristics of basal cells and use their molecular characteristics to assess the risk of recurrence and progression of the mentioned diseases.

**Key words:** *basal cell carcinoma; squamous cell carcinoma; molecular markers;*



## შფოთვითი ქცევის შესწავლა წყალბადის ზეჟანგით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის პირობებში

რენიკო საკანდელიძე<sup>1</sup>, იზოლდა ლომსიანიძე<sup>2</sup>, ერეკლე ჯულაყიძე<sup>3</sup> ხათუნა რუსაძე<sup>4</sup>

<sup>1</sup>პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; <sup>2</sup>ასოც. პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; <sup>3</sup>ასოც. პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; <sup>4</sup>მოწვეული სპეციალისტი, ბიოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ანოტაცია

ნებისმიერი სტრესული სიტუაცია ორგანიზმში შესაძლოა გახდეს თავისუფალი რადიკალების ინტენსიური წარმოქმნის მიზეზი. თავისუფალი რადიკალები, არიან მოლეკულები, ან ცალკეული ატომები, რომელთაც გარე ორბიტაზე აქვთ გაუწყვილებელი სავალენტო ელექტრონები, რომლებიც მაღალი რეაქტიულობით ხასიათდებიან და აზიანებენ უჯრედის ცილებს, ნუკლეინის მჟავებს, მემბრანულ ლიპიდებს. რამაც შეიძლება გამოიწვიოს მრავალი სახის პათოლოგიური პროცესის განვითარება. ამ პროცესის ყველა შესაძლო გამწვავი მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ არის. ცნობილია, რომ გარკვეულ პირობებში სტრესოგენული ფაქტორების საპასუხოდ ორგანიზმში ვითარდება ბიოლოგიურად დადებითი რეაქცია, იგულისხმება ადაპტური სტრეს-რეაქცია, რომელიც უზრუნველყოფს უჯრედების მდგრადობას ამ რეაქციის მასტიმულირებელი აგენტის უფრო ძლიერი (დამღუპველი) დოზებისადმი. კვლევის მიზანს წამოადგენდა ვირთაგვებზე ექსპერიმენტში შეგვესწავლა წყალბადის ზეჟანგით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის დოზა-ეფექტით აღმოცენებული ჰორმონული მოვლენის გავლენა შფოთვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ექსპერიმენტი ტარდებოდა თეთრ ლაბორატორიულ მამრ ვირთაგვებზე. წყალბადის ზეჟანგით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის ექსპერიმენტული მოდელის სახით ჩვენ გამოვიყენეთ მისი 0.1 % და 0.2% -იანი წყალხსნარის ცხოველებისათვის პერორალური გზით და განსხვავებული ხანგრძლივობით (10 და 25დღე) მიცემა მიღებული შედეგების ანალიზი ფასდებოდა სტიუდენტის t-კრიტერიუმის გამოყენებით.

ჩვენი შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ექსპერიმენტში მცირე დოზიანი სტრესოგენური ფაქტორის (წყალბადის ზეჟანგის H<sub>2</sub>O<sub>2</sub> 0.1%) ქრონიკული

მოქმედების პირობებში ადგილი აქვს შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მის სტაბილურ შენარჩუნებას ნორმის მაქსიმალურ ფარგლებში, რაც გამოწვეულია უნდა იყოს ჰორმეზული ეფექტის გავლენით. სტრესოგენული ფაქტორის „დოზის“ შემდგომმა მატებამ ანუ გაორმაგებამ (წყალბადის ზეჟანგის 0.2% წყალხსნარის ქრონიკული მიცემა) გამოიწვია ჰორმეზის ფენომენის დათრგუნვა. აღმოჩნდა, რომ მოცემულ ექსპერიმენტულ მოდელში ოქსიდაციურ სტრესს შეუძლია შეასრულოს დადებითი როლი ნეიროპლასტიურობის, ფსიქო-ფიზიოლოგიური ადაპტაციის რეგულირებაში.

**საკვანძო სიტყვები:** შფოთვა, ოქსიდაციური სტრესი, თავისუფალი რადიკალები, ჰორმეზისი, წყალბადის ზეჟანგი, ქცევა.

ადამიანსა და ბუნებას შორის ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობების დარღვევა, როგორც წესი, იწვევს სტრესული სიტუაციების განვითარებას. მათ დაგროვებას და ფაქტიურად, ცხოვრების განუყოფელ კომპონენტად ჩამოყალიბებას საბოლოო ჯამში მივყავართ ორგანიზმში სერიოზულ ფუნქციურ დარღვევებამდე. ნივთიერებათა და ენერგიის ცვლის დარღვევას, აქტიური დამაზიანებელი აგენტების - ე.წ. „თავისუფალი რადიკალების“ დაგროვებას, რაც იწვევს დაავადებების და ფსიქო-ემოციური დისკომფორტის განვითარებას, ეწოდა „ოქსიდაციური სტრესი“. ეს არის "მდგომარეობა, როდესაც ოქსიდაციური პროცესები ორგანიზმში აღემატება ანტიოქსიდაციური სისტემების შესაძლებლობებს და მათ შორის ირღვევა ბალანსი" (20,18). დადგენილია, რომ პროცესების ასეთი განვითარების ძირითადი მიზეზი ორგანიზმში არის სწორედ ე.წ. „თავისუფალი რადიკალები“, რომლებიც აჩქარებენ ორგანიზმის უჯრედების დეფორმაციას და დაზიანებას. თავისუფალი რადიკალები, არიან მოლეკულები, ან ცალკეული ატომები, რომელთაც გარე ორბიტაზე აქვთ გაუწყვილებელი სავალენტო ელექტრონები, რომლებიც მაღალი რეაქტიულობით ხასიათდებიან და აზიანებენ უჯრედის ცილებს, ნუკლეინის მჟავებს, მემბრანულ ლიპიდებს (1,4,6, 11,15). თავისუფალი რადიკალი წარმოიქმნება იმ მომენტში, როცა მეტაბოლიზმის პროცესში ჩართული ჟანგბადი კარგავს ელექტრონს. ცდილობს რა შეივსოს ეს დანაკლისი, თავისუფალი რადიკალი ართმევს ელექტრონს სხვა მოლეკულას (მაგ. უჯრედის მემბრანის ლიპიდებს). თვითონ აღდგება და ამ მოლეკულას კი გარდაქმნის ახალ თავისუფალ რადიკალად. ეს ჯაჭვური რეაქცია არღვევს უჯრედის მთლიანობას და გზას უხსნის მთელ რიგ დაავადებებს (1,22). ნებისმიერი სტრესული სიტუაცია შესაძლოა გახდეს ორგანიზმში მნიშვნელოვანი ფუნქციური დარღვევების საფუძველი, ირღვევა ნივთიერებათა ცვლა, ხდება თავისუფალი რადიკალების ინტენსიური წარმოქმნა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მრავალი სახის პათოლოგიური პროცესის განვითარება (1,3,5,6,9,10,16). ამ პროცესის ყველა შესაძლო გამშვები მექანიზმი ბოლომდე შესწავლილი არ არის, ადრე თავისუფალ რადიკალებს განიხილავდნენ, როგორც ზიანის მომტან ფაქტორს, მაგრამ ამჟამად უკვე დაგროვილი ინფორმაციების საფუძველზე, შეიცვალა შეხედულება ოქსიდაციური სტრესის ეფექტებზე (1,18). ორგანიზმის ინფიცირების პირობებში განვითარებული იმუნური პასუხი წარმოადგენს ფაგოციტებიდან უძლიერესი ოქსიდანტის - წყალბადის ზეჟანგის „გამოტყორცნას“. ცნობილია აგრეთვე, რომ ოქსიდაციური სტრესისადმი რეზისტენტობის

მატება ასოცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობასთან. ფაქტიურად აქ ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, როგორცაა „ჰორმეზისი“ (1,17,18). ბიომედიცინის თვალსაზრისით ჰორმეზისით აღწერენ ისეთ მოვლენას, როდესაც დაბალი დოზის ტოქსინების, ან სხვა სტრესოგენული ფაქტორების საპასუხოდ ორგანიზმში ვითარდება ბიოლოგიურად დადებითი რეაქცია. იგულისხმება ადაპტური სტრეს-რეაქცია, რომელიც უზრუნველყოფს უჯრედების მდგრადობას ამ რეაქციის მასტიმულირებელი აგენტის უფრო ძლიერი (დამღუპველი) დოზებისადმი.

**შფოთვა** ნებისმიერი ჯამრთელი ადამიანისა და ძუძუმწოვარი ცხოველისათვის დამახასიათებელი ემოციური მდგომარეობაა, რომელსაც გარეგანი გამოხატულება ხშირად არ გააჩნია, მაგრამ მისი განცდა არსებითად, საფრთხის, მარცხის ან უსიამოვნების მოლოდინში გამოიხატება. შფოთვა სრულიად ნორმალური ემოციური მდგომარეობაა, რომელიც ნორმის ფარგლებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (2,5). შფოთვის განცდა (ემოცია) უზრუნველყოფს ცხოველის მზადყოფნას სიცოცხლისათვის სახიფათო მოვლენისადმი. შფოთვა უნივერსალური “უარყოფითი” ემოციაა, იგი გარკვეულწილად გამოვლინების რეაქციის (arousal reaction) ნაირსახეობა და სავარაუდოდ, ამ ორი მდგომარეობის საწყისი ერთი და იგივეა- მეზენცეფალური ბადებრივი ფორმაცია (არასპეციფიკური გამაქტიურებელი სისტემა), ხოლო საბოლოო სამიზნეები ახალი ქერქი და ლიმბური სისტემაა (ჰიპოთალამუსის ჩათვლით).

შფოთვითი დარღვევების თანამედროვე კლასიფიკაცია საკმაოდ რთულია და ზოგჯერ, წინააღმდეგობრივი. დღეისათვის შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ მოწოდებული სადიაგნოზო კლასიფიკაცია საკმაოდ ამომწურავია. (2).

**კვლევის მიზანს** წამოადგენდა ვირთაგვებზე ექსპერიმენტში შეგვესწავლა წყალბადის ზეჟანგით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის დოზა-ეფექტით აღმოცენებული ჰორმეზული მოვლენის გავლენა შფოთვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. ამ საკითხის შერჩევა ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ წყალბადის ზეჟანგს, სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის დროს, ორგანიზმი იყენებს დაცვითი რეაქციების მიზნით (1) მიღებული შედეგები შესაძლებლობას მოგვცემდა გამოვლენილიყო თავის ტვინის ფუნქციების შესაძლო დარღვევები ოქსიდაციური სტრესის პირობებში და მასთან კავშირში განგვესაზღვრა შფოთვითი ქცევის დარღვევების ფიზიოლოგიური მექანიზმები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე დავსახეთ **ამოცანა** - წყალბადის ზეჟანგის განსხვავებული დოზა ფაქტორით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესისა და ამ გზით სტიმულირებული ე.წ. „ჰორმეზული ფენომენის“ შესაძლო როლის შესწავლა შფოთვითის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, რაც შეეხება წყალბადის ზეჟანგს, მისი დასაშვები კონცენტრაცია სასმელ წყალში არ უნდა აღემატებოდეს 0.1%-ს და მიღების ხანგრძლივობა კი - 1 თვეს.

ნაშრომის შესასრულებლად გამოყენებული იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ფიზიოლოგიის სასწავლო-ექსპერიმენტული ლაბორატორიის მატერიალური და ტექნიკური ბაზა და ცხოველთა ვივარიუმი. **კვლევის მასალა და მეთოდები.**ექსპერიმენტი

ტარდებოდა თეთრ მამრ ვირთაგვებზე, რომლებიც დაყოფილი იყო საკონტოლო და საექსპერიმენტო ჯგუფებად. (თიოეულ ჯგუფში ცხოველთა რაოდენობა  $n=5$ ), რომელთა წონა იყო 180 – 200 გრამი. წყალბადის ზეჟანგით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის ექსპერიმენტული მოდელის სახით ჩვენ გამოვიყენეთ მისი 0.1 % და 0.2% -იანი წყალხსნარის ცხოველებისათვის პერორალური მიცემა სასმელი წყლის მაგივრად, განსხვავებული ხანგრძლივობით (10 და 25დღე). ამ მიზნით შექმნილი იყო ცხოველთა 5 ჯგუფი. წყალბადის ზეჟანგი ცხოველებს ეძლეოდათ ორი განსხვავებული დოზით და ორი განსხვავებული ხანგრძლივობით. ასეთ ხსნარებს პერორალურად იღებდა ცხოველების ოთხი საექსპერიმენტო ჯგუფი: II-ჯგუფი- 0.1% ხსნარს 10 დღე, III ჯგუფი - 0.2% ხსნარს 10 დღე, IV- ჯგუფი- 0.1% ხსნარს იღებდა 25 დღის განმავლობაში, V- ჯგუფი 0.2% წყალხსნარს 25 დღე. წყალბადის ზეჟანგის დადგენილი კონცენტრაციის ხსნარების მიცემა ხდებოდა ქცევითი ცდების



დაწყებამდე და განაგრძობდა მიღებას ცდების დასრულებამდე. საკონტროლო იყო I- ჯგუფი, მათ ეძლეოდათ მხოლოდ სასმელი წყალი.

#### **სურათი 1. ამაღლებული ჯვარედინი ლაბირინთი**

შფოთვის ფსიქო-ემოციური თანდაყოლილი ქცევის შესწავლა განხორციელდა ამაღლებულ ჯვრისმაგვარ ლაბირინთში (სურ.1) (7,8,14), რომლის იატაკი და კედლები დამზადებული იყო ხის მასალისაგან. ლაბირინთის მკლავების სიგანე 12.5 სმ., სიგრძე 46 სმ., დახურული მკლავის კედლის სიმაღლე) 40 სმ., ლაბირინთის სიმაღლე საექსპერიმენტო ოთახის იატაკიდან 0.7 მეტრი. ცხოველი თავსდებოდა ლაბირინთის ცენტრში და ეძლეოდა თავისუფლად გადაადგილების საშუალება 15 წუთის განმავლობაში. აღირიცხებოდა ღია და დახურულ მკლავებში შესვლათა რაოდენობა და თითოეულ მათგანში ჯამურად დაყოვნების ხანგრძლივობა, აღირიცხვა ხდებოდა ვიდუო კამერით. ყველა ჯგუფის ცხოველთა ქცევას

ვაკვირდებოდით მაქსიმალურად მსგავს პირობებში, დღის პირველ ნახევარში. ტესტირება ხდებოდა ერთჯერადად, რაც გამორიცხავდა ცხოველის მიჩვევას ცდის პირობებისადმი.

**სტატისტიკური ანალიზი.** მიღებული შედეგების ანალიზი (ცხოველთა ჯგუფებში დადგენილ მაჩვენებელთა საშუალო სიდიდეების და ჯგუფებს შორის გამოვლენილი სხვაობების სტატისტიკური სარწმუნობა) ცდებში ფასდებოდა სტიუდენტის t-კრიტერიუმის გამოყენებით (19).

წყალბადის ზეჟანგის ( $H_2O_2$ ) ძირითად წყაროს წარმოადგენს სუპეროქსიდ დისმუტაზა, რომელიც აკატალიზებს სუპეროქსიდ-ანიონ-რადიკალის გარდაქმნას წყალბადის ზეჟანგად და რომ ის წარმოადგენს უჯრედშიგა მესენჯერს. უნდა აღინიშნოს, რომ წყალბადის ზეჟანგი რკინის და სპილენძის იონების არსებობისას იშლება და წარმოშობს საკმაოდ აქტიურ და საშიშ ჰიდროქსილის რადიკალს. ამის შედეგად ორგანიზმში შესაძლოა განვითარდეს ოქსიდაციური სტრესი თავისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგებით. ზემოთქმულთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნდა გამოგვეკვლია ორგანიზმში პერორალური გზით წყალბადის ზეჟანგის მითითებული დოზების ქრონიკულად შეყვანით განვითარებული ოქსიდაციური სტრესისა და ე.წ. „ჰორმეზული ფენომენის“ გავლენა ცხოველთა შფოთვით ქცევაზე, რაც ჯერ აქამდე შესწავლილი არ არის.

#### **მიღებული შედეგები და მათი განხილვა.**

დიაგრამებზე წარმოდგენილია ის ძირითადი შედეგები, რომლებიც მიღებულია საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების ცხოველთა ლაბირინთში ქცევაზე დაკვირვებით. ნათლად ჩანს წყალბადის ზეჟანგის წყალხსნარის განსხვავებული დოზებით და განსხვავებული ხანგრძლივობით მიცემისას გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის ჰორმეზული ეფექტის ქცევითი გამოვლენა, კერძოდ, ჯვარედინი ლაბირინთის მკლავებში საექსპერიმენტო ცხოველების შესვლათა რაოდენობა და მათ მიერ ლაბირინთის დახურულ მკლავებში გატარებული დროის საერთო ხანგრძლივობა იმდენად შეცვალა, რომ მან მნიშვნელოვნად იმოქმედა შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობაზე. № 1 დიაგრამაზე წარმოდგენილია ძირითადი შედეგები, მიღებული საკონტროლო (I-ჯგ.) და ექსპერიმენტული II და III - ჯგუფის ცხოველების ლაბირინთში ქცევაზე დაკვირვებით, როცა ამ უკანასკნელთ 10 დღის განმავლობაში სასმელი წყლის მაგივრად პერორალურად ეძლეოდათ წყალბადის ზეჟანგის ( $H_2O_2$ ) განსხვავებული დოზების წყალხსნარები კერძოდ, მეორე ჯგუფს 0.1% -იანი წყალხსნარი და მესამე ჯგუფს 0.2% წყალხსნარი. დიაგრამაზე ნათლად ჩანს წყალბადის ზეჟანგის 0.1% წყალხსნარის 10 დღიანი მიღება (ცხოველთა II-ჯგუფი), მათი ქცევითი აქტივობიდან გამომდინარე, არ აღმოჩნდა საკმარისი ჰორმეზული მოვლენის სრულყოფილი სახით მისაღებად. ხოლო წყალბადის ზეჟანგის 0.2% წყალხსნარის 10 დღიანი მიღებით (ცხოველთა III-ჯგუფი) გამოწვეულმა ოქსიდაციურმა სტრესმა ნაწილობრივ გაზარდა საექსპერიმენტო ცხოველთა ლოკომოტორული აქტივობა, ჯვარედინი ლაბირინთის მკლავებში შესვლათა რაოდენობა და საკონტროლო ჯგუფის ცხოველებთან შედარებით, ლაბირინთის დახურულ მკლავებში გატარებული დროის ხანგრძლივობა, რაც მაჩვენებელია შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესების. აღნიშნული ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს ჰორმეზული ეფექტის ქცევით გამოვლინებად, ვინაიდან წყალბადის ზეჟანგს

ახასიათებს ორგანიზმში აკუმულაციის თვისება, რასაც შეიძლება პირდაპირი კავშირი ჰქონდეს ამ ჯგუფის ცხოველთა ქცევასთან.

ცხოველთა მე-4 ჯგუფში, რომლებიც სასმელი წყლის მაგივრად იღებდნენ წყალბადის ზეჟანგის 0.1%-იან წყალხსნარს 25 დღის განმავლობაში, გაიზარდა ჯვარედინი ლაბირინთის როგორც ღია ისე დახურულ მკლავებში შესვლათა რაოდენობა და ცხოველთა ლოკომოტორული აქტივობა, მნიშვნელოვნად მოიმატა დახურულ მკლავში გატარებული დროის საერთო ხანგრძლივობამ (დიაგრამა-2). რაც მაჩვენებელია შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის საგრძნობლად ანუ ნორმის ფარგლებში მაქსიმალურად გაუმჯობესების. აღნიშნული ფაქტი უნდა ჩაითვალოს წყალბადის ზეჟანგის 0.1%-იანი წყალხსნარით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის ჰორმეზული ეფექტის ქცევით გამოვლინებად,


ცხოველთა მე-5 ჯგუფში, რომლებიც იღებდნენ წყალბადის ზეჟანგის 0.2%-იან წყალხსნარს 25 დღის განმავლობაში, ძალზედ გაზრდილია ჯვარედინი ლაბირინთის დახურულ მკლავში შესვლათა რაოდენობა და იქ გატარებული დროის საერთო ხანგრძლივობა, (დიაგრამა-2), ასევე აღინიშნება ლაბირინთში ცხოველთა ლოკომოტორული აქტივობის მკვეთრი შენელება და ისინი ძნელად ემორჩილებოდნენ ექსპერიმენტატორს დახურული სივრციდან მათი გამოყვანის მცდელობისას. აღნიშნული მდგომარეობა მაჩვენებელია შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის მეტად გაძლიერების. ამ ჯგუფის ექსპერიმენტში მიღებულ შედეგებს თუ შევადარებთ მე-3 ჯგუფის ცხოველთა ექსპერიმენტის შედეგებთან, გაორმაგებული სტრესოგენური ფაქტორის (H<sub>2</sub>O<sub>2</sub> 0.2% ხსნარი) 25 დღემდე გახანგრძლივება გახდა მიზეზი ქცევის ჰორმეზული ეფექტის რღვევისა და აგრესიული ქცევის გამოვლენის.

**ცხრილი 1**

ცხოველთა ჯგუფები	დრო ლაბირინთის დახურულ მკლავზე	დრო ლაბირინთის ღია მკლავზე
I ჯგ. საკონტროლო	8	7
II ჯგ. 0.1% იან H <sub>2</sub> O <sub>2</sub>	8.5	6.5
III ჯგ. 0.2% იან H <sub>2</sub> O <sub>2</sub>	10	5

წყალბადის ზეჟანგის 0,1% და 0,2% წყალხსნარის მიღება ქრონიკულად 10 დღე

**დიაგრამა 1**




წყალბადის ზეჟანგის 0,1% და 0,2% წყალხსნარის მიღება ქრონიკულად 10 დღე.

**ცხრილი 2**

ცხოველთა ჯგუფები	დრო ლაბირინთის დახურულ მკლავზე	დრო ლაბირინთის ღია მკლავზე
I ჯგ. საკონტროლო	8	7
IV- 0.1% იან H <sub>2</sub> O <sub>2</sub>	9.5	5,5
V- 0.2% იან H <sub>2</sub> O <sub>2</sub>	13	2

წყალბადის ზეჟანგის 0,1 % და 0.2% წყალხსნარის მიღება ქრონიკულად 25 დღე

**დიაგრამა 2**



წყალბადის ზეჟანგის 0,1 % და 0.2% წყალხსნარის მიღება ქრონიკულად 25 დღე

**მონაცემების შეჯამება და დასკვნები**

მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს:

წყალბადის ზეჟანგით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესი, როდესაც მისი კონცენტრაცია სასმელ წყალში არ აღემატება 0.1%-ს და მიღების ხანგრძლივობა - 10 დღეს (II - ჯგუფი ) ჯერ კიდევ ვერ იწვევს საექსპერიმენტო ცხოველების ლოკომოტორული აქტივობის სტიმულირებას და შესაბამისად საკონტროლო ჯგუფთან შედარებით არ ხდება შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ცვლილება. წყალბადის ზეჟანგით ინდუცირებული ოქსიდაციური სტრესი, როდესაც მისი კონცენტრაცია სასმელ წყალში არ აღემატება 0.1% და მისი მიღების ხანგრძლივობა კი - 25 დღეს (IV-ჯგუფი), იწვევს ცხოველების ლოკომოტორული აქტივობის სტიმულირებას და შესაბამისად შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ნორმის ფარგლებში მაქსიმალურ გაუმჯობესებას. აღნიშნული ფაქტი დაკავშირებული უნდა იყოს ოქსიდაციური სტრესით გამოწვეული ჰორმონების ფენომენის აღმოცენებასთან, რამაც განაპირობა შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი სტაბილურად შენარჩუნება.

III-ჯგუფის ცხოველების მიმართ წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაციის გაორმაგებამ სასმელ წყალში ( $H_2O_2$  0.2% წყალხსნარი), რომლის მიღების ხანგრძლივობა იყო 10 დღე, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, სტატისტიკურად გამოიწვია ლოკომოტორული აქტივობის ნაწილობრივი შემცირება და შესაბამისად შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ნორმის ფარგლებში გაუმჯობესება. ცხოველთა ამ ჯგუფში მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ სასმელ წყალში წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაციის გაორმაგებული დოზა, რომელსაც ახასიათებს ორგანიზმში აკუმულაციის უნარი, გახდა მიზეზი ოქსიდაციური სტრესის აღძვრის, რამაც თავის მხრივ განაპირობა ჰორმონების ფენომენის გამოვლენა და შესაბამისად შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება.

როგორც მოსალოდნელი იყო, წყალბადის ზეჟანგის კონცენტრაციის გაორმაგებამ სასმელ წყალში  $H_2O_2$  0.2% ხსნარი და მისი მიღების 25 დღიანმა ხანგრძლივობამ გამოიწვია ჰორმონების ფენომენის ქცევითი გამოვლენის სრული დარღვევა, ლოკომოციის შემცირება და შესაბამისად შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაძლიერება.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ოქსიდაციური სტრესი ჩართულია მრავალი პათოლოგიური პროცესის განვითარებაში, აღმოჩნდა, რომ მას შეუძლია შეასრულოს დადებითი როლი ნეიროპლასტიურობის, ფსიქო-ფიზიოლოგიური ადაპტაციის რეგულირებაშიც. ჩვენი შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ექსპერიმენტში მცირე დოზიანი სტრესოგენური ფაქტორის (წყალბადის ზეჟანგის  $H_2O_2$  0.1%) ქრონიკული მოქმედების პირობებში ადგილი აქვს შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მის სტაბილურ შენარჩუნებას ნორმის მაქსიმალურ ფარგლებში, გამოწვეულია ჰორმონების მოვლენის ქცევითი გამოვლინებით. სტრესოგენული ფაქტორის „დოზის“ მატებამ ანუ გაორმაგებამ (წყალბადის ზეჟანგის 0.2% წყალხსნარის ქრონიკული მიცემა) გამოიწვია ჰორმონების ფენომენის დათრგუნვა. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ჰორმონების ფენომენის ძირითადი არსი, რომ სტრესოგენული ფაქტორის დაბალი დოზების დადებითი და მაღალი დოზების უარყოფითი ეფექტი შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობაზე.



ჩვენი მიერ მიღებული შედეგები და ლიტერატურაში გამოქვეყნებული ექსპერიმენტული მონაცემები საშუალებას იძლევა გავაკეთოთ შემდეგი

#### დასკვნა:

1. წყალბადის ზეჟანგის დაბალ დოზიანი (0.1% H<sub>2</sub>O<sub>2</sub>) ქრონიკული ზემოქმედებით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის საპასუხოდ ადგილი აქვს ქცევითი აქტივობის ზრდასა და შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტაბილურად გაუმჯობესებას;
2. წყალბადის ზეჟანგის დაბალ დოზიანი (0.1% H<sub>2</sub>O<sub>2</sub>) ქრონიკული ზემოქმედებით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის და მისი დოზა-ეფექტით აღმოცენებული ე.წ. ჰორმეზული მოვლენა გახდა საფუძველი სტრეს-ფაქტორის დათრგუნვა/ადაპტაციის და შედეგად შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესების;
3. წყალბადის ზეჟანგის მაღალ დოზიანი (0.2% H<sub>2</sub>O<sub>2</sub> წყალხსნარი) ქრონიკული ზემოქმედებით გამოწვეული ოქსიდაციური სტრესის საპასუხოდ ადგილი აქვს ჰორმეზული ეფექტის დარღვევას, რაც გამოიხატება ქცევითი აქტივობის დაქვეითებასა და შესაბამისად შფოთვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაძლიერებაში.

#### ლიტერატურა:

1. სალინაძე ნ; საკანდელიძე რ.; მითაგვარია ნ. ოქსიდაციური სტრესის დადებითი და უარყოფითი ეფექტები, ანუ თავისუფალი რადიკალების მოქმედების დუალური როლი (მოკლე მიმოხილვა). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია № 5-6, ტ.42, თბილისი, 2016, 261-269;
2. ა. შალამბერიძე. რ. საკანდელიძე, ა.ქორელი. ცენტრალური მუსკარინული აგონისტისა და ანტაგონისტის გავლენა ვირთაგვების ქცევაზე ამალღებულ ჯვარედინ ლაბირინთზე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია A, № 5-6, ტ.29, თბილისი, 2003, 755-760;
3. Abe M.K., Chao T.S., Solway J. et al. Hydrogen peroxide stimulates mitogen-activated protein kinase in bovine tracheal myocytes: implications for human airway disease. Am J Respir Cell Mol Biol 1994; 11: 577-585.
4. Allen R.G, Tresini M. Oxidative stress and gene regulation. Free Rad Biol Med 2000; 28: 463-499.
5. Beck A.T. – Cognitive Therapy and the emotional Disorders. New York: Meridian, 1976.
6. Berlett B.S., Stadtman E.R. Protein oxidation in aging, disease, and oxidative stress. J Biol Chem 1997; 272: 20313-20316.
7. Cruz A.P.M; Frei F; Graeff F.G. – Ethopharmacological analysis of rat behavior on the elevated plus-maze. Pharmacol. Biochem. Behav; 1994, 49, 171-176.
8. Griebel G; Rodgers R.J; Perrault G; Sanger D.J. – Risk assessment behavior. Evaluation of utility in the study of 5-HT-related drugs in the rat elevated plus-maze test. Pharmacol. Biochem. Behav; 1997, 57, 817-827.

9. Hoidal J.R. Reactive oxygen species and cell signaling. *Am J Respir Cell Mol Biol* 2001; 25: 661-663.
10. Jeong Y.H, Park C.H., Yoo J. et al. Chronic stress accelerates learning and memory impairments and increases amyloid deposition in APP-CT100 transgenic mice, an Alzheimer's disease model. *The FASEB Journal*, 20 (2006) 729-731.
11. Kunsch C., Medford R.M. Oxidative Stress as a Regulator of Gene Expression in the Vasculature. *Circ Res* 1999; 85: 753-766.
12. Lane R.D; Nadel L. – *Cognitive Neuroscience of Emotion*. New York: Oxford University Press, 2000.
13. Nielsen F., Mikkelsen B.B., Nielsen J.B. et al. Plasma malondialdehyde as biomarker for oxidative stress: reference interval and effects of life-style factors. *Clin Chem* 1997; 43: 1209-1214.
14. Pello S. Chopin P; File S.E; Briley – Validation of open: closed arm entries in an alavated plus-maze as a measure of anxiety in the rat. *J. Neurosci. Methods*, 1985, 14, 149-167.
15. Practico D., Barry O.P., Lawson J.A. et al. IPF2 $\alpha$ -I: An index of lipid peroxidation in humans. *Proc Natl Acad Sci USA* 1998; 95: 3449-3454. Yoshikawa T., Naito Y. What is oxidative stress? *JMAJ*, 45 (2002) 271-276.
16. Reiter R.J. Melatonin: Lowering the High Price of Free Radicals. *News Physiol Sci* 2000; 15: 246-250.
17. [Ristow M](#), [Schmeisser S](#). Extending life span by increasing oxidative stress. [Free Radic Biol Med](#). 51 (2011) 327-336 0
18. Sakandelidze R.; Saginadze N., Mitagvaria N. - Поведенческие эффекты оксидативного стресса. *Georgian Medical News*; №3 (240) March 2015; p. 78-82;
19. Townsend J. – *Practical Statistics for Environmental and Biological Scientists*. Chichester, England: John Willy and Sond, 2003.
20. Yoshikawa T., Naito Y. What is oxidative stress? *JMAJ*, 45 (2002), 271-276.
21. Розанцев Э.Г., Шолле В Д. *Органическая химия свободных радикалов*. М., 1979
22. Эммануэль Н.М. *Цепные реакции окисления углеводов в жидкой фазе*. М, 1965.

## **A Study of Anxiety-Related Behavior under Conditions of Oxidative Stress Caused by Hydrogen Peroxide**

**Izolda Lomsianidze; Reniko Sakandelidze; Erekle Julakidze; Khatuna Rusadze;**

Akaki Tsereteli State University

### **A b s t r a c t**

Any stressful situation in the body can become the cause of intense formation of free radicals. Free radicals are molecules or individual atoms that have unpaired valence electrons in their outer orbit,

which are characterized by high reactivity and damage cell proteins, nucleic acids, membrane lipids, and can lead to the development of many types of pathological processes. All possible triggering mechanisms of this process have not been fully explored. It is known that under certain conditions, in response to stressogenic factors, a biologically positive reaction – adaptive stress response develops in the body which ensures the resistance of cells to stronger (lethal) doses of the stimulating agent of this reaction. The aim of the study was to explore the influence of the hormetic phenomenon on the psycho-emotional state of anxiety which arose from the dose-response of the oxidative stress caused by hydrogen peroxide in an experiment on rats. The experiment was conducted on white male lab rats. As an experimental model of oxidative stress caused by hydrogen peroxide, we used its 0.1% and 0.2% aqueous solutions and administered them orally to animals for different durations (10 and 25 days). The psycho-emotional state of anxiety was assayed by means of the elevated plus maze. The analysis of the obtained results was conducted using the student's t-criterion.

The analysis of our results allows us to note that in the experiment under the conditions of chronic action of a low dose of stressogenic factor (hydrogen peroxide  $H_2O_2$  0.1%), an improvement in the psycho-emotional state of anxiety and its stable maintenance within the maximum limits of the norm can be observed, which must be caused by the influence of the hormetic response. A further increase (doubling of the "dose") of the stressogenic factor (chronic administration of 0.2% aqueous solution of hydrogen peroxide) resulted in suppression of the hormesis. It was found that in this experimental model, oxidative stress can play a positive role in the regulation of neuroplasticity and psycho-physiological adaptation.

**Key words:** *anxiety, oxidative stress, free radicals, hormesis, hydrogen peroxide, behavior*

## ნაღვლის ბუშტის ლორწოვანი გარსის ანთებითი ცვლილებებისა და ჰორმონული ექსპრესიის თავისებურებების პრობლემური საკითხები დისპლაზია-კარცინომის განვითარებაში

თამთა ყველიაშვილი<sup>1</sup>, გიორგი დიდავა<sup>2</sup>, შოთა კეპულაძე<sup>3</sup>, გიორგიბურკაძე;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ნაღვლის ბუშტის კარცინომა წარმოადგენს ბილიარული ტრაქტის ყველაზე ხშირ სიმსივნეს. იგი შედარებით იშვიათად გვხვდება დასავლეთის ქვეყნებში. თუმცა, ფართოდაა გავრცელებული დედამიწის სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში. ნაღვლის ბუშტის კარცინომის მკურნალობის ყველაზე ეფექტური მეთოდია რადიკალური ქოლაციისტექტომია. თუმცა, სამწუხაროდ პაციენტთა მხოლოდ 10-30% ექვემდებარება აღნიშნულ მკურნალობის მეთოდს, შემთხვევათა 70-90%-ის შორსწასულ სტადიაზე დიაგნოსტიკის გამო. ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარება დაკავშირებულია სხვადასხვა გარემო და გენეტიკურ ფაქტორებთან. ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარება ასოცირდება ქრონიკული ანთების არსებობასთან და/ან სპეციფიკური ქიმიური ნივთიერებების, მძიმე მეტალების და საკვები ფაქტორების ზემოქმედებასთან. ზუსტი მექანიზმი, თუ როგორ ხდება ქოლელითიაზის ფონზე ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარება, ჯერ-ჯერობით ბოლომდე ნათელი არაა. ნაღვლის ბუშტის ანთებითი დაზიანებების დროს, ნაღვლის ბუშტის ეპითელიუმის პროლიფერაციული ინდექსის ცვლილებები ჯერ-ჯერობით შესწავლილი არაა. გარდა პროლიფერაციული მარკერებისა, ასევე ნაჩვენებია, რომ მრავალი სიმსივნის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედის აპოპტოზური აქტივობის შემცირება. თუმცა ნაღვლის ბუშტის კარცინომების აპოპტოზური აქტივობის შესახებ ლიტერატურული მონაცემები არასრული და ურთიერთწინააღმდეგობრივია.

**საკვანძო სიტყვები:** ნაღვლის ბუშტის კარცინომა ჰორმონული რეცეპტორები; პროლიფერაციულ-აპოპტოზური მარკერები;

ნაღვლის ბუშტის კარცინომა წარმოადგენს ბილიარული ტრაქტის ყველაზე ხშირ სიმსივნეს. იგი შედარებით იშვიათად გვხვდება დასავლეთის ქვეყნებში. თუმცა, ფართოდაა გავრცელებული დედამიწის სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში. მსოფლიოს მასშტაბით 100 000 მოსახლეზე ნაღვლის ბუშტის კარცინომის ინციდენტობა შეადგენს 2,3%-ს, ხოლო საქართველოს მასშტაბით კი 1,3%-ს. ნაღვლის ბუშტის კარცინომა დასაწყის ეტაპზე უსიმპტომოდ მიმდინარეობს რაც ართულებს მის გამოვლენას და მკურნალობას[1].

ნაღვლის ბუშტის კარცინომის მკურნალობის ყველაზე ეფექტური მეთოდია რადიკალური ქოლეცისტექტომია. თუმცა, სამწუხაროდ პაციენტთა მხოლოდ 10-30% ექვემდებარება აღნიშნულ მკურნალობის მეთოდს, შემთხვევათა 70-90%-ის შორსწასულ სტადიაზე დიაგნოსტიკის გამო. აღნიშნული შემთხვევები ძირითადად ექვემდებარებიან არაქირურგიული მკურნალობის მეთოდებს[2][3]. ნაღვლის ბუშტის კარცინომის არაქირურგიული მკურნალობის მეთოდებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება ქიმიოთერაპია და სხივური თერაპია[4][5]. თუმცა, აღნიშნული მკურნალობის მეთოდები არაოპტიმალურია, რადგან იგი დაკავშირებულია სისტემურ ტოქსიურობასთან, სამკურნალო აგენტის არასაკმარის მოქმედებასთან და მკურნალობისადმი რეზისტენტობის განვითარებასთან[6]. აქედან გამომდინარე, დღეს-დღეობით მრავალი კვლევა მიმდინარეობს, რომელიც მიზნად ისახავს ნაღვლის ბუშტის კარცინომის ახალი მკურნალობის მეთოდების გამოვლენას. რის გამოც, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაღვლის ბუშტის კარცინომის პათოგენეზის შესწავლას და მისი პროგრესიის პოტენციური ბიომარკერების გამოვლენას.

ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარება დაკავშირებულია სხვადასხვა გარემო და გენეტიკურ ფაქტორებთან. ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარება ასოცირდება ქრონიკული ანთების არსებობასთან და/ან სპეციფიკური ქიმიური ნივთიერებების, მძიმე მეტალების და საკვები ფაქტორების ზემოქმედებასთან. ასევე ნაჩვენებია, რომ ნაღვლის ბუშტის კარცინომა განსაკუთრებით მაღალი სიხშირით გვხვდება ქალებში, ძირითადად განვითარებად ქვეყნებში, რაც მიუთითებს, რომ გარკვეული გეოგრაფიული ფაქტორები, ასევე ჰორმონული ფაქტორები და ქოლესტერინი გავლენას ახდენს ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარებაზე. გარკვეულწილად, ესტროგენი იწვევს ნაღვლის ქოლესტეროლით გაჯერებას და შესაბამისად მონაწილეობს ნაღვლის ბუშტის კარცინომის პათოგენეზში[7]. ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარების მთავარ რისკ ფაქტორს წარმოადგენს ნაღველკენჭოვანი დაავადება, რომელიც თავის მხრივ იწვევს ქრონიკული ანთებითი პროცესის განვითარებას[8]. ქრონიკული ანთებითი პროცესი კი განპირობებულია უჯრედთა სიკვდილისა და ეპითელიუმის რეპარაციის უწყვეტი ციკლით[9]. ნაღველკენჭოვან დაავადებასა და ნაღვლის ბუშტის კარცინომას შორის კავშირი დადგენილია მრავალი კოჰორტული კვლევით[10]. კერძოდ ნაჩვენებია, რომ ნაღველკენჭოვანი დაავადების მქონე პაციენტები ხასიათდებიან ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარების 21%-დან 57%-მდე უფრო მაღალი სიხშირით, ვიდრე ნაღველკენჭოვანი დაავადების არმქონე პირები. ნაღვლის ბუშტის კარცინომის სხვა

რისკ ფაქტორები, როგორებიცაა ასაკი, მდედრობითი სქესი, შვილოსნობის სტატუსი და ეთნიკურობა ასევე წარმოადგენს ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ნაღველკენჭოვანი დაავადების განვითარებას[11].

გენომის სექვენირების ტექნოლოგიით გამოვლენილია გენეტიკური აბერაციები, რომლებიც პოტენციურ სამიზენს წარმოადგენენ ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარების პროცესში. კერძოდ, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმუნომოდულატორული თერაპიული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს უჯრედის პროგრამირებული სიკვდილის პროტეინსა (PD-1) და პროგრამირებული სიკვდილის ლიგანდს (PD-L1) შორის ურთიერთქმედების გამოვლენას. PD-L1-აბერანტული ექსპრესია საშუალებას აძლევს სიმსივნურ უჯრედებს, რომ თავი დააღწიონ მასპინძლის იმუნურ სისტემას და გააგრძელონ პროლიფერაცია. შესაბამისად, PD-L1-ის გაზრდილ ექსპრესიას უარყოფითი გავლენა აქვს ნაღვლის ბუშტის კარცინომის პროგნოზულ გამოსავალზე [12].

ნაღვლის ბუშტში არჩევენ ავთვისებიანი ტრანსფორმაციის ორ ძირითად გზას: 1) მეტაპლაზია-დისპლაზია-კარცინომა თანმიმდევრობას და 2) ადენომა-კარცინომა თანმიმდევრობას. ნაღველკენჭოვან დაავადებასთან დაკავშირებული კარცინოგენეზი ძირითადად ვითარდება პირველი გზით.

ეპითელიუმის მეტაპლაზია განისაზღვრება როგორც ერთი ტიპის დიფერენცირებული უჯრედის/ქსოვილის მეორე ტიპით ჩანაცვლება. იგი ხშირად აღინიშნება ნაღვლის ბუშტის ეპითელიუმში, ნაღველკენჭოვანი დაავადებების დროს და ასოცირდება ქსოვილის დაზიანებასა და ანთების განვითარებასთან. გარდა ამისა, მეტაპლაზიისა და ანთების ხარისხი იზრდება ნაღვლის კენჭების ზომის პროპორციულად[13]. თუმცა, ზუსტი მექანიზმი, თუ როგორ ხდება ქოლელითიაზის ფონზე ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარება, ჯერ-ჯერობით ბოლომდე ნათელი არაა. ნაჩვენებია, რომ ქოლელითიაზის მქონე პაციენტების 83%-ში ვითარდება ეპითელიუმის ჰიპერპლაზია, 13,5%-ში ატიპური ჰიპერპლაზია და 3,5%-ში კარცინომა in situ[11].

დღესდღეობით ნაღვლის ბუშტის კარცინომა უფრო ხშირად დიაგნოსტირდება, რაც სავარაუდოდ განპირობებულია ლაპარასკოპიული ქოლეცისტექტომიის ფართო გამოყენებასთან. სწორი დიაგნოზის დასმისა და დიფერენციალური დიაგნოსტიკისთვის აუცილებელია ბილიარული ტრაქტის ნეოპლაზიების მორფოლოგიური მახასიათებლების გაგება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაღვლის ბუშტის კარცინომის პათოგენეზი მეტაპლაზიიდან დისპლაზიამდე და შემდეგ კარცინომამდე სიმსივნის პროგრესიის შედეგია [14].

გასული ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების სიმსივნური დაზიანების პრეკურსორების კლასიფიკაცია. შესწავლილია ორი ძირითადი ტიპი: არასიმსივნური (“ბრტყელი”) დისპლაზია, რომელიც ასევე მოიხსენიება, როგორც ბილიარული ინტრაეპითელიური ნეოპლაზია და პოლიპოიდურ-პაპილური პრეინვაზიური ნეოპლაზიები (სიმსივნური ინტრაეპითელიური ნეოპლაზია). არასიმსივნური დისპლაზია ძირითადად გხვდება დაბალი ხარისხით. მაღალი ხარისხის

დისპლაზია, ანუ კარცინომა In situ, მარტივად ექვემდებარება მკურნალობას, იშვიათად ახასიათებს რეციდივი და მეტასტაზების წარმოქმნა. პოლიპოიდურ-ჰაპილარული ნეოპლაზიები იყოფიან ინვაზიურ და არაინვაზიურ ჯგუფებად. არაინვაზიური ნეოპლაზიები ძირითადად განკურნებადია, იშვიათად ახასიათებს რეციდივი და მეტასტაზების წარმოქმნა. ინვაზიური ნეოპლაზიებისგან წარმოქმნილ კარცინომას კი ახასიათებს ნაკლებად აგრესიული ქცევა, ვიდრე ჩვეულებრივ ინვაზიურ კარცინომას [15].

მეტაპლაზია, როგორც წესი, დაკავშირებულია ანთეზასა და ქრონიკულ დაზიანებასთან. სანადვლე გზებში გვხვდება მეტაპლაზიის ორი ძირითადი ტიპი: გასტრული და ინტესტინული. გასტრული მეტაპლაზია ყველაზე გავრცელებული ტიპია და გვხვდება ქოლეცისტიტისა და ქოლელითიაზის გამო რეზეცირებული ნადვლის ბუშტის თითქმის 50%-ში. ინტესტინული მეტაპლაზია გვხვდება შემთხვევათა 30%-ში და მისი ინციდენტობა იზრდება ასაკის მატებასა და ნადველ-კენჭოვანი დაავადების ხანგრძლივობასთან ერთად. მორფოლოგიურად მეტაპლაზიური უჯრედები ავლენს ფსევდოსტრატიფიკაციასა და ზომიერ ბირთვულ ატიპიას. გარდა ამისა, შესაძლოა, ბილიარულ ტრაქტში გამოვლინდეს ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზია, რაც შემდგომში იწვევს ბრტყელუჯრედოვანი კარცინომის განვითარებას.

ბილიარული ტრაქტის დისპლაზია მიიჩნევა, როგორც პრეინვაზიური მდგომარეობა და აღინიშნება ინვაზიური კარცინომის მქონე პაციენტების 40-60%-ში, სკლეროზული ქოლანგიტის მქონე პაციენტების 30%-ში და ინციდენტურად ქოლეცისტექტომიის ნიმუშების 1-3.5%-ში. დისპლაზია მაკროსკოპულად ვლინდება გრანულური შესახედაობითა და კედლის გასქელებით, ხოლო მიკროსკოპულად ახასიათებს კუბური, ან ცილინდრული ეპითელიუმის ატიპური პროლიფერაცია, პოლარობის დაკარგვა და ფსევდოსტრატიფიკაცია. ნადვლის ბუშტის დისპლაზია იყოფა ორ კატეგორიად: დაბალი და მაღალი ხარისხის დისპლაზია. მაღალი ხარისხის დისპლაზია ხასიათდება ბირთვის ჰიპერქრომიით, მიტოზებითა და უჯრედთა პოლარობის დაკარგვით, რითაც ჰისტოლოგიურად ემსგავსება კარცინომა in situ-ს [14].

ნადვლის ბუშტის ინვაზიური კარცინომის 80%-ზე მეტი ვითარდება კარცინომა In situ-სა და დისპლაზიის კერებში. ნადვლის ბუშტის ადენომების დაბალი ინციდენტობა (ქოლეცისტექტომიების 0.14%) და მიმდებარე ლორწოვან გარსში ადენომატოზური ცვლილებების მქონე უბნების არსებობა კარცინომების 3%-ზე ნაკლებში, მიუთითებს ამ კანცეროგენული გზის შეზღუდულ მნიშვნელობაზე. ეპითელიური დისპლაზია, რომელიც არ არის დაკავშირებული ნადვლის ბუშტის კარცინომასთან, აღინიშნება სიმპტომური ლითიაზის გამო ჩატარებული ქოლეცისტექტომიების 1%-ში. მეტაპლაზია, დისპლაზია და კარცინომა In situ სიმსივნის მიმდებარე ლორწოვანში გვხვდება შემდეგი თანაფარდობით 66%, 81.3%, 69%. დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით, ნადვლის ბუშტის კარცინომის პათოგენეზის ყველაზე სარწმუნო გზაა დაზიანების პროგრესია დისპლაზიიდან კარცინომამდე [16].

კლინიკურ მონაცემებთან ჰისტოლოგიური კავშირის დასადგენად ჩატარდა კვლევა და შეფასდა 1689 პაციენტის ნაღვლის ბუშტი, რომელთაც ჩატარდათ ლაპარასკოპიული ქოლეცისტექტომია ქოლეცისტოლითიაზის გამო. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ანთებითი დაზიანება უფრო ხშირი იყო მამაკაცებში, ხოლო დისპლაზია და სიმსივნე აღმოჩენილ იქნა მხოლოდ მდედრობითი სქესის პაციენტებში. ქოლესტეროზის, ადენომიომატოზისა და განგრენის სიხშირე უფრო მაღალი აღმოჩნდა ხანდაზმულ პაციენტებში. საშუალო ასაკის პაციენტებში დაფიქსირდა პილორული მეტაპლაზიის, ინტენსტინული მეტაპლაზიის, დისპლაზიისა და შემდეგ სიმსივნის პროგრესული ზრდა. ნაღვლის ბუშტის ჰისტოლოგიური ცვლილებები ასევე დაფიქსირდა უსიმპტომო პაციენტებშიც. ამ კვლევის შედეგებით სავარაუდოა, რომ არსებობდეს კავშირი ნაღვლის ბუშტის ჰისტოლოგიურ ცვლილებებსა და სიმსივნის განვითარებას შორის [17].

არაერთმა კვლევამ გამოავლინა მოლეკულური და გენეტიკური დეფექტების როლი ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარებაში. ჩვეულებრივ, კანცეროგენები გამოწვეულია გენეტიკური და ეპიგენეტიკური ცვლილებებით, რაც განაპირობებს ონკოგენების აქტივაციასა და სიმსივნის სუპრესორი გენების ინაქტივაციას. სიმსივნის სუპრესორი გენი მოქმედებს, როგორც უჯრედული ციკლის გამშვები მექანიზმი და შესაბამისად, შეუძლია გამოიწვიოს ავთვისებიანი ტრანსფორმაცია [18].

სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია, რომ ანთებითი პროცესის შედეგად შესაძლებელია მოხდეს სიმსივნის სუპრესორი გენის, *TP53*-ის ცვლილებები, რაც სავარაუდოდ განპირობებულია უჯრედთა გაძლიერებული სიკვდილითა და ახალი ურჯედების წარმოქმნით ასევე ოქსიდაციური სტრესით, თუმცა *TP53*-ის ცვლილებების ზუსტი მექანიზმი ანთების დროს უცნობია. ასევე ნაჩვენებია, რომ სხვა მრავალი სიმსივნის მსგავსად, ნაღვლის ბუშტის კარცინომის დამახასიათებელი ძირითადი მოლეკულური ცვლილებაა *TP53*-ის ინაქტივაცია, დელეციის ან სხვა სახის მუტაციების გზით. *TP53*-ის მუტაცია ასევე აღინიშნება ქრონიკული ქოლეცისტიტის დროს, ნაღვლის ბუშტის ჰისტოლოგიურად ნორმალური შესახედაობის ეპითელიუმშიც და მისი სიხშირე მნიშვნელოვნად იზრდება დისპლაზიის და კარცინომის დროს [19]. ნაღვლის ბუშტისა და ექსტრაჰეპატური სანაღვლე გზების კარცინომის უმეტესი ნაწილი იმუნოჰისტოქიმიური კვლევით აექსპრესიებს *TP53*-ს, თუმცა ექსპრესიის ხარისხის სხვადასხვაობა მიუთითებს მათ განსხვავებულ ეტიოლოგიასა და პათოგენეზურ მექანიზმზე [20].

გარდა ამისა, არსებობს კვლევები იმის შესახებ, რომ **ონკოგენი ბეტა-კატენინი** მონაწილეობს ნაღვლის ბუშტის კარცინომის პათოგენეზში. ბეტა-კატენინი წარმოადგენს უჯრედის ადჰეზიური სისტემის ძირითად რეგულატორს. მისი ბირთვული ექსპრესია მნიშვნელოვნად მაღალია ნაღვლის ბუშტის კარცინომის შემთხვევაში და კორელაციაშია სიმსივნის ხარისხსა და ინვაზიის სიღრმესთან [21].

სხვადასხვა კვლევებით ასევე ნაჩვენებია *Ki67*-ის გაზრდილი ექსპრესიის ასოციაცია ნაღვლის ბუშტის კარცინომასთან. *Ki67* წარმოადგენს უჯრედის პროლიფერაციულ მარკერს,



რომელიც ექსპრესირებს უჯრედის ციკლის ყველა ფაზაში G0 ფაზის გარდა. მთელი რიგი კვლევები მიუთითებს, რომ აღნიშნული მარკერის ექსპრესია მნიშვნელოვნად არის მომატებული სხვადასხვა ორგანოთა სიმსივნეებში და ძირითადად შეჭიდულია სიმსივნის ავთვისებიანობის პოტენციალთან [22]. Ojha და კოლეგების მიერ შესწავლილი იქნა Ki67-ის იმუნოჰისტოქიმიური ექსპრესია ნაღვლის ბუშტის კარცინომებში. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ Ki67-ზე პოზიტიურობა აღინიშნება ნაღვლის ბუშტის კარცინომების 88,64%-ში და მისი ექსპრესია მნიშვნელოვნად იზრდება დაზიანების ავთვისებიანობის ხარისხის ზრდასთან ერთად. რაც შეეხება ნაღვლის ბუშტის კარცინომის პრეკურსორ დაზიანებას, როგორცაა ნაღვლის ბუშტის ეპითელიუმის დისპლაზია. Halder და კოლეგების მიერ ნაჩვენები იქნა, რომ Ki67-ის ექსპრესია ასევე იმატებს დისპლაზიურ დაზიანებებში, ნაღვლის ბუშტის ნორმალურ ეპითელიუმთან შედარებით და მისი ექსპრესია მნიშვნელოვნად იზრდება სიმსივნურ დაზიანებებში [23]. რაც მიუთითებს იმაზე, რომ უჯრედის პროლიფერაციული აქტივობის მომატება დისპლაზიის ადრეულ ეტაპზე, შესაძლებელია წარმოადგენდეს დისპლაზიის კარცინომად პროგრესიის რისკ ფაქტორს. თუმცა, ამ მოსაზრების დასამტკიცებლად საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება. ნაღვლის ბუშტის ანთებითი დაზიანებების დროს, ნაღვლის ბუშტის ეპითელიუმის პროლიფერაციული ინდექსის ცვლილებები ჯერ-ჯერობით შესწავლილი არაა.

გარდა პროლიფერაციული მარკერებისა, ასევე ნაჩვენებია, რომ მრავალი სიმსივნის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედის აპოპტოზური აქტივობის შემცირება. თუმცა ნაღვლის ბუშტის კარცინომების აპოპტოზური აქტივობის შესახებ ლიტერატურული მონაცემები არასრული და ურთიერთწინააღმდეგობრივია. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის მონაცემებით, ნაღვლის ბუშტის კარცინომების მხოლოდ 8%-ში ვლინდება აპოპტოზური ცილის, Bcl2-ის ექსპრესია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ნაღვლის ბუშტის კარცინომების დიდ ნაწილში ადგილი აქვს აპოპტოზური აქტივობის დაკარგვას. მაშინ როდესაც, სხვა კვლევების მონაცემებით კი Bcl2-ის ექსპრესია ვლინდება ნაღვლის ბუშტის კარცინომების 34%-ში [24]. რაც შეეხება ნაღვლის ბუშტის ქრონიკულ ანთებას და დისპლაზიას მონაცემები Bcl2-ის ექსპრესიის შესახებ ცნობილი არაა.

**კარცინომებრიონული ანტიგენი (CEA)** წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებული გლიკოპროტეინების ერთობლიობას, რომლებიც მონაწილეობენ უჯრედების ადჰეზიაში. ჩვეულებრივ წარმოიქმნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქსოვილებში ნაყოფის განვითარების დროს და მისი წარმოქმნა წყდება დაბადებამდე. CEA არის კოლორექტული კარცინომის ძირითადი მარკერი, თუმცა, არსებობს რამდენიმე კვლევა მისი ნაღვლის ბუშტის კარცინომაში ექსპრესიის შესახებ. ნაღვლის ბუშტის კეთილთვისებიანი პათოლოგიების დროს CEA-ს ექსპრესია არ აღინიშნება, ან გვხვდება აპიკალურად, ხოლო პირველადი კარცინომების უმეტესობაში ფოკალურად ან დიფუზურად [25].

სავარაუდოა, რომ არსებობს კავშირი ნაღვლის ბუშტის კარცინომის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის მარკერების ექსპრესიისა და საშუალო გადარჩენის მაჩვენებელს შორის. კვლევებით დადასტურებულია, რომ P53 და CEA მარკერების მაღალი ხარისხის

ექსპრესია დაკავშირებულია ცუდ კლინიკურ გამოსავალთან. ასევე სავარაუდოა, რომ ამ მარკერების ექსპრესიის ეტაპობრივი ზრდა, შესაძლოა, ასახავდეს დაავადების პროგრესირებას In situ-დან ინვაზიურ მდგომარეობამდე. თუმცა, კვლევების სიმწირის გამო დღესდღეობით მათი გამოყენება დამოუკიდებელ პროგნოზულ მარკერად არ ხდება.

**ადჰეზიური მოლეკულების** ექსპრესიული ცვლილებები დაკავშირებულია ნაღვლის ბუშტის კარცინომის პროგრესირებასა და მეტასტაზების წარმოქმნასთან. ნაღვლის ბუშტის კარცინომის შემთხვევაში დაფიქსირდა ICAM-1, CEA და CD44v6 მარკერების გაზრდილი ექსპრესია CD99-ის დაქვეითებულ ექსპრესიასთან ერთად. ადენომის შემთხვევაში კი CD44v6 და CD56 მარკერების აბერანტული და E-კადჰერინის დაქვეითებული ექსპრესია. ნაღვლის ბუშტის დაბალი ხარისხის დისპლაზიისთვის დამახასიათებელია ალფა, ბეტა და გამა კატენინების დაქვეითებული ექსპრესია, თუმცა, ამ ადჰეზიური მოლეკულების ექსპრესია არ იცვლება მეტასტაზის დროს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ICAM-1, CD99, CD56 და E-კადჰერინის ექსპრესია კორელაციაშია კლინიკურ სტადიასა და ლიმფურ კვანძებში მეტასტაზების წარმოქმნასთან [26].

არსებობს მოსაზრება, რომ **სასქესო ჰორმონები** და კერძოდ ესტროგენი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარებაში. ეს მოსაზრება მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ნაღვლის ბუშტის კარცინომა გაცილებით უფრო ხშირია ქალებში, მამაკაცებთან შედარებით. Saranga და კოლეგების მონაცემებით, ნაჩვენებია, რომ ნაღვლის ბუშტის დისპლაზიურ პროცესებსა და პირველი სტადიის ნაღვლის ბუშტის კარცინომაში აღინიშნება ესტროგენის რეცეპტორის (ER) გაცილებით უფრო მაღალი ექსპრესია ვიდრე IV სტადიის კარცინომებში და ER-ის ექსპრესიის დაკარგვა ძირითადად კორელაციაშია დაზიანების პროგრესიის ხარისხთან [27]. თუმცა, ეს მონაცემები მეტი დაზუსტებისათვის საჭიროებს შემდგომ დამატებით კვლევას. რაც შეეხება მამაკაცის სასქესო ჰორმონებს, მათი როლი ნაღვლის ბუშტის კარცინომის პათოგენეზში უცნობია.

არსებობს მოსაზრება, რომ ნაღვლის ბუშტის კარცინომის პროგრესირებასა და მეტასტაზირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია (EMT)**[28]. ის წარმოადგენს რთულ ბიოლოგიურ პროცესს, რომლის დროსაც ეპითელური უჯრედები იძენენ მეზენქიმური უჯრედების მახასიათებლებს, რაც გულისხმობს გაძლიერებულ მიგრაციულ შესაძლებლობებს, ინვაზიურობას, აპოპტოზის მიმართ გაზრდილ წინააღმდეგობასა და უჯრედგარე მატრიქსის კომპონენტების გაზრდილ პროდუქციას. შესაბამისად, ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის დროს სიმსივნური უჯრედები ხდება უფრო მეტად აგრესიული და გააჩნიათ მიმდებარე ქსოვილებში მიგრაციის უნარი. ეს პროცესი მოიცავს მრავალ საფეხურს, როგორებიცაა ტრანსკრიფციის ფაქტორების გააქტიურება, უჯრედის ზედაპირზე სპეციფიკური ცილების ექსპრესია, ციტოქრომჩხის ცილების რეორგანიზაცია და ექსპრესია, უჯრედგარე მატრიქსის დამშლელი ფერმენტების წარმოება და სპეციფიკური მიკრო-რნმ-ების ექსპრესიის ცვლილებები. ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის ნიშნები როგორც ინ ვიტრო, ისე ინ ვივო არის: თითისტარისებური ფორმის უჯრედების წარმოქმნა, რომლებიც ემსგავსებიან

ფიბრობლასტებს; მეზენქიმური მარკერებისა და ექსტრაცელულური მატრიქსის კომპონენტების ჭარბი ექსპრესია და სპეციფიკური ეპითელური ზედაპირული მარკერების და ციტოჩონჩხის კომპონენტების ექსპრესიის შემცირება. გარდა ამისა ამ დროს ხდება სპეციფიკური ბირთვული ტრანსკრიპციის ფაქტორების ჭარბი ექსპრესიაც [29].

მიუხედავად იმისა, რომ ეპითელ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის შედეგი არის მეზენქიმური ტიპის მოძრავი უჯრედების წარმოქმნა, მისი ინდუქციისა და პროგრესირების მექანიზმები განსხვავდება. იმპლანტაციასთან, ემბრიოგენეზთან და ორგანოთა განვითარებასთან დაკავშირებული ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია (ტიპი 1) განპირობებულია ქსოვილების რეგენერაციის ევოლუციური საჭიროებით, რათა მოხდეს სწორი მორფოგენეზი და ფუნქციური ორგანიზმის წარმოქმნა. ამ ტიპის ტრანსფორმაცია შექცევადია და არ არის დაკავშირებული ანთებასთან, ფიბროზთან და სისტემურ გავრცელებასთან. ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის მეორე ტიპი ასოცირდება ქსოვილების რეგენერაციასა და ფიბროზთან და დამოკიდებულია ანთების გამომწვევ დაზიანებაზე. შესაბამისად ამ ტიპის ტრანსფორმაცია გრძელდება მანამ, სანამ დამაზიანებელი აგენტის გავლენა არ მოიხსნება. მეორე ტიპის ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციისას წარმოიქმნება მეზენქიმური უჯრედები, განსაკუთრებით მიოფიბრობლასტები, რომლებიც წარმოქმნიან უჯრედგარე მატრიქსის კოლაგენით მდიდარ კომპონენტების გადაჭარბებულ რაოდენობას. მესამე ტიპის ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია საფუძვლად უდევს სიმსივნის ზრდისა და პროგრესირების პროცესს. ამ ტიპის ტრანსფორმაციას საფუძვლად უდევს სიმსივნური უჯრედების მიერ შექმნილი გენომური ცვლილებები [30]

ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციით ინდუცირებული ტრანსკრიფციის ფაქტორების (EMT-TFs) დისრეგულაცია დაკავშირებულია ნაღვლის ბუშტის კარცინომის კლინიკოპათოლოგიასთან და პროგნოზთან [28]. ამიტომაც, ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი მოვლენა პროგრესირების, მეტასტაზების წარმოქმნისა და კლინიკური გამოსავლის პროგნოზისთვის.

რაც შეეხება ნაღვლის ბუშტის კარცინომის დიაგნოსტიკას, ოქროს სტანდარტად ითვლება ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა. ულტრასონოგრაფიული გამოკვლევით, შესაძლებელია ნაღვლის ბუშტის კედლის სისქის შეფასება, რაც შესაძლოა წარმოადგენდეს ასევე ერთ-ერთ დიაგნოსტიკურად მნიშვნელოვან ტესტს ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარების პროგნოზის განსაზღვრისათვის. ნაღვლის ბუშტის სიმსივნეების ჰისტოპათოლოგიურად ხასიათდება მაღალი ჰეტეროგენულობით და მისი პროგნოზის განსაზღვრა რთულია. ამიტომ, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული საჭიროა ახალი ბიომარკერების გამოვლენა, რომლებიც მოგვცემენ ამ დაზიანების პროგნოზის განსაზღვრისა და თერაპიული მიდგომების შემუშავების საშუალებას. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება **სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების შესწავლას**, სხვადასხვა სიმსივნეებში, რადგან სიმსივნეები მაღალი ლიმფოციტური ინფილტრაციით წარმოადგენენ იმუნოთერაპიის კანდიდატებს. ამ მიმართულებით მხოლოდ მცირე მონაცემები არსებობს ნაღვლის ბუშტის კარცინომებში. თუმცა, ზოგიერთი კვლევით ნაჩვენებია, რომ ჭარბი

ლიმფოციტური ინფილტრაციის შემთხვევაში ნაღვლის ბუშტის კარცინომები ხასიათდებიან დადებითი პროგნოზით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაღვლის ბუშტის სიმსივნე სანაღვლე გზების ყველაზე გავრცელებული და აგრესიული სიმსივნეა. პოტენციურ სამკურნალო მიდგომად ითვლება სრული ქირურგიული რეზექცია ადრეულ ეტაპებზე. შარდის ბუშტის კარცინომის შემთხვევების უმრავლესობა დიაგნოსტირებულია პროგრესულ სტადიაზე, შესაბამისად, ტრადიციულ რადიოთერაპიასა და ქიმოთერაპიაზე რეაგირება უკიდურესად შეზღუდულია, რაც მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს საერთო გადარჩენის მაჩვენებელზე [31].

თარგეტული თერაპიის ეფექტურობა ფართოდ იქნა გამოკვლეული მრავალი სიმსივნის შემთხვევაში. ამ დროს ხდება იმ სამიზნე მოლეკულების ბლოკირება, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სიმსივნური უჯრედების პროლიფერაციასთან, დიფერენციაციასთან, მიგრაციასთან, სისხძარღვთა ანგიოგენეზთან და ანტისიმსივნურ უჯრედულ პასუხთან. თარგეტული თერაპიის მედიკამენტები შედგება მცირე ზომის მოლეკულებისგან და იმუნიზირებული ანტისხეულებისგან. მცირე ზომის მოლეკულები ადვილად გადაიტანება უჯრედებში სპეციფიკური ცილებისა და ენზიმების ინაქტივაციისთვის, რაც აფერხებს სიმსივნური უჯრედების ზრდას, ხოლო თერაპიული ანტისხეულები უკავშირდებიან უჯრედის მემბრანის რეცეპტორებს, რათა დაარეგულირონ უჯრედის პროლიფერაცია, ან აპოპტოზი. ზოგიერთი მედიკამენტი შეიქმნა უჯრედგარე მოლეკულებზე ზემოქმედებისთვის, რომლებიც განაპირობებენ ანგიოგენეზს, ან იმუნურ პასუხს, რაც იწვევს სიმსივნის პროგრესირების, ანგიოგენეზისა და მეტასტაზების წარმოქმნის ინჰიბირებას [32].

ბოლო დროინდელმა პროგრესმა ნაღვლის ბუშტის კარცინომის მოლეკულური ალტერაციების გაგებაში, საფუძველი ჩაუყარა მკურნალობის უფრო ეფექტური მეთოდების შემუშავებას. ნაღვლის ბუშტის კარცინომის განვითარების პოტენციური სამიზნეებია Hedgehog, PI3K/AKT/mTOR, Notch, ErbB, MAPK სასიგნალო გზები და ანგიოგენეზი. დღესდღეობით, ამ საფეხურებზე მოქმედი მკურნალობის მეთოდები შესწავლის საგანია [31].

### გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] R. L. Siegel and K. D. Miller, “Cancer Statistics , 2020,” vol. 70, pp. 7–30, 2020.
- [2] F. Graur, E. Mois, S. Margarit, C. Hagi, and al Hajjar, “Gallbladder carcinoma. Surgical management of gallbladder carcinoma. An analysis of 37 cases,” vol. 89, pp. 501–506.
- [3] S. E. Lee et al, “Practical guidelines for the surgical treatment of gallbladder cancer.,” *J. Korean Med. Sci*, vol. 29, pp. 1333–1340, Oct. 2014.

- [4] v. Ostwal et al, "Treatment of advanced Gall bladder cancer in the real world-can continuation chemotherapy improve outcomes?," *J. Gastrointest. Oncol*, vol. 8, pp. 368–376, Apr. 2017.
- [5] V. Dilalla, G. Chaput, T. Williams, and K. Sultanem, "Radiotherapy side effects: integrating a survivorship clinical lens to better serve patients.," *Curr. Oncol.*, vol. 27, pp. 107–112, Apr. 2020.
- [6] K. Nurgali, R. T. Jagoe, and R. Abalo, "Editorial: Adverse Effects of Cancer Chemotherapy: Anything New to Improve Tolerance and Reduce Sequelae?," *Front Pharmacol*, vol. 9, p. 245, 2018.
- [7] A. Sharma, K. L. Sharma, A. Gupta, A. Yadav, and A.Kumar, "Gallbladder cancer epidemiology, pathogenesis and molecular genetics: Recent update.," *World J. Gastroenterol*, vol. 23, pp. 3978–3998, 2017.
- [8] S. Ryu, Y. Chang, K. E. Yun, H.-S. Jung, J. H. Shin, and H. Shin, "Gallstones and the Risk of Gallbladder Cancer Mortality: A Cohort Study.," *Am. J. Gastroenterol.*, vol. 111, pp. 1476–1487, Oct. 2016.
- [9] J. A. Espinoza et al., "The inflammatory inception of gallbladder cancer.," *Biochim. Biophys. Acta*, vol. 1865, pp. 245–254, Apr. 2016.
- [10] C. H. C. Pilgrim, R. T. Groeschl, K. K. Christians, and T. C. Gamblin, "Modern perspectives on factors predisposing to the development of gallbladder cancer.," *HPB (Oxford)*, vol. 15, pp. 839–844, Nov. 2013.
- [11] R. Hundal and E. A. Shaffer, "Gallbladder cancer: epidemiology and outcome.," *Clin. Epidemiol.*, vol. 6, pp. 99–109, 2014.
- [12] J. H. Kim *et al.*, "Programmed death-ligand 1 expression and its correlation with clinicopathological parameters in gallbladder cancer," *J Pathol Transl Med*, vol. 54, no. 2, pp. 154–164, 2020, doi: 10.4132/jptm.2019.11.13.
- [13] S. K. Mathur et al., "Correlation of gallstone characteristics with mucosal changes in gall bladder.," *Trop. Gastroenterol.*, vol. 33, pp. 39–44, 2012.
- [14] N. Katabi, "Neoplasia of Gallbladder and Biliary Epithelium."
- [15] Y. Xue, B. Quigley, G. Akkas, and V. Adsay, "Neoplastic precursors (dysplasia, intraepithelial neoplasia) of the gallbladder and biliary tract: Terminology, classification, pathologic diagnosis, and clinical significance," *Diagnostic Histopathology*, vol. 21, no. 8. Elsevier Ltd, pp. 323–331, Aug. 01, 2015. doi: 10.1016/j.mpdhp.2015.06.023.

- [16] I. Roa, X. de Aretxabala, J. C. Araya, and J. Roa, "Preneoplastic lesions in gallbladder cancer," in *Journal of Surgical Oncology*, Jun. 2006, vol. 93, no. 8, pp. 615–623. doi: 10.1002/jso.20527.
- [17] A. L. A. Meirelles-Costa, C. J. C. Bresciani, R. O. Perez, B. H. Bresciani, S. A. C. Siqueira, and I. Cecconello, "Are histological alterations observed in the gallbladder precancerous lesions?," *Clinics*, vol. 65, no. 2, pp. 143–150, 2010, doi: 10.1590/S1807-59322010000200005.
- [18] R. Dixit, V. K. Shukla, and M. Pandey, "World Journal of Pathology Molecular alterations in gallbladder cancer," 2012. [Online]. Available: [www.npplweb.com/wjp/fulltext/1/7](http://www.npplweb.com/wjp/fulltext/1/7)
- [19] H. Nakamura et al., "Genomic spectra of biliary tract cancer.," *Nat. Genet.*, vol. 127, pp. 175–186, Jun. 2015.
- [20] M. Teh, A. Wee, M. R. C. Path, and G. C. Raju, "An Immunohistochemical Study of p53 Protein in Gallbladder and Extrahepatic Bile Duct/Ampullary Carcinomas."
- [21] M. Ghosh, P. Sakhuja, S. Singh, and A. Agarwal, "P53 and beta-catenin expression in gallbladder tissues and correlation with tumor progression in gallbladder cancer," *Saudi Journal of Gastroenterology*, vol. 19, no. 1, pp. 34–39, Jan. 2013, doi: 10.4103/1319-3767.105922.
- [22] X. Sun and P. D. Kaufman, "Ki-67: more than a proliferation marker," *Chromosoma*, vol. 127, Jun. 2018.
- [23] S. Halder, S. Kundu, J. Chakraborty, and S. Chakrabarti, "Significance of HER2 and Ki-67 in Preneoplastic Lesions and Carcinoma of Gallbladder.," vol. 50, pp. 848–854, Dec. 2019.
- [24] Y. Shen et al., "Liensinine induces gallbladder cancer apoptosis and G2/M arrest by inhibiting ZFX-induced PI3K/AKT pathway.," *Acta Biochim.*, vol. 51, pp. 607–614, Jun. 2019.
- [25] S. K. Mondal, D. Bhattacharjee, P. K. Mandal, and S. Biswas, "Histopathological study of gallbladder carcinoma and its mimics with role of carcinoembryonic antigen immunomarker in resolving diagnostic difficulties," *Indian Journal of Medical and Paediatric Oncology*, vol. 38, no. 4, pp. 411–415, Oct. 2017, doi: 10.4103/ijmpo.ijmpo\_230\_15.
- [26] Y.-L. Choi *et al.*, "An Immunohistochemical Study of the Expression of Adhesion Molecules in Gallbladder Lesions," 2004. [Online]. Available: <http://www.jhc.org>
- [27] R. Saranga Bharathi et al., "Female sex hormone receptors in gallbladder cancer.," vol. 46, pp. 143–148, Jun. 2015.
- [28] Sunwang Xu, Ming Zhan, and Jian Wang, "Epithelial-to-mesenchymal transition in gallbladder cancer: from clinical evidence to cellular regulatory networks," Nov. 2017.
- [29] A. Dongre and R. A. Weinberg, "New insights into the mechanisms of epithelial–mesenchymal transition and implications for cancer," *Nat. Rev. Mol. Cell Biol*, vol. 20, pp. 69–84, 2019.

- [30] R. Kalluri and R. A. Weinberg, "The basics of epithelial-mesenchymal transition," *Journal of Clinical Investigation*, vol. 119, no. 6. pp. 1420–1428, Jun. 01, 2009. doi: 10.1172/JCI39104.
- [31] C. Bizama *et al.*, "Targeting specific molecular pathways holds promise for advanced gallbladder cancer therapy," *Cancer Treatment Reviews*, vol. 41, no. 3. W.B. Saunders Ltd, pp. 222–234, Mar. 01, 2015. doi: 10.1016/j.ctrv.2015.01.003.
- [32] X. Song, Y. Hu, Y. Li, R. Shao, F. Liu, and Y. Liu, "Overview of current targeted therapy in gallbladder cancer," *Signal Transduction and Targeted Therapy*, vol. 5, no. 1. Springer Nature, Dec. 01, 2020. doi: 10.1038/s41392-020-00324-2.

## **Problematic issues of the mucous membrane inflammatory changes of the gallbladder and the features of hormonal expression in the development of dysplasia-carcinoma consequence**

T. Kveliashvili; G. Didava Sh. Kepuladze; G. Burkadze;  
Tbilisi State Medical University

### **Abstract**

Gallbladder carcinoma is the most common tumour of the biliary tract. It is relatively rare in Western countries. However, it is widespread in different regions of the world, especially in developing countries. The most effective treatment method for gallbladder carcinoma is radical cholecystectomy. However, unfortunately, only 10-30% of patients are subject to this treatment method, since 70-90% of cases are diagnosed at an advanced stage. The development of gallbladder carcinoma is associated with various environmental and genetic factors, also the presence of chronic inflammation and/or exposure to specific chemicals, heavy metals, and nutritional factors. The exact mechanism of how gallbladder carcinoma develops in the background of cholelithiasis is still not completely clear. During inflammatory lesions of the gallbladder, changes in the proliferation index of the gallbladder epithelium have not been studied yet. In addition to proliferative markers, it has also been shown that the reduction of cell apoptotic activity plays an important role in the pathogenesis of many tumours. However, literature data on the apoptotic activity of gallbladder carcinomas are incomplete and contradictory.

**Keywords:** gallbladder carcinoma hormone receptors; proliferative-apoptotic markers;

## თეთრი და წითელი ვარდების სიმბოლიკა ოსკარ უაილდის ზღაპრებში

ლელა ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

<https://orcid.org/0000-0003-0802-4085>

### აბსტრაქტი

სტატიაში საუბარია თეთრი და წითელი ფერების, უფრო კონკრეტულად კი თეთრი და წითელი ვარდების სიმბოლურ დატვირთვაზე ოსკარ უაილდის ზღაპრებში. ხსენებულ ფერებთან დაკავშირებული ასოციაციების საილუსტრაციო მაგალითებში შეგვხვდა ბევრი შემთხვევა, როდესაც ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო ნახსენები თეთრი და წითელი ვარდები. შესაბამისად, გავეცანით კვლევებს არა მხოლოდ თეთრი და წითელი ფერების, არამედ ვარდის ზოგადი სიმბოლიკის შესახებ. ამის ფონზე განვიხილეთ, თუ რა კონოტატიურ მნიშვნელობათა მატარებელია თეთრი და წითელი ფერები, თეთრი და წითელი ვარდები ოსკარ უაილდის ნაწამორმოებებში. გამოიკვეთა მთელი რიგი მნიშვნელობები, როგორცაა, უმანკო თუ ვნებიანი სიყვარული, ცოდვის სისხლით გამოსყიდვა და სულიერი განწმენდა, ხელოვნება. ყოველივე ეს თავად ავტორის პიროვნებას და ცხოვრებას ასახავს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ გენიალური შემოქმედის პარადოქსულ ბუნებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ოსკარ უაილდის ზღაპრები, თეთრი და წითელი ფერები, ვარდის სიმბოლიკა, კონოტატიური მნიშვნელობები

### შესავალი

ჩვენი კვლევის ობიექტად არჩეული მასალა ძირითადად ლიტერატურული ზღაპრის ჟანრს მიუკუთვნება და მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალიზმით გამორჩეული გენიალური ავტორის ქმნილებებს წარმოადგენს, მაინც გააჩნია საერთო თვისებები ხალხურ ზღაპართან. სახელდობრ, ნებისმიერი ზღაპარი „მხატვრულ გამონაგონსა და ფანტასტიკურ ამბავზეა დაფუძნებული“ [ჭილაია, 1984:107], ანუ, როგორც სულხან-საბა ორბელიანი



აღნიშნავდა, ეს არის „მოგონებული ტყუილი ამბავად შემჭერვებული და არა ქმნილი მყოფობით“ [ორბელიანი, 1991:291]. ზღაპრები ფანტასტიკურ სამყაროში გვამოგზაურებენ, მათთვის დამახასიათებელია ალეგორია, ხშირად ადამიანის თვისებები ცხოველებსა და ფრინველებს მიეწერებათ, გამოკვეთილია კონფლიქტი სიკეთესა და ბოროტებას შორის, რომელიც ხალხურ ზღაპრებში ყოველთვის სიკეთის გამარჯვებით მთავრდება, ხოლო რაც შეეხება ლიტერატურულ ზღაპარს, იგი ყოველთვის არ იზიარებს ხალხური ზღაპრისათვის დამახასიათებელ სწორხაზოვნებას, თხრობის სისადავეს, თავისებურ რიტმსა და ინტონაციას, მხატვრული სახეების სიმარტივეს, დასაწყისისა და დასასრულის მზა ფორმულებს და სხვა ნიშნებს.

ლიტერატურული ზღაპარი მხატვრული სახეების სიმრავლითა და ოდნავ ზეაწეული ელფერით ხასიათდება. ზეაწეულობა იქმნება მარკირებული ლექსიკით, რომელიც ხან პერსონაჟის გუნება-განწყობილების გამოხატვას ემსახურება, ხან კი ბუნების სურათების აღწერისთვისაა მოწოდებული. თავის მხრივ, პერსონაჟის სულიერი სამყაროთი დაინტერესება და მისთვის შესაფერისი გარემოს შექმნა არის ის ერთ-ერთი ძირითადი სტილისმიერი ნიშანი, რაც ლიტერატურულ ზღაპარს განასხვავებს ხალხური ზღაპრისაგან [ფანჯიკიძე, 1988:175-176].

ყოველივე ეს, ანუ ზეაწეული სტილი, ხატოვანება, პერსონაჟების განცდებისა და ბუნების სურათების ოსტატური აღწერა, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ოსკარ უაილდის ზღაპრებისათვის. როდესაც საუბარია აღწერაზე, ცხადია, აქ აუცილებლად მოიაზრება ატრიბუტული მსაზღვრელები, რომელთა შორის ჩვენთვის საინტერესოა ფერის გამომხატველი ზედსართავები. ფერები ამა თუ იმ თვისების სიმბოლოურად გამოსახატავად და მკითხველზე ემოციური ზემოქმედების საშუალებად ხალხურ ზღაპრებშიც არის გამოყენებული, თუმცა გაცილებით უხვად იყენებს ფერთა აღმნიშვნელ სიტყვებს ოსკარ უაილდი, რადგან მათი მეშვეობით უფრო გამომსახველად, ნათლად და შთამბეჭდავად აღწერს საგნებს, ბუნებას თუ ადამიანებს, მეორე მხრივ კი ფერების დახმარებით ფაქიზად მანიპულირებს მკითხველის აღქმასა და ემოციებზე. ამგვარ მანიპულაციას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ მიუხედავად კულტურული და პიროვნული განსხვავებებისა, ადამიანთა უმეტესობისთვის კონკრეტული ფერები კონკრეტულ ასოციაციებს უკავშირდება.

ეს იმით აიხსნება, რომ საზოგადოდ, განსაკუთრებით დასავლურ სამყაროში, არსებობს, შეიძლება ითქვას, საყოველთაოდ მიღებული დამოკიდებულება ფერების მიმართ, რომლის მიხედვითაც თითოეული ფერი გარკვეულ ასოციაციებს იწვევს. მაგალითად, თეთრი სიწმინდესთან, უმანკოებასთან, ნეიტრალობასთან, ახალ წამოწყებასთან, უარყოფითი მნიშვნელობით სტერილურობასთან, სიცარიელესთან, გამოფიტვასთან, ზოგ კულტურაში კი გლოვასთან ასოცირდება; შავი დადებითი მნიშვნელობით - ელეგანტურობასა და ძალაუფლებასთან, თუმცა უფრო ხშირად უარყოფითი კონოტაციის მატარებელია და სიკვდილს, ბოროტებას, იდუმალებას გამოხატავს. წითელი სიყვარულისა და ვნების სიმბოლოა, ამასთან, სისხლის ასოციაციასაც იწვევს; ნარინჯისფერი და ყვითელი მხიარული, ოპტიმისტური ფერებია; მწვანე ბუნების, ჰარმონიის, სიმყუდროვის, ნაყოფიერების

აღმნიშვნელ ფერად მიიჩნევა; ლურჯი სიმშვიდესა და ინტელექტთან ასოცირდება, მეწამული სამეფო ფერია, ვარდისფერი - ქალურობისა და სინაზის სიმბოლო და ა.შ. [https://medium.com/@Render\_\_Forest/psychology-of-colors-b5c9fe5ffd3b]

### ფერების სიმბოლური დატვირთვა ოსკარ უაილდის ზღაპრებში

ფერებს საკმაოდ მნიშვნელოვნი სიმბოლური დატვირთვა აქვს ოსკარ უაილდის ნაწარმოებებში, თუმცა ჩვენი კვლევის სფერო ძირითადად ზღაპრებს მოიცავს და ფერებს შორისაც ყველაზე მეტად თეთრი და წითელი გვანტერესებს. ამიტომაც, მაგალითებს უაილდის ზღაპრების ორი კრებულიდან - “The Happy Prince and Other Tales” (ბედნიერი უფლისწული და სხვა ზღაპრები) და “A House of Pomegranates” („ბროწეულის სახლი“) - მოვიყვანთ. განვიხილოთ რამდენიმე ფერის სიმბოლიკა:

ბედნიერ უფლისწულის ქანდაკება ოქროსფრად ბრწყინავს. ინგლისურში ოქრო და ოქროსფერი ერთი და იმავე სიტყვებით - gold, golden – აღინიშნება. თავდაპირველად ქანდაკება მთლიანად ოქროს ფირფიტებით არის დაფარული, თვალები ლურჯი საფირონის აქვს, ხმლის ვადაში კი წითელი ლალი უელავს. იგი ლამაზი და ძვირფასია. ტექსტში არაერთხელ კეთდება აქცენტი მის მდიდრულ შესახედაობაზე: ბედნიერი უფლისწულის კვარცხლბეკზე ღამის გასათევად ჩამომჯდარი მერცხალი აღმოაჩენს, რომ მას ოქროს სამინებელი ჰქონია, ასევე აღწერილია, როგორ ჩამოუგორდება უფლისწულს ცრემლი ოქროს ლოყაზე. მით უფრო დიდია კონტრასტი, როდესაც, ოქროს ფირფიტების აცლის შემდეგ უფლისწული ნაცრისფერი და უსახური ხდება, იგი კარგავს დიდებულ იერს და ბრწყინვალეობას. ქალაქის მერი მის დანახვაზე წამოიძახებს: “Dear me! how shabby the Happy Prince looks!” („ღმერთო ჩემო! რა საცოდავად გამოიყურება ბედნიერი უფლისწული!“, შემდეგ კი ამბობს: “Little better than a beggar” [Wilde, 1979:37-38] („მთლად მათხოვარს დამსგავსების!“) [უაილდი, 1960:31].

ვერცხლისფერთან დაკავშირებული ასოციაციებია სიგრილე, სიკამკამე, სიცივე, გამჭვირვალობა. როდესაც მერცხალი თავის სატრფო ლერწამს ეარშიყება, მისი ფრთების შეხებისგან წყალზე ვერცხლისფერი ჭავლი ჩნდება. ზამთარი რომ დგება, ქუჩები ვერცხლისას ემსგავსება: „Then the snow came, and after the snow came the frost. The streets looked as if they were made of silver, they were so bright and glistening“ [Wilde, 1979:36-37] („ამასობაშიც თოვლიც მოვიდა, თოვლს ყინვა მოჰყვა. ქუჩები ისე ააბრწყვიალა ყინვამ, თითქოს ვერცხლით მოუჭედიათი“) [უაილდი, 1960:30].

ძალიან საინტერესოა თეთრი ფერის დატვირთვა. თეთრ წინსაფრებში არიან გამოწყობილი საქველმოქმედო სკოლის ბავშვები, რომელნიც ბედნიერ უფლისწულს ანგელოზს ადარებენ, თეთრი მარმარილოს ანგელოზები ამშვენებს საკათედრო ტაძრის კოშკს, ეგვიპტეში ვარდისფერი და თეთრი მტრედები ერთმანეთს შეჰლულუნებენ, თუმცა სიწმინდისა და სიმშვიდის ასოციაციების საპირისპიროდ, ნაწარმოებში ჩნდება დამშეული ბავშვების თეთრი სახეების ხატი, რომლის კონოტატიური მნიშვნელობებია უძლურება და გამოფიტულობა.

ზღაპარში “The Selfish Giant” („თავკერძა გოლიათი“) ვერცხლისფერი, თეთრი და ნაცრისფერი სუსხსა და სიმკაცრესთან ასოცირდება: “The Snow covered up the grass with her great white cloak, and the Frost painted all the trees silver. ... So the Hail came. ... He was dressed in grey, and his breath was like ice” [Wilde, 1979:48-49] („თოვლმა თავისი თეთრი წამოსასხამით დაფარა ბალახი და ყინვამ კი ვერცხლისფრად მოხატა ხეები. ... ასე მოვიდა სეტყვაც. ... მას ნაცრისფერი სამოსი ეცვა და ყინულისფერით ცივი სუნთქვა ჰქონდა“) [უაილდი, 1960:48-49]. ზღაპრის ბოლოს თეთრი დადებით ელფერს იძენს. გოლიათს თვალწინ საოცარი სურათი გადაეშლება: ბაღის შორეულ კუთხეში მშვენიერი, თეთრი ყვავილებით დაფარული ხე დგას, რომელსაც ოქროსფერი ტოტები აქვს და ვერხლის ხილი ასხია. მეორე დილით ბავშვები გოლიათს მკვდარს ნახავენ, თეთრი ყვავილებით დაფარულს. იგი პატარა ბიჭმა, რომელიც ქრისტეს განასახიერებს, თავის ბაღში, სამოთხეში წაიყვანა. ცხადია, თეთრი უკვე სიწმინდის და სიკეთის სიმბოლოდ გვევლინება.

ზღაპარში “The Star-Child” („ვარსკვლავ-ბიჭუნა“) თეთრი ფერი ცამეტჯერ არის ნახსენები. ზღაპრის დასაწყისში ბზეწვიები ჟღერტულბენ: “the old Earth is dead, and they have laid her out in her white shroud” [Wilde, 1979:178] („ბებერი დედამიწა მომკვდარა და მისთვის თეთრი სუდრა გადაუფარებიათ“) [უაილდი, 1960:225], გვრიტები კი ერთმანეთს გადაუჩურჩულებენ: “The Earth is going to be married, and this is her bridal dress,” [Wilde, 1979:179] („დედამიწა ჯვარს იწერს და ეს მისი საპატარძლო ტანსაცმელია“) [უაილდი, 1960:225]. შემდგომ გვხვდება გამოთქმები: “white as millers” [Wilde, 1979:178] (ფქვილში ამოგანგლულ მეწისქვილეებსა ჰგავდნენ) [უაილდი, 1960:226], “on the white snow” [Wilde, 1979:181] („თეთრ თოვლზე“) [უაილდი, 1960:228], “white and delicate a sawn ivory” [Wilde, 1979:183] („სპილოს ძვალისფერ თეთრი და ნაზი“) [უაილდი, 1960: 231]. თეთრი აქ სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებებში გვხვდება, რაც მის კონოტაციას განაპირობებს. საინტერესოა კონტრასტი ოქროსფერსა და თეთრს შორის: შეშისმჭრელები ხომ თოვლში რაღაც ოქროსფერად მოელვარე საგანს დაინახავენ. თეთრი თოვლის ფონზე ოქროქსოვილის მოსასხამის მოთავსებით უაილდი კონტრასტს ქმნის სითბოსა და სიცივეს შორის, მოსასხამის ელფერს ესადაგება ბავშვის ყელზე შებმული ქარვის მძივიც. თეთრ ფერთან ასოცირდება თავად ვარსკვლავი, პროტაგონისტი გმირის სახელი. ასევე, როდესაც ვარსკვლავ-ბიჭუნა ბოროტ გრძნეულს ჩაუვარდება ხელში, იგი მას სამი ოქროს ფულის მოტანას სთხოვს, რომელთაგან ერთი თეთრი ოქროსია, ერთი ყვითელი და ერთიც - წითელი. ამ სამ ფერს, განსაკუთრებით, თეთრსა და ყვითელს, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ზღაპარში.

თეთრ ფერს არაერთგვაროვნად წარმოგვიჩენს უაილდი ზღაპარში “The Young King” („ახალგაზრდა მეფე“), სადაც მეტად შთამბეჭდავ ხატებს ვხვდებით: მთავარი გმირის დედა მოხსენიებულია როგორც “white girl” („თეთრი გოგონა“). იქმნება სილამაზის, სიწმინდისა და სიყმაწვილის შთაბეჭდილება, რასაც ტრაგიზმს ანიჭებს გოგონას სიკვდილი. ტრაგიზმი იგრძნობა მეტაფორაშიც “the white hands of Pain” („ტკივილის/ტანჯვის თეთრი ხელები“). მეფედ კურთხევის წინ, ყმაწვილი უარს ამბობს ოქროქსოვილის მანტიის მოსხმაზე, რანდან იგი ტანჯვის თეთრი ხელებით არის მოქსოვილი სევდის დაზგაზე. ცისკრის ვარსკვლავზე

უფრო თეთრია მარგალიტი, რომლის ზღვიდან ამოტანასაც მყვინთავი მონის სიცოცხლე ეწირება, მაგრამ ვინაიდან ამ მარგალიტის „გულში სიკვდილს დაუსადგურებია“, მომავალი მეფე არ დათანხმდება მისით შემკული კვერთხის ტარებაზე. უამრავი სიცოცხლე ეწირება მეფის გვირგვინისათვის ლალების მოპოვებასაც, ამიტომ მეფედ კურთხევის წინ ყმაწვილი არც მათ მიიღებს, რადგან „ლალის გულში სისხლი კიაფობს“ [უაილდი, 1960:118]. ამრიგად, ახალგაზრდა მეფე ძვირფას მანტიას მწყემსობისდროინდელ ცხვრის ქურქს ამჯობინებს, მარგალიტით შემკულ კვერთხს - მწყემსის კომბალს, ხოლო გვირგვინად მორკალულ ასკილის ტოტს გამოიყენებს. მოცემულ ზღაპარს მეტად ამაღლებული დასასრული აქვს: მწყემსურად გამოიყვობილ ჭაბუკს, რომელსაც აბუჩად იგდებენ და მოკვლასაც კი უპირებენ, ქრისტეს ხატის წინაშე ლოცვისას ეკლესიის სარკმლიდან თავზე მზის შუქი გადმოედვრება და მხრებზე მოსასხამად დაეფინება, გამხმარი კომბალი აყვავდება და მარგალიტზე თეთრ ვერცხლისდეროიან შროშანებს მოისხამს, ხოლო ასკილის დამჭკნარი შტო - ლალზე უფრო წითელ, ოქროსფოთლიან ვარდებს. აქ ოქროსფერი, თეთრი და წითელი უკვე სრულიად განსხვავებული ელფერის მატარებლებად წარმოგვიდგება. სხვათა შორის, აღსანიშნავია ალუზია შუა საუკუნეების რაინდ ტანჰოიზერზე, რომლის ღვთისაგან შეწყალების ნიშნად რომის პაპის გამხმარმა კვერთხმა ყვავილები გამოისხა.

„ახალგაზრდა მეფე“ არ არის ერთადერთი ზღაპარი, სადაც მსგავსი ალუზია გვხვდება. ზღაპარში “The Fisherman and His Soul” („მებადური და მისი სული“) განკიცხულთა ველზე დამარხული ეკლესიისაგან შერისხული მებადურისა და მისი სატრფო ქალთევზას საფლავებზე უმშვენიერესი, საოცრად სურნელოვანი ყვავილები ამოდის. ეს ზღაპარი საგულისხმოა თეთრ ფერთან დაკავშირებული მხატვრული შედარებებისა და მეტაფორების თვალსაზრისითაც. გავიხსენოთ შემდეგი ადგილი, სადაც თეთრი შავთან ერთად სასოწარკვეთას და გლოვას გამოხატავს: “The black sea came nearer, and the white foam moned like a leper. With white claws of foam the sea grabbed at the shore.” [Wilde, 1979:174] („კუპრივით შავი ზღვა ახლოს მოგორდა და კეთროვანივით მოსთქვამდა თეთრი ქაფი. ქაფის თეთრი კლანჭებით ჩასჭიდებოდა ზღვა ნაპირს“ [უაილდი, 1960:219]. ან კიდევ: “And the black waves came hurrying to the shore, bearing with them a burden that was whiter than silver. White as the surf it was, and like a flower it tossed on the waves.” [Wilde, 1979:173] („ნაპირისკენ შავი ტალღები მოგორავდნენ, თან რაღაც ტვირთი მოჰქონდათ. ვერცხლზე უფრო თეთრი, ქაფივით თეთრი იყო იგი და ტალღებზე ტივტივებდა, როგორც ყვავილი“.) [უაილდი, 1960:218]. ულამაზესი ხატია, სიწმინდის, მშვენიერების და მწუხრების გამომხატველი.

აქ დასაშვებად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ტანჰოიზერზე ალუზიისა და თეთრი ფერის სიმბოლიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაწარმოებს, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ ჟანრს არ მიეკუთვნება. ეს გახლავთ ოსკარ უაილდის პოემა “The Ballad of Reading Gaol” („რედინგის ციხის ბალადა“), სადაც ავტორი პროტესტს გამოთქვამს ერთ-ერთი ტუსადის სიკვდილით დასჯის გამო და სჯერა, რომ უფალი მას შეიწყალებდა ისევე, როგორც პილგრიმი რაინდი შეიწყალა. ლეგენდის თანახმად, რომის პაპის კვერთხი, რომელზეც პაპს ნათქვამი ჰქონდა, რომ როგორც ის არ აყვავდებოდა, ისევე არ

მიეტევებოდა ტანჰოიზერს ცოდვები, აყვავდა. უაილდის ბალადაში ნათქვამია, რომ სიკდილით დასჯილი გვარდიელის საფლავზე წითელი და თეთრი ვარდები ამოვიდოდა:

It is not true! God's kindly earth  
Is kindlier than men know,  
And the red rose would but glow more red,  
The white rose whiter blow.  
Out of his mouth a red, red rose!  
Out of his heart a white!  
For who can say by what strange way,  
Christ brings His will to light,  
Since the barren staff the pilgrim bore  
Bloomed in the great Pope's sight? [უაილდი, 2017:43-44]

მათ არ იციან, რომ მიწაზე მადლი უფლისა  
ამოხეთქავდა ორ ტურფა ვარდად:  
თვალს მოგვტაცებდა სიკამუკაშით ერთის ალმური,  
ხოლო მეორის – ფერი ქათქათა.  
ვარდი წითელი ბაგეთაგან, და ვარდი თეთრი –  
გულიდან კაცის, ვინც აქ წევს მარად.  
ვინ გამოიცნობს, რა გზით გვამცნობს თვის ნებას ღმერთი,  
რა უცნაურად და იდუმალად,  
როცა პილიგრიმს მიეტევა, ხმელ კვერთხზე პაპის  
განა ყვავილი არ გაიშალა? [უაილდი, 2017:45-46]

რადგან წითელი და თეთრი ვარდი ვახსენეთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ზღაპარი “Nightingale and the Rose” („ბულბული და ვარდი“), სადაც უაილდი წითელი და თეთრი ფერების ურთიერთშეპირისპირებით ძლიერ მხატვრულ ეფექტს ქმნის. წითელი ფერი ვნების, მსხვერპლშეწირვის, მგზნებარე სიყვარულის სიმბოლოა, „რომელსაც სიკვდილი სრულყოფას ანიჭებს, ...რომელიც საფლავში არ ჰპოვებს ბოლოს“ [უაილდი, 1960:41], მაშინ როდესაც თეთრი ვარდი პირველ უმანკო სიყვარულს განასახიერებს, ყმაწვილისა და გოგონას გულში რომ იბადება. ზოგადად, ეს ზღაპარი გვთავაზობს კონტრასტს გრძნობასა და გონებას, ჭეშმარიტ სიყვარულსა და ფარისევლობას, თავგანწირვასა და უმადურობას შორის. მასში ბულბულის გზნება უფრო მკაფიოდ წარმოჩინდება ცივი მთვარის ფონზე: “All night long she sang, with her breast against the thorn, and the cold crystal Moon leaned down and listened.” [Wilde, 1979:44] („მთელი ღამე გალობდა ბულბული ეკალზე მკერდმიბჯენილი და ბროლივით ცივი მთვარე თავდახრილი უსმენდა მას“.) [უაილდი, 1960:41]. შემდეგ ნახსენებია „თეთრი მთვარე“, რომელიც თუმცა გულცივია, მაგრამ ბულბული იმდენად ტკბილად გალობს, რომ ისიც კი შეყოვნდება ცაში და განთიადის მოახლოება დაავიწყდება. მთვარის სითეთრესა და

სიცივესთან კონტრასტს ჰქმნის წითელი ვარდი, რომელმაც „აღტყინებისაგან ათრთოლებულმა დილის ნიავს გული გადაუშალა“ [უაილდი, 1960:43] (დედანიში ასე ჟღერს : „..it trembled all over with ecstasy, and opened its petals to the cold morning air“) [Wilde, 1979:45].

აღსანიშნავია, თუ რა ოსტატობით აღწერს მწერალი თეთრსა და წითელ ფერებს მხატვრული შედარების მეშვეობით. ასეთი შედარებისას უაილდი პარალელიზმს მიმართავს და ერთი შეხედვით არც ისე ორიგინალური ხატების გამოყენებით საოცარ ესთეტიკურ ეფექტს აღწევს: “My roses are white,” ...”as white as the foam of the sea, and whiter than the snow upon the mountain.” [Wilde, 1979:41] („მე თეთრი ვარდები მაქვს“... „თეთრი, როგორც ზღვის ქაფი და უფრო თეთრი, ვიდრე მთის თოვლი“ [უაილდი, 1960:37].

“My roses are red,” .. “as red as the feet of the dove, and redder than the great fans of coral that wave in the ocean-cavern.” [Wilde, 1979:42] („მე წითელი ვარდები მაქვს!“... „წითელი, როგორც მტრედის ტერფი და უფრო წითელი, ვიდრე მარჯნის მარაოები, ერთთავად რომ ირხევინან ზღვის წიაღში“ [უაილდი, 1960:38].

თეთრი და წითელი ფერებით თამაშობს უაილდი ზღაპარში “The Remarkable Rocket” („ღირსშესანიშნავი შუშხუნა“). ამ ზღაპარში რუსეთიდან ჩამოსულ პრინცესას, რომელზეც მეფის ვაჟი ქორწინდება, ყარყუმის თეთრი ბეწვის მოსახხამი აქვს წამოსხმული და თავზე ვერცხლისფერი ქსოვილის პატარა ქუდი ახურავს. ქალი ისეთი ფერმკრთალია, როგორც თოვლის სასახლე, სადაც იგი იქამდე ცხოვრობდა და მისი სინაზით მოხიბლული ხალხი მას თეთრ ვარდს ადარებს და აივნებიდან ყვავილებს ესვრის. უფლისწულის კომპლიმენტის მოსმენაზე პრინცესას ლოყები შეეფაკლება და ამის შემხედვარე პატარა პაჟი გვერდით მდგომს გადაულაპარაკებს, რომ მეფის ასული იქამდე თეთრი ვარდი იყო, ახლა კი წითელ ვარდს დაემსგავსა. ამ მახვილგონივრულ შედარებას მთელი სამეფო კარი აიტაცებს და მომდევნო სამი დღის განმავლობაში ყველას პირზე „თეთრი ვარდი“ და „წითელი ვარდი“ აკერია.

როგორც „ბულბულსა და ვარდში“, თეთრი ფერი აქაც უმანკოების, სინატიფის, ქალწულებრივი სინაზის სიმბოლოდ გვევლინება. შემთხვევითი არ არის არც ის, რომ ზღაპარში “The Birthday of Infanta” („ინფანტას დაბადების დღე“) ნორჩი ინფანტა ჯუჯას სწორედ თეთრ ვარდს ჩუქნის. აქვე გასათვალისწინებელია ვარდის სიმბოლური დატვირთვაც, რადგან ოსკარ უაილდის როგორც მწერლის უდიდესი ოსტატობა და ესთეტიზმი გამორიცხავს იმას, რომ მის ნაწარმოებებში რომელიმე ელემენტი შემთხვევით იყოს გამოყენებული.

### ვარდი როგორც სიმბოლო

ვარდი ნახსენებია ძველი აღთქმის წიგნების („ქებათა-ქება სოლომონისა“, „ესაია წინასწარმეტყველი“) ინგლისურ ვერსიაში:

“I am the rose of Sharon, and the lily of the valleys.”

[Song of Solomon 2:1,

<https://www.biblegateway.com/passage/?search=Song%20of%20Solomon%20%3A1&version=KJV>]

“The wilderness and the solitary place shall be glad for them; and the desert shall rejoice, and blossom as the rose.” [Isaiah 35:1-2,

<https://www.biblegateway.com/passage/?search=Isaiah%2035&version=NIV>]

ძველი ებრაული სიტყვა, რომელიც ინგლისურად გადმოტანილია როგორც „ვარდი“, გახლავთ “Chabatsteleth”. ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: „წითელი“ და „ბოლქვი“. ვარდის არჩევა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ შარონის ველის ტერიტორიაზე ვარდი უხვად ხარობს, თანაც იგი ქრისტესთან ასოცირდება თავისი მეფურობის, გვირგვინის მცვენილობის, მშვენიერებისა და სურნელის გამო. ესაიას წინასწარმეტყველება, რომ უდაბნო ვარდით აყვავდება, ასევე ქრისტეზე მინიშნების შემცველია, რადგან ეს მხოლოდ ქრისტეს ძალუძს. მკვლევარები კიდევ ბევრ პარალელს ავლებენ ვარდსა და ქრისტეს შორის, რის გამოც ხსენებულ ყვავილს ქრისტეს სიმბოლოდ მიიჩნევენ [<https://bibleversesforyou.com/bible-verses-about-flowers/>].

საინტერესოა, რომ ძველი აღთქმის ქართულ ვერსიაში სხვა ყვავილები ფიგურირებს:

„მე ვარ ნარგიზი შარონისა და ღელეთა შროშანი“. [ქებათა-ქება სოლომონისა, თავი მეორე, <https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/qeba/qeba-2.htm>]

„მოიღხენს უდაბნო და ხრიოკი, გაიხარებს ტრამალი და შროშანივით აყვავდება“.

[ესაია წინასწარმეტყველი, თავი 35,

<https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/qeba/qeba-2.htm>]

უნდა აღინიშნოს, რომ საფუძველს მოკლებული არც ამგვარი ინტერპრეტაციაა, რადგან ვარდის მსგავსად გვირგვინოსანი, სილამაზით და სურნელით გამორჩეულია ნარგიზიც, რომელიც ასევე ხარობს სირიასა და პალესტინაში. ბიბლიური მცენარეა უმშვენიერესი შროშანიც.

დავუბრუნდეთ ვარდს და მის სიმბოლურ მნიშვნელობებს:

აი, რას წერს ვარდის შესახებ ნ. სულავა სტატიაში „ვარდის სახისმეტყველება ვეფხისტყაოსანში“: „სიმბოლოების ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში ვარდს ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის სიმბოლოდ განმარტავენ. იგი გამოხატავს სილამაზეს, სრულყოფილებას, სისრულეს, დიდებულებას, მომხიბვლელობას, მშვენიერებას, სიხარულს, სიყვარულს, კმაყოფილებას, დიდებას, ხოტბა-ქებას, ღვთაებრიობას, ჰაეროვნებას, სურნელებას, სიამაყეს, ლოცვას, სიბრძნეს, მედიტაციას, საიდუმლოს, იდუმალებას, სიმშვიდეს, სიწყნარეს, უმწიკვლოებას, უმანკოებას, სიწმინდეს, მისწრაფებას, ვნებას, დაღვრილ სისხლს, წამებას, სიკვდილს, აღორძინებას, წარმავლობას, ცვალებადობას“ [<https://www.facebook.com/1028455497192343/posts/1029218263782733/>]. იმავე ნაშრომში

ნათქვამია, რომ მხატვრულ აზროვნებაში ვარდი ძირითადად სატრფოს, მის გარეგნობას და განცდებს - სიმორცხვესა თუ თავმომწონეობას, ვნებას თუ მიუკარებლობას გამოხატავს. „მნიშვნელობა ენიჭება ვარდის ფერს, ფურცლებს და მისი რიგის რაოდენობას, ფორმას - კოკორია თუ გაშლილი; სიმბოლური მნიშვნელობისაა ოქროსა და ვერცხლის ვარდები“ [ibid.]. უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ადრექრისტიანულ ლიტერატურაში ვარდი ამქვეყნიურ მშვენიერებასა და მიჯნურობასთან ასოცირდებოდა, ქრისტიანულ ლიტერატურაში იგი სიწმინდის, უმანკოების, ღვთაებრივი სიყვარულის, მაცხოვრის, ღვთისმშობლის სიმბოლოდ გვევლინება. წითელი ვარდი ქრისტეს ჯვარცმისას დაღვირლი სისხლის, წამებით ცოდვათაგან განწმენდის აღმნიშვნელად არის მიჩნეული. მეორე მხრივ, „აპოკრიფების მიხედვით, ვარდის სიწითლე აიხსნება ედემში მოსეირნე ევას მიერ ვარდის კოცნით, რის შედეგადაც ვარდი სიამოვნებისაგან აელვარდა და გაწითლდა“ [ibid.].

მონოგრაფიაში „გალაკტიონის Meri. პროტოტიპის ძიება“ ი. მერაბიშვილი საუბრობს იმ მნიშვნელობებზე, რომლითაც გალაკტიონი ვარდს იყენებს. ამ მნიშვნელობებიდან ყველაზე თვალსაჩინოა სამი: „**პირველი**, გახლავთ ვარდი, როგორც უმშვენიერესი ყვავილი. **მეორე**, არის ვარდი, როგორც მშვენიერების სიმბოლო. **დაბოლოს**, ვარდი, როგორც არტისტული შემოქმედების უმშვენიერესი ნაყოფი“ [მერაბიშვილი, 2012:125]. პირველი ორი მნიშვნელობა ისედაც ცხადია, საინტერესოა მესამე მნიშვნელობა, რომელიც წიგნის ავტორის აზრით დანარჩენ ორზე დომინირებს. ამის საილუსტრაციოდ ნაშრომში მოყვანილია არაერთი ციტატა. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია გალაკტიონის ლექსი „ვარდები“, სადაც პოეტი სარა ბერნარის შემოქმედებასთან დაკავშირებით ამბობს: „ქალის თვალებში იშლება ვარდი“. აქ სიტყვა „ვარდი“ უნიჭიერესი მსახიობი ქალის შემოქმედების ნაყოფს განასახიერებს [მერაბიშვილი, 2012:126]. ი. მერაბიშვილი განიხილავს სხვა შემთვევებსაც, სადაც „ვარდები“ გმირულ ბრძოლასა და თავგანწირვას გამოხატავს, მაგ.: „ომში მინახავს ცეცხლის ვარდები“ [მერაბიშვილი, 2012:128].

განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნში მოცემული მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება შემდეგ სტრიქონებში ნახსენებ „ვარდებში“:

დემონს აშინებს ვარდების ძალა: ერთ უკვდავ წიგნზე მოსჩანს ფიალა  
და ამის გვერდით არტისტული ვარდით მორთული სდგას თავის ქალა.

მეტად დამაჯერებლად ჟღერს ი. მერაბიშვილის მოსაზრება, რომ დემონს როგორც სატანურ საწყისს აშინებს ვარდი არა როგორც ხელოვნების მშვენიერი ნაწარმოები, არამედ როგორც ღვთისმშობლის სიმბოლო. „როგორც ცნობილია, საუკუნეების მანძილზე ვარდი ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოა და იგი ასოცირებულია ღვთისმშობელთან. ამიტომაც ფერწერაში ხშირად შეხვდებით მადონას, რომელიც ვარდით ხელშია გამოსახული, ან თავზე ვარდების გვირგვინი ადგას. ღვთისმშობლის გზით ვარდი ქრისტიანულ სიწმინდეს უკავშირდება“ [მერაბიშვილი, 2012:132]. ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ პოეტი საკუთარი ცხოვრებს გზას ვარდს ადარებს, ვარდს, რომელიც რწმენას, შემოქმედებასა და ღვთისმშობლის სიწმინდეს ერთდროულად განასახიერებს:



როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,  
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
და შორეული ცის სილაჟვარდე. [მერაბიშვილი, 2012:133].

### ვარდები ოსკარ უაილდთან:

ვიქტორიანულ ეპოქაში მიღებული იყო სხვადასხვა ყვავილებისთვის კონკრეტული მნიშვნელობების მიკუთვნება და გრძნობების „ყვავილების ენაზე“ გამოხატვა. ამიტომაც ბევრი მეცნიერი ოსკარ უაილდის რომანში “The Picture of Dorian Grey” („დორიან გრეის პორტრეტი“) ნახსენები თითოეული ყვავილის სიმბოლურ დატვირთვაზე საუბრობს. გავრცელებული შეხედულებით, ამ ნაწარმოებში ვარდი, უპირველეს ყოვლისა, სიყვარლის, ვნების, სურვილის სიმბოლოა. ლორდ ჰენრი არაერთხელ ახსენებს ვარდებს დორიან გრეისთან მიმართებაში. ლორდ ჰენრი ჭაბუკს სპილოს ძვლისა და ვარდის ფურცლებისაგან შექმნილ ყმაწვილ ადონისს ადარებს, სადაც სპილოს ძვალს სიწმინდის, დახვეწილობის, ვარდის ფურცლებს კი სიყვარულის უნარის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ვარდების სურნელით არის გაჟღენთილი ბეზილ ჰოლოუდის სტუდია. ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ, რომ ვარდების მკვეთრ სურნელში სამი მამაკაცის სურვილი იგულისხმება: ლორდ ჰენრის სურვილი დორიანით მანიპულირებისა, დორიანის სურვილი ახალგაზრდობისა და სილამაზის მარად შენარჩუნებისა და ბეზილ ჰოლოუდის სურვილი დორიანისგან საპასუხო სიყვარულის მიღებისა. [https://chlodesign.medium.com/what-do-the-flowers-symbolize-in-the-novel-the-picture-of-dorian-gary-d5e5d1e804c0#:~:text=A%20rose%20is%20a%20symbol,Henry%20most%20of%20the%20time].

დორიანთან საუბრისას ლორდ ჰენრის მიერ გამოყენებული მეტაფორებიდან - “your rose-red youth and your rose-white boyhood”, “red and white roses of the painting, his rose-red lips” („თქვენი წითელი ვარდის მსგავსი სიჭაბუკე და თეთრი ვარდის მსგავსი ბიჭობა“, „პორტრეტის თეთრი და წითელი ვარდები“, „მისი ვარდივით წითელი ტუჩები“, ლ.ე.) - აშკარად ჩანს, რომ თეთრი ვარდები უმანკობას, წითელი ვარდები კი სიყვარულსა და ვნებას უნდა ნიშნავდეს.

Time is jealous of you, and wars against your lilies and your roses,” („დროს თქვენი შურს, იგი ებრძვის თქვენს ვარდებს და შროშანებს“, ლ.ე.) - აფრთხილებას ლორდ ჰენრი დორიანს. აქაც, თეთრი შროშანები სიწმინდის სიმბოლოა, ვარდები კი - სიყვარულისა და სილამაზის. [https://multighost.wordpress.com/2018/02/16/the-flowers-of-dorian-gray-part-one/].

გვინდა პარალელი გავავლოთ ზღაპართან "The Nightingale and the Rose" („ბულბული და ვარდი“), სადაც თეთრი ვარდი უმანკო, წითელი ვარდი კი ვნებიანი, მგზნებარე სიყვარულის გამომხატველია. თუმცა, ამ ზღაპარში ვარდი არაერთმნიშვნელოვან სიმბოლოდ გვევლინება. უპირველეს ყოვლისა, იგი წარმოადგენს ხელოვნებას, რადგან ბულბულის მშვენიერი სიმღერისა და თავგანწირვის ნაყოფია. ბულბული როგორც ხელოვანი საკუთარი სიმღერით ამოიყვანს მას და საკუთარი გულის სისხლით შეღებავს წითლად, ვარდი არის ხელოვნება,

რომელიც მსხვერპლს მოითხოვს ჭეშმარიტი ხელოვანისგან და ისიც სიცოცხლეს დაუფიქრებლად სწირავს, თუმცა დაუფასებელი რჩება. აქ იხატება თავად უაილდის პიროვნება, რომელიც ხელოვნებას ყველაფერზე მაღლა აყენებდა და სწორედ ხელოვნებასა და სილამაზეში ეძიებდა თავშესაფარს რეალური სამყაროს ფარისევლობისა და ვერცხლისმოყვარეობისაგან.

მეტად საგულისხმოა ის შემთხვევები, როდესაც უაილდი ვარდებს და ზოგადად ყვავილებს ცოდვებისაგან განწმენდისა და ღვთაებრივი სიყვარულის სიმბოლოდ იყენებს. გარდაცვლილი თავკერძა გოლიათის ცხედარს საკუთარ ბაღში თეთრი ყვავილებით დაფარულს პოულობენ მას შემდეგ, რაც პატარა ბიჭი, ქრიტეს რომ განასხიერებს, მას გამოეცხადება და სამოთხეში წაიყვანს; ზღაპარში “The Fisherman and his Soul” სიყვარულისათვის დაღუპული პატარა ქალთევზა ტალღებზე ტივტივებს როგორც ვერცხლზე უფრო თეთრი, ქაფივით თეთრი ყვავილი; თეთრი და წითელი ვარდები ერთად გვხვდება ზღაპარში “The Young King,” რომლის მთავარი გმირი ჭეშმარიტებას ეზიარება და სულიერად ამაღლებული უფლისაგან კურთხევას მიიღებს.

ოსკარ უაილდი იზარებს ქრისტიანულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ სიმბოლიკას, რომლის მიხედვითაც წითელი ვარდი წამებას, ჯვარცმას, ქრისტეს მიერ დაღვრილ სისხლს განასხიერებს, თეთრი ვარდს კი ამ გზით განწმენდის, მიტევების სიმბოლოდ წარმოგვიდგენს. ცოდვის სინანულით, სისხლით გამოსყიდვის თემა ყველაზე მეტად არის წინ წამოწეული პოემაში “The Ballad of Reading Gaol,” მწერლის უკანასკნელ მხატვრულ ნაწარმოებში, რომელიც ციხეში, უკვე სულიერად განადგურებულმა შექმნა:

For only blood can wipe out blood,  
And only tears can heal:  
And the crimson stain that was of Cain  
Became Christ's snow-white seal. [უაილდი, 2017:54]

მხოლოდ სისხლს ძალუმს ჩამორეცხოს სისხლი მოყვასის,  
და ცრემლებს ცხარეს, დადენილს ღვარად:  
შემდეგ, ღვთის მაღლით, ალისფერი ლაქა კაენის  
გამოქათქათდა კვლავ თოვლის დარად. [უაილდი, 2017:55]

ამ პოემაში არაერთხელ არის ნახსენები წითელი და თეთრი ვარდები აღნიშნულ კონტექსტში:

But neither milk-white rose nor red  
May bloom in prison air; [უაილდი, 2017:46]  
მაგრამ ვერც რძისფერ, ვერც მეწამულ ვარდს აქ ვერ ნახავთ,  
ციხის კედლებში ვარდი არ ხარობს; [უაილდი, 2017:47]

So never will wine-red rose or white,  
Petal by petal, fall [უაილდი, 2017:46]  
ასეთ ადგილას არასოდეს ვარდის ფურცლები  
თეთრად, ღვინისფრად არ დაიბნევა, [უაილდი, 2017:47]

მიკრო და მაკროკონტექსტიდან ნათლად ჩანს, თუ რას გულისხმობს ავტორი თეთრსა და წითელ ვარდებში: ეს არის სულიერი განწმენდა და მიტევება, ქრისტესმიერი სიყვარული, რომლის ადგილიც ციხის კედლებში არ არის.

### დასკვნა

სტატიაში განვიხილეთ ფერების, განსაკუთრებით თეთრი და წითელი ფერების სიმბოლური დატვირთვა ოსკარ უაილდის ზღაპრებში. იმაზე დაკვირვებისას, თუ როგორ იყენებს მწერალი ხსენებულ ფერებს, გამოიკვეთა არაერთი შემთხვევა, როდესაც ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება წითელი და თეთრი ვარდების ხატები. სხვადასხვა წყაროებიდან შევისწავლეთ ვარდის სიმბოლიკა რელიგიასა თუ ლიტერატურაში და ასევე უაილდის შემოქმედებაში. მეტი თვალსაჩინოებისათვის კვლევის სფერო ცოტათი გავაფართოვეთ, გავცდით ზღაპრებს და პარალელები გავავლეთ მწერლის სხვა ნაწარმოებებთანაც, კერძოდ, მოვიშველიეთ რომანი „დორიან გრეის პორტრეტი“ და პოემა „რედიგის ციხის ბალადა“.

ამგვარი კვლევისა და დაკვირვების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ თეთრი და წითელი ფერებისა და ვარდის სიმბოლურ მნიშვნელობათაგან უაილდთან გვხვდება სიწმინდის, უმანკო სიყვარულის, სიქალწულის, ვნებიანი, მგზნებარე სიყვარულის, ხელოვნების, ასევე ცოდვის სისხლით გამოსყიდვისა და ღვთიური სიყვარულის, მიტევების მნიშვნელობები. თეთრი ვარდი პირველ, უმანკო გატაცებას აღნიშნავს, წითელი ვარდი კი მგზნებარე, თავგანწირულ სიყვარულს. მეორე მხრივ, ვარდი როგორც სიმბოლო ხელოვნებას, შემოქმედებას განასახიერებს, რომელსაც ავტორი ისევე უძღვნის საკუთარ სიცოცხლეს, როგორც ბუღბული - წითელი ვარდის შექმნას.

იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელობა - უაილდი იზიარებს რელიგიაში დამკვიდრებულ სიმბოლიკას, რომლის მიხედვითაც წითელი ვარდი ქრისტეს ჯვარცმისას დაღვრილ სისხლზე, ცოდვების სისხლით გამოსყიდვაზე მიგვანიშნებს. შესაბამისად, თეთრ ვარდს იგი სულიერად განწმენდის სიმბოლოდ იყენებს.

იხატება თავად ოსკარ უაილდის პორტრეტი, შემოქმედისა, რომელიც ხელოვნების დანიშნულებას მშვენიერების შექმნაში, სრულყოფილებისაკენ სწრაფვაში ხედავდა და მთელი არსებით ასეთ ხელოვნებას ემსახურებოდა. უნიჭიერესი პარადოქსების ავტორი თავად გახლდათ პარადოქსული პიროვნება - ერთდროულად ამორალური და ღვთისნიერი, მიწიერი, ცოდვიანი სიყვარულისთვის დასჯილი, სინანულით, უფლის სიყვარულით გამსჭვალული ხელოვანი, რომლის რთული პიროვნება და ცხოვრებაც მის გენიალურ შემოქმედებაში აისახა.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- გაჩეჩილაძე გ., „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“, „განათლება“, თბილისი, 1959.
- კიკნაძე ზ., „ქართული ფოლკლორი“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007.
- მერაბიშვილი ი., „გალაკტიონის Meri. პროტოტიპის ძიება“, თბ., 2012
- ორბელიანი სულხან-საბა, „ლექსიკონი ქართული“, „მერანი“, თბილისი, 1991.
- უაილდი ო., „ბროწეულის სახლი“, თარგმნეს ინგლისურიდან ქეთევან კანდელაკმა და ნათელა ჩიგოგიძემ. საბჭოთა მწერალი, თბილისი 1960.
- უაილდი ო., „რედინგის ციხის ბალადა“, ინგლისურიდან თარგმნა ლელა ებრალიძემ. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017.
- ფანჯიკიძე დ., „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „განათლება“, თბილისი, 1988.
- ჭილაია რ., „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები“, თბილისი, 1984.
- Wilde, O., Fairy Tales by Oscar Wilde, Moscow, Progress Publishers 1979.
- სულავა ნ., ვარდის სახისმეტყველება „ვეფხისტყაოსანში“  
<https://www.facebook.com/1028455497192343/posts/1029218263782733/>
- [[https://medium.com/@Render\\_\\_Forest/psychology-of-colors-b5c9fe5ffd3b](https://medium.com/@Render__Forest/psychology-of-colors-b5c9fe5ffd3b)]
- [Song of Solomon 2:1,  
<https://www.biblegateway.com/passage/?search=Song%20of%20Solomon%20%3A1&version=KJV>]
- [Isaiah 35:1-2, <https://www.biblegateway.com/passage/?search=Isaiah%2035&version=NIV>]
- [<https://bibleversesforyou.com/bible-verses-about-flowers/>].
- [ქებათა-ქება სოლომონისა, თავი მეორე,  
<https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/qeba/qeba-2.htm>]
- [ესაია წინასწარმეტყველი, თავი 35,  
<https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/qeba/qeba-2.htm>]
- [<https://chlodesign.medium.com/what-do-the-flowers-symbolize-in-the-novel-the-picture-of-dorian-gary-d5e5d1e804c0#:~:text=A%20rose%20is%20a%20symbol,Henry%20most%20of%20the%20time>].
- [<https://multoghost.wordpress.com/2018/02/16/the-flowers-of-dorian-gray-part-one/>]

# Symbolism of white and red roses in Oscar Wilde's fairy tales

Lela Ebralidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Assistant Professor, Doctor of Philology

<https://orcid.org/0000-0003-0802-4085>

---

## Abstract

The present article deals with the symbolic meaning of white and red colors, particularly white and red roses in Oscar Wilde's fairy tales. Analysis of the examples illustrating the associations connected with the mentioned colors, revealed many cases where white and red roses were presented together. Respectively, we got familiar with the studies concerning the symbolism of white and red colors as well as the generally recognized symbolic meanings of the rose. In this light, we identified the connotative meanings of white and red colors and white and red roses in Oscar Wilde's works. The research enabled us to discover a number of meanings like innocent love, passionate love, atonement for sins and purification, as well as art. All that reflects the personality and life of Wilde himself and provides us with some insight into the paradoxical nature of the great author.

**Key words:** *Oscar Wilde's fairy tales, white and red colors, symbolic meaning of a rose, connotative meanings*

## კულტურული მემკვიდრეობის ქიმიისათვის

### (ნაწილი II- ქვის კონსერვაცია/რესტავრაციისათვის)

მამუკა მაცაბერიძე<sup>1</sup>, ინგა ჯანელიძე<sup>2</sup>

<sup>1</sup> პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი

<sup>2</sup> ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვის, კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატების კონსერვაცია-რესტავრაციის აქტუალური საკითხები, რაც ინფორმაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით საინტერესოა კულტურული მემკვიდრეობის მართვის დარგში მომუშავე სპეციალისტებისა და დარგობრივი ექსპერტებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული მემკვიდრეობა, ქართული ხელოვნება, აკად. ვახტანგ ბერიძე, ძეგლის კონსერვაციის მართვის გეგმა, ძეგლის/ექსპონატის კონსერვაციის დაგეგმვის საერთაშორისო პრაქტიკა, „ბურას ქარტია და მისი პროცედურა“, „ნარას დოკუმენტი ავთენტიკურობის შესახებ“, ICOMOS-ის „მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები“, მადრიდი-ნიუ-დელის 2017 წ. დოკუმენტი, ქვის ძეგლის ზედაპირის გამწმენდი ქიმიური შემადგენლობები, ფირწარმომქმნელი პოლიმერული ხსნარები და ლატექსები, ქვის გამაგრებელი ქიმიური ნაერთები, სილოქსანები, სილაზანები, პოლიორგანოსილოზანი, პოლიბუთილ მეთაკრილატი (PBMA), ლაოკოონი.

ცნობილია, რომ **კულტურული მემკვიდრეობა** ადამიანის და მისი სამყაროსადმი კოგნიტურ-მხატვრული დამოკიდებულების სისტემური გამოვლინებაა. კულტურის მემკვიდრეობითობა მიგვითითებს ერის ტრადიციების, სარწმუნოების და სააზროვნო მიღწევების შესახებ. ასევე ცნობილია, რომ მატერიალური კულტურის ძეგლში მოიაზრება ფიზიკურად აღქმადი მემკვიდრეობა - ქალდაკება, მხატვრობის ნიმუში, ხელნაწერი ან შენობა/ნაგებობა და ა.შ. **კულტურული მემკვიდრეობის ცნება** დღეისათვის ტრანსფორმირებულია თავდაპირველ მნიშვნელობასთან შედარებით და მოიაზრებს ყოველივეს, რასაც საზოგადოება გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. სიტყვა - მემკვიდრეობის სემანტიკაში მოიაზრება როგორც კულტურული, ასევე ბუნებრივი მემკვიდრეობა და კულტურულ მრავალფეროვნებაში არაა განცალკევებული კულტურა ბუნებისაგან. კულტურა და ბუნება განუყოფელი სისტემაა, რის გამოც ადამიანის შეცვლილმა გარემომ ფუნდამენტური გავლენა იქონია შემოქმედებასა და კულტურაზე.

დღეს მემკვიდრეობის ფუნქციის მატარებელი ძეგლები იყოფა ორ მდგენელად - **კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობად**, თუმცა ზოგიერთი ძეგლი ორივე კატეგორიას, ახალ ერთობაში აერთიანებს, რომლის სახელდებაცაა „შერეული მემკვიდრეობა“ (იხილე მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია<sup>13</sup> - კონვენციის მიზანია დაიცვას და შეინახოს ის ადგილები და ღირსშესანიშნაობანი, რომლიც წარმოადგენს მთელი კაცობრიობის მემკვიდრეობის განუმეორებელ ნაწილს. ამაში შედის ისტორიული და არქეოლოგიური ადგილები, მონუმენტები და ნაგებობები, ასევე ბუნებრივი მახასიათებლები, ბუნების ადგილები, გეოგრაფიული და ფიზიოგრაფიული ფორმირებები. კონვენცია ასევე განსაზღვრავს მისი ხელმძღვრეო ქვეყნების მოვალეობებს და აღნიშნავს თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი სხვადასხვა დანიშნულებისთვის, კერძოდ, სწავლებისა თუ ტრენინგების დასახმარებლად, ტექნიკური კოოპერირებისა თუ საგანგებო სიტუაციების დროს დახმარების აღმოსაჩენად. 2012 წლის ივლისში გაეროს 189 ქვეყანამ მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია და მსოფლიო მემკვიდრეობის ჩამონათვალში შეყვანილ იქნა ათასამდე ღირსშესანიშნაობა.)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი დარგის ექსპონატი მატერიალურია, მაგალითად ტრადიციული ხელოსნობის ტექნოლოგიით მოქსოვილი ხალიჩა, რომელიც თავის მხრივ მოძრავ მატერიალურ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ხალხში გავრცელებული ხელოსნობის მათრეგანიზებელი ცოდნა და უნარი ზეპირსიტყვიერებით გადაეცემა თაობებს. ამგვარი მემკვიდრეობა საკუთარი ბუნებით და სემანტიკით არამატერიალური ღირებულებაა, რომელ სფეროშიც სიცოცხლისუნარიანობა ან სასიცოცხლო ციკლი ექსპონატის „ცოცხალი“ მატარებლებითაა განსაზღვრული [1,2].

კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- არქიტექტურული ნაგებობები და ძეგლები;
- საისტორიო ცენტრები;

<sup>13</sup> მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია ეხება მსოფლიოს კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას, მიღებულ იქნა 1972 წლის 16 ნოემბერს, იუნესკოს XVII გენერალური კონფერენციის მიერ.

- ნაგებობათა აგლომერაციები;
- მუზეუმები;
- არქივები;
- ბიბლიოთეკები;
- არქეოლოგიური ძეგლები;
- კლდეში ნაკვეთი საცხოვრისები;
- კულტურული ლანდშაფტები<sup>14</sup>;
- ისტორიული პარკები და ბაღები;
- ზოოლოგიური და ბოტანიკური ბაღები;
- ინდუსტრიული არქეოლოგიის<sup>15</sup> ექსპონატები;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა<sup>16</sup> განფენილია შემდეგ სფეროებზე:

- ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, მათ შორის ენა - როგორც ვერბალიზაციის საშუალება;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები, ხალხის მეხსიერებაში ჩაშენებული თარიღები;
- ბუნებისა და სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული ცოდნა და ჩვეულებები;
- ტრადიციული ხელოსნობის დარგებთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები;

ბუნებრივ მემკვიდრეობას განეკუთვნება:

- თვითნაბადი მშვენიერების მქონე ლანდშაფტები;
- სამეცნიერო ან ესთეტიკური ღირებულების გეოლოგიური და ფიზიკური ფორმაციები;
- გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველებისა და მცენარეების სამყოფელი ტერიტორიები;
- მღვიმეები.

ადამიანი საკუთარ იდენტობას კულტურული მემკვიდრეობის მეშვეობით ინარჩუნებს. ზოგადად, ესა თუ ის ქვეყანა გაიგივებულია მის რომელიმე ძეგლთან, მაგალითად, იტალია - პიზის კოშკთან, ვენეციასა ან ფლორენციასთან; ეგვიპტე - გიზის დიდ პირამიდასთან; ინდოეთი - ტაჯ-მაჰალთან; გაერთიანებული სამეფო - შექსპირთან და ლონდონის

<sup>14</sup> კულტურული ლანდშაფტი - (გერმ. "Land" - მიწა, "Schaft" - სახე, იერი) ბუნებრივ-გეოგრაფიული არეალი ან ბუნებისა და ადამიანის მოქმედებით შექმნილი მატერიალური და არამატერიალური ფასეულობის მომცველი სისტემა.

<sup>15</sup> ინდუსტრიული არქეოლოგია - წარსულის საწარმოო და ფიზიკური შრომის არსობრივი კვლევა დღემდე შენარჩუნებული დოკუმენტური და არტეფაქტული მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე.

<sup>16</sup> **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებელი** - პირი ან პირთა ჯგუფია, რომელთაც გააჩნიათ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ცოდნა ან უნარ-ჩვევები, რომლისთვისაც ეს ტრადიცია მისი ყოფისა და კულტურული იდენტობის განუყოფელი ნაწილია. გამორჩეული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მატარებლებს „ცოცხალ საუნჯედ“ მოიხსენიებენ და როგორც ტრადიციის საუკეთესო შემნახველთ, განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებენ. **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეების სივრცე** - გეოგრაფიული არეალია, რომელიც დაკავშირებულია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან და წარმოადგენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეების არსებობისათვის აუცილებელ გარემოს. [http://www.imsa.ge/webmill/data/file/ICOMOS-saxelm\(2\).pdf](http://www.imsa.ge/webmill/data/file/ICOMOS-saxelm(2).pdf)



ღირსშესანიშნაობებთან; საქართველო კი - სვეტიცხოველთან, ვარძიასთან, უფლისციხესთან, ღვინოსა და ნიკო ფიროსმანთან.

დღეისათვის გახშირდა იერიშები ქვეყნების იდენტობის მსაზღვრელი კულტურული მემკვიდრეობის საგანძურზე, მათი, როგორც ეროვნული სიმბოლოების განადგურების მიზნით. ასე მოხდა საომარი მოქმედებების დროს ყოფილ იუგოსლავიაში, საქართველოს ორ რეგიონში - აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში, ავღანეთსა, ერაყსა და სირიაში. აღნიშნულის ფონზე კიდევ უფრო ცხადად ჩანს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მრავალმდგენელიანი ტექნოლოგიის მდგრადი განვითარების გადაუდებელი აუცილებლობა.

**აკად. ვახტანგ ბერიძე** მონოგრაფიაში „**ძველი ქართული ხუროთმოძღვრება**“ [3] წერდა: „საქართველოს მიწა - წყალზე მგონი არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, არც ერთი ხეობა და სოფელი, რომ წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი - ან ძველი ეკლესია და სამრეკლო, ან ციხის ნანგრევი, ან სადარაჯო კოშკი, ან ნასახლარი.

ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული ხვედრის მოწმეებია ნასოფლარები და ნაქალაქარები, რომლებიც უმეტესად სამხრეთის რაიონებშია, იმ კუთხეებში, რომელთაც პირველად უხდებოდათ მტრის შეხვედრა და გამკლავება. თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუზეუმებში ინახება ოქრომჭედლობის, დეკორაციული ქანდაკების, გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგთა მშვენიერი ნიმუშები, მრავალი ათასი ხელნაწერი წიგნი, რომელთაგან ბევრი ოსტატურად შესრულებული სამკაულებითა და მინიატურებითაა მორთული. ტაძრების კედლებმა შემოგვინახა სხვადასხვა დროის ფრესკები და მოზაიკები - ამ მხატვრობაში მარტო საღვთო წერილის სიუჟეტებს კი არ ვხვდებით, არამედ ისტორიულ პირთა - მეფეთა, ფეოდალთა, სასულიერო მოღვაწეთა საინტერესო პორტრეტებსაც.

ბოლო ათეული წლების არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დიდად განავრცო ქართული ხელოვნების ქრონოლოგიური არე: მეცნიერებამ უკვე ჩააღწია ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულამდე, როდესაც ჩვენი შორეული წინაპრები სრულიად პრიმიტიულ საცხოვრებლებს ქმნიდნენ, და, ამგვარად, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სამშენებლო ხელოვნების დარგში (აღარაფერს ვამბობთ პირველყოფილ ადამიანთა ნაკვალევს შესახებ). ეს ყველაფერი მოწმობს, რომ მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე ჩვენი ხალხის შემოქმედება უწყვეტი და უშრეტი იყო.

საქართველოსთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მის გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი სავაჭრო გზების ჯვარედინზე, ევროპისა და აზიის მიჯნაზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრთა შორის. მოხერხებულმა მდებარეობამ ბევრი გაჭირვება და უბედურება მოუტანა - მას გამუდმებით უხდებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მაგრამ ამავე მდებარეობის წყალობით, საქართველომ იმთავითვე შეძლო კულტურული ურთიერთობა დაემყარებინა სხვადასხვა ქვეყნებთან და ერებთან. იგი მოქცეული იყო წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვეთის სახელმწიფოთა და ხალხთა წრეში, ე.ი. არსებითად,

ცივილიზებული სამყაროს შუაგულში, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჯერ აქემენელთა, შემდეგ კი სასანიანთა ირანთან, ელინისტურ აღმოსავლეთსა და რომთან.

ქართული სახელმწიფო იბერია ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, ვინც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარა. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, განსაზღვრა საქართველოს ორიენტაცია, მისი კავშირი ბიზანტიასა და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან.

იმავე დროს, უკვე VII ს-ში, საქართველოს მოუხდა ისლამურ სამყაროსთან შეჯახება: ჯერ არაბთა შემოსევის მსხვერპლი გახდა, შემდეგ, რამდენიმე საუკუნის მანძილზე, მათი განდევნისათვის იბრძოდა, ებრძოდა სელჯუკებსაც, დასასრულ, ურთიერთობა ჰქონდა გამაჰმადიანებულ ირანთან, არა მარტო როგორც მტერთან, არამედ როგორც გარკვეული კულტურული ტრადიციების მატარებელ ქვეყანასთანაც.

სხვა ერებთან, მათ კულტურასთან ურთიერთობის პროცესში ქართული ხელოვნება ბევრ რასმე ითვისებდა, მაგრამ თვითონაც შეჰქონდა წვლილი საერთო განვითარებაში; საუკუნეთა მანძილზე მან მკაფიოდ გამოსახული ეროვნული თავისებურება შეიმუშავა, და ეს თავისებურება არც არასოდეს არ დაუკარგავს; აყვავების ეპოქებში ქართული ხელოვნება მუდამ იდგა მოწინავე ქვეყნების მიერ დასახულ იდეურ და მხატვრულ ამოცანათა დონეზე, იგი თვითონვე იყო ერთ-ერთი დამსახველი და ამომხსნელი ამ ამოცანებისა. ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა - მით უფრო, შუა საუკუნეთა მანძილზე - ხუროთმოძღვრებას. საქართველოს მცირე ტერიტორიაზე აღრიცხულია რამდენიმე ათასი ხუროთმოძღვრული ნაგებობა სხვადასხვა დანიშნულებისა - სამარხები, საკულტო შენობები, სამოქალაქო, სათავდაცვო, სამეურნეო, საინჟინრო ნაგებობანი.

ვისაც კი სერიოზულად აინტერესებს წინა აღმოსავლეთისა და ევროპის შუა საუკუნეთა არქიტექტურის შესწავლა, აუცილებლად უნდა გაეცნოს ქართულ ხუროთმოძღვრებას, განსაკუთრებით შუა საუკუნეების საეკლესიო ხუროთმოძღვრებას; სწორედ საქართველოში მოიძებნება ზოგი ისეთი ხუროთმოძღვრული თემისა და პრობლემის ძირები, რომლებიც საერთოა ყველა ქრისტიანული ქვეყნისათვის; საქართველოში შემონახულია "ქრისტიანული არქიტექტურის" ძალიან ადრეული ნიმუშები; ქართულ ძეგლებში ძალიან ადრე გვხვდება კონსტრუქციები, რომლებიც უფრო გვიან რომანულმა ხუროთმოძღვრებამ შეითვისა. ამას გარდა, ქართული ძეგლების გაცნობა საინტერესო შედარებათა საშუალებას გვამლევს, გვიჩვენებს, თუ რამდენად მრავალფეროვანი, ეროვნულად თავისებური შეიძლება იყოს ერთისა და იმავე ხუროთმოძღვრული თემის რეალური ხორცშესხმა.

აყვავების პერიოდებში ქართული ხუროთმოძღვრება ქმნიდა მხატვრულად მომწიფებულ ნაწარმოებთ, რომელნიც შეიძლება მივაკუთვნოთ შუა საუკუნეების მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს. მაგრამ ქართული არქიტექტურის ძეგლები მარტო სპეციალისტებისათვის კი არ არის საინტერესო. მათი მხატვრული ღირსებები, მათი მდებარეობა და ორგანული შერწყმა გარემო ბუნებასთან, მათი სიძველე, ამ "სიძველეთა სურნელება" არ შეიძლება არ იზიდავდეს ყოველ ადამიანს, ვისაც კი სილამაზე უყვარს, ვისაც

უყვარს და აღელვებს თავისი ქვეყნისა და ერის წარსული და გული შესტკივა მისი მომავლისათვის“.

თანამედროვე პირობებში, ძალზე მნიშვნელოვანია იმ დამდგარი რეალობის შეხსენება, რომ ძეგლის კონსერვაციის მართვის გეგმის შემუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია უნდა ემყარებოდეს ძეგლის/ექსპონატის კონსერვაციის დაგეგმვის საერთაშორისო პრაქტიკას, „ბურას ქარტიასა და მის პროცედურას“, „ნარას დოკუმენტს ავთენტიკურობის შესახებ“ და იზიარებდეს ICOMOS-ის „მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომების“, ე. წ. მადრიდი-ნიუ-დელის 2017 წ. დოკუმენტის სულისკვეთებას [4].

ზოგადად, ძეგლის კონსერვაციის მართვის გეგმა სისტემური დოკუმენტია, სადაც ყველა სტრატეგიაა მიმოხილული, რაც შენობის კონსერვაციისა და ადაპტაციის დეტალურ პოლიტიკასა და მეთოდოლოგიას ეხება და იძლევა რეკომენდაციებს შენობის ღირებულებათა ინტერპრეტირების, რეგულარული მოვლა-პატრონობისა და მართვის შესახებ. ესაა პრაქტიკული დოკუმენტი, რომელიც იქმნება ძეგლის/ნაგებობის მართვის, მისი მახასიათებლების და ღირებულებების კონსერვაციის პროცესში მარეგლამენტირებელი გამოყენებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს ICOMOS-ის მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტმა (ISC20C) დაიწყო სარეკომენდაციო დოკუმენტის შედგენა, რომელშიც მოცემულია ის პრინციპები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილებისა და ძეგლების მართვისა და ინტერპრეტირებისათვის. საერთაშორისო სტანდარტის დადგენა ძალზე ამბიციური მიზანი იყო. გაიმართა დებატები კომიტეტის წევრებს შორის, მათი მსოფლიოს ყველა რეგიონში დაგროვილი პრაგმატული გამოცდილების საფუძველზე. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები, შეხვედრები და კონსულტაციები. შეიქმნა დასკვნითი დოკუმენტი სახელდებით: **მეოცე საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიდგომები, რომელსაც შემოკლებით მადრიდის დოკუმენტს უწოდებენ**, [5] აღნიშნული წარდგენილ იქნა პარიზში ICOMOS-ის მე-17 გენერალურ ასამბლეაზე და გავრცელდა ესპანურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ეს დოკუმენტი 2011-2014 წლებში ითარგმნა ათზე მეტ ენაზე, მათ შორის რუსულ, იტალიურ, ფინურ, გერმანულ, იაპონურ, პორტუგალიურ, ჩინურ, ჰინდი, ბასკურ და კატალანურზე. რაც ადასტურებს ამ დოკუმენტის საერთაშორისო სახელმძღვანელოდ საჭიროებას. მიღებული კომენტარების განხილვის შემდეგ ICOMOS-ის მე-18 გენერალურ ასამბლეაზე, ფლორენციაში, გამოიცა მეორე გამოცემა ოთხ ენაზე, თუმცა აშკარა იყო, რომ ძირეული რედაქტირება – და ახალი სათაური – აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ამ დოკუმენტში გათვალისწინებული ყოფილიყო მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის სხვა ისეთი ტიპოლოგიები, როგორებიცაა: **კულტურული ლანდშაფტები, ინდუსტრიული ადგილები და ურბანული არეალები**.

თანამშრომლობა ICOMOS-ის კულტურული ლანდშაფტების საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტთან (ISCCL), ICOMOS-ის ისტორიული ქალაქებისა და სოფლების საერთაშორისო კომიტეტთან (CIVVIH), ინდუსტრიული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ტექნიკურ

კომიტეტთან (TICCIH) და ენერგეტიკის, მდგრადობისა და კლიმატის ცვლილების ICOMOS-ის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტთან (ISCES+CC) შედეგიანად დასრულდა და დოკუმენტმა მოიცვა მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და ძეგლების სრული ფართო სპექტრი.

მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის მთავარი სტრატეგიები/მიდგომები წარმოდგენილი იქნა ICOMOS-ის მე-19 გენერალურ ასამბლეაზე, დელიში, 2017 წლის დეკემბერში. ამ სტრატეგიის მიზანი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილებისა და ღირსშესანიშნაობათა კონსერვაციისა და მართვის ვალდებულება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც წინა საუკუნეების მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობა საფრთხეშია დაფასებისა და ზრუნვის ნაკლებობის გამო.

უკვე ბევრია დაკარგული და უფრო მეტს საფრთხე ემუქრება. ეს არის ცოცხალი, განვითარებადი მემკვიდრეობა და აუცილებელია მისი კარგად გაგება, დაცვა, ინტერპრეტაცია და სწორი მართვა მომავალი თაობებისთვის. მიდგომები მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისათვის მოწოდებულია, წვლილი შეიტანოს ამ მნიშვნელოვანი პერიოდის კულტურული მემკვიდრეობის სათანადო და საპატიო მართვაში.

აღიარებს რა მემკვიდრეობის კონსერვაციის არსებულ დოქტრინებს, მეოცე საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიდგომები გამოავლენს იმ მრავალ საკითხს, რომლებიც სპეციფიკურად ახლავს მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის შენარჩუნებას. იგი მოიცავს მემკვიდრეობის ტიპების ფართო სპექტრს, ჩვეულებრივ, დაცვის ღირსად აღიარებულს, როგორებიცაა: არქიტექტურა, ნაგებობები, ხალხური და სამრეწველო მემკვიდრეობა, კულტურული ლანდშაფტები ისტორიული პარკებისა და ბაღების ჩათვლით, ისტორიული ურბანული ლანდშაფტები, კულტურული მარშრუტები და არქეოლოგიური ძეგლები. ეს დოკუმენტი გამოსაყენებლად განკუთვნილია ყველასთვის, ვინც მონაწილეობს მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის პროცესებში, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის ადგილებსა და ღირსშესანიშნაობებზე“ [5].

XXI საუკუნის დასაწყისში რეკონსტრუირებულ **სარფის იოანე ღვთისმეტყველის დარბაზულ ეკლესიას** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს. სალოცავი მაღალი ბორცვის მოსწორებულ მოედანზეა აღმართული, საიდანაც ზღვისა და სოფლის ულამაზესი ხედები იშლება [6]. ეკლესია ნაგებია დულაბის ფენაში ჩართული სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვიშაქვის ფილებითა და დიდი ზომის რიყის ქვებით. კუთხეებში მოზრდილი ქვის ფილებია გამოყენებული. დასავლეთის კარის კიდეები ნაგებია სწორკუთხა ფორმის კარგად გათლილი ქვის კვადრებით. კედლების ქვედა ნაწილებში გამოყენებულია მაგარი ტიპის, სქელი ქვები. ეკლესია მოხატული ყოფილა, რასაც ადასტურებს ფრესკების კვალი ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ მონაკვეთში. ფრესკები შესრულებული იყო კედლის დაუმუშავებელ ზედაპირზე დადებული ბათქაშის თხელ ფენაზე ოხრანარინჯისფერი, ღვინისფერი, ცისფერი და იისფერი ტონებით.

საეკლესიო ხუროთმოძღვრების ზოგიერთი თავისებურება: მცირე ზომები, შვერილი ნახევარწრიული აფსიდი, სხვადასხვა ფორმის, ზომისა და სახეობის ჯიშის ქვებით შედგენილი კედლების ირეგულარული წყობა, წახნაგოვანი კაპიტელების მქონე ერთსაფეხურიანი პილასტრები, სარკმლის ნაკლებად დამრეცი წირთხლები ეკლესიის აგების თარიღს IX-X საუკუნეებით განსაზღვრავს. მოგვიანებით, სავარაუდოდ, გვიან შუა საუკუნეებში, განხორციელდა ეკლესიის განახლება და ფრესკებით შემკობა, რასაც მიანიშნებს კედლის დაუმუშავებელ ზედაპირზე დატანილი ბათქაშის თხელი ფენა. სარფის ეკლესიის თავისებურებას წარმოადგენს შვერილი აფსიდი, რაც, ძირითადად, შავი ზღვისპირეთის ეკლესიების დამახასიათებელი ნიშანია.

კულტურული მემკვიდრეობის აღნიშნული ძეგლის სამშენებლო მასალათმცოდნეობის კომპეტეციები შესაძლებელს ხდის ვიზრუნოთ ნახსენები და რეკონსტრუირებული **სარფის იოანე ღვთისმეტყველის დარბაზული ეკლესიის** - მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, კერძოდ კი ამგვარი პრობლემის მართვისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა, სატაძრო სამშენებლო მასალების კონსერვაციის და რესტავრაციის ტექნოლოგიათა შესახებ.

ზოგადად ქვის მასალები, ღია ცის ქვეშ სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური აგენტის ზემოქმედების შედეგად თანდათან იშლებიან. ქიმიური აგენტების ზემოქმედებაში მოიაზრება - კარბონატული ნაერთების მიმართ რეაქციისუნარიანი და ატმოსფერულ ჰაერში მყოფი: გოგირდის ქანგი, აზოტის ორქანგი, ქლორწყალბადი, ნახშირორქანგი და სხვ. ფიზიკური აგენტების ზემოქმედებათ მიეკუთვნება: ტემპერატურის და ტენიანობის ცვლილებები, ქარის ნაკადის მიერ მოძრავი ნაწილაკების აბრაზიული(ხეხვითი) ცვეთა.

აღწერილი ზემოქმედებების შედეგად, იცვლება ძეგლის გარეგანი სახე, ყალიბდება მასალის ზედა შრის ფორიანობა, ჩნდება ბზარები. ძეგლის მასალის ზედაპირი იწოვს ტენს ჰაერიდან, რაც ტემპერატურის ცვლილებისას განაპირობებს მასალის რღვევას. ჭვარტლი და ტალახი აღწევს ძეგლის ფორებსა და ბზარებში 1,5 მმ-ისა და ზოგჯერ უფრო მეტ სიღრმეზეც, ძეგლის სამშენებლო მასალის ზედაპირიდან. გარდა აღნიშნულისა, ძალზე რთულია ბაქტერიათა ცხოველმყოფელების პროდუქტების კვალის მოხსნა, რომლებიც ძეგლის ზედაპირს ფარავენ მუქი ფერის ლაქებით, რისი მოხსნაც დაკავშირებული შეიძლება იყოს ძეგლის ზედაპირის დეფორმირებასთან. ზოგიერთ შემთხვევაში ბაქტერიული ცხოველმყოფელებით განპირობებული დაბინძურების მოხსნა შეუძლებელიც კია.

ქვის ნაკეთობების რესტავრაცია რამდენიმე სტადიისაგან შედგება, რომელთა თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს ქვის ობიექტის/ექსპონატის მდგომარეობიდან გამომდინარე, ასეთი სამუშაოები იწყება და მიმდინარეობს შემდეგი თანამიმდევრობით:

1. მასალის ზედაპირიდან დაბინძურების მოხსნა;
2. მასალის ბზარების შელესვა, გამაგრება, დაკარგული ნაწილების შევსება;
3. მასალის შემდგომი რღვევისგან დაცვა;

ჭუჭყისგან გამწმენდი საშუალებები უნდა მოქმედებდნენ მხოლოდ დაბინძურებაზე და უნდა იყვნენ ინერტულნი ძეგლის მასალის მიმართ. თუ ძეგლი იშლება შეხებისას, გასუფთავებამდე ის უნდა გამაგრდეს, თუმცა ამგვარი გამაგრება კიდევ უფრო ართულებს დაბინძურების მოხსნას.

### ქვის ძეგლის ზედაპირის გამწმენდი ქიმიური შემადგენლობები

ქვის ზედაპირის გასასუფთავებლად წარმატებით გამოიყენება კომპლექსონები, ძირითადად კი „ტრილონ ბ“ . ზოგჯერ გამოიყენება „ტრილონ ბ“-ს შემცველი პასტა, რომლის შემადგენლობაში ასევე არის ამონიუმის ჰიდროკარბონატი, ნატრიუმის კარბოქსიმეთილცელულოზა, ანტისეპტიური ნივთიერება და წყალი. ამ პასტით იფარება გასაწმენდი ქვის ზედაპირი და ტოვებენ გაშრობამდე(ეს პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე საათიდან ორ-სამ დღემდე). შემდეგ ამ გამშრალი პასტის ფენის მოცილება ქვის ზედაპირიდან ხდება წყალში დასველებული ჯაგრისით, აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდით ორგანული დაბინძურების მოხსნა არ ხდება, მაგრამ ხდება გარკვეულწილად სორბირება ამ ორგანული დამაბინძურებლისა ნახსენები პასტით.

ამ მეთოდის არასასურველი გამოვლინებაა „ტრილონ ბ“-ს მიერ, გასაწმენდი ქვის შედგენლობაში მყოფი კალციუმის წყალში ხსნად ფორმაში გადაყვანა, რაც შესაძლოა წარიმართოს ქვის გამაჭუჭყიანებელი არაორგანული მარილების წყალში ხსნად ფორმაში გადაყვანის პარალელურად.

არქეოლოგიური გათხრებით მოძიებული სკულპტურების რესტავრაციის მოსამზადებელ ეტაპზე საჭიროა კარბონატული დანაშრევების მოცილება, რა მიზნითაც ხდება სკულპტურული ექსპონატის ჩამორეცხვა შემდეგი შემადგენლობის ხსნარით: დისტილირებულ წყალს დამატებული ეთილის სპირტი ან 1-2% ამიაკი, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები - ბავშვის საპნიდან, ასევე გამოიყენება **დამატენიანებელი საშუალებები**<sup>17</sup> (დამხმარე ნივთიერებები).

საყურადღებოა, რომ ანტიკური სკულპტურის ჩამორეცხვისას გამოყენებული იქნას წყლის მინიმალური რაოდენობა, რათა გამოირიცხოს წყლის მოხვედრა მცირე ბზარებშიც კი. მარმარილოს ზედაპირიდან რკინის ოქსიდის ლაქების (ანუ ე.წ. „ჟანგის“) მოსაცილებლად გამოიყენება ხსნარები - მჟაუნმჟავასთან, ჰიდროფთორმჟავასთან (ფტორწყალბადის წყალხსნარი), ლიმონმჟავასთან, ორთოფოსფორმჟავასთან. ამ ხსნარებით მუშაობისას სიფრთხილეა საჭირო, რომ ნახსენები მჟავები არ მოხვდნენ მარმარილოს სიღრმეში, თუმცა გასათვალისწინებელია რომ მარმარილოს ზედაპირის გაპრიალება(ე.წ. „პოლირება“) პრობლემური ხდება მჟავებთან კალციუმის შესაბამისი მარილების წარმოქმნით, რის გამოც

<sup>17</sup> ეს არის მსუბუქი, ზეთის მსგავსი სითხე ან პასტა. **დამატენიანებელი აგენტის** ფერი მერყეობს ღია ყვითელიდან ღია ყავისფერამდე. **დამატენიანებელი აგენტები** არის არაიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები. დამატენიანებელი აგენტები კარგად ხსნადია წყალში, აქვთ არამემარჯობელი სუნი და ოდნავ ტუტე რეაქცია. **დამატენიანებელი საშუალებები** მიიღება მონო- და დიალკილფენოლების ეთილენის ოქსიდით დამუშავებისას.

მჟავების გამოყენება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას უნდა მოხდეს. ასეთ შემთხვევებში საერთოდ გამორიცხულია მარილმჟავის ან გოგირდმჟავის გამოყენება რამეთუ აღნიშნულნი კარბონატული მასალის რღვევას იწვევენ.

სკულპტურიდან „ჟანგის“ ფენა იხსნება „ტრილონ ბ“-ს ფრთხილი გამოყენებით. ყველაზე უსაფრთხოდ ითვლება რკინის ოქსიდის ლაქების გაუფერულება ნატრიუმის ციტრატის (ლიმონმჟავა ნატრიუმი) 15%-იანი ხსნარით, რასაც ახორციელებენ ამ ხსნარში დასველებული ბამბის კომპრესებით ან მარლით.

სპილენძის ჟანგის, მწვანე ფერის ლაქა, უნდა მოიხსნას შემდეგი შედგენლობის პასტის გასაწმენდ ზედაპირზე დადებით - პასტის შედგენილობა ასეთია: ამონიუმის ქლორიდის ერთი მასური წილი, ოთხი მასური წილი ტალკი<sup>18</sup> და 25% ამიაკის ხსნარი. პასტას ქვის ზედაპირზე აყოვნებენ გამრობამდე და ამასთან ლაქა თანდათანობით უფერულდება. ქვის ზედაპირიდან ობის, ლიქენის და მელნის ლაქებს აცილებენ ეთილის სპირტის ან ამიაკის სუსტი ხსნარის გამოყენებით. ზოგჯერ გამოიყენება მჟანგველები - ქლორამინ T<sup>19</sup>-ს 2%-იანი ან წყალბადის ზეჟანგის 6%-იანი ხსნარები.

ფისების, ზეთების, კანიფოლის, ბიტუმის, შელაკის<sup>20</sup>, ცვილის ლაქები მარმარილოს ზედაპირიდან ამოღებადია - ქვის ორგანული გამხსნელებით დამუშავებისას.

ქვის ზედაპირის გასაწმენდად გამოიყენება, როგორც ინდივიდუალური გამხსნელები (სპირტები, კეტონები, ალკანური და არომატული ნახშირწყალბადები, რთული ეთერები), ისე მათი ნარევი. გაწმენდის პროცედურისას ჩვეულებრივ ქვის ზედაპირის ლაქებს ადებენ გამხსნელში დასველებულ ბამბის ტამპონებს ან პასტებს, რომლებიც მზადდება გამხსნელთა შერევით ისეთ ინერტულ ნივთიერებებთან, როგორებიცაა:

ცარცი, ტალკი და სახამებელი (ე.წ. „კრახმალი“), რა დროსაც გამხსნელთა აორთქლების შესანელებლად ქვის დასამუშავებელ ზედაპირს ფარავენ პოლიეთილენის ან ლავსანის<sup>21</sup> ფენით.

<sup>18</sup> ტალკი -  $Mg_3Si_4O_{10}(OH)_2$ , მინერალი, კრისტალური ნივთიერებაა. წარმოადგენს ცხიმოვან ფხვიერ ფხვნილს, აქვს თეთრი ფერი (არსებობს მწვანეც). სამრეწველო მიზნებისთვის არსებობს დაფხვნილი ტალკი, მიკროტალკი.

<sup>19</sup> Chloramin T - უნივერსალური ფხვნილოვანი სადეზინფექციო საშუალება აქტიური ქლორის საფუძველზე.

<sup>20</sup> შელაკი [ჰოლანდ. schellak] - ბუნებრივი ფისი, რომელსაც გამოყოფს ზოგიერთი ტროპიკული მცენარე ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

<sup>21</sup> ლავსანი - ხელოვნური ბოჭკო, რომელსაც იღებენ ნავთობის გადამუშავების პროდუქტებისაგან.

## ფირწარმომქმნელი პოლიმერული ხსნარები და ლატექსები<sup>22</sup>

სკულპტურის ზედაპირიდან დაბინძურების მოხსნის ეფექტური და უსაფრთხო მეთოდია პოლიმერთა ფირწარმომქმნელი ხსნარების ან ლატექსების დატანა. პოლიმერის ხსნარს ან ლატექსს დაიტანენ გასაწმენდ ზედაპირზე და ტოვებენ გამხსნელის აორთქლებამდე. ზოგჯერ გამწმენდი სითხის ფენაზე ადებენ ზამბას ან მარლას, გამრობის შემდგომ ჩამოყალიბებული ფირის უფრო ადვილად მოსახსნელად. გამხსნელის აორთქლების შემდგომ ფირს ხსნიან მასზე ადსორბირებულ ჭუჭყთან ერთად. ამგვარი მეთოდი გამოირიცხავს სკულპტურის ზედაპირის დამუშავებას მექანიკური მეთოდებით (ჯაგრისი, გამწმენდ ნივთიერებაში დასველებული ტამპონი) და აღარაა ალბათობა იმისა, რომ გამხსნელი მოხვდეს ქვის მასალის ფორებში. გარდა აღნიშნულისა, პოლიმერული ფირის ადსორბირების თვისება თანაბრად ნაწილდება ექსპონატის მთელ ზედაპირზე.

აღწერილი ფუნქციის პოლიმერები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

ქიმიური ინერტულობა ექსპონატის მასალის მიმართ;

1. ფართოდ გავრცელებულ გამხსნელებში ხსნადობა;
2. ქიმიურად ინერტულ პლასტიფიკატორებთან შეთავსებადობა;
3. პოლიმერის იმგვარი სიბლანტის ხსნარის დამზადების შესაძლებლობა, რომლის ჩამოდენა ძეგლის ვერტიკალური ზედაპირიდან არ მოხდება;
<sup>38</sup> In the old translation, one form is left untranslated.

<sup>39</sup> I have used the electronic edition of the academic text of the old Georgian versions of Georgian Bible [5].

<sup>40</sup> In this case, in Greek, there are four forms before the direct speech (two verbs and two participles), although the participle τὸν λαλοῦντα does not refer to the speaker, the subject.

with subjective/active participle. This is peculiar of the translations of the *Hellenophile* period (XII – XIII cc.) (4):

- (4) *καὶ ὄψεται ἡ ἐχθρά μου καὶ περιβαλεῖται αἰσχύνῃ ἣ λέγουσα πρὸς με ποῦ κύριος ὁ θεός σου...]* და მიხილოს მე მტერმან ჩემმან და დაფაროს იგი სირცხულმან, რომელი მეტყუდა მე: სადა არს უფალი ღმერთი შენი?.. OJ. და ჰხედვიდეს მტერი ჩემი და გარე-მოისხას სირცხული, მეტყულებს ჩემდაძმე: სადა არს უფალი ღმერთი შენი?.. SB. *Then she that is mine enemy shall see it, and shame shall cover her which said unto me, Where is the LORD thy God?..* [Mic. 7:10 KJV].

*romel-i*                      *m-e- tq ` -od-a*                      *me*  
 which- NOM              O1-REL. PREF- say- SUF-S3:IMP              I- DAT  
 “who said to me”

*metq ` uel-man*      *čem-da-mo*  
 saying-ERG              I-GEN-ADV-POST  
 “(the person) speaking with me“

In the Greek language, the participle *λέγω* takes the noun in the accusative case with the preposition *πρός*. Based on the analyzed material, such nouns are given in the old translation in the form of indirect objects in the dative case, whereas in the *Gelati Bible* we find a noun/pronoun in the genitive-adverbial case with a postposition *mi(mart)/mo(mart)* (4).

iv) Analysis of the empirical material has proved that in Greek, the verb *λέγω* forms two kinds of syntactic constructions: it takes either the indirect object in the dative case, or the noun in the accusative with the preposition *πρός*. In the first case, the indirect object is translated by the indirect object in the dative case in all manuscripts (5). In the second case, the noun in the accusative, with the preposition *πρός* of the verb *λέγω* in *Oshki* and *Jerusalem* MSS (OJ) is translated by means of an indirect object of *rquma* (*რქუმა* “to tell”) trivalent verb (a syntactic construction which is more natural for Georgian as a polypersonal type of language), whereas in the *Gelati* version (GSB) we find a bivalent verb *tquma* (*თქუმა* “to say”) and a noun/pronoun in the genitive-adverbial case with the postposition *mi(mart)/mo(mart)* (1, 2, 6, 7, 8, 9). As we can see, in the *Hellenophile* version, the noun with a preposition is translated by means of a noun with a postposition, in order to achieve formal precision:

- (5) *καὶ προσῆλθεν πρὸς αὐτὸν ὁ πρωρεὺς καὶ εἶπεν αὐτῷ...]* და მოუკდა მას მენავს იგი და *ჰრქუა მას*: OJ. და მოვიდა მისდაძმი მეპრორე და *ჰრქუა მას*: GSB. *So the shipmaster came to him, and said unto him...* [Jon. 1:6 KJV].

*h-rqu-a*                      *ma-s*  
 O3-tell-S3:AOR      he-DAT  
 “told him”

- (6) *καὶ εἶπα πρὸς τὸν ἄγγελον τὸν λαλοῦντα ἐν ἐμοί...]* და ვარქუ ანგელოზსა მას, რომელი მეტყვოდა მე: O]. და ვთქუ ანგელოზისა მიმართ, მზრახვალისა ჩემ შორის: GSB. *Then said I to the angel that talked with me...* [Zech. 5:10 KJV].

*v-tqu*                    *angeloz-is-a*                    *mimart*  
 S1-say:AOR    angel-GEN-ADV                    to:POST  
 “I said to the angel”

Constructions of the type “*vtqu angelozisa mimart*” are not natural for Georgian [6, p. 185]. Constructions of this type are frequently found in the translations of *Hellenophile* style (they are frequent in *Gelati Codex*) and represent a syntactic Greekism.

v) One of the peculiarities of the *Prophecy of Zechariah* is a frequent use of the attributive participle *λαλῶν* with an article. In all cases, it serves as an attribute to the word *ὁ ἄγγελος* (ანგელოზ “angel”). This participle is not found in the books of other minor prophets and is rare in the Holy Scriptures in general. The rule of translation of this word is the same as the rule of translation of the attributive participle *λέγων* (see iii). In the *Gelati Bible*, a solid equivalent of the participle *λαλῶν* is subjective/active participle *mzraxval* (მზრახვალ “talker, (person) talking”) (2, 6, 7, 9):

- (7) *καὶ ἐξῆλθεν ὁ ἄγγελος ὁ λαλῶν ἐν ἐμοί καὶ εἶπεν πρὸς με ἀνάβλεψον τοῖς ὀφθαλμοῖς σου... ]* და გამოვიდა ანგელოზი იგი, რომელი<sup>41</sup> მეტყვოდა.<sup>42</sup> და მრქუს მე: აღიხილენ თუალნი შენნი... O]. და განვიდა ანგელოზი, მზრახვალი ჩემ შორის და თქუს ჩემდაძღუ: აღიხილენ თუალნი შენნი... GSB. *Then the angel that talked with me went forth, and said unto me...* [Zech. 5:5 KJV].

*mzraxval-i*                    *čem*                    *šoris*  
 talking-NOM                    I:GEN                    between:POST  
 “(the person) talking with me”

In the Septuagint Greek, the participle *λαλῶν* takes the noun in the dative case with the preposition *ἐν*. Based on the analyzed data, in the earlier translations (OJ) such nouns are given in the form of an indirect object in the dative case. However, in the *Gelati* version (GSB), such nouns are represented in the genitive case and they are followed by a postposition *šoris* (შორის “between”) (7).

vi) I have already presented the rules and patterns of Georgian translation of verbs and participles of saying before the direct speech. Naturally, the above-mentioned does not exclude deviations from these rules in the process of translation. This especially refers to the old translation preserved in the *Oshki* and *Jerusalem Codexes* (the above-mentioned is less vivid in the exact formal translation of *Hellenophile* period found in the *Gelati* version). The data of the *Oshki* and *Jerusalem* MSS enables

<sup>41</sup> In this case also, the old translator adds a relative pronoun *romel* (რომელი “which/who”) in the subordinate clause.

<sup>42</sup> The polypersonal nature of the Georgian verb makes it possible to omit the personal pronoun. In the given example, the indirect object expressed by the first person pronoun is omitted with the verb *metq`oda* (მეტყვოდა “to speak”).

identify the type of changes made by the old translator in the process of translation. The aim of the translator was to achieve stylistic appropriateness of the text, avoid complicated constructions or tautology. Let us discuss a couple of examples:

- (8) *καὶ ἀπεκρίθη καὶ εἶπεν πρὸς με λέγων...*] და მოძიგო და მრქუს მე: O] და მოძიგო და თქუს ზებდაძო მეტყუზლმან: SB. Then he *answered and spake unto me, saying*, [Zech. 4:6 KJV].

In fact, all the above-mentioned rules of translation are preserved in the given example, but the earlier translator (OJ) omits the verb corresponding to the participle *λέγων* in order to simplify the construction. The *Gelati Bible* offers exact translation.

- (9) *καὶ ἐπηρώτησα καὶ εἶπον πρὸς τὸν ἄγγελον τὸν λαλοῦντα ἐν ἐμοὶ λέγων τί ἐστὶν ταῦτα κύριε*  
და ვჰკითხე ანგელოზსა მას, --- რომელი-ოგი მეტყოდა, [და] ვთქუ: რაჲ არიან ესენი, უფალო? OJ

და ვიკითხე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ. მზრახვალისა ზემ შორის, მეტყუზლმან: რა არიან ესენი, უფალო? SB

*I answered<sup>43</sup> and spake to the angel that talked with me, saying, What are these, my lord?* [Zech. 4:4 KJV].

As for the given example, four forms of saying (two verbs and two participles) are found together before the direct speech in the Septuagint Greek. Therefore, the old translator (OJ) omits the verb *εἶπον* and does not translate it in order to avoid an overly complicated construction. In this case also, the *Gelati Bible* contains exact, adequate translation. In many cases, accurate translation is given in the *Oshki* and *Jerusalem* MSS.

## Conclusion

Thus, observation of the Georgian translations/editions of the Bible with reference to verbs and verbals of saying has proved that the translators of the old and *Hellenophile* periods try to make precise translation of the text and address the issue with great veneration. However, the earlier translator takes more account of the nature of the Georgian language. Therefore, the old translations of the Bible occupy a somewhat intermediate position between the formal and dynamic translations (although “*there are numerous signs of formal-structural translation*“ [7, p. 471]). The translator of the *Hellenophile* period tries hard to preserve formal-structural or semantic equivalence with the Greek language.

It is well known that the language of translation of the Biblical Books was recognized by the Georgian writers as a standard language. Hence, it is quite natural that examples of usage of two forms of verbs of saying before direct speech are sometimes found in the original Georgian hagiography (V-

<sup>43</sup> In Greek and Georgian, we find the verb “to ask”.



XI cc.). This language phenomenon started to disappear gradually beginning from the 12<sup>th</sup> century. Yet, in rare cases, this phenomenon is found in the texts of the 17<sup>th</sup> and 18<sup>th</sup> centuries as well.

## References

1. Ziegler, Joseph (ed). *Jeremias – Baruch – Threni – Epistula Jeremiae*. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht. 1976. 504 p.
2. Ziegler, Joseph (ed). *Duodecim Prophetarum*. Vol XIII. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht. 1984.
3. The Computer program *Bible Works*. Version 10.0.4.216. <https://www.bibleworks.com/>
4. Blass, F. and Debrunner, A. *A Greek Grammar of the New Testament and Other Early Christian Literature*. Cambridge. Chicago, Illinois: The Cambridge University Press. The University of Chicago Press. 1961. 263 p.
5. The electronic edition of the academic text of Old Georgian versions of the Georgian Bible: <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>
6. Mirotadze, Natia. *The Influence of the Biblical Translation on the Postpositional System of the Georgian Literary Language*. Oriental Languages in Translation. IV. Krakow. 2013. pp.179-187.
7. Danelia, Korneli. *mxaṭvruli enisa da ṣtilis zogierti saḡitxi bibliur ḡignta ḡveli qartuli targmanis mixedvit* [Certain Issues Related to the Literary Language and Style Based on the Old Georgian Translation of the Biblical Books]. Narḡvevebi Kartuli samḡerlobo enis iṣṡoriidan [Essays on the History of the Literary Georgian Language]. I. Tbilisi: Tbilisi State University Press. 1998. pp. 443-500.

## Abbreviations

**B** – A-455, *Bakar Codex*, the published version (1743); **G** – A-1108, *Gelati Codex* (XII-XIII cc.); **Hag.** – *Haggai*, **Jon.** – *Jonah*, **J** – Jer-11/7, *Jerusalem Codex* (XI c.); **KJV** – *King James Version English Bible*, **Lk.** – *Luke*, **MSS** – manuscripts; **Mic.** – *Micah*, **O** – Ath-1, *Oshki Codex* (978-979); **S** – A-51, *Mtskheta Codex* (XVII-XVIII cc.); **Zech.** – *Zechariah*; **LXX** – *Septuagint*.

ADV – adverbial case; AOR – aorist; DAT – dative case; ERG – ergative case; GEN – genitive case; IMP – imperfect; NOM – nominative case; O1 – marker of the 1<sup>st</sup> objective person; O3 – marker of the 3<sup>rd</sup> objective person; POST – postposition; REL. PREF – relative prefix; SUF – suffix; S1 – marker of the 1<sup>st</sup> subjective person; S3 – marker of the 3<sup>rd</sup> subjective person.

# მეტყველების წრის ზმნის პირიანი და უპირო ფორმების გადმოტანა მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ქართულ ვერსიებში

ლელა ციხელაშვილი

ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## რეზიუმე

ცნობილია, რომ სექტუაგინტის ბერძნულისთვის დამახასიათებელია მეტყველების წრის ერთზე მეტი (როგორც წესი, ორი) ზმნის პირიანი თუ უპირო ფორმის (მიმღეობის) გამოყენება პირდაპირი ნათქვამის წინ, რაც ებრაიზმს წარმოადგენს, მაგალითად: *καὶ ἀπεκρίθη Ἀμὼς καὶ εἶπεν πρὸς Ἀμασίουν ...* *მიუგო ამოს და ჰრქუა ამასიას*: [ამოს 7:14]. სტატიის მიზანს წარმოადგენს მეტყველების წრის ზმნებისა და მიმღეობების ქართულად გადმოტანის საკითხის შესწავლა. ამ მიზნით ერთმანეთს შევადარეთ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ძველი (X-XI სს.) და ელინოფილური პერიოდის (XII-XIII სს.) ბიბლიის ქართული თარგმანები/ რედაქციები.

ბიბლიის ქართული ვერსიების შესწავლამ ცხადყო, რომ ძველი მთარგმნელი, მართალია, ცდილობს სათარგმნი ტექსტის ზუსტად გადმოტანას, მაგრამ, იმავდროულად, ითვალისწინებს ქართული ენის ბუნებასაც. ამიტომ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანს ერთგვარად შუალედური ადგილი უჭირავს ფორმალურ და დინამიკურ თარგმანებს შორის. ელინოფილური პერიოდის მთარგმნელ-რედაქტორი კი ამ საკითხშიც ცდილობს დაიცვას ბერძნულთან ფორმალურ-სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ეკვივალენტურობა.

**საკვანძო სიტყვები:** ბიბლიის ქართული ვერსიები, მეტყველების წრის ზმნები, ბიბლიურ წიგნთა თარგმანები.

## სატრანზიტო სისტემა და მისი ოპერირების სარგებელი

ნინო რამაზაშვილი

დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი

### ანოტაცია

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაფიქსირდა საქონლით ვაჭრობის სწრაფი ზრდა ევროპაში. ხანგრძლივი და რთული საბაჟო პროცედურების ფონზე ყოველ ჯერზე, როცა საქონელი კვეთდა საზღვარს ვაჭრობის პროცედურები გართულებული იყო, სწორედ ამ პროცესის ფონზე ჩამოყალიბდა ქვეყნებს შორის მზარდი თანამშრომლობა და დაიწყო მოლაპარაკებები გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით. ეს მიზნად ისახავდა საერთაშორისო ხელშეკრულების შედგენას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო თავისუფალი სავაჭო სივრცის შექმნაში.

სასაზღვრო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი ელემენტია სასაზღვრო საცობების შესამცირებლად. არაადეკვატური ინფრასტრუქტურა ხშირად მთავარი დაბრკოლებაა ეფექტური ტრანზიტის ჩამოყალიბებაში, მაშინაც კი, თუ საბაჟო პროცედურები გამარტივებული და ეფექტურია. სატრანზიტო ტვირთის შეუფერხებლად გადაადგილება მოითხოვს ხარისხის ინფრასტრუქტურას. სატრანზიტო დოკუმენტები როდესაც უკვე არის წინასწარ გაცემული, სატვირთო მანქანების მძღოლებს შეუძლიათ გამოიყენონ გამოყოფილი "ტრანზიტის ზოლები" და დარჩნენ თავიანთ სატრანსპორტო საშუალებებში.

სატრანზიტო ოპერაციები აუცილებლად მოიცავს სხვადასხვა მარეგულირებელ მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია საბაჟოს გარდა სამთავრობო უწყებების მიერ<sup>44</sup>.

**საკვანძო სიტყვები:** სასაზღვრო ინფრასტრუქტურა, სავაჭრო ბარიერი, ჰარმონიზირებული პროცედურები, სატრანზიტო ოპერაციების ეფექტურობა.

### შესავალი

საერთაშორისო ვაჭრობა ხშირად მოითხოვს საქონლის გადაკვეთას ქვეყნის ტერიტორიის გავლით სხვა სახელმწიფოებში. ზღვაზე გასასვლელი ქვეყნებისა და რეგიონებისთვის, სატრანსპორტო სერვისებზე წვდომისათვის აუცილებელი პირობაა

<sup>44</sup> <https://unece.org/about-etir>

გამარტივებული და ჰარმონიზებული პროცედურები. ფინანსური საბაჟო გარანტიებისთვის სატრანზიტო ქვეყნებში არის სწრაფი ადმინისტრაციული პროცედურები ტრანზიტულ მოძრაობაზე. ზოგადად, სატრანზიტო მოძრაობის უფლებები არეგულირებს ტერიტორიაზე წვდომას. ისინი ექვემდებარებიან მოლაპარაკებებს სახელმწიფოებს შორის და წარმოადგენს ორ, რეგიონულ ან მრავალმხრივ შეთანხმების ნაწილს - ტრანზიტის ან ტრანსსასაზღვრო ტრანსპორტი. ოპერატიული თვალსაზრისით, სატრანზიტო ოპერაცია მოიცავს საქონელს, მომსახურებას.<sup>45</sup>

#### სატრანზიტო ოპერაციების სარგებელი

მრავალი მტკიცებულება არსებობს, იმისა რომ გაზრდილი ეკონომიკური ვაჭრობა ხელს უწყობს ქვეყნების განვითარებას. სავაჭრო ბარიერების შემცირებას და ეფექტურობის გაზრდას წვლილი შეაქვს ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში. საბაჟო სატრანზიტო ოპერაცია მოიცავს ბევრ სავაჭრო ბარიერს, რადგან ის ჩვეულებრივ მოიცავს დაინტერესებულ მხარეებს, როგორცაა: სხვადასხვა სამთავრობო უწყებები, ბანკები თუ ფინანსური ინსტიტუტები. ცუდმა სატრანზიტო სისტემამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეაფერხოს საერთაშორისო ვაჭრობა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტურმა სატრანზიტო სისტემამ შეიძლება ხელი შეუწყოს რეგიონულ ეკონომიკის ინტეგრაციას მეზობელ და არამეზობელ ქვეყნებს შორის შიდა რეგიონული ვაჭრობის გაზრდის გზით. რეგიონული ინტეგრაცია არის ძირითადი სტრატეგია, რომელიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს გააფართოონ თავიანთი ბაზრები, გააფართოვონ რეგიონის ეკონომიკური სივრცე და უზრუნველყონ სარგებელი წარმოებისა და ვაჭრობის მასშტაბით. ეს ასევე ზრდის კონკურენციას გლობალურ ვაჭრობაში და აუმჯობესებს ხელმისაწვდომობას უცხოურ ტექნოლოგიებსა და ინვესტიციებზე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WCO) კვლევის დოკუმენტი ტრანზიტის ხელშეწყობის შესახებ, რომელიც აღწერს ეკონომიკური ინტეგრაციის ტრანზიტის ხელშეწყობის 5 გზას, შემდეგნაირია<sup>46</sup>:

1. ტრანზიტის ხელშეწყობა ზრდის რეგიონულ კონკურენტუნარიანობას ეკონომიკური გზით, რეგიონის ცალკეული განვითარებით;
2. ტრანზიტის ხელშეწყობა ზრდის შიდა რეგიონულ ვაჭრობას;
3. ტრანზიტის ხელშეწყობა აძლიერებს რეგიონალურ წარმოების ქსელს, რაც იწვევს შემდგომ ეკონომიკის ინტეგრაციას;
4. ტრანზიტის ხელშეწყობა ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს მიღებას;

<sup>45</sup> [https://unctad.org/system/files/official-document/TN08\\_FreedomofTransit.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/TN08_FreedomofTransit.pdf)

<sup>46</sup> <http://www.wcoomd.org/-/media/wco/public/global/pdf/topics/key-issues/ecp/2015/transit-handbook-for-upload-en.pdf?la=en>

## 5. ტრანზიტის ხელშეწყობა შეიძლება იყოს სხვა ვაჭრობის ჰარმონიზაციის საფეხურის

ხელშეწყობი ზომები.

ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია ეფექტურმა სატრანზიტო ოპერაციებმა წვლილი შეიტანოს შემოსავლების შეგროვებაში. არსებობს რისკი, რომ სატრანზიტო საქონელი არ იყოს წარმოდგენილი საბაჟოზე, რაც იწვევს შემოსავლების დაკარგვას და ვაჭრობის დამახინჯებას. ეს შეიძლება დარეგულირდეს ეფექტური სატრანზიტო ოპერაციების რისკის მენეჯმენტით და სხვა უსაფრთხოებით.

გარდა დადგენილი მოთხოვნებისა, საერთაშორისო სატრანზიტო ოპერაციები შეიძლება მოიცავდეს ვადას, რომლის ფარგლებშიც საქონელი უნდა იყოს წარდგენილი დანიშნულების ადგილას. ასევე გამჭვირვალე უნდა იყოს სატრანზიტო ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირების მარშრუტის განსაზღვრა და ნებართვა დანიშნულების ადგილის შეცვლა, სატრანზიტო ოპერაციის დროს.

სარგებელი საქართველოს მაგალითზე

საბაჟო სატრანზიტო რეჟიმები არის საბაჟოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ტიპი. საბაჟო ტრანზიტის რეჟიმები ამარტივებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაკვეთის პროცესს მესამე ქვეყანაში. ოპერატორები სარგებლობენ სტანდარტიზებული პროცედურებით და გადახდის თავიდან აცილებით ტრანზიტულ საქონელზე. გარანტიები იძლევა შემოსავლების საბაჟო უზრუნველყოფის მეტ საიმედოობას, რადგან ეს არის ბანკი ან ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია თანხის გადახდაზე. ტრანზიტი როგორც „საბაჟო პროცედურა, რომლის მიხედვითაც საქონლის ტრანსპორტირება ხდება საბაჟო კონტროლის ქვეშ ერთი საბაჟოდან მეორეში“. აქვე უნდა განვასხვავოთ ეროვნული და საერთაშორისო საბაჟო ტრანზიტის პროცედურები. ეროვნული საბაჟო ტრანზიტის პროცედურა მოიცავს მხოლოდ ტრანზიტს ერთ საბაჟოზე, იმავე საბაჟო ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის ტერიტორიას. ხოლო, მრავალმხრივი სატრანზიტო პროცედურები (ორმხრივი, რეგიონული ან საერთაშორისო) მეორეს მხრივ მოიცავს ტრანზიტს რამდენიმე საბაჟო ტერიტორიის გავლით, მაგალითად, სრულად ინტეგრირებული რეჟიმი, ევროკავშირის სათემო სატრანზიტო სისტემა, ან ჰარმონიზაციის გზით სატრანზიტო ოპერაციების გარკვეული ასპექტები, როგორცაა TIR სისტემა. რეკომენდებული პრაქტიკაა საბაჟო ტრანზიტის პროცედურებისთვის, საქონლის გადასახადების უზრუნველყოფის მიზნით ტრანზიტი, რაც ამცირებს საქონლის შიდა მოხმარებისთვის გადამისამართების რისკს. გადასახადის გადახდის გარეშე საბაჟო მოითხოვს ფინანსურ გარანტიას, როდესაც ნებას რთავს ტრანზიტის ოპერაციას. ტრანზიტის გარანტიის მოთხოვნები განისაზღვრება სატრანზიტო ქვეყნის ეროვნული რეგულაციებით ან ალტერნატიულად რეგიონული ან საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში. ეს რეგულაციები, სხვათა შორის, განმარტავს გარანტიის საჭირო ოდენობას, პირებს, რომლებიც პასუხისმგებელია გარანტიის წარმოდგენაზე და გარანტიის ფორმაზე. ზოგიერთ ქვეყანაში ფულადი დეპოზიტები მიიღება, თუმცა გარანტიის

ეს ფორმა არც არის პრაქტიკული და არც რეკომენდებული. ეროვნული სატრანზიტო რეჟიმების კონტექსტში ხშირად არის ტრანზიტის გარანტიები. გარანტიები განიხილება ინდივიდუალური ან ყოვლისმომცველი. ინდივიდუალური გარანტია, მოიცავს ერთ სატრანზიტო ოპერაციას. ის ჩვეულებრივ ფარავს გადასახადების სრულ რაოდენობას. გარანტიის გაანგარიშება არის საქონელზე მოქმედი გადასახადების განაკვეთების საფუძველზე. ყოვლისმომცველი გარანტია, მეორეს მხრივ, არის გაშვებული გარანტია, რომელიც შეიძლება იყოს ხელახლა გამოყენებული და რომელიც მოიცავს ერთი და იმავე ოპერატორის მიერ განხორციელებულ რამდენიმე სატრანზიტო ოპერაციას, საბაჟოს მიერ დაფიქსირებული მოცემული საცნობარო თანხით. საცნობარო თანხა ჩვეულებრივ გამოითვლება გადასახადებისა მთლიანი ოდენობის საფუძველზე, რომელიც ოპერატორმა შეიძლება გაიღოს სატრანზიტო ოპერაციებისას, სავარაუდო რაოდენობა, რომელსაც იგი განახორციელებდა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მაგ. ერთი კვირა ან ერთი თვე.

საბაჟო ტრანზიტის რეჟიმისა და ტრანზიტის გარანტიის სისტემის გამართული ფუნქციონირება მოითხოვს კომპეტენტური კანონმდებლობის დანერგვას და გამოყენებას. არასწორი გამოყენება ძირს უთხრის საბაჟო ტრანზიტის სისტემების სარგებლიანობას როგორც საჯარო, ისე კერძო პირებისთვის<sup>47</sup>.

### ეფექტური სატრანზიტო სისტემის მიდგომები

სატრანზიტო პროცედურების მოქმედება განსხვავდება ქვეყნიდან ქვეყანაში და არის რამდენიმე ეფექტური და ფუნქციონალური სატრანზიტო სისტემების კარგი მაგალითები მთელს მსოფლიოში. ეს ტრანზიტის სახელმძღვანელო ფართოდ კლასიფიცირებს შესაძლო მიდგომებსა და ხელშემწყობ ზომებს შემდეგნაირად:<sup>48</sup>

#### 1. ინფორმაციის ეფექტური გაზიარება

საბაჟო ოფისებს შორის ინფორმაციის გაზიარება აუცილებელია ეფექტური სატრანზიტო სისტემებისთვის. თუ საბაჟო ოფისი, სადაც ტრანზიტის დეკლარაციაა გაკეთებული, აზიარებს ინფორმაციას ტრანზიტის შესახებ, საქონელი სხვა საბაჟო ორგანოებთან სატრანზიტო მარშრუტზე და დოკუმენტაციის ხელახალი წარდგენა შეიძლება იქნეს გამოტოვებული. ინფორმაციის გაზიარება ასევე აძლიერებს რისკების მართვას საზღვრებზე და ხელს უწყობს შეუფერხებელ მოძრაობას.

#### 2. საგარანტიო სისტემა

გარანტიის სისტემა უზრუნველყოფს, რომ საბაჟო გადასახადები სატრანზიტო ოპერაციის დროს ყოველთვის დაფარულია, ამიტომ ეს გადასახადები ექცევა რისკის ქვეშ, სანამ საქონელი არ წარდგება დანიშნულების ორგანოში. მიუხედავად იმისა, რომ გარანტია არის სატრანზიტო ოპერაციის განუყოფელი ნაწილი, პროცესი, როგორც წესი,

<sup>47</sup> [https://unctad.org/system/files/official-document/TN17\\_BondedTransportRegimes.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/TN17_BondedTransportRegimes.pdf)

<sup>48</sup> [Ht tp://www.wcoomd.org/-/media/wco/public/global/pdf/topics/key-issues/ecp/2015/transit-handbook-for-upload-en.pdf?la=en](http://www.wcoomd.org/-/media/wco/public/global/pdf/topics/key-issues/ecp/2015/transit-handbook-for-upload-en.pdf?la=en)

გართულებულია სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გამო, როგორცაა: ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და კერძო ასოციაციები. გამართულად მოქმედი გარანტიის სისტემა აჩქარებს სატრანზიტო ოპერაციებს და ამსუბუქებს სატრანზიტო ქვეყნების შემოსავლებს.

### 3. საბაჟო ფორმალობების გამარტივება

საბაჟო სატრანზიტო სისტემები ტრადიციულად რთულ მოთხოვნებს უყენებდნენ ტრანზიტის ოპერატორებს, ასევე საბაჟო ადმინისტრაციაზე დოკუმენტაციის წარმოების კუთხით. თანამედროვე საბაჟო ადმინისტრაციამ შემოიღო, გაამარტივა საბაჟო პროცედურები და ახლა მიიღება სატრანსპორტო დოკუმენტების ელექტრონული ასლები. დოკუმენტების მოთხოვნების გამარტივება საგრძნობლად ამცირებს ტრანზიტის ოპერაციების დროს.

### 4. რისკების მართვა

რისკის მართვის გამოყენება ტრანზიტის დროს გამოიწვევს იმას რომ, მაღალი რისკის მქონე საქონელი დაექვემდებარება კონტროლის შესაბამის დონეს, ხოლო დაბალი რისკის საქონელი შეიძლება გათავისუფლდეს შესაბამისი კონტროლიდან. რისკის მართვის გამოყენებამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) პროგრამების დანერგვა, რომლებიც ინარჩუნებენ მაღალ შესაბამისობას და უსაფრთხოების მენეჯმენტს ხელშემწყობი უპირატესობებით სატრანზიტო ოპერაციებისთვის. გარდა ამისა, საქონლის ჩამოსვლამდე ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს საბაჟო ადმინისტრაციებს, შეაფასონ საქონლის რისკის დონე მათ ჩამოსვლამდე. საჭიროა გაძლიერდეს საბაჟო რისკის მართვა და ხელი შეეწყოს დაბალი რისკის ტრანზიტის ტვირთის შეუფერხებლად განბაჟებას.

### 5. საბაჟო ბეჭდები და უსაფრთხოების სხვა ზომები

სატრანზიტო ოპერაციების დროს საქონლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საბაჟო ადმინისტრაციამ ჩვეულებრივ უნდა გამოიყენოს საბაჟო ბეჭდები. საბაჟო ორგანომ შეიძლება დაუშვას მოქნილი და ხელშემწყობი ზომები, როგორცაა ტრანზიტით დამაგრებული სპეციალური ბეჭდების გამოყენება.

### 6. სასაზღვრო ინფრასტრუქტურა

სასაზღვრო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი ელემენტია სასაზღვრო საცობების შესამცირებლად. მიზანშეწონილია განიხილოს კონკრეტული ინფრასტრუქტურა, როგორცაა ცალკეული სატრანზიტო ზოლები, სასაზღვრო პუნქტები, სადაც დიდი მოცულობის სატრანზიტო საქონელი გვხვდება. საზღვრის კოორდინირებული მართვა, სატრანზიტო ოპერაციები მოიცავს სხვადასხვა მარეგულირებელ მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია საბაჟო ორგანოსა და სამთავრობო უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციით.

### 7. შესრულების გაზომვა

შესრულების გაზომვა სასარგებლოა სატრანზიტო ოპერაციების ეფექტურობის დემონსტრირებისთვის. რამდენიმე საერთაშორისო ინსტრუმენტი და ანგარიში სატრანზიტო ოპერაციების შესრულების შესაფასებლად დაგვეხმარება და მოგვცემს მნიშვნელოვან მინიშნებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს სატრანზიტო სისტემა.

eTIR სისტემა სარგებელს სთავაზობს TIR სისტემაში ჩართულ ყველა აქტორს. პირველ რიგში, მას მოაქვს დამატებითი უსაფრთხოებისა და რისკის მართვის შესაძლებლობები, რითაც ამცირებს თაღლითობის რისკს. მეორე, მოწინავე საერთაშორისო თანამშრომლობა საშუალებას მისცემს ყველა აქტორს მნიშვნელოვნად შეამცირონ ადმინისტრაციული ტვირთი და მაქსიმალურად გაზარდონ მიწოდების ჯაჭვის ინტეგრირებული მენეჯმენტის სარგებელი. საბოლოოდ, ტვირთის წინასწარი ინფორმაციის მიწოდება და ინფორმაციის რეალურ დროში გაცვლა დააჩქარებს TIR პროცედურას.

დასკვნა

მრავალი წლის განმავლობაში TIR კონვენცია აღმოჩნდა ეფექტური ფასილიტაციის ინსტრუმენტი. თუმცა, ტექნოლოგიების პროგრესთან ერთად, ქაღალდის TIR Carnet-ის გამოყენება სულ უფრო არქაული ხდება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მის დაკავშირებას ეროვნული საბაჟო ადმინისტრაციების მიერ გამოყენებულ ელექტრონულ პროცედურებთან. თითოეულ სასაზღვრო გადაკვეთაზე, საბაჟო ოფიცრებს უწევთ დამატებითი სამუშაო, რათა მათ ეროვნულ ელექტრონულ საბაჟო სისტემაში 50-მდე მონაცემთა ელემენტი შეიყვანონ. გარდა ამისა, არსებული ვითარება არ აძლევს საბაჟო ორგანოებს შესაძლებლობას, ეფექტურად გამოიყენონ რისკის მართვის პროცედურები, რომლებიც დაფუძნებულია წინასწარ ტვირთის შესახებ ინფორმაციაზე, როგორც ამას მოითხოვს უსაფრთხოების მზარდი გარემო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://unece.org/about-etir>
2. [https://unctad.org/system/files/official-document/TN08\\_FreedomofTransit.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/TN08_FreedomofTransit.pdf)
3. <http://www.wcoomd.org/-/media/wco/public/global/pdf/topics/key-issues/ecp/2015/transit-handbook-for-upload-en.pdf?la=en>
4. [https://unctad.org/system/files/official-document/TN17\\_BondedTransportRegimes.pdf](https://unctad.org/system/files/official-document/TN17_BondedTransportRegimes.pdf)
5. [Http://www.wcoomd.org/-/media/wco/public/global/pdf/topics/key-issues/ecp/2015/transit-handbook-for-upload-en.pdf?la=en](http://www.wcoomd.org/-/media/wco/public/global/pdf/topics/key-issues/ecp/2015/transit-handbook-for-upload-en.pdf?la=en)



# Transit system and benefits of its operation

Nino Ramazashvili

Department of Energy, Georgian Technical University

## Abstract

After the end of the Second World War, there was a rapid increase in trade in goods in Europe. Due to the long and complicated customs procedures every time the goods crossed the border, the trade procedures were complicated. All this was aimed at drawing up an international agreement, which should contribute to the creation of a free trade space.

Border infrastructure is an important element in reducing border congestion. Inadequate infrastructure is often a major obstacle to establishing efficient transit, even if customs procedures are streamlined and efficient. Smooth movement of transit cargo requires quality infrastructure. When transit documents are already issued in advance, truck drivers can use designated "transit lanes" and remain in their vehicles.

Transit operations necessarily include various regulatory requirements imposed by government agencies other than customs.

**Key words:** Border infrastructure, Trade barrier, Harmonized procedures, Efficiency of transit operations.

## Абстракт

После окончания Второй мировой войны в Европе наблюдался быстрый рост торговли товарами. Из-за длительных и сложных таможенных процедур каждый раз, когда товары пересекали границу, усложнялись торговые процедуры. Все это было направлено на составление международного соглашения, которое должно способствовать созданию пространства свободной торговли.

Пограничная инфраструктура является важным элементом снижения загруженности границ. Неадекватная инфраструктура часто является серьезным препятствием для организации эффективного транзита, даже если таможенные процедуры упорядочены и эффективны. Для бесперебойного движения транзитных грузов необходима качественная инфраструктура. Когда транзитные документы уже оформлены заранее, водители грузовиков могут использовать выделенные «транзитные полосы» и оставаться в своих транспортных средствах.

Транзитные операции обязательно включают в себя различные нормативные требования, предъявляемые государственными органами, кроме таможни.



## ორლინზიანი კოლიმაციური სისტემა ერთი ასფერული ზედაპირით

დავით შალამბერიძე, ირაკლი კორძაია

სსიპ ინსტიტუტი „ოპტიკა“

### რეზიუმე

სტატიაში აღწერილია ორ ლინზიან კოლიმაციურ სისტემაში პირველი, სფერული ლინზის ცნობილი ოპტიკური პარამეტრების მიხედვით მეორე, ასფერული ლინზის ოპტიკური პარამეტრების გათვლის მეთოდის, რაც საშუალებას იძლევა დაიწეროს ასფერული პროფილის პარამეტრული განტოლება ცხადი სახით.

**საძიებო სიტყვები:** კოლიმაცია, ფოკუსური მონაკვეთი, ასფერული ზედაპირი

ოპტიკის და, ზოგადად, ტექნიკის ბევრ სფეროში მეტად მნიშვნელოვანია პირველადი სხივის კოლიმირება. ძირითადად, ამისთვის გამოიყენება ორი და მეტი ლინზისგან შედგენილი ოპტიკური სისტემები და პარაბოლური სარკეები. სტატიაში წარმოდგენილია მონოქრომატული სხივის კოლიმირების ორ ლინზიან ოპტიკურ სისტემაში მეორე ასფერული ლინზის ოპტიკური პარამეტრების გათვლის მეთოდის პირველი სფერული ლინზის ცნობილი ოპტიკური პარამეტრების მიხედვით. ამასთან, მეორე ლინზის წინა ზედაპირი სფერულია, სიმრუდის რადიუსით  $R_3$  ( $>0$ ), ხოლო უკანა, ასფერული ზედაპირის სიმრუდის რადიუსი პარაქსიალურ არეში ემთხვევა წინა ზედაპირის სიმრუდეს, ანუ

$$R_4^* = -R_3. \quad (1)$$

დავუშვათ, პირველი ლინზის ოპტიკური პარამეტრებია: წინა ზედაპირის სიმრუდის რადიუსი  $R_1$  ( $>0$ ), უკანა ზედაპირის სიმრუდის რადიუსი  $R_2$  ( $<0$ ), ლინზის სისქე  $t_1$  და ოპტიკური მასალის გარდატეხის მაჩვენებელი  $n_1$  (კონკრეტული ტალღის სიგრძისთვის).

მეორე ლინზის საწყისი პარამეტრების არჩევას გავითვალისწინოთ, რომ საწყისი სხივის კოლიმირებისთვის საჭიროა ლინზების ფოკუსური წერტილები ერთმანეთს ემთხვეოდეს, ანუ, ლინზებს შორის მანძილი უნდა აკმაყოფილებდეს პირობას

$$d = S'_{F1} + S_{F2}, \quad (2)$$

სადაც  $S'_{F1}$  პირველი ლინზის უკანა ფოკუსური მონაკვეთის (მანძილი უკანა ზედაპირიდან უკანა ფოკუსურ წერტილამდე) სიგრძეა, ხოლო  $S_{F2}$  – მეორე ლინზის წინა ფოკუსური

მონაკვეთის სიგრძე. ცხადია, ფოკუსური მონაკვეთი  $S'_{F1}$  მთლიანად განსაზღვრულია პირველი ლინზის ოპტიკური პარამეტრებით [1]:

$$S'_{F1} = f'_1 \left( 1 - \frac{n_1 - 1}{n_1 R_1} t_1 \right), \quad (3)$$


სადაც  $f'_1$  პირველი ლინზის უკანა ფოკუსური მანძილია:

$$\frac{1}{f'_1} = (n_1 - 1) \left( \frac{1}{R_1} - \frac{1}{R_2} \right) + \frac{(n_1 - 1)^2}{n_1 R_1 R_2} t_1. \quad (4)$$

ცხადია,  $S_{F2}$  განისაზღვრება მეორე ლინზის ოპტიკური პარამეტრებით, ხოლო მისი კავშირი  $S'_{F1}$ -თან განისაზღვრება (2) ტოლობით, აგრეთვე კოლიმაციის ხარისხით (მიღებული სხივის განივკვეთის დიამეტრი შეფარდებული საწყისი სახივის განივკვეთის დიამეტრთან). ნახ.1-დან ჩანს, რომ თუ კოლიმაციის ხარისხია  $m$ , მაშინ

$$S_{F2} \approx m S'_{F1}. \quad (5)$$

ამგვარად, პირველი და მეორე ლინზების ოპტიკურ პარამეტრებს შორის მყარდება შემდეგი კავშირი: პირველი ლინზის ოპტიკური პარამეტრებით დგინდება მისი უკანა ფოკუსური მონაკვეთი (ფორმულები (3), (4)), ფორმულებით (2) და (5) ლინზების ფოკუსურ მონაკვეთებს შორის, საიდანაც, (1)-ის გათვალისწინებით, ვადგენთ მეორე ლინზის ოპტიკურ პარამეტრებს.



ნახ. 1

აღნიშნული სქემის განხორციელების შედეგად მივიღებთ:


$$S_{F2} = \frac{n_2 R_3^2 - (n_2 - 1) R_3 t_2}{(n_2 - 1) [2 R_3 n_2 - t_2 (n_2 - 1)]}. \quad (6)$$

აქედან შეიძლება გამოვსახოთ  $R_3$ :

$$R_3 = \frac{n_2 - 1}{2} \left[ \frac{t_2}{n_2} + 2S_{F2} + \sqrt{\left(\frac{t_2}{n_2}\right)^2 + 4S_{F2}^2} \right]. \quad (7)$$

ამგვარად, გვაქვს შემდეგი საწყისი მონაცემები: პირველი ლინზისთვის –  $R_1, R_2, n_1, t_1$ , მეორე ლინზისთვის –  $R_3, n_2, t_2$ , აგრეთვე, მანძილი ლინზებს შორის –  $d$ .

ჩვენს მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით შესაძლებელია გამოთვლილი იქნას  $i$ -ურ ზედაპირზე გარდატეხილი სხივის კოორდინატები  $(x_i, y_i, \alpha_i)$  ამ ზედაპირთან დაკავშირებულ კოორდინატთა სისტემაში (ნახ. 2), რაც საშუალებას გვაძლევს ფერმას პრინციპის გამოყენებით დავთვალოთ მეორე ლინზის უკანა, ასფერული ზედაპირი იმ პირობით, რომ მან უზრუნველყოს პირველი ლინზის წინა ზედაპირზე დაცემული პარალელური სხივთა კონის კოლიმაცია.



ნახ. 2

განვიხილოთ სხივი, რომლის კოორდინატები პირველი ლინზის წინა ზედაპირთან დაკავშირებულ კოორდინატთა სისტემაში არის  $A_0(0; h)$  და  $\alpha_0 = 0$ , ანუ, საწყისი სხივი ვრცელდება ოპტიკური ღერძის პარალელურად მისგან  $h$  სიმაღლეზე. სხივის  $i$ -ურ ზედაპირთან გადაკვეთის წერტილები აღვნიშნოთ  $A_i$ -ით. ფერმას პრინციპის თანახმად, ამ სხივის ოპტიკური გზა ტოლი იქნება ნულოვანი, ანუ, მთავარი ოპტიკური ღერძის გასწვრივ გავრცელებული სხივის ოპტიკური გზისა, ანუ:

$$\sum_0^4 n_i A_i A_{i+1} = n_1 t_1 + d + n_2 t_2. \quad (8)$$

მეორე ლინზის უკანა, ასფერულ ზედაპირთან დაკავშირებულ საკოორდინატო სისტემაში გამოსახულება (8) მიიღებს სახეს:

$$L_1 + n_1 L_2 + L_3 + n_2 L_4 = n_1 t_1 + d + n_2 t_2, \quad (9)$$

სადაც

$$L_1 = \tilde{x}_1,$$

$$L_2 = \sqrt{(\tilde{x}_2 - \tilde{x}_1)^2 + (\tilde{y}_2 - \tilde{y}_1)^2},$$

$$L_3 = \sqrt{(\tilde{x}_3 - \tilde{x}_2)^2 + (\tilde{y}_3 - \tilde{y}_2)^2},$$

$$L_4 = \sqrt{(x_a - \tilde{x}_3)^2 + (y_a - \tilde{y}_3)^2}.$$

აქ  $(x_a, y_a)$  მეორე ლინზის უკანა, ასფერული ზედაპირის კოორდინატებია, ხოლო  $(\tilde{x}_i, \tilde{y}_i)$   $i$ -ური ზედაპირის კოორდინატებია ასფერულ ზედაპირთან დაკავშირებულ კოორდინატთა სისტემაში:

$$\tilde{x}_1 = x_1 - t_1 - t_2 - d,$$

$$\tilde{x}_2 = x_2 - t_2 - d,$$

$$\tilde{x}_3 = x_3 - t_2,$$

$$\tilde{y}_i = y_i.$$

ბოლო აღნიშვნების გათვალისწინებით (9) ფორმულიდან მივიღებთ:

$$n_2 \sqrt{(x_a - \tilde{x}_3)^2 + (y_a - \tilde{y}_3)^2} - x_a = \Phi(h), \quad (10)$$

სადაც

$$\Phi(h) = n_1 t_1 + d + n_2 t_2 - \sum_0^3 n_i L_i, \quad (n_0 = 1, L_0 = x_1). \quad (11)$$

(შევნიშნოთ, რომ  $L_i$ -ები წარმოადგენენ  $h$ -ის ფუნქციას, რადგან  $x_i = x_i(h)$ ,  $y_i = y_i(h)$ ,  $\alpha_i = \alpha_i(h)$ )

ასფერული ზედაპირის კოორდინატებს შორის კიდევ ერთი კავშირის დასამყარებლად გამოვიყენოთ კავშირი მეორე ლინზაში მოხვედრილი სხივის საწყის და საბოლოო წერტილებს შორის:

$$y_a = \tilde{y}_3 + (x_a - \tilde{x}_3) \cdot tg\alpha_3. \quad (12)$$

(10) და (12) გამოსახულებები ქმნიან განტოლებათა სისტემას  $(x_a, y_a)$  ცვლადების მიმართ. ამ სისტემის ამოხსნით მივიღებთ:

$$x_a = \frac{\Phi(h) \cdot \cos\alpha_3 + \tilde{x}_3 n_2}{n_2 - \cos\alpha_3}, \quad (13)$$

$$y_a = \frac{(\Phi(h) + \tilde{x}_3) \cdot \sin\alpha_3}{n_2 - \cos\alpha_3} + \tilde{y}_3. \quad (14)$$

(13) და (14) ფორმულები წარმოადგენენ მეორე ლინზის უკანა ასფერული ზედაპირის პარამეტრულ განტოლებას. იმისთვის, რომ დაიწეროს ასფერული ზედაპირის განტოლება ცხადი სახით Collimation, focal section, aspheric surface, უნდა განხორციელდეს ამ ზედაპირის პოლინომური ინტერპოლაცია.

## ლიტერატურა

[1] Born M., Wolf E., Principles of Optics. Cambridge University Press, 1999.

# A two-lens collimating system with one aspherical surface

David Shalamberidze, Irakli Kordzakhia

LEPL Institute OPTICA

## Abstract

The article describes the method of calculating the optical parameters of the second, aspherical lens based on the known optical parameters of the first spherical lens in a two-lens collimating system. The method allows to write the parametric equation of the aspheric profile in an explicit form.

**Keywords:** Collimation, Focal section, Aspheric surface

## კულტურული მემკვიდრეობის ქიმიისათვის

(ნაწილი III - არქეოლოგიური ოქროსა და ვერცხლის ზედაპირის ქიმიისათვის)

მამუკა მაცაბერიძე<sup>1</sup>, ინგა ჯანელიძე<sup>2</sup>

<sup>1</sup>პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი

<sup>2</sup>ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი

### რეზიუმე

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დღევანდელობამდე აღწევენ შეცვლილი ან გარკვეულად ტრანსფორმირებული სახით. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შექმნიდან დღემდე, მისი შინაგანი და ზედაპირული სახეცვლილებების პროცესს ეწოდება ბუნებრივი “დაბერება”. კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატის “დაბერების” პროცესის ინტენსივობა დამოკიდებულია, როგორც ისტორიული მასალის თვისებებზე, ისე გარეგან მოქმედ ბუნებრივ ფაქტორებზე (ტემპერატურის და ტენიანობის ცვლილებები, ქარის და წყლის ეროზია, სინათლის მოქმედება), აგრეთვე გარემო-პირობების არასტაბილურობაზე (ჰაერის შედგენილობა, ვიბრაციული მოვლენები).

კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატის ზედაპირზე მიმდინარე პროცესების შესწავლის მიზანს წარმოადგენს შეანელოს და შეაჩეროს ისტორიულ მასალაში მიმდინარე “სიბერის” პროცესი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია - არქეოლოგიური ოქროსა და ვერცხლის ზედაპირის ქიმიის პრობლემატიკა, რითაც უნდა შევინარჩუნოთ როგორც ძეგლის გარეგნული სახე, ასევე მასალა რომლითაც ექსპონატი არის შექმნილი, რადგან ძველის შეცვლა ნიშნავს, დასამუშავებელი ნიმუშის ტექნიკური თვისებებების, დედანში ჩადებული დამზადების ტექნოლოგიისა და ინდივიდუალობის ისტორიული მნიშვნელობის დაკარგვას.

**საკვანძო სიტყვები:** იუნესკოს „კულტურის სტატისტიკის ჩარჩო-დოკუმენტი“, „კულტურის ეკონომიკის სქემა“, ოქროს ლომის ქანდაკება, თრიალეთის კულტურა, კალიუმის პერსულფატი, კალიუმის ციანიდი, კალიუმის და ამონიუმის როდანიდები, გრანულაცია, პოლიქრომია, ნატრიუმის ჰექსამეტაფოსფატი, ოქროს ბუნებრივი ამაღვამა, ოქროს და ვერცხლის ნაკეთობათა ზედაპირის წმენდა.



დღეისათვის აღიარებულია, რომ კულტურული მემკვიდრეობა ის ღირებულებითი მონაპოვარია, რაც კაცობრიობამ შექმნა საკუთარი ისტორიის განმავლობაში. თანამედროვე რეალობას წარმოადგენს - კულტურული მემკვიდრეობის, ეკონომიკის განვითარების მდგენელად აღქმა. ამ მიმართულებით მატერიალურმა კულტურულმა მემკვიდრეობამ უფრო ადრე მოიპოვა აღიარება ვიდრე არამატერიალურმა. კულტურული ტურიზმის განვითარებასთან ერთად ცხადი გახდა, რომ არქიტექტურული თუ არქეოლოგიური ძეგლები, ტაძრები, ხელოვნების ნიმუშები, სამუზეუმო კოლექციები და სხვა, მოგზაურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივაციას წარმოადგენენ და ტურისტთა დიდ ნაკადებს იზიდავენ.

კულტურული ინდუსტრიების და შემოქმედებითი ეკონომიკის კონცეფციის განვითარებამ კიდევ უფრო გააძლიერა კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკურ რესურსად აღქმა. უფრო მეტიც, დღეს ის ეკონომიკის განვითარების ინოვაციური და სასურველი გზაა. მართალია, კულტურული ინდუსტრიები მრავალ სფეროს მოიცავს, მაგრამ იუნესკოს „კულტურის სტატისტიკის ჩარჩო-დოკუმენტის“ ბაზაზე შექმნილი „კულტურის ეკონომიკის სქემის“ მიხედვით, მათ საერთო საფუძველს სწორედ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ქმნის. კულტურული მემკვიდრეობა თანდათანობით კუთვნილ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების სფეროშიც. 2015 წ. მემკვიდრეობის და შემოქმედებითობის როლი პირველად აღინიშნა გაეროს „მდგრადი განვითარების 2030 პროგრამაში“; 2021 წელი კი იუნესკომ „შემოქმედებითი ეკონომიკა მდგრადი განვითარებისთვის“ წლად გამოაცხადა [1].

მსოფლიო გლობალიზმის გავლენის შედეგად, დღევანდელ მსოფლიო ბაზრებზე ინდუსტრიული პროდუქციის სტანდარტიზაცია შეინიშნება. ამის გამო მომხმარებელი სულ უფრო მეტად ინტერესდება თვითმყოფადი, განსხვავებული პროდუქტით. კულტურული მემკვიდრეობა სწორედ ის რესურსია, რის საფუძველზეც შესაძლებელია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება და ინოვაციური, მომხმარებლისთვის საინტერესო, პროდუქციის შექმნა. ასევე მნიშვნელოვანია მეორე ტენდენცია - ხელნაკეთი პროდუქციის პოპულარობის ზრდა, მისი აღქმის და ცნობადობის ამაღლება და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნის მატება, რაც პირდაპირ ეხმიანება ტრადიციულ ხელოსნობას და მისი ეკონომიკური მდგრადობის კარგ წინაპირობას ქმნის.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის კომერციალიზაცია სათუთი საკითხია. ხშირია გაზრდილი მოთხოვნის შედეგად მიღებული პროდუქციის ნეგატიური სახეცვლის და ტრადიციის დეკონტექსტუალიზაციის შემთხვევები. მაგალითად, კულტურული ტურიზმის განვითარებამ გამოიწვია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მნახველების რაოდენობის ზრდა, რამაც დადებით ეკონომიკურ შედეგთან ერთად, წარმოშვა პრობლემები, რომლებიც ამ ძეგლების დაცვასა და გადარჩენას ეხება.

არსებობს კულტურული მემკვიდრეობის რიგი სფეროები, რომლებისთვისაც იმთავითვე იყო დამახასიათებელი კომერციალიზაცია. ასეთებია, მაგალითად, თეატრალიზებული წარმოდგენები, ტრადიციული რეწვის დარგები, ხალხური მედიცინა. ამ შემთხვევაშიც შეიძლება გამოიყოს ორი ტიპის კომერციალიზაცია: ეკონომიკური შემოსავლის მიღება

ა). ცოდნის გადაცემის საფასურად, რაც ასევე შეიძლება იყოს შეზღუდვის საგანი საიდუმლო ცოდნის სხვისთვის გაზიარების აკრძალვის ან არასასურველობის გამო და

ბ). ტრადიციული ცოდნის გამოყენებით შექმნილი მატერიალური ნივთების ან სანახაობაზე დასწრების უფლების რეალიზაციით, რაც აღნიშნულ დარგებში ოდითგანვე იყო მიღებული.

არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც ცოცხალ ტრადიციას, ასევე ახასიათებს მუდმივი განვითარება და სახეცვლა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში იცვლებოდეს მათი კომერციალიზაციისადმი დამოკიდებულებაც. არსებობს შემთხვევები, როდესაც კომერციული მნიშვნელობის დაკარგვა ან კონკრეტული ხელობის გაუფასურება იწვევს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის დაკნინებას ახალი თაობის თვალში, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ტრადიციული ცოდნის გადაცემის შეწყვეტა და მემკვიდრეობის შენარჩუნება საფრთხის წინაშე დააყენოს.

საყურადღებოა, რომ შემოსავლების ზრდა ყოველთვის არ არის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მდგრადობის გარანტია. გაუთვითცნობიერებელი მომხმარებლის მხრიდან გაზრდილმა მოთხოვნამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პროდუქციაზე, რაც მისი ხარისხის დაქვეითებაში, ტრადიციული ტექნოლოგიის ჩანაცვლებაში, ასევე ადგილობრივ კულტურასთან და კონტექსტთან ბმის შესუსტებაში აისახება. შედეგად, დროთა განმავლობაში, ერთი მხრივ, თავად პროდუქცია კარგავს მიმზიდველობას და ხდება ნაკლებად გაყიდვადი (სრულდება მისი „სასიცოცხლო ციკლი“), ხოლო მეორე მხრივ, საფრთხე ექმნება თავად ტრადიციას და ტრადიციულ ცოდნას; მაგალითად, პროექტ HIPAM<sup>1</sup>-ის ფარგლებში, რომელიც მემკვიდრეობაზე მორგებულ ინტელექტუალურ საკუთრებას და მარკეტინგულ სტრატეგიებს იკვლევდა, გამორჩეულია კომერციალიზაციის უზრუნველყოფის ოთხი საფეხური და გაანალიზებულია თითოეულ საფეხურზე არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები [1].

არამატერიალური მემკვიდრეობის კომერციალიზაციის სწორი მიდგომის შერჩევა ძალზე მნიშვნელოვანია როგორც თავად კულტურული მემკვიდრეობის, ასევე მის საფუძველზე მიღებული ეკონომიკური შემოსავლების მდგრადობის მისაღწევად.

აღნიშნულის ანალიზისათვის გამოიყენება სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი მეთოდი - SWOT ანალიზი, რომელიც ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზის საშუალებას იძლევა.

მეორე მხრივ ცნობილია, რომ ოქრო და ვერცხლი უხსოვარი დროიდან, ხოლო პლატინა კი მე-19 საუკუნიდან, წარმოადგენს საიუველირო მქანდაკელობის - მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, ლითონურ ნედლეულს.

ოქრომქანდაკელობა კაცობრიობის ისტორიაა. კეთილშობილ ლითონთა მხატვრული დამუშავების ძველთაძველი ტრადიციები, საუკუნეთა მანძილზე ქართველ ოსტატთა შექმნილი ძეგლები ის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც საქართველოს რეალობაში მრავალსაუკუნოვანი წარსულიდან მოდის.

<sup>1</sup> The HIPAMS toolkit Part II. Community planning for sustainable development through intangible cultural heritage. <https://hipamsindia.org/>

ჩვენი ქვეყანა დამსახურებულად ითვლება ლითონის დამუშავების ერთერთ უძველეს კერად მსოფლიოში. საქართველოს წიაღი მდიდარია მადნეული რესურსებით, ხოლო არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ აქ ადამიანები სპილენძს პირველად ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულში ამუშავებდნენ და საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებმა უკვე იცოდნენ ბრინჯაოს დამზადება [2], იმ დროიდანვე ეუფლებიან ისინი სხვა ლითონების მეტალურგიის საიდუმლოებებს და მადნებიდან გამოყოფენ - ტყვიას და სტიბიუმს (ანთიმონიუმი), ვერცხლსა და ოქროს.

ქართულ საიუველირო ხელოვნებას ფესვები შორეულ წარსულში აქვს. ბრინჯაოს ხანიდან ქართული საიუველირო ხელოვნება მაღალ დონეზე იდგა. ქართული ოქრომქანდაკებლობა სათავეს შორეული წარსულიდან იღებს და საოცარ წარმატებას აღწევს. ოქრომქანდაკებლობის განვითარება საქართველოში არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სწორხაზოვანი, ერთი აღმავალი ხაზით მიმართული. ძველი საქართველო მუდამ იყო ცივილიზებული მსოფლიოს ორგანული ნაწილი, ამიტომ ქართული ოქრომქანდაკებლობა განვითარების ყველა ეტაპზე კანონზომიერად ატარებდა შესატყვისი ეპოქის ნიშნებს, თუმცა, ამავე დროს, მას ჰქონდა ეროვნული თავისებურებანიც, რომელნიც ერთი მხრივ განასხვავებდა ქართველთა ნახელავს მათი თანადროული უცხოური ნაწარმისაგან, მეორე მხრივ კი აკავშირებდა საქართველოში სხვადასხვა დროს შექმნილ ძეგლებს, როგორც ოქრომქანდაკებლობის ევოლუციური განვითარების სხვადასხვა საფეხურებს.

საქართველო სამართლიანად ითვლება კეთილშობილი ლითონების მოპოვების და დამუშავების ერთერთ უძველეს კერად მსოფლიოში, რისი დასტურიცაა დღემდე შემორჩენილი უცხოელი ისტორიკოსების წერილობითი წყაროები, სადაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი მინიშნებებითაა დადასტურებული ოქროს არსებობა. აქვე, მოცემულია კონკრეტული ცნობები ოქროს მოპოვების ხერხებსა და ქართველი ოსტატების მიერ ხალასი ოქროს ნედლეულისაგან საიუველირო ნაკეთობათა დამზადების ტექნოლოგიის შესახებ. ძველ საქართველოში ოქროს მოპოვება ხდებოდა, როგორც მდინარეული ნალექებიდან უმცირესი ნაწილაკების სახით (ოქროს ქვიშა), ასევე სამთო გამონამუშევრებიდან.

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ადრებრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ფერადი და შავი მეტალურგიის წარმოების მძლავრ კერებთან ერთად ნაპოვანია კეთილშობილი ლითონების სადნობი და საწარმოო კერებიც, სადაც შემორჩენილია გარკვეული დანიშნულების სხმული და სხვადასხვა შემცველობის ზოდები, რაც დასტურია იმისა, რომ ქართველი ოქრომქანდაკებლები ოქროს ნედლეულს ამუშავებდნენ - როგორც ძირეული საბადოებიდან მოპოვებულ ოქროს, ასევე ქვიშრობი საბადოებიდან მოპოვებულ ხალას მასას [2].

საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ადრებრინჯაოს ხანის ყორღანებში აღმოჩენილი ოქროს უძველესი სამკაულის განხილვით მტკიცდება, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის აქაური ოქრომქანდაკებლები ფლობდნენ ლითონის დამუშავების უმთავრეს ხერხებს – ჭედვას, ჩამოსხმას და რჩილვას. კახეთში ალაზნის ველზე ერთერთ გორასამარხში აღმოჩენილი მცირე ზომის ოქროს ლომის ქანდაკება, თრიალეთის კულტურის წინარე ხანას

მიეკუთვნება და სისტემური მნიშვნელობისაა ამ (თრიალეთის კულტურის) კულტურის გენეზისისთვის. ამგვარი კონცეპტუალიზების თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურა, როდესაც შეიქმნა პოლიქრომული სტილის მსოფლიო მნიშვნელობის შედეგრი - თრიალეთში ნაპოვნი სარდიონებით შემკული ოქროს თასი.



**სურ. 1.** ოქროს თასი. XIX-XVIII სს. ძვ.წ. თრიალეთი, წალკა. ოქროს ერთი ფურცლისგან დამზადებულ თასს ორმაგი კედელი და ღრუ ფეხი აქვს. ოქროს ბუდეებში ჩასმულია სარდიონი, ლაჟვარდი, წითელი იასპი, გიშერი, მინისებრი პასტა.

გრაფიკული ინფორმაციის წყაროს ინტერნეტ მისამართი:  
[https://www.dzegebi.ge/statiebi/xelovneba/qartuli\\_saiuveliro\\_xelovneba.html](https://www.dzegebi.ge/statiebi/xelovneba/qartuli_saiuveliro_xelovneba.html)

თრიალეთელი ოსტატებისათვის ცნობილია ოქრომქანდაკეობის ტექნიკური რეგლამენტირების ყველა ხერხი და იყენებდნენ ოქროს ნივთების მხატვრული დამუშავების ისეთ ხერხებს, როგორებიცაა:

- **გავარსი ანუ გრანულაცია**, ე.ი. ნივთის შემკობა ზედ დარჩილული ოქროს წვრილი ბურთულაკებით.
- **გრებილი ანუ ფილიგრანული დამუშავება** - ნივთის შემკობა ოქროს მავთულით.
- **დაფანჯრული და ფუყე ნივთების დამზადება.**

თრიალეთის კულტურული მემკვიდრეობის არქეოლოგიურ მასალაში გვერდიგვერდ არსებობს მარტივი და რთული ტექნოლოგიური სქემით დამზადებული ნივთები. იგივე ითქმის მათ მხატვრულ მხარეზეც - ერთი და იმავე სამარხებში გვხვდება სტილისტურად მკვეთრად განსხვავებული ნაწარმი: ერთი მხრივ სადა ოქროს თხელკედლიანი საკიდები და მეორე მხრივ პოლიქრომული სტილის ყელსაბამი. ამ დროისათვის ჩვენ უკვე გვაქვს მაღალმხატვრული, რთული და დახვეწილი გემოვნებით შესრულებული ოქრომქანდაკეობური ნაკეთობანი. ამ ეპოქის ოქრომქანდაკეებლნი დაუფლებულნი ყოფილან ოსტატობის უმაღლეს დონეს, რის გამოც თრიალეთური კულტურული მემკვიდრეობის ოქროს ნივთები გამოირჩევიან, მსოფლიო მასშტაბით, საოქრომჭედლო - საიუველირო ტექნიკის უმაღლესი მხატვრული დონით. ოქრომჭედლობის თრიალეთურ ნაწარმში უკვე შეიმჩნევა ზოგიერთი იმგვარი ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია ქართული ოქრომქანდაკეობისა მთელი მისი განვითარების გზაზე და, ამდენად, მის მახასიათებელ

ეროვნულ თავისებურებადაა მიჩნეული, რაც გამოიხატება ფერების თავშეკავებულ გამოყენებაში და მათ ჰარმონიულ შერჩევა-შეხამებაში. ქართველი ხელოვანი მუდამ გაურბოდა ცივ, კაშკაშა ტონებს და ერთ ნივთში იშვიათად ხმარობდა ორზე მეტ ფერს. ქართული ოქრომქანდაკეობის ნიმუში არასოდეს ყოფილა ჭრელი [2].

თრიალეთის კულტურული მემკვიდრეობის (ძვ.წ. XV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეები) ძეგლების შესწავლისას მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იმ დროისათვის ჩვენ წინაპრებს სცოდნიათ ლითონის ფურცლების გაწნევით დამუშავება და ჰქონიათ ამ პროცესების შესრულებისათვის საჭირო მოწყობილობა და სახელოსნო იარაღები [2].

ექსპონატის ტექნიკური დამუშავების სირთულითა და მხატვრული საშუალებების გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩენილი ოქროს სასმისი, დამზადებული სახარატო ჩარხის ფუნქციის მქონე მოწყობილობით ოქროს მთლიანი ფურცლისგან, რომელიც ფერადი ქვებით არის ინკრუსტირებული; სასმისს ორმაგი კედელი აქვს, რომელიც თანდათანობით ვიწროვდება ძირისკენ და დაბალ ქუსლში გადადის. გარეთა კედელი შემკულია წვრილი, გრებილი მავთულებისაგან გაკეთებული სპირალებით, რომელშიც ჩასმულია სარდიონის, ლაჟვარდისა და კერამიკული მასის მრგვალი თვლები. ასეთივე თვლების ერთი რიგი დაუყვება სასმისის პირს, ორი კი ქუსლს. ოქროს ფონზე ფერადი ქვებით ინკრუსტირებული სასმისი ძალზე მდიდრულ შთაბეჭდილებას ტოვებს (იხილე სურათი 1.). ბედენისა და ალაზნის ველის გორასამარხებში (ძვ.წ. 2300-2000 წწ.) აღმოჩენილი ოქროს ნაკეთობანი დამზადებულია ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრის ოქროს ნივთები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია პოლიქრომული ყელსაბამი. ამ დროის ქართველ ოქრომჭედელთათვის ნიშანდობლივია ფერების განსაკუთრებული შერჩევა - შეხამება. ძვ.წ. VI-IV სს. ქართული საიუველირო ხელოვნების სტილს განსაზღვრავს **გრანულაცია**, გვიან ანტიკურ ხანაში კი **პოლიქრომია**. ქართული საოქრომჭედლო ხელოვნების საუკეთესო ქმნილებები, ნოსირის (სენაკის რაიონი) განძის (ძვ.წ. VIII-VII სს.) ოქროს ნივთებია: ჭვირული მძივები, გავარსიანი საყურეები, გველის თავის გამოსახულებით დაბოლოებული წნული სამაჯური და სხვ. სწორედ აქედან იწყება ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის აღმავლობა, რომელმაც განვითარების უმაღლეს დონეს ძვ.წ. V-IV საუკუნეებში მიაღწია. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის საოქრომჭედლო ნაწარმი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარში. ქალის სამკაულის რამდენიმე სრული კომპლექტი, რომლებიც შეიცავს ჭედური ორნამენტით შემკულ თავისებურ დიადემებს, სხვადასხვა ფორმის საყურეებსა და სასაფეთქლე საკიდებს, ყელსაბამებსა და სამაჯურებს.

ვანის ნაქალაქარის სამარხები ყველა საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ (ძვ.წ. V-IV საუკუნეები) ქვეყნის ახლო მეზობელი ცენტრების (აქიმენიდური, ეგვიპტე, ირანი, კვიპროსი) გვერდით კოლხეთიც დავასახელოთ. კოლხეთში ოქროს მოპოვებასა და დამუშავებაზე ბერძენი მწერლებიც მოგვითხრობენ და მას „ოქრომავალ“ ქვეყანას უწოდებენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველ ვანში არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა მძლავრი სკოლა,

რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების (კვერვა, რჩილვა, ჭედვა, გავარსი, ტვიფრვა) გამოყენებით საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშებს.

წარჩინებული კოლხი ქალის ოქროს დიადემა - აღნიშნავს **პროფ. ო. ლორთქიფანიძე** „უთუოდ გამოჩენილი ოსტატის ნახელავია. ამას მოწმობს მარჯვედ აგებული ჯგუფური კომპოზიცია, ცხოველთა დამახასიათებელი ნიშნების რეალისტურად გადმოცემა და მასთან ერთად მეტად თავისებური სტილიზმი და ნახატი. აღსანიშნავია, რომ ვანის დიადემის გამოსახულებებს ვერ მოუძებნეს ზუსტი და პირდაპირი პარალელები. წარჩინებული კოლხი ქალის ოქროს დიადემა თავისი ფორმით წმინდა კოლხურია [3].“

ვანის სამარხში ნაპოვნი წარჩინებული კოლხი ქალის თავსაბურავი - ოქროს დიადემა ძვ.წ. V საუკუნეშია შექმნილი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი ოსტატის მიერ და უძველესი ქართული საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია [3]. იქვე აღნიშნულია, რომ სხივანა საყურეები „რთული წესითაა დამზადებული და კოლხ იუველირთა ფილიგრანული ტექნიკის დასტურია“. იმავე სამარხში ნაპოვნია აგრეთვე ე.წ. ჭვირული ბურთულიანი ოქროს შესანიშნავი საყურეები. „საერთოდ, ვანში წლების მანძილზე აღმოჩენილი ოქროს სამკაულები მეტად მრავალნაირი და მეტად მრავალფეროვანია. სწორედ კოლხურ წარმომავლობაზე მიუთითებს მხატვრული ფორმის ორიგინალურობა, რომელიც მეტწილად მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი“ (ო. ლორთქიფანიძე).

ყველაზე საყურადღებოა ვანში აღმოჩენილი ოქროს გავარსიანი ნივთები, რომელიც აგრეთვე ადგილობრივი ნახელავია. 0,1-0,2 მმ დიამეტრის მქონე ოქროს ბურთულები დიდი სიზუსტით არის ჩამოსხმული და დარჩილული ნივთების ზედაპირზე. შუქ-ჩრდილის უნატიფესი თამაში ისეთ ნივთებზე, როგორცაა, მაგ.: კუს გამოსახულებით შემკული ყელსაბამი ნამდვილი ფერადოვნების ეფექტს იძლევა. მხატვრული თვალსაზრისით გავარსი პოლიქრომიის შემცველია და ოქრომჭედლობაში იმავე როლს ასრულებს, რასაც ფერადი ინკრუსტაცია - აცოცხლებს და ასხივოსნებს ოქროს ზედაპირს.



**სურ. 2.** ვანი V ს. ძვ.წ. ყელსაბამი, ცენტრალური დიდი კუს გარდა ყველა დანარჩენი გამოსახულება მირჩილულია ოქროს მძივებზე და აქვს ცისფერი პასტით ინკრუსტირებული თვალეები.

გრაფიკული ინფორმაციის წყაროს ინტერნეტ მისამართი:

[http://saunje.ge/index.php?id=585&option=com\\_content&Itemid=15&lang=en](http://saunje.ge/index.php?id=585&option=com_content&Itemid=15&lang=en)



სურ. 3. კოლხი ქალის თავსაბურავი - ოქროს დიადემა (ძვ.წ. აღ. - მე-5 ს.) ვანი. 1969 წ. გრაფიკული ინფორმაციის წყაროს ინტერნეტ მისამართი:

[http://saunje.ge/index.php?id=585&option=com\\_content&Itemid=15&lang=en](http://saunje.ge/index.php?id=585&option=com_content&Itemid=15&lang=en)

ვანის სამარხში ნაპოვნი ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები - სკულპტურული სახეებით დაგვირგვინებული სამაჯურები, ნაირსახოვანი ყელსაბამები, გავარსით მორთული სასაფეთქლეები, ჭედური გამოსახულებიანი დიადემები მოწმობენ, რომ ძვ.წ. VI და განსაკუთრებით V - IV საუკუნეებში ვანი იყო საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი [3].



(ა)



(ბ)



(გ)

**სურ. 4.** (ა-ბ-გ). ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1969 წელს აღმოჩენილი ექსპონატები (ძვ.წ. აღ. - მე-5 ს.). გრაფიკული ინფორმაციის წყაროს ინტერნეტ მისამართი: [http://saunje.ge/index.php?id=585&option=com\\_content&Itemid=15&lang=en](http://saunje.ge/index.php?id=585&option=com_content&Itemid=15&lang=en)

ქართული საიუველირო ხელოვნების ცენტრი ძირითადად მაინც მცხეთა უნდა ყოფილიყო, აქ აღმოჩნდა ანტიკური ხანის ქართული ოქრომჭედლობის უამრავი და იშვიათი ნიმუშები. ადრეანტიკურ ხანაში სამკაულის წარმოებისას ქართველი ოქრომქანდაკელები იშვიათად იყენებდნენ ფერადი ქვებით ინკრუსტირებას. ფერადი ქვებით შემკული სულ რამდენიმე ნივთია ცნობილი. ოქროს პოლიქრომული სამკაული: დიადემები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები და ბეჭდები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში



გათხრილ მდიდრულ სამარხებში - მცხეთაში, ურბნისში, ზღუდერში, ბორში, კლდეეთაში, ციხისძირში, ურეკში, ახმეტაში, სიონში, ჟინვალში და სხვაგან.

III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნეში პოლიქრომული სტილის განვითარება ქართულ ოქრომქანდაკეობაში ლოგიკურ დასასრულს აღწევს - ამ პერიოდის სამკაულში ოქრომ საბოლოოდ დათმო პოზიციები ბრტყლად გათლილი ფერადი თვლების სასარგებლოდ. გახშირდა ქვის ნაცვლად ფერადი პასტის ინკრუსტირების გამოყენება. პირველად ამ ხანაში ვრცელდება მარგალიტიც.

X-XIII საუკუნეები ერთიანი ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანად ითვლება. ამ პერიოდში არნახულ აღმავლობას მიაღწია მეცნიერებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ამ დროის საქართველოს ეკლესიების კედლებზე შემონახული ფრესკული მხატვრობა ადასტურებს სამკაულის წარმოების საკვირველ აღმავლობას, თუმცა ნივთიერად, სამკაული გასაოცრად მცირე რაოდენობით შემოგვრჩა, მაგალითად თამარ მეფის სადა, უპრეტენზიო, გულსაკიდი ჯვარი და რამდენიმე სხვა ექსპონატი.



სურ. 5. თამარის გულსაკიდი ჯვარი, ოქრო, 5 ბრტყელი ლალი, 4 დაწახნაგებული ზურმუხტი, 6 მარგალიტი, სევადა. XII ს.

გრაფიკული ინფორმაციის წყაროს ინტერნეტ მისამართი:

[https://www.dzegebi.ge/statiebi/xelovneba/qartuli\\_saiuveliro\\_xelovneba.html](https://www.dzegebi.ge/statiebi/xelovneba/qartuli_saiuveliro_xelovneba.html)

თამარ მეფის ოქროს ჯვარი შემკულია ხუთი ბრტყელი ლალით, ოთხი დაწახნაგებული ზურმუხტით და ექვსი მარგალიტით (სურ. 5.). ჯვრის უკანა პირზე სევადით გამოყვანილი ასომთავრული წარწერაა, რომელიც გვამცნობს, რომ მისი მფლობელი მეფეთ-მეფე თამარი იყო. სიცოცხლეში თამარ მეფე ამ ჯვარს არ იშორებდა. თამარის გარდაცვალების შემდეგ ჯვარს დაუმზადეს ტიხრული მინანქრით შემკული სპეციალური ყუთი – სტავროთეკა, და როგორც ქართველი ხალხის ერთ-ერთი უწმინდესი სალოცავი, დასაცავად გადასცეს გელათის მონასტერს.

შუა საუკუნეებში გაგრძელდა ოქრომქანდაკებლობის უფრო ადრე ჩამოყალიბებული ქართული ტრადიციები. აღნიშნულის დასტურია ქართველ ოქრომქანდაკებელთა - ასათ მოქმედის, ზეჟა და ზემქენ ოპიზრების, მამნე ოქრომჭედლისა თუ სხვათა შემოქმედება.



**სურ. 6.** ოქროს ლომის<sup>2</sup> მინიატურულ ქანდაკება. ალაზნის ველზე სოფელ წნორთან გათხრილ მონუმენტურ ყორღანში ნაპოვნი ეს ქანდაკება ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება და ლომის ასეთი ადრეული ხანის გამოსახულებათა შორის მას ანალოგი არ ეძებნება. ფოტო: ფერნანდო ხავიერ ურკიხო.

გრაფიკული ინფორმაციის წყაროს ინტერნეტ მისამართი: <https://nationalgeographic.ge/oqros-lomi-kakhetidan/>



ფოტო: მირიან კლაძე

<sup>2</sup> ოქროს ლომი კახეთიდან. მტკვარ-არაქსის კულტურას განეკუთვნება კახეთში, ალაზნის ველზე 1974 წელს არქეოლოგ კიაზო ფიცხელაურის მიერ წნორთან აღმოჩენილ მდიდრულ ყორღანულ სამარხში ნაპოვნი ლომის ოქროს ფიგურა; ის ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება და ადრეებრინჯაოს ხანის მცირე პლასტიკის ერთერთი გამორჩეული ნიმუშია. ქანდაკებაზე წარმოდგენილი ორნამენტული მოტივი კი ოქრომჭედლობის იმ ნიმუშების დეკორის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ელემენტია, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის ეგრეთ წოდებულ ბედენი-ალაზნის ჯგუფის მდიდრულ ყორღანებშია აღმოჩენილი. არც ქანდაკების ტიპის, არც შემკულობის მიხედვით ლომის ფიგურას ანალოგი საქართველოს ფარგლებს გარეთ არ მოეპოვება. ინფორმაციის წყარო: <https://nationalgeographic.ge/oqros-lomi-kakhetidan/>

**სურ. 7.** კახეთში, ალაზნის ველზე აღმოჩენილი ოქროს ლომის ფიგურაზე წარმოდგენილი უწყვეტი მოძრაობის ამსახველი მეანდრისებური ორნამენტი, რაც ლაბირინთის სიმბოლოს ასოციაციასაც კი იწვევს და სოლარულ ნიშნებად მიჩნეული ვარდულები, კარგად ეთანადება ლომის, როგორც ძალაუფლების, მზისა და სინათლის საყოველთაოდ მიჩნეული სიმბოლოს სემანტიკას. ფოტო: მირიან კილაძე.

გრაფიკული ინფორმაციის წყაროს ინტერნეტ მისამართი: <https://nationalgeographic.ge/oqros-lomi-kakhetidan/>

„კახურ“ ოქროს ლომის მინიატურულ ქანდაკებაზე (იხ. სურ. 6 და 7) სტილიზებულად გადმოცემული ფართო, რელიეფური სარტყელი, **ცრუგავარსის<sup>3</sup> ტექნიკით** გამოყვანილი წერტილები და მეანდრის ორნამენტი ფაფრის იმიტაციას ქმნის. ალაზნის ველზე სოფელ წნორთან გათხრილ მონუმენტურ ყორღანში ნაპოვნი ეს ქანდაკება ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება და ლომის ასეთი ადრეული ხანის გამოსახულებათა შორის მას ანალოგი არ გააჩნია.

### **ოქროს და ვერცხლის ნაკეთობათა ზედაპირის წმენდა**

ოქრო, ვერცხლი, მათი შენადნობები და სხვა ძვირფასი ლითონები სუსტად ურთიერთქმედებენ და შედიან რეაქციაში ჰაერის, წყლის და მიწის კოროზიის მაინცირებელ კომპონენტებთან. მშრალ და სუფთა ჰაერზე ვერცხლი და მისი მაღალსინჯიანი შენადნობები ხანგრძლივი დროის განმავლობაში რჩებიან გარეგნულად უცვლელნი. ვერცხლის ზედაპირი, დროთა განმავლობაში იფარება თხელი ოქსიდური ფირით, რომელიც კარგად იცავს კომპაქტურ ვერცხლს კოროზიული რღვევისაგან. ტენიან ჰაერზე სულფიდური გოგირდის, მიკრო დოზების თანაობისას იწყება ვერცხლის ლითონური ბზინვარების დაქვეითება, რაც გამოწვეულია ვერცხლის ოქსიდის და სულფიდის ჩამოყალიბების შედეგად; იგივე პროცესებია დამახასიათებელი ოქროს დაბალი სინჯის შენადნობებისათვის.

თანამედროვე ინდუსტრიის განვითარების პირობებში კოროზიული მოვლენები უფრო სწრაფად ვითარდება ვიდრე ეს ხდებოდა საუკუნის წინ. ვერცხლის ნაკეთობანი მუზეუმებსა და დახურულ კარადაებში რამდენიმე წლის განმავლობაში იფარებიან სულფიდის მუქი ფირით.

კეთილშობილი ლითონების ზედაპირიდან ორგანული ბუნების მქონე დაბინძურების მოხსნა ხდება ეთილის სპირტით, უაიტ სპირტით, აცეტონით, ტოლუოლით, ტეტრაჰლორმეთანით, ალკილდიმეთილამინის ოქსიდით, ნატრიუმის ლაურისულფონატით.

მაღალი ჭედურობით შემკული ვერცხლის ნივთების ზედაპირიდან, კოროზიის პროდუქტების მოხსნა მექანიკურად, პასტების გამოყენებით შეუძლებელია. ასეთი ექსპონატები მუშავდება ქიმიური და ელექტროქიმიური მეთოდებით. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება მასალის ლითონურ ვერცხლამდე აღდგენის სიადვილე და მისი კომპლექსნაერთების წარმოქმნისადმი მიდრეკილება (ვერცხლის სულფიდები კარგად იხსნებიან აზოტმჟავა-ვერცხლის ხსნარებში, კომპლექსური ნაერთების წარმოქმნით.

<sup>3</sup> გავარსი ანუ გრანულაცია - ნივთის შემკობა ზედ დარჩილული ოქროს წვრილი ბურთულაკებით.

ამავე მოქმედების პრინციპით გამოიყენება მაღალკონცენტრირებული ტუტე ლითონების ხსნარები).

დაბალი სინჯის ვერცხლის ნიმუშები, რომლებიც შეიცავენ სპილენძის ნაერთების კოროზიის პროდუქტებს, შეიძლება გაიწმინდოს 5-20%-იანი ჭიანჭველმჟავის ხსნარში. ცხელ რეაქტივში დამუშავების შემდეგ, ვერცხლის ზედაპირიდან ადვილად იხსნება წარმოქმნილი ქლორიდების და სულფიდების დანალექი ფენა. რეკომენდებულია აგრეთვე კომბინირებული ხსნარების გამოყენება, გოგირდმჟავაში და ჭიანჭველმჟავაში მიმდევრობითი დამუშავებით.

ვერცხლის ნაერთების ელექტროქიმიური წმენდა მიმდინარეობს ელექტროლიტში თუთიის და ალუმინის თანაობისას. ლითონური ვერცხლი აღდგება ატომური წყალბადის მოქმედების პრინციპით. ელექტროლიტია ტუტე ან ჭიანჭველმჟავას 15%-იანი ხსნარი. ანოდს წარმოადგენს გრაფიტი, პლატინის ან უჟანგავი ფოლადის ფირფიტა. კათოდური დენის სიმკვრივეა 0,1 ა/დმ<sup>2</sup>. მეთოდი გამოიყენება როგორც ნივთის მთლიანად აბაზანაში ჩაშვებით, ისე მისი ნაწილების ელექტროლიტის ტამპონით ლოკალურად დამუშავებით (ტამპონს უერთდება დენის წყაროს დადებითი პოლუსი). გაწმენდილი ვერცხლის ზედაპირი, განსაკუთრებით დაბალი სინჯის ვერცხლის შემთხვევაში, აუცილებელია დაცული იქნეს ატმოსფეროს აგრესიული მდგენელი კომპონენტებისაგან. ვერცხლის კოროზიის კარგი ინჰიბიტორია ბენზოტრიფოლის სპირტხსნარი, რომელიც ნივთზე კარგი მექანიკური და დამცველი თვისებების მქონე ზედაპირულ ფირს წარმოქმნის.

რესტავრირებული ვერცხლის ნივთის ზედაპირის კონსერვაცია მიმდინარეობს პასივაციის პროცესით - ქრომატიზირებით. მეთოდი მდგომარეობს ვერცხლის ზედაპირის კათოდურ დამუშავებაში. ელექტროლიტია ტუტე-ქრომატული ხსნარი (ნატრიუმის ტუტე, 50 გ/ლ + ნახშირმჟავა კალიუმი, 40 გ/ლ + ნატრიუმის ბიქრომატი, 40 გ/ლ). კათოდური დენის სიმკვრივეა 2-5 ა/დმ<sup>2</sup>;

მუშავდება ოთახის ტემპერატურაზე. ვერცხლის ზედაპირზე წარმოქმნილი ქრომის ჟანგის შემცველი შეუმჩნეველი დამცველი ფენის სისქეა 100 Å. აღნიშნული მეთოდი წარმატებით გამოიყენება დარღვეული ან გაცვეთილი მოოქროებული ვერცხლის ზედაპირის პასივაციისათვისაც.

### არქეოლოგიური ვერცხლის პლასტიკური თვისებების აღდგენისათვის

არქეოლოგიური ვერცხლისათვის დამახასიათებელია რთული კოროზიული პროცესები, როგორც ზედაპირული „ქერცლისებური“ ვერცხლის წარმოქმნით [4], ისე ლითონის მთელ მოცულობაში კრისტალთშორისი კოროზიის სახით.

გრუნტში ვერცხლის ექსპონატის კოროზიის შედეგად, ექსპონატის მასალა გადადის მყიფე მდგომარეობაში. არქეოლოგიური ვერცხლი ძირითადად წარმოდგენილია ვერცხლის შემდეგი შედგენილობის შენადნობით: **Ag - Cu**; **Ag - Pb** და **Ag-Pb-Cu**, სადაც სპილენძის შემცველობა 1-

6 %-ია, ტყვიის 0,1-2,0 %. ამგვარი სინჯის ვერცხლში უფრო შესამჩნევია გრუნტის კოროზიის შედეგების გავლენა ექსპონატის მასალის პლასტიკურ თვისებებზე.

არქეოლოგიური ვერცხლის პლასტიკურობისა და სიმტკიცის აღდგენა შესაძლებელია მისი სპეციალური თერმული დამუშავებით, რომლის რეგლამენტირება დამოკიდებულია ექსპონატის ზედაპირზე არსებული კოროდირებული დანალექის რაოდენობაზე და სახეობაზე, ასევე ვერცხლის შენადნობის ქიმიურ შედგენილობაზე.

არქეოლოგიური ვერცხლის თერმული დამუშავების რეჟიმს წინ უძღვის მისი ქიმიური წმენდის პროცესი, რომლის დროსაც წარმატებით გამოიყენება ამონიუმის როდანიდის გაჯერებული ხსნარი, რომელიც ხსნის „ქერცლისებურ“ ვერცხლს. ასეთივე დანიშნულებით გამოიყენება გაცხელებული ნატრიუმის ტუტის 25-30%-იანი ხსნარი. ვერცხლის მასალის ზედაპირზე არსებული მინერალური დანაშრევები შეიძლება მოიხსნას ნატრიუმის ჰექსამეტაფოსფატის ხსნარით<sup>4</sup> [5].

**ნატრიუმის ჰექსამეტაფოსფატის** ტერმინოლოგიურ სინონიმად, სპეციალურ ლიტერატურაში შესაძლოა შეგვხვდეს: ნატრიუმის პოლიფოსფატი - SODIUM POLYPHOSPHATE; ხსნადი პოლიფოსფატი - SOLUBLE POLYPHOSPHATE; ნატრიუმის ტეტრაპოლიფოსფატი; გრემის მარილი; ნატრიუმის პოლიფოსფატი, გამჭვირვალე; ნატრიუმის პოლიმეტაფოსფატი, ნატრიუმის მეტაფოსფატი. ხსნადი ნატრიუმის პოლიფოსფატი მიიღება ნატრიუმის ორთოფოსფატის დნობით და შემდგომი გაცივებით. აღნიშნული ნაერთები მიეკუთვნება კლასს, რომელიც მოიცავს რამდენიმე ამორფულ, წყალში ხსნად პოლიფოსფატს, რომელიც შედგება მეტაფოსფატის ერთეულების წრფივი ჯაჭვებისგან,  $(\text{NaPO}_3)_x$ , სადაც  $x \geq 2$ , წყდება  $\text{Na}_2\text{PO}_4$  ჯგუფებით.

აღნიშნული ნივთიერებები ჩვეულებრივ იდენტიფიცირდება მათი  $\text{Na}_2\text{O}/\text{P}_2\text{O}_5$  კოეფიციენტით ან მათი  $\text{P}_2\text{O}_5$  შემცველობით.  $\text{Na}_2\text{O}/\text{P}_2\text{O}_5$  კოეფიციენტები იცვლება დაახლოებით 1,3 - დან ნატრიუმის ტეტრაპოლიფოსფატისთვის, სადაც  $x =$  დაახლოებით 4; დაახლოებით 1,1-მდე გრემის მარილებისთვის, ზოგადად ნატრიუმის ჰექსამეტაფოსფატი, სადაც  $x = 13$  -დან 18-მდეა და დაახლოებით 1,0-მდე უფრო მაღალი მოლეკულური წონის ნატრიუმის პოლიფოსფატებისთვის, სადაც  $x = 20 - 100$ -მდე ან მეტს. მათი ხსნარების pH იცვლება 3,0-დან 9,0-მდე [6].

არქეოლოგიური ვერცხლის ქიმიური დამუშავების შემდეგ 400 °C-ს ტემპერატურაზე 2-3 საათის გამოწვით, ექსპონატის ვერცხლის მასალა მტკიცდება. მისი პლასტიკური თვისებების მთლიანად აღდგენისათვის Ag-Cu ბინარული შენადნობის თერმული დამუშავება გრძელდება არგონის ან წყალბადის აღმდგენელ პირობებში, 700 °C ტემპერატურაზე 1-2 საათის განმავლობაში. ვერცხლში ზღვრული რაოდენობის ტყვიის შემცველობისას თერმული დამუშავება მიმდინარეობს შედარებით დაბალ ტემპერატურულ დიაპაზონში (მაგ. ვერცხლში 1,5% Pb-ის არსებობისას, გამოწვის ტემპერატურა 300 °C-მდე კლებულობს). არქეოლოგიური

<sup>4</sup> ნატრიუმის ჰექსამეტაფოსფატის 0,7% ხსნარი ასევე რეგლამენტირებულია სატრანსპორტო საშუალებათა და სხვა ტექნიკის დეზაქტივაციისათვის თუ რადიაქტიური დაბინძურების ხარისხი აღწევს  $3,7 \cdot 10^{10}$  ბკ/მ<sup>2</sup> (1კიური/მ<sup>2</sup>) - <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2189355/0/ge/pdf>

ვერცხლის თერმული დამუშავების რეჟიმის შერჩევისათვის წინასწარ ტარდება ექსპონატის მასალის სპექტრული ანალიზი.

ექსპედიციის სავსე პირობებში შესაძლებელია არქეოლოგიური ვერცხლის ექსპონატის დროებითი განმტკიცება, თარგეტული თერმული დამუშავების გზით. ამ მიზნით ექსპონატს გადაასხავენ სპირტს და მოუკიდებენ ცეცხლს. ლითონის ზედაპირზე შექმნილი სპირტის წვის ტემპერატურა, ექსპონატის ვერცხლის მასალაში იწვევს მისი „სიბერის“ პროცესით გამოწვეული სიმციფის მოვლენების შერბილებას და ექსპონატის ვერცხლის მასალის პლასტიკურობის ნაწილობრივ აღდგენას. ამგვარი თარგეტული თბოდამუშავების [7] შემდეგ შესაძლებელია არქეოლოგიური ვერცხლის ექსპონატის კულტურული ფენიდან უვნებლად ამოღება, მის ლაბორატორიულ-სარესტავრაციო აღდგენამდე. არქეოლოგიური ვერცხლის მასალა თერმული დამუშავების და რესტავრაციის შემდეგ ექვემდებარება სამუზეუმო კონსერვაციას.

### **ოქროსაგან დამზადებული ექსპონატი არ საჭიროებს კონსერვაციას**

ოქრო პლასტიკურობის და დაბალი სიმკვრივის გამო დროთა განმავლობაში ცვდება. ოქროს ნაკეთობათა წმენდის პროცესი ტარდება დიდი სიფრთხილით, რათა არ დაზიანდეს ლითონური ზედაპირი და არ შეიცვალოს ოქროს ექსპონატის ფერთა ტონალობა. ორგანული ან კირქვიანი დანაშრეგების მქონე ოქროს ნაკეთობის ზედაპირი მუშავდება **სულფამინის მჟავით**, რომლის **მოლეკულური ფორმულაა  $NH_2SO_3H$** .

ოქრო სხვა ლითონებთან ქმნის შენადნობებს. ოქროს ფერის ტონალობა იცვლება მინარეგების რაოდენობის და შემცველობის მიხედვით: **სპილენძი** მატებს წითელ შეფერილობას, **ვერცხლი** კი მომწვანო-თეთრს (50–60 % ვერცხლის შერევით ოქრო კარგავს ყვითელ შეფერილობას; ოქროს ბუნებრივი ან ხელოვნური შენადნობი ვერცხლთან ცნობილია **ელექტრონის** სახელწოდებით. **ელექტრონი** – ოქროს ფუძეზე მიღებული შენადნობი, სადაც Ag შედგენილობა იცვლება 20-40 % ფარგლებში). **პალადიუმი** ოქროს აძლევს თეთრ ტონალობას. ცნობილია ოქროს შენადნობები **ნიკელთან** (ღია ყვითელი), **კადმიუმთან** (მომწვანო), **პლატინასთან** (თეთრი ოქრო).

უძველესი დროიდან ოქრო გამოიყენება სხვა ლითონების ზედაპირთა მოოქროებისათვის. ის ადვილად იხსნება ვერცხლისწყალში და წარმოქმნის **ამალგამას**. **ამალგამაციის მეთოდით** მოოქროებულია უძველესი ფერადლითონდამუშავების შედეგები და ვერცხლის ნაკეთობები. ამალგამა წარმოადგენს ლითონურ სისტემებს, რომელთა შედგენილობაში ერთ-ერთ კომპონენტად შედის **ვერცხლისწყალი**.

**ამალგამა** ნახევრადთხევადი ნარევი. ცნობილია **ოქროს ბუნებრივი ამალგამა** გეოქიმიური მონაცემებით: Hg 57,4 – 61,0 %; Au 34,2 – 41,6 %; Ag 0,3 – 0,5 %; Pt 0,01 – 0,1 %. ბუნებრივი ოქროს ამალგამა ქმნის მოყვითალო ფერის კრისტალებს. მასში ვერცხლის

არსებობისას კი წარმოჩინდება თეთრი ფერის რბილი მარცვლები. ამალგამებში ძირითადი ელემენტია ოქრო, მაგრამ შექმნილია დისპერსული სისტემები, სადაც მონაწილეობენ სხვა

ელემენტებიც. იქმნება ქიმიური ნაერთი  $AuHg_2$  (ამალგამის მყარი და თხევადი ფაზების ზღვარზე).  $310\text{ }^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე ნაერთი იშლება  $Au_2Hg$  –ის მყარი ფაზის წარმოქმნით.

კეთილშობილი ლითონების ზედაპირების გაწმენდის ძველი და ეფექტური მეთოდია 10 %-იანი კალიუმის ციანიდის ხსნარით. ექსპონატის დამუშავების შემდგომ ხდება მისი ჩარეცხვა თავდაპირველად ტუტის ხსნარში და შემდეგ გამდინარე წყალში.

ოქროს და ვერცხლის ექსპონატების ზედაპირების გაწმენდის სიჩქარეზე ეფექტურად მოქმედებს მუშა გამწმენდ ხსნარში მჟანგველების: ქლორის, იოდის, წყალბადის ზეჟანგის და ჟანგბადის შეყვანა. ამასთან ყველაზე ეფექტური მჟანგველია კალიუმის პერსულფატი -  $K_2S_2O_8$ , რაც უზრუნველყოფს ოქროს, ვერცხლის და მათი შენადნობებით დამზადებული ექსპონატების ზედაპირების გაწმენდის მაღალ სიჩქარეს და ზედაპირების სისუფთავის კარგ ხარისხს.

კეთილშობილ ლითონთა ზედაპირების გაწმენდის ციანიდური მეთოდი შეზღუდულია ციანიდების და მათი შემცველი ნარეცხი წყლის მაღალი ტოქსიკურობის გამო. აღნიშნული ტოქსიკოლოგიური პრობლემების გამო ციანიდები შეიძლება შეიცვალოს როდანიდებით, მაგალითად - კალიუმის ან ამონიუმის როდანიდების კონცენტრირებული ან 10 %-იანი ხსნარებით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ოქრომჭედლობით ცნობილ კუთხეთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს სვანეთს. ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა რა სვანეთში 1910 წელს, აღინიშნა შემდეგი მნიშვნელოვანი ვითარება: „ეკლესიებში დაცული „ცხრა მეთედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული, ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და ოქრომჭედელთ“<sup>5</sup>.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, „ქართული ოქრომჭედლობის ნივთები, რომლებიც სვანეთშია შემონახული, სვანეთის საოქრომჭედლო სახელოსნოებშივეა დამზადებული“<sup>6</sup> [8].

საქართველოში ოქრომქანდაკელობას/ოქრომჭედლობას საფუძველი ეყრება მელითონეობის უძველეს პერიოდში, რითაც ასე გამოირჩეოდნენ ჩვენი უძველესი წინაპრები - მოსინიკები, მოსხები, ტიბარენები, ხალიბები და თუბალები. ამ უკანასკნელს ბიბლიაში რვალის მჭედლის პრიორიტეტი აქვს მიკუთვნებული. ურარტუს მეფე არგიშთს, დიაოხში ლაშქრობისას (ძვ. წ. VIII ს.), ნადავლად აუღია 41 მინა ოქრო (დაახლ. 20 კგ.), 37 მინა ვერცხლი და ათი ათასი მინა სპილენძი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ადრეკლასობრივ საქართველოს ტერიტორიაზე ამ მეტალების მოპოვებისა და დამუშავების მაღალი კულტურა არსებულა [9].

ოქრომჭედლობა, როგორც ლითონის დამუშავების დახვეწილი ხელოვნება, შესანიშნავად გამომზეურდა საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში, რომლებმაც ცხადი გახადეს სამკაულის განვითარების სახელოვანი გზა და აგრეთვე დაადასტურეს საზოგადოების მაღალი

<sup>5</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმსა და სვანეთში 1910 წელს. პარიზი. 1937, გვ. 436.

<sup>6</sup> გ. ჩუბინაშვილი. X-XIII სს. სვანური საოქრომჭედლო სახელოსნოების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია. მიძღვნილი საბჭ. საქართველოს 25 წლისთავისადმი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ. 1946.

ფენის არსებობა, რომელთა ესთეტიკური მოთხოვნებების გათვალისწინებითაც დაუმზადებიათ ისინი.

საქართველოში ოქრომჭედლობას აღმავალი ხასიათი მიეცა ძვ.წ. II ათასწლეულში, რომლის უბრწყინვალესი ნიმუშია საყოველთაოდ ცნობილი თრიალეთური კულტურის ვერცხლისა და ოქროს ნივთები. რომლებშიაც გამოვლენილია განვითარებული ოქრომჭედლობის ყველა ხერხი: გავარსი, გრანულაცია, მორჩილვა, გრეხილი, დაფანჯვრა, ღრუსივრციანი ნივთების დამზადება (ერთ-ერთი რთული ეტაპი ნებისმიერი დროის ოქრომჭედლობისა), თვლებით ინკრუსტაცია.

ცხადია, რომ ამ დიდ კულტურულ მემკვიდრეობას ჭირდება დაცვა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის, რასაც შესაბამისი დარგების წიაღში შექმნილი ცოდნა ჭირდება, რისი მცდელობაცაა აღნიშნული სტატია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gift products based on cultural heritage for the tourist market (in Georgian) Tbilisi 2022; 52 pages. [https://blacksea-cbc.net/images/e-library/BSB1130\\_THC\\_-\\_Cultural\\_Products\\_for\\_Tourism\\_In\\_Georgia\\_GE.pdf](https://blacksea-cbc.net/images/e-library/BSB1130_THC_-_Cultural_Products_for_Tourism_In_Georgia_GE.pdf)
2. A brief overview of the history of Georgian jewelry art (in Georgian) - [https://www.dzeglebi.ge/statiebi/xelovneba/qartuli\\_saiuveliro\\_xelovneba.html](https://www.dzeglebi.ge/statiebi/xelovneba/qartuli_saiuveliro_xelovneba.html)
3. Otar Lortkifanidze, Rusudan Futuridze // The results of the work carried out by the archaeological expedition of Vani in 1969 // A friend of the monument, Tbilisi, publishing house "Soviet Georgia", 1970, kr. 23, pp. 33 - 40.
4. Givi Inanishvili. Conservation of monuments of material culture. (in Georgian) // Publishing House "Technical University" 2009; 132 pages.
5. On the approval of the technical regulations - "Rules for the organization and implementation of disinfection, disinsection, deratization and deactivation of international transport vehicles" // Resolution of the Government of Georgia No. 24 January 3, 2014, St. Tbilisi, Article 9. Solutions and technical means used for deactivation of transport, paragraph 5. <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2189355/0/ge/pdf>
6. Regarding the approval of the technical regulation on the specifications of food additives (in Georgian) // Resolution of the Government of Georgia No. 379, st. Tbilisi, August 7, 2019, p. 181. <https://matsne.gov.ge/ka/document/download/4631795/0/ge/pdf>
7. Targeted heat treatment of additively manufactured Ti-6Al-4V for the controlled formation of Bi-lamellar microstructures // Journal of Materials Science & Technology Volume 81, 10 August 2021, Pages 67-76. <https://doi.org/10.1016/j.jmst.2021.01.004>
8. Zviad Kvitsiani. SVANETI – ANCIENT SITE OF GOLDSMITHERY (ARCHAEOLOGICAL, GEOLOGICAL, AND CHEMICAL TECHNOLOGICAL DATA) // Proceedings of the Institute of Georgian History of Tbilisi State University named after Ivane Javakhishvili. IV; Tbilisi. 2011



9. Goldsmithing (in Georgian)

- <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=3271>

## For the chemistry of cultural heritage

### (Part III - For surface chemistry of archaeological gold and silver)

**Mamuka Matsaberidze<sup>1</sup>, Inga Janelidze<sup>2</sup>**

Professor, Faculty of Chemical Technology and Metallurgy of Georgian Technical University

Association Professor, Faculty of Chemical Technology and Metallurgy of Georgian Technical University

---

#### Resume

Monuments of cultural heritage reach today in a modified or somewhat transformed form. From the creation of the cultural heritage monument to the present, the process of its internal and surface changes is called natural "aging".

The intensity of the "aging" process of the cultural heritage exhibit depends on both the properties of the historical material and external natural factors (temperature and humidity changes, wind and water erosion, light effects), as well as the instability of the environmental conditions (air composition, vibration phenomena).

The purpose of studying the processes on the surface of the cultural heritage exhibit is to slow down and stop the "aging" process in the historical material. From this point of view, it is important to examine the chemistry of the surface of archaeological gold and silver, thus preserving both the appearance of the monument and the material from which the exhibit is made because changing the old one means losing the historical significance of the technical features of the sample to be processed, the manufacturing technology embedded in the stone, and the individuality.

**Keywords:** *UNESCO Framework Document for Culture Statistics, Culture Economy Chart, Golden Lion Statue, Trialeti Culture, Potassium Persulfate, Potassium Cyanide, Potassium and Ammonium Rhodanides, Granulation, Polychromy, Sodium Hexametaphosphate, Natural Gold Amalgam, Gold and Silver Cleaning the surface of products.*

## კულტურული მემკვიდრეობის კუთხით არსებული მდგომარეობა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

### ირაკლი გოგიბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი  
დოქტორანტი, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

### რეზიუმე

სტატიაში მოცემულია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პირობებში არსებული მდგომარეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით, ასევე აღწერილია ის ქვედებები, რასაც საოკუპაციო რეჟიმი ახორციელებს ქართული ისტორიული მემკვიდრეობის გადადგურებისა და ქართული კვალის წაშლის მიზნით იმ ვითარებაში, როდესაც საერთაშორისო მისიებს ადგილზე შესვლისა და არსებული რეალური მდგომარეობის მონიტორინგის საშუალება არ ეძლევა.

**სამიზნო სიტყვები:** კულტურული მემკვიდრეობა, ოკუპირებული ტერიტორიები, რუსეთი, საქართველო, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი/ე.წ. სამხრეთ ოსეთი, საერთაშორისო მისია.

რუსეთის აგრესიამ და ოკუპაციამ საფრთხის წინაშე დააყენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე ისტორიული ძეგლები. ეთნიკური წმენდის შემდეგ კულტურული მემკვიდრეობა ოკუპირებულ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში სტილისტური გაყალბების საგანი გახდა, რაც მიზნად ისახავს ქართული ისტორიული მემკვიდრეობის განადგურებას და შესაბამისად, ქართული კვალის წაშლას.

უძველესი ხელოვნების ნიმუშები მიზანმიმართულად ნადგურდება და/ან ეცვლება პირვანდელი სახე და წარმომავლობა. შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული კულტურული, ისტორიული და რელიგიური ძეგლების ვითარება დღითიდღე მძიმდება. ზოგიერთ ძეგლს ესაჭიროება სასწრაფო რესტავრაცია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მონაცემებით, საოკუპაციო ხაზის მიღმა აღმოჩნდა ეროვნული კულტურული ფასეულობების მნიშვნელოვანი ნაწილი: კულტურული მემკვიდრეობის **286** ძეგლი, რომელთაგანაც ეროვნული კატეგორიისაა **36** (აფხაზეთის ა/რ - **15**, შიდა ქართლის ოკუპირებული ნაწილი - **21**).

საერთაშორისო მისიამ არსებული კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი ერთადერთხელ, 1997 წელს შეძლო, როდესაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხერხდა UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის შემფასებელი მისიის წარგზავნა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა ეწარმოებინათ კონფლიქტურ რეგიონში მდებარე ძეგლების მდგომარეობის მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ, რუსეთის მიერ აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიზნით, დღემდე არ მომხდარა 1954 წელს მიღებული ჰააგის კონვენციის (*შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ*) შესაბამისი მუხლებისა და ოქმების გააქტიურება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არის *აღნიშნული კონვენციის წევრი-ქვეყანა*, ის არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და არც აღიარებს, რომ ოკუპანტი სახელმწიფოა, რომელსაც ამ დოკუმენტის მიხედვით, ევალება გაატაროს შესაბამისი ზომები მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული ფასეულობების დაცვის კუთხით.

2010 წლის 16 ოქტომბერს "აფხაზეთის რესპუბლიკის" ე.წ. კულტურის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტროს შორის ხელი მოეწერა „კულტურული და ისტორიული ძეგლების სახელმწიფო დაცვის, შესწავლისა და პოპულარიზაციის სფეროში შეთანხმება“.

თუმცა რესტავრაციის ნაცვლად მიზანმიმართულად დაიწყო ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დამახინჯება. წმ. გიორგის სახელობის ილორის ტაძრის გარდა, ქართული კვალის წასაშლელად ვანდალური ქმედებები განხორციელდა ქართული ხუროთმოძღვრების ისეთ თვალსაჩინო ნიმუშებზე, როგორებიცაა: სოფ. ბესლახუბაში არსებული ეკლესია (V), კამანის მონასტერი (XI), დრანდის გუმბათიანი ეკლესია (VI-VII), ლიხნის ტაძარი (X-XI), მოქვის მონასტერი (X) შეილესა და შეიღება; თამარის ხიდის ასომთავრული წარწერები განზრახ იქნა ამომტვრეული (XII-XIII). 2011 წლის აგვისტოს მონაცემებით, ბედიის მონასტერში (X-XIII) ჩატარებული ე.წ. „სარესტავრაციო“ სამუშაოების შედეგად გადაღებლია მონასტრის კედლები, ისტორიული ფრესკები და ბაგრატ III-ის გამოსახულება.

ოკუპირებულ აფხაზეთში ქართული კულტურულ-ისტორიული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების სავალალო მდგომარეობის შესახებ დასკვნა გაკეთებულია ICOM-ის რუსეთის ფედერაციის კომიტეტის 2011 წლის საექსპერტო მისიის ანგარიშშიც. მისიის ექსპერტთა მოსაზრებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების შენახვისთვის აუცილებელია კომპლექსური სამუშაოების ჩატარება და მათი კონსერვაცია. ძირეულ პრობლემად დასახელებულია ტაძრების „მმართველების“ თვითნებური ქმედებები, რომლებიც ამახინჯებს ძეგლების ისტორიულ იერსახეს და უდიდეს ზიანს აყენებენ მათ. ამასთან ერთად, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ე.წ. „შავი არქეოლოგია“.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონში ქართული კულტურული მემკვიდრეობის საკითხს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დიდი ზიანი მიადგა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მდებარე ისტორიულ ძეგლებს, აქ, ისევე როგორც აფხაზეთში, გრძელდება საოკუპაციო რეჟიმის მიერ ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძველესი ნიმუშების მიზანმიმართული

განადგურება და მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესია-მონასტრების ახალი - არაქართული სტილის ტაძრებით „ჩანაცვლება“, მასიურად მიმდინარეობს ფრესკების გადალესვა.

ავვისტოს ომის დროს ერთიანად განადგურდა ქართული ისტორიული სოფლები დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში.

ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ნაწილში მონიტორინგი თითქმის ვერ ხორციელდება და იქ არსებული ძეგლების უმეტესობის ბედი უცნობია.

გარდა ამისა, არაპროფესიული რესტავრაციის ყველაზე მძიმე შედეგი გომართას წმ. გიორგის ეკლესიაზე აისახა (XVI ს.). ეს ტაძარი ერთ-ერთი მთავარი სალოცავი იყო როგორც ლიახვის, ასევე ფრონეების ხეობების მოსახლეობისთვის.

ახალგორის რაიონში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს შუაგულ სოფლებში, ისტორიული ძეგლების სიახლოვეს განთავსებული რუსული სამხედრო საოკუპაციო ბაზები. რუსი სამხედროების მიერ ჩატარებული ინტენსიური სამხედრო წვრთნები გამუდმებით ზიანს აყენებს ეკლესიებსა და ციხეებს, რომელთა ქრონოლოგია მე-6 საუკუნიდან მე-20 საუკუნით განისაზღვრება.

## Situation with the Cultural Heritage on the Russian occupied territories of Georgia

Irakli Gogiberidze

Doctoral Student at the Georgian Technical University

---

### Summery

In the article is described the existed situation with the Georgian cultural heritage in the Russian occupied regions of Georgia and the actions taken by the occupation regime for elimination of the Georgian Historical and Cultural Heritage, while all kind of excess is denied for the International Missions for the assessment of the situation on place.

**Keyword:** *Cultural Heritage, Occupied Territories, Russia, Georgia, Abkhazia, Tskhinvali region/so-called South Ossetia, International Mission.*

## შარდის ბუშტის არაინვაზიური პაპილური კარცინომის მიკროგარემოს, ღეროვან უჯრედულ და ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის თავისებურებების შედარებითი ანალიზი ინვაზიური კარცინომის შემთხვევებთან

დავით ქაჯაია,<sup>1</sup> დავით ქოჩიაშვილი,<sup>2</sup> შოთა კეპულაძე<sup>3</sup>, გიორგი ბურკაძე<sup>4</sup>

<sup>1</sup> თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის Phd სტუდენტი; <sup>2</sup> თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უროლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ხელმძღვანელი; <sup>3</sup> თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის Phd სტუდენტი, კლინიკური პათანატომი; <sup>4</sup> თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

### აბსტრაქტი

ინვაზიური უროთელური კარცინომა არის შარდის ბუშტის ყველაზე გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც მოიცავს შარდის ბუშტის ყველა პირველადი კარცინომის 90%-ს. საქართველოს სტატისტიკის მიხედვით, NCDC-ს მონაცემებით, კაცებს შორის შარდის ბუშტის სიმსივნე გავრცელებით მესამე ადგილს იკავებს. ის უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. ეს პათოლოგია იკავებს მე-9 ადგილს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ სიმსივნეთა შორის. ჩვენი კვლევის ფარგლებში განხორციელებულ იქნა კოჰორტული რეტროგრადული კვლევა, რისთვისაც გამოყენებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის 2019-2021 წლების საარქივო მასალა. შესწავლილი იქნა როგორც დაბალი და მაღალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომების ასევე ინვაზიურ უროთელურ კარცინომებში ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის მარკერები, ასევე სიმსივნის შიდა მიკროგარემოს მახასიათებლები და ღეროვან უჯრედული მახასიათებლები. შარდის ბუშტის კარცინომა მიეკუთვნება სიმსივნეთა იმ ჰეტეროგენულ ჯგუფს, რომლებსაც აქვთ რეციდივის, პროგრესიისა და მეტასტაზირების განსხვავებული მაჩვენებელი; გამოვლენილია მარკერები რომლებიც შეიძლება იყოს შარდის ბუშტის სიმსივნეების მიმდინარეობის პროგნოზული ინდიკატორები, რაც მეტად გააუმჯობესებს ამ ტიპის სიმსივნეების კლინიკურ მენეჯმენტს.

**საკვანძო სიტყვები:** უროთელური კარცინომა; ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია; პროლიფერაციული ინდექსი; აპოპტოზური ინდექსი;

## მიმოხილვა

ინვაზიური უროთელური კარცინომა არის შარდის ბუშტის ყველაზე გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც მოიცავს შარდის ბუშტის ყველა პირველადი კარცინომის 90%-ს. საქართველოს სტატისტიკის მიხედვით, NCDC-ს მონაცემებით, კაცებს შორის შარდის ბუშტის სიმსივნე გავრცელებით მესამე ადგილს იკავებს. ის უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. ეს პათოლოგია იკავებს მე-9 ადგილს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ სიმსივნეთა შორის[1].

შარდის ბუშტის არაინვაზიურ უროთელურ სიმსივნეებში ერთიანდება განსხვავებული ჰისტოლოგიური შენების ჯგუფები, რომელთა შორის განარჩევენ სამ ძირითად ტიპს: პაპილურიუროთელური ნეოპლაზიები დაბალი ავთვისებიანობის პოტენციალით (PUNLMP; papillary urothelial neoplasm with low malignancy potential), დაბალი ხარისხის მქონე პაპილური უროთელურიკარცინომა (LGPU; low grade papillary urothelial carcinoma) და მაღალი ხარისხის მქონე პაპილურიუროთელური კარცინომა (HGPU; high grade papillary urothelial carcinoma)[1], [2]. ჩამოთვლილთაგან პირველი ხასიათდება სიმსივნის რეციდივის განვითარების დაბალი შესაძლებლობით, თუმცა სიმსივნის ჰეტეროგენურობის გამო შეუძლებელია პაპილური უროთელური კარცინომის განმეორებით განვითარების გამორიცხვა და ასევე მათი ქცევის პროგნოზი.

არაინვაზიური შარდის ბუშტის კარცინომებით დაავადებულთა საერთო გადარჩენის მაჩვენებელი უკეთესია სხვა ავთვისებიან სიმსივნეებთან შედარებით, თუმცა ამ პაციენტების 30%-50%-ს აღენიშნება რეციდივები პირველადი სიმსივნის ტრანსურეტრალური რეზექციის შემდეგ და 10%-დან 20%-მდე პროგრესი კუნთოვან ქსოვილში ინვაზირებულ კარცინომად[3]–[5]. ინვაზიურ უროთელურ კარცინომით დაავადებულთა თითქმის 50%-ს დიაგნოსტიკის დროს უკვე აქვს ფარული შორეული მეტასტაზები[4], [6].

ეპითელური-მეზენქიმური ტრანსფორმაცია (EMT) ხასიათდება უჯრედშორისი ადჰეზიისა და უჯრედის პოლარობის დაკარგვით და მჭიდრო კავშირშია სიმსივნის როგორც ინვაზირების პროცესთან ასევე მეტასტაზირებასთან[7].

ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია პირველად შესწავლილ იქნა ემბრიოგენეზის სხვადასხვა საფეხურებზე, თუმცა დღესდღეობით ინტერესი ამ ფენომენის მიმართ ძირითადად დაკავშირებულია მის როლთან ნეოპლაზიური პროცესების პროგრესირებასა და გავრცელებაში. ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია განისაზღვრება, როგორც მოსვენებული ეპითელური უჯრედისდინამიურ გადართვაში მოძრავ უჯრედად, რომელსაც ასევე აქვს მეზენქიმული ფენოტიპი. იგი იყოფა სამ განსხვავებულ ქვეტიპად მისი ფუნქციისა და ჩართული გზების მიხედვით. **ტიპი 1 EMT-** ასოცირდება იმპლანტაციასთან, ემბრიონის ფორმირებასთან და ორგანოთა განვითარებასთან და არის ორგანიზებული პროცესი, რომელიც წარმოქმნის სხვადასხვა ტიპის უჯრედებს, რომლებსაც აქვთ საერთო მეზენქიმული ფენოტიპები. **ტიპი 2 - EMT** ასოცირდება ანთებასთან დაწყვეტს ანთების შესუსტების შემდეგ, როგორც ეს ჩანს ჭრილობის შეხორცებისა და ქსოვილების რეგენერაციის დროს. **ტიპი 3 ან**

**ონკოგენური EMT** გვხვდება სიმსივნურ უჯრედებში, რომლებმაც ადრე განიცადეს გენეტიკური და ეპიგენეტიკური ცვლილებები, განსაკუთრებით გენებში, რომლებიც ხელს უწყობენ კლონურ ზრდას და ლოკალიზებული სიმსივნეების განვითარებას. კარცინომის უჯრედები, რომლებიც განიცდიან **მე-3 ტიპის EMT-ს**, შეიძლება განიცადონ ივაზია და შემდგომი მეტასტაზირება.

მიუხედავად იმისა რომ ეპითელურ მეზენქიმური ტრანსფორმაცია როგორც წესი, არ არის შეუქცევადი გადასვლა, სხვადასხვა კვლევებით ასევე ნაჩვენებია რომ სიმსივნურ უჯრედებს შეუძლიათ სხვა უბანში დაუბრუნდნენ თავიანთ ეპითელურ ფენოტიპს. ეს ცნობილია, როგორც მეზენქიმურ-ეპითელური ტრანსფორმაცია (MET).

სხვადასხვა ავთვისებიანი სიმსივნეების შესწავლის შედეგად დაგროვილი ინფორმაცია ცხადყოფს რომ ეპითელურ მეზენქიმური ტრანსფორმაციის მახასიათებლები მეტად გამოვლენილია სიმსივნეებში რომლებიც კლინიკურად აგრესიულობით ხასიათდებიან და აქვთ რეციდივისა და პროგრესიის მეტი პოტენციალი. შარდის ბუშტის ინვაზიური უროთელური კარცინომის რეციდივის, პროგრესირების და მეტასტაზების მრავალფეროვნებიდან და მაღალი სიხშირედან გამომდინარე ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია დიდი ალბათობით ასევე მონაწილეა არაინვაზიური უროთელური კარცინომების ქცევის მრავალსაფეხუროვან და ჯერ კიდევ კარგად შეუსწავლელ პროცესში. ეპითელურ მეზენქიმური ტრანსფორმაციის მოლეკულური სამიზნეების შესწავლა მნიშვნელოვანია ახალი თერაპიული საშუალებების გამოვლენის მიზნით.

სიმსივნისშიდა **მიკროგარემოში** არსებული ინფილტრაციული ლიმფოციტების (TILs) არსებობა შეიძლება მიუთითებდეს კიბოს უჯრედების წინააღმდეგ უჯრედულ იმუნურ პასუხზე, ბევრმა კვლევამ შეაფასა TIL-ის არსებობა, როგორც პოტენციური პროგნოზული ფაქტორი სხვადასხვა ტიპის კიბოს, მათ შორის ბუშტის კიბოს დროს[8]. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ TIL-ის პროგნოზული ღირებულება შარდის ბუშტის ინვაზიურ და არაინვაზიურ უროთელურ კარცინომებში განსხვავდება TIL-ის ქვეპოპულაციების მიხედვით. შარდის ბუშტის არაინვაზიური კიბოს (NMIBC) შემთხვევაში, რამდენიმე TIL სუბპოპულაციის გაზრდილი განაწილება, მათ შორის 3+ (CD3+), CD4+ და CD8+ T ლიმფოციტების დიფერენციაციის კლასტერი, დაკავშირებული იყო მეტ სიმსივნის რეციდივთან და გადარჩენადობის ნაკლებ მაჩვენებელთან[6], [9]. სხვადასხვა კვლევები მიზნად ისახავს სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების იმ სუბპოპულაციის გამოვლენას, რომელსაც შესაძლოა პრედიქტური ღირებულება გააჩნდეს როგორც არაინვაზიურ უროთელურ კარცინომების პროგრესიაში ასევე ინვაზიური უროთელური კარცინომების პროგნოზირებასა და მეტასტაზირების პოტენციალის განსაზღვრაში/ თუმცა აქამდე დაგროვილი ინფორმაცია ურთიერთსაწინააღმდეგოა და ჯერ კიდევ აქტიური შესწავლის საგანს წარმოადგენს[10], [11].

სისტემური იმუნოთერაპიის დანერგვის შემდეგ, რომელიც აღადგენს სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნოტეტს იმუნური გამშვები პუნქტების ბლოკირებით [ანუ დაპროგრამებული სიკვდილი 1 (PD-1), დაპროგრამებული სიკვდილის ლიგანდი 1 (PD-L1)],

შარდის ბუმტის კიბოს მკურნალობაში, სიმსივნის მიკროგარემოში არსებული მაინფილტრირებული ლიმფოციტების პოპულაციების მიმართ ინტერესიც მკვეთრად გაიზარდა.[10], [12], [13]

გარკვეული კვლევების შედეგად დაგროვილმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ Ki67 ბირთვული ანტიგენის მაღალი პროლიფერაციის ინდექსი და საშუალო ბირთვული არე (გაზომილი ციფრული ანალიზატორით), წარმოადგენს ორ დამოუკიდებელ პროგნოზულ ფაქტორს პაპილური უროთელური კარცინომის მქონე პაციენტებში[14][16].

შარდის ბუმტის კარცინომა მიეკუთვნება სიმსივნეთა იმ ჯგუფს, რომლებსაც აქვთ რეციდივის მაღალი მაჩვენებელი; აუცილებელია მარკერების შემუშავება, რომლებიც შეიძლება იყოს პროგნოზული ინდიკატორები შარდის ბუმტის სიმსივნეებში რაც მეტად გააუმჯობესებს ამ ტიპის სიმსივნეების კლინიკურ მენეჯმენტს.

### მასალა და მეთოდები

განხორციელებულ იქნა კოჰორტული რეტროგრადული კვლევა, რისთვისაც გამოყენებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის 2019-2021 წლების საარქივო მასალა.

საერთო ჯამში, კვლევა მოიცავდა ფორმალინში დაფიქსირებულ და პარაფინში ჩაყალიბებულ (FFPE) 60 შემთხვევას, რომელიც გაყოფილი იყო ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი - 20 შემთხვევა, დაბალი ხარისხის არაინვაზიური პაპილური უროთელური კარცინომა მეორე ჯგუფი - 20 შემთხვევა - მაღალი ხარისხის არაინვაზიური უროთელური პაპილური კარცინომა; მესამე ჯგუფი 20 შემთხვევა - ინვაზიური უროთელური კარცინომა;


გამოყენებული იქნა შემდეგი ანტისხეულები: ვიმენტინი; ბეტა-კატენინი CD103; CD44; Ki67; P53. ვიზუალიზაციის სისტემა Novolink™ Max Polymer Detection System. კვლევა მხარდაჭერილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის მიერ.

H&E და იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგების ინტერპრაცია განხორციელდა ორი დამოუკიდებელი პათოლოგ-ანატომის მიერ (თ.მ; გ.ბ). რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით: კორელაცია განისაზღვრა Spearman rank test-ის მიხედვით ხოლო შედარებითი ანალიზისთვის ჯგუფებს შორის გამოყენებული იქნა Mann-Whitney და Kruskal-Wallis ტესტი. მგრძობელობა და სპეციფიურობა შეფასდა 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალით. P რიცხვი <0.05 განხილულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნოდ. ყველა სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა SPSS statistical software V20.0-ის საშუალებით.



**შედგები - მარკერების მიხედვით**

კვლევისთვის შერჩეული იმუნოჰისტოქიმიური მარკერების განხორციელების შედეგად გამოვლინდა რომ შარდის ბუშტის დაბალი და მაღალი ხარისხის არაინვაზიურ კარცინომებში პოზიტიურობის ინდექსიდან გამომდინარე გამოიყო მარკერების ბაზისური ექსპრესიისა და მაღალი ექსპრესიის ჯგუფები ხოლო ინვაზიურ კარცინომებში შესაბამისად პროგრესიის დაბალი, საშუალო და მაღალი ჯგუფები.




შარდის ბუშტის დაბალი ხარისხის არაინვაზიური კარცინომების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფი წარმოადგენდა საერთო შემთხვევების 85%-ს, ხოლო მარკერების მაღალი ექსპრესიის ჯგუფი 15%ს (დიაგრამა N1). ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში ვიმენტინის ექსპრესია არ აღინიშნებოდა არცერთ შემთხვევაში; ხოლო მაღალი ექსპრესიის ჯგუფში ვიმენტინის პოზიტიურობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 8%-ს; ბეტა-კატენინის ექსპრესიის

საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 1.94%; ხოლო მაღალი ექსპრესიის ჯგუფში 10.33%ს; CD103-ის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 2.88%; ხოლო მაღალი ექსპრესიის ჯგუფში 13%ს; CD44-ის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 1.88%; ხოლო მაღალი ექსპრესიის ჯგუფში 14%ს; Ki67-ის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 2.7%; ხოლო მაღალი ექსპრესიის ჯგუფში 10.6%ს; P53-ის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მაღალი ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 8.33%ს; ხოლო ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში არ აღინიშნებოდა.

შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიური კარცინომების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფი წარმოადგენდა საერთო შემთხვევების 75%-ს, ხოლო მარკერების მაღალი ექსპრესიის ჯგუფი 25%ს (დიაგრამა N2).

დიაგრამა 2: არაინვაზიური პაპილური უროთელური კარცინომა - HIGH Grade




ვიმენტინის ექსპრესია მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში არ აღინიშნებოდა ხოლო მარკერების მაღალი ექსპრესიის ჯგუფში საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 13.2%ს; ბეტა კატენინის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 5.13%ს ხოლო მარკერების მაღალი ექსპრესიის ჯგუფში 6.2%;

CD103 -ის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 5.2%ს ხოლო მარკერების მაღალი

ექსპრესიის ჯგუფში 6.2%; CD44-ის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 3.53%ს ხოლო მარკერების მაღალი ექსპრესიის ჯგუფში 6.4%; Ki67ის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 6.33%ს ხოლო მარკერების მაღალი ექსპრესიის ჯგუფში 9%; P53ის ექსპრესიის საშუალო მაჩვენებელი მარკერების ბაზისური ექსპრესიის ჯგუფში შეადგენდა 2.8%ს ხოლო მარკერების მაღალი ექსპრესიის ჯგუფში 5.2%;

დიაგრამა 3: ინვაზიური პაპილური უროთელური კარცინომა



შარდის ბუმტის ინვაზიური კარცინომების პროგრესიის დაბალი რისკის ჯგუფი წარმოადგენდა საერთო შემთხვევების 40%-ს, საშუალო ექსპრესიის ჯგუფი 40%ს ხოლო მარკერების მაღალი ექსპრესიის ჯგუფი ასევე 20%ს (დიაგრამა N3).

ვიმენტინის ექსპრესია პროგრესიის მაღალი რისკის ჯგუფში შეადგენდა 23.3%-ს ხოლო საშუალო ჯგუფში 10.5% და არ აღინიშნებოდა დაბალი რისკის


ჯგუფში. ბეტა-კატენინის ექსპრესია პროგრესიის მაღალი რისკის ჯგუფში შეადგენდა 28%ს ხოლო დაბალი და საშუალო რისკის ჯგუფებში მისი ექსპრესია არ აღინიშნებოდა. CD 103ის ექსპრესია პროგრესიის მაღალი რისკის ჯგუფში შეადგენდა 33.3%-ს ხოლო დაბალი რისკის ჯგუფში 4.3%ს. მისი ექსპრესია საშუალო რისკის ჯგუფში იყო 3.5%; CD44-ის ექსპრესია პროგრესიის მაღალი რისკის ჯგუფში იყო 38.25% საშუალო ჯგუფში 2% ხოლო დაბალი რისკის ჯგუფში 4.8%; Ki67-ის ექსპრესია პროგრესიის მაღალი რისკის ჯგუფში შეადგენდა 48.8%ს

დაბალი რისკის ჯგუფში 29.6%ის ხოლო საშუალო რისკის ჯგუფში 23.25%ის; P53-ის ექსპრესია მაღალი რისკის ჯგუფში შეადგენდა 54.5%ის; დაბალი რისკის ჯგუფში 38.8%ის ხოლო საშუალო რისკის ჯგუფში 29.25%ის.

## შედარება

შარდის ბუშტის დაბალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომაში ვიმენტინის ექსპრესია 1.65ჯერ ნაკლებია შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომასთან შედარებით ხოლო 2.91ჯერ შარდის ბუშტის ინვაზიური კარცინომის მაღალი რისკის ჯგუფთან შედარებით. (სურათი N1)


შარდის ბუშტის დაბალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომაში ბეტა-კატენინის ექსპრესია 1.6 ჯერ მეტია შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომასთან შედარებით ხოლო 2.7ჯერ ნაკლებია შარდის ბუშტის ინვაზიური კარცინომის მაღალი რისკის ჯგუფთან შედარებით.



შარდის ბუშტის დაბალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომაში CD103 -ის ექსპრესია 2.0 ჯერ მეტია შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომასთან შედარებით ხოლო 2.5 ჯერ ნაკლებია შარდის ბუშტის ინვაზიური კარცინომის მაღალი რისკის ჯგუფთან შედარებით.

სურათი N1: A. CD44 დაბალი ექსპრესია შარდის ბუშტის ინვაზიურ უროთელურ კარცინომაში; B. ვიმენტინის მაღალი ექსპრესია შარდის ბუშტის ინვაზიური უროთელურ კარცინომაში;

შარდის ბუშტის დაბალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომაში CD44-ის ექსპრესია 2.1 ჯერ მეტია შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომასთან შედარებით ხოლო 2.7 ჯერ ნაკლებია შარდის ბუშტის ინვაზიური კარცინომის მაღალი რისკის ჯგუფთან შედარებით.



**სურათი N2:** A. Ki67-ის ექსპრესია შარდის ბუშტის არაინვაზიურ მაღალი ხარისხის უროთელურ კარცინომაში; B. Ki67-ის ექსპრესია შარდის ბუშტის ინვაზიურ უროთელურ კარცინომაში; C. P53-ის ექსპრესია შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომაში; D. P53-ის ექსპრესია შარდის ბუშტის ინვაზიურ უროთელურ კარცინომაში;

შარდის ბუშტის დაბალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომაში KI67-ის ექსპრესია 1.17 ჯერ მეტია შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომასთან შედარებით ხოლო 4.6 ჯერ ნაკლებია შარდის ბუშტის ინვაზიური კარცინომის მაღალი რისკის ჯგუფთან შედარებით(სურათი N2).

შარდის ბუშტის დაბალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომაში P53-ის ექსპრესია 1.59 ჯერ მეტია შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიურ უროთელურ კარცინომასთან შედარებით ხოლო 6.6 ჯერ ნაკლებია შარდის ბუშტის ინვაზიური კარცინომის მაღალი რისკის ჯგუფთან შედარებით.

## დასკვნა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ შარდის ბუშტის დაბალი ხარისხის არაინვაზიური უროთელური კარცინომების შემთხვევათა 15 % წარმოადგენს სიმსივნის იმ ფენოტიპს, რომელსაც ინვაზიურ კარცინომად პროგრესიის და მეტასტაზირების გაზრდილი პოტენციალი აქვთ. მათში გამოვლინდა ინვაზიურობის მარკერების მაღალი ექსპრესია. დანარჩენ შემთხვევაში ექსპრესია იყო საბაზისო პოზიტიურობით წარმოდგენილი;

შარდის ბუშტის მაღალი ხარისხის არაინვაზიური უროთელური კარცინომების შემთხვევათა 25%-ში გამოვლინდა ინვაზიურობის მარკერების მაღალი ექსპრესია რაც ასოცირდება ინვაზიურ კარცინომად პროგრესიისა და მეტასტაზირების გაზრდის პოტენციალთან;

ეპითელურ მეზენქიმური ტრანსფორმაციის მარკერების ექსპრესია შარდის ბუშტის არაინვაზიურ პაპილურ კარცინომის როგორც დაბალი ხარისხის ასევე მაღალი ხარისხის შემთხვევებში დაბალია (2.9ჯერ და 1.76ჯერ ნაკლები შესაბამისად) ინვაზიური უროთელური კარცინომების პროგრესიის მაღალი რისკის მქონე ჯგუფებთან შემთხვევებთან შედარებით.

შესწავლილ ჯგუფებში CD103-ის ექსპრესიის სტატისტიკურად სარწმუნო CD44 -ის ექსპრესიის რაოდენობრივი მატება დადებით კორელაციაშია სიმსივნის პროგრესიასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] D. M. Parkin, “The global burden of urinary bladder cancer.,” *Scand J Urol Nephrol Suppl*, no. 218, pp. 12–20, 2008, doi: 10.1080/03008880802285032.
- [2] E. M. Compérat *et al.*, “Grading of Urothelial Carcinoma and The New ‘World Health Organisation Classification of Tumours of the Urinary System and Male Genital Organs 2016,”” *Eur Urol Focus*, vol. 5, no. 3, pp. 457–466, May 2019, doi: 10.1016/J.EUF.2018.01.003.
- [3] P. A. Humphrey, H. Moch, A. L. Cubilla, T. M. Ulbright, and V. E. Reuter, “The 2016 WHO Classification of Tumours of the Urinary System and Male Genital Organs—Part B: Prostate and Bladder Tumours,” *Eur Urol*, vol. 70, no. 1, pp. 106–119, 2016, doi: 10.1016/J.EURURO.2016.02.028.
- [4] H. Ide, S. Inoue, and H. Miyamoto, “Histopathological and prognostic significance of the expression of sex hormone receptors in bladder cancer: A meta-analysis of immunohistochemical studies,” *PLoS One*, vol. 12, no. 3, Mar. 2017, doi: 10.1371/JOURNAL.PONE.0174746.
- [5] L. Trilla-Fuertes *et al.*, “Biological molecular layer classification of muscle-invasive bladder cancer opens new treatment opportunities,” *BMC Cancer*, vol. 19, no. 1, Jun. 2019, doi: 10.1186/S12885-019-5858-Z.

- [6] A. G. Robertson *et al.*, “Comprehensive Molecular Characterization of Muscle-Invasive Bladder Cancer,” *Cell*, vol. 171, no. 3, pp. 540-556.e25, Oct. 2017, doi: 10.1016/J.CELL.2017.09.007.
- [7] S. J. Yun and W. J. Kim, “Role of the Epithelial-Mesenchymal Transition in Bladder Cancer: From Prognosis to Therapeutic Target,” *Korean J Urol*, vol. 54, no. 10, p. 645, Oct. 2013, doi: 10.4111/KJU.2013.54.10.645.
- [8] A. Yu *et al.*, “Presence of lymphocytic infiltrate cytotoxic T lymphocyte CD3+, CD8+, and immunoscore as prognostic marker in patients after radical cystectomy,” *PLoS One*, vol. 13, no. 10, Oct. 2018, doi: 10.1371/JOURNAL.PONE.0205746.
- [9] H. S. Kim and J. H. Ku, “Prognostic impact of tumor infiltrating lymphocytes in bladder urothelial carcinoma,” *Transl Androl Urol*, vol. 8, no. Suppl 3, p. S291, 2019, doi: 10.21037/TAU.2019.04.02.
- [10] S. F. Faraj *et al.*, “Assessment of tumoral PD-L1 expression and intratumoral CD8+ T cells in urothelial carcinoma,” *Urology*, vol. 85, no. 3, pp. 703.e1-703.e6, Mar. 2015, doi: 10.1016/J.UROLOGY.2014.10.020.
- [11] B. Wang *et al.*, “Programmed death ligand-1 is associated with tumor infiltrating lymphocytes and poorer survival in urothelial cell carcinoma of the bladder,” *Cancer Sci*, vol. 110, no. 2, pp. 489–498, Feb. 2019, doi: 10.1111/CAS.13887.
განხილულია ერთგვირაბიანი ორმხრივი მოძრაობის საავტომობილო გვირაბი, რომლის ცრუ ჭერში მოწყობილია ერთმანეთის პარალელური და ერთმანეთისაგან იზოლირებული ორი სავენტილაციო არხი. სტანდარტულ პირობებში გამოიყენება კომბინირებული - ნახევრად განივი ვენტილაციის სისტემა. სუფთა ჰაერის მიწოდება ხდება გვირაბის გასწვრივ განივი სქემით, ხოლო გაჭუჭყიანებულის არინება გრძივი სქემით - სატრანსპორტო გვირაბის პორტალებიდან. ხანძრის შემთხვევაში როგორც ჰაერის მიწოდება, ისე მისი არინება ხდება განივი სქემით, მითითებული სავენტილაციო არხებით. 50-100 მგვტ სიმძლავრის ხანძრის მიწისქვეშ განვითარების სცენარები შესწავლილია 400 მ სიგრძის გვირაბის მონაკვეთისათვის FDS მოდელირების საფუძველზე. ნაშრომში წარმოდგენილია ანალოგიური სიმძლავრის ხანძრების განვითარება და დამაზიანებელი ფაქტორების გავრცელების დინამიკა ძირითად სატრანსპორტო გვირაბში. რიცხვითი მოდელირების დროს მოქმედებს როგორც ჩვეულებრივი, ისე სახანძრო ვენტილაცია. ორივე ვენტილაცია, როგორც უკვე აღინიშნა მოქმედებს ნახევრადგანივი პრინციპით. სავენტილაციო ფანჯრებში ენერგიული მექანიკური გაწოვისა და მოქნილი სავენტილაციო ცეცხლგამძლე ბარიერების გამოყენების შედეგად შესაძლებელია ნამწვი აირების გავრცელების შეფერხება, რითაც შესაძლებელია ევაკუაციის ეფექტურობის ამაღლება სიცოცხლის გადასარჩენად. ანალოგიურ პირობებში შემთხვევათა განხილვის ცალსახობისათვის შემოტანილია ფანჯრებში გაწოვის კრიტიკული სიჩქარე, რომლის კრიტიკული რიცხვითი სიდიდე პირველი მიახლოებით აკმაყოფილებს უტოლობას  $u_{c,exh} \geq 20$  მ/წმ. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მოქნილი ტრანსფორმირებადი ბარიერების გამოყენებით შესაძლებელია შევადგინოთ წვის პროდუქტების უკონტროლო გავრცელება გვირაბის სავალი ნაწილის გასწვრივ, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული უბედურების ზონაში მოქცეული ადამიანების ევაკუაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს.

საკვანძო სიტყვები: ხანძრის განვითარება მიწისქვეშ, კრიტიკული სიჩქარე, კომბინირებული ვენტილაცია, უკუდინება, FDS მოდელირება.

## 1. შესავალი

განხილულია ერთგვირაბიანი ორმხრივი მოძრაობის საავტომობილო გვირაბი, რომლის ცრუ ჭერში მოწყობილია ერთმანეთის პარალელური და ერთმანეთისაგან იზოლირებული ორი სავენტილაციო არხი. სტანდარტულ პირობებში გამოიყენება კომბინირებული - ნახევრად განივი ვენტილაციის სისტემა. აღნიშნული სისტემის პირობებში, სუფთა ჰაერის მიწოდება ხდება მითითებული ერთ-ერთი სავენტილაციო არხით გვირაბის გასწვრივ განივი სქემით. გვირაბში სუფთა ჰაერის მისაწოდებლად აღნიშნული არხის ფსკერზე, რომელიც იმავდროულად არის სატრანსპორტო გვირაბის ჭერი, მოწყობილია სავენტილაციო ფანჯრები. გაჭუჭყიანებული ჰაერის არინება იმავე სტანდარტულ პირობებში ხდება საავტომობილო გვირაბის გასწვრივ გრძივი წესით გვირაბის სავალი ნაწილის პორტალების გამოყენებით. ამ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად მიღწევადია ვენტილაციის განივი სისტემისათვის დამახასიათებელი უფრო მეტი უსაფრთხოების მიღწევა შედარებით ნაკლები დანახარჯებით. აღნიშნული უპირატესობა გამოვლინდება სახანძრო ვენტილაციის ამოქმედების შემთხვევაში.

სახანძრო ვენტილაციის პირობებში სუფთა ჰაერის მიწოდება ხდება აღწერილი წესით. წვის პროდუქტებით გაჯერებული ჰაერის არინება კი ხდება ჰაერმიმწოდებელი არხის პარალელური მეორე იზოლირებული არხით. გაჭუჭყიანებული ჰაერი იმავდროულად ცდილობს ინერციით გააგრძელოს მოძრაობა ძირითადი სატრანსპორტო გვირაბით. ამოცანა არის გაჭუჭყიანებული ჰაერის მოძრაობის შეფერხება გვირაბის აეროდინამიკური წინაღობის ხელოვნურად გაზრდის გზით იმ მიზნით, რომ ევაკუაცია იქნეს შესაძლებელი ნამწვი აირების ადამიანებზე წამოწევის გარეშე მათი მოძრაობის გზაზე ძირითად სატრანსპორტო გვირაბში. ამ დროს გვირაბის აეროდინამიკური წინაღობის ხელოვნურად გაზრდა ხდება მოქნილი ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლგამძლე ბარიერის საშუალებით, რომელიც დაცულია საქართველოს პატენტით P 2022 7371 [1].

## 2. თეორია

ჰორიზონტალური გვირაბის მოდელზე მცირე სიმძლავრის ხანძრის განვითარების სხვადასხვა სცენარების ანალიზის გზით თომასმა შეამჩნია [2], რომ წვის პროდუქტები ხანძრის კერის ორივე მხარეზე ვრცელდებოდა. წვის პროდუქტების ვენტილაციის საპირისპირო გავრცელების მანძილი, ანუ უკუდინების სიგრძე სავენტილაციო სიჩქარის გაზრდით თანდათან კლებულობდა და გარკვეულ სიჩქარეზე, რომელსაც კრიტიკული სიჩქარე ეწოდა, მთლიანად ქრებოდა. თომასის ექსპერიმენტების დროს ხანძრის სიმძლავრისა და ჰაერის ხარჯის მცირე მასშტაბების გამო დაშვება იმის შესახებ, რომ სუფთა ჰაერი და წვის პროდუქტები თანაბრად ერეოდა ერთმანეთში, სამართლიანი იყო [3]. თომასი აღნიშნულ დაშვებაზე დაფუძნებით აგრეთვე აღნიშნავდა, რომ კრიტიკული სიჩქარე 3 მ/წმ უმეტესი გვირაბებისათვის საკმარისი იყო უკუდინების თავიდან ასაცილებლად. იმავე სიდიდის

კრიტიკული სიჩქარეები მითითებულია სხვა ნაშრომებშიც [4, 5], რაც ნაშრომებში [6-10] ჩვენ არ გავიზიარეთ დადებითი მიმართულების სავენტილაციო ნაკადებისათვის, მაგრამ თვით კრიტიკული სიჩქარის ცნება მნიშვნელოვანია სახანძრო ვენტილაციის დასამუშავებლად, ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და სიცოცხლის გადასარჩენად. ჩვენ ვიყენებთ კრიტიკულ სიჩქარეს და განსაზღვრული გვაქვს მისი რიცხვითი სიდიდეები ბუნებრივი ვენტილაციის პირობებში [11].

კრიტიკული სიჩქარე ჰორიზონტალური გვირაბებისათვის განისაზღვრება ფორმულით

$$u_c = k \left( \frac{g \dot{Q}_c H}{\rho_0 c_p T A} \right)^{1/3} \quad (1)$$

სადაც  $u_c$  არის კრიტიკული სიჩქარე, მ/წმ;  $k$  - პროპორციულობის მუდმივა;  $g$  - გრავიტაციული აჩქარება, მ/წმ<sup>2</sup>;  $\dot{Q}_c$  - კონვექციური სითბო, კვტ;  $H$  - გვირაბის სიმაღლე, მ;  $\rho_0$  - გარე აირის სიმკვრივე, კგ/მ<sup>3</sup>;  $c_p$  - ჰაერის კუთრი თბოტევადობა, კჯ/(კგ·K);  $T$  - კვამლის საშუალო ტემპერატურა, K;  $A$  - გვირაბის განივი კვეთის ფართობი, მ<sup>2</sup>.

პროპორციულობის მუდმივა განისაზღვრება ფრუდის კრიტიკული რიცხვით

$$k = Fr_c^{-1/3} \quad (2)$$

ფრუდის კრიტიკული რიცხვი განისაზღვრება ფორმულით

$$Fr_c = \frac{\Delta \rho g H}{\rho_0 u_c^2} \quad (3)$$

სადაც  $\Delta \rho$  არის სიმკვრივეთა სხვაობა გარე ჰაერსა და კვამლს შორის, კგ/მ<sup>3</sup>. დანარჩენი სიდიდეები განიმარტა ზემოთ.

ხანძრის მიერ გამოყოფილი კონვექციური სითბო განისაზღვრება ფორმულით

$$\dot{Q}_c = \rho_0 c_p u_0 A \Delta T \quad (4)$$

სადაც  $u_0$  არის გრძივი ვენტილაციის საწყისი სიჩქარე, მ/წმ;  $\Delta T$  - ტემპერატურათა სხვაობა კვამლსა და გარე ჰაერს შორის, K.

კვამლის საშუალო ტემპერატურა განისაზღვრება ფორმულით

$$T = T_0 + \frac{\dot{Q}_c}{\rho_0 c_p A u_c} \quad (5)$$

სადაც  $T_0$  არის გარე ჰაერის ტემპერატურა, K. დანარჩენი სიდიდეები განიმარტა ზემოთ.

ხანძრის საერთო სიმძლავრე განისაზღვრება კონვექციური სითბოს მიხედვით ფორმულით

$$Q = 1.43 \dot{Q}_c \quad (6)$$

უკუდინების სიგრძე განისაზღვრება შემდეგი ფორმულით

$$\frac{L_b}{H} = 18.5 \ln(u_{cs}/u_c) \quad (7)$$

სადაც განმარტებული სიდიდეების გარდა  $L_b$  არის უკუდინების სიგრძე, მ;  $u_{cs}$  - კრიტიკული სიჩქარე დახრილ გვირაბში, მ/წმ.

მიუხედავად იმისა, რომ აღწერილი სახანძრო ვენტილაციის სქემა გულისხმობს გაჭუჭყიანებული ჰაერის გრძივი წესით არინებაზე ხელის აღებას და ჭუჭყიანი ჰაერის არინების განივ პრინციპზე გადაყვანას, გაჭუჭყიანებული ჰაერის სატრანსპორტო გვირაბის გავლით გრძივ მოძრაობას მაინც აქვს ადგილი კლასიკური (თომასის მიერ შემოღებული) კრიტიკული სიჩქარის  $u_c$  რიცხვითი სიდიდის მიუხედავად, რადგან ჰაერი აგრძელებს მოძრაობას ინერციით იმავე ან მასთან მიახლოებული სიჩქარით.

წნევის ცვალებადობა კი ვრცელდება ბგერის სიჩქარით, რაც მნიშვნელოვანია სახანძრო სავენტილაციო ფანჯრებში ენერგიული მექანიკური გაწოვის შედეგების მისაღებად. აღნიშნული ენერგიული გაწოვა გამოიწვევს კრიტიკული სიჩქარის ( $u_c$ ) რიცხვითი სიდიდის შემცირებას, რაც აგრეთვე შეამცირებს წვის მავნე პროდუქტების გავრცელებას გვირაბის სავალი ნაწილის გასწვრივ. აღნიშნული დებულება დაადასტურა რიცხვითი მოდელირების შედეგებმა. ანალოგიურ პირობებში შემთხვევათა განხილვის ცალსახობისათვის შემოგვაქვს ფანჯრებში გაწოვის კრიტიკული სიჩქარის ( $u_{c,exh}$ ) ცნება. მისი კრიტიკული რიცხვითი სიდიდე პირველი მიახლოებით აკმაყოფილებს უტოლობას  $u_{c,exh} \geq 20$  მ/წმ.

აღნიშნული უტოლობა ძალაშია როგორც ჰორიზონტალური, ისე დახრილი გვირაბების პირობებში.

### 3. მოდელირების შედეგები და დისკუსია

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევები შესრულებულია FDS მოდელირების საფუძველზე 400 მ სიგრძის გვირაბის მონაკვეთისათვის. ძირითადი სატრანსპორტო გვირაბის განივი კვეთის ფართობი შეადგენს 57.5 მ<sup>2</sup>. გვირაბის სავენტილაციო სისტემა წარმოდგენილია ნახევრად განივი სავენტილაციო სქემით. სტანდარტული ვენტილაციის უზრუნველსაყოფი სავენტილაციო არხის განივი კვეთი შეადგენს 8 მ<sup>2</sup>. აღნიშნულ არხში მოწყობილია 0.175 მ<sup>2</sup> ფიქსირებული ფართობის მქონე სავენტილაციო ფანჯრები, რომელთა შორის მანძილი შეადგენს 15 მ და რომელთა მეშვეობითაც ხდება სუფთა ჰაერის მიწოდება გვირაბში როგორც ჩვეულებრივი რეჟიმის დროს, ისე ხანძრის პირობებში. 0.175 მ<sup>2</sup> ფიქსირებული ფართობის მქონე სავენტილაციო ფანჯრების საერთო რიცხვი ყოველ შესრულებულ მოდელზე შეადგენს 26 ცალს. სახანძრო სავენტილაციო არხის განივი კვეთი შეადგენს 10 მ<sup>2</sup>, არხის ფსკერზე (ანუ სატრანსპორტო გვირაბის ჭერში) მოწყობილია 8 მ<sup>2</sup> ფიქსირებული ფართობის მქონე სახანძრო სავენტილაციო ფანჯრები ერთმანეთისაგან 90 მ მანძილზე. ყოველ მოდელზე ანალოგიური ფანჯრების საერთო რიცხვი შეადგენს 5 ცალს. ჩვეულებრივ პირობებში სახანძრო სავენტილაციო ფანჯრები დახურულია და გვირაბის ვენტილაცია ხდება კლასიკური ნახევრად-განივი წესით: ჰაერის მიწოდება ხდება მითითებული 8 მ<sup>2</sup> ფართობის სავენტილაციო არხით და 0.175 მ<sup>2</sup> ფიქსირებული ფართობის მქონე სავენტილაციო ფანჯრებით, ხოლო გაჭუჭყიანებული ჰაერის არინება ხდება გრძივი წესით, სატრანსპორტო გვირაბის მეშვეობით. ხანძრის პირობებში, როგორც უკვე აღინიშნა, ჰაერის მიწოდების სქემა უცვლელია, ხოლო გაჭუჭყიანებული ჰაერის არინების გრძივი სქემა იცვლება განივით. განივ სქემაზე გადასვლა ხდება 8 მ<sup>2</sup> ფიქსირებული ფართობის მქონე სახანძრო სავენტილაციო ფანჯრების გაღებით და გაჭუჭყიანებული ჰაერის გაწოვით სახანძრო არხის გავლით.

ნაშრომში წარმოდგენილია 50-100 მგვტ სიმძლავრის ხანძრების განვითარება და დამაზიანებელი ფაქტორების გავრცელების დინამიკა ძირითად სატრანსპორტო გვირაბში. რიცხვითი მოდელირების დროს მოქმედებს როგორც ჩვეულებრივი, ისე სახანძრო ვენტილაცია. ორივე ვენტილაცია, როგორც უკვე აღინიშნა მოქმედებს ნახევრადგანივი პრინციპით.

რიცხვითი კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ინტერესებიდან გამომდინარე, მომზადდა და რეალიზებულ იქნა ხანძრის განვითარების რამდენიმე ძირითადი სცენარი: N1 - ხანძარი მიმდინარეობს, როდესაც ერთობლივად ფუნქციონირებენ სტანდარტული და სახანძრო ვენტილაცია. ღია სახანძრო ვენტილაციისათვის საჭირო 8 მ<sup>2</sup> განივი კვეთის მქონე ფანჯარა, რომელიც განლაგებულია მარცხენა პორტალის მხარეზე ცეცხლის კერიდან 90 მ მანძილზე. N1 სცენარის დროს მოქნილი ცეცხლგამძლე ბარიერი ამოქმედებული არ არის.


N2 სცენარი სრულად იმეორებს N1 სცენარს, N2 სცენარში ღია სახანძრო ფანჯარასთან დამატებით, ცეცხლის კერიდან 94 მ მანძილზე, მარცხენა პორტალის მხარეზე, ამოქმედებულია მოქნილი ცეცხლგამძლე ბარიერი.

N3 სცენარი - ხანძრის მიმდინარეობისას სტანდარტული და სახანძრო ვენტილაცია ერთობლივად ფუნქციონირებენ, ღია სახანძრო ვენტილაციისათვის საჭირო ორი ფანჯარა. ერთი მათგანი ამოქმედებულია ცეცხლის კერიდან 90 მ მანძილზე მარცხენა პორტალის მხარეზე, ხოლო მეორე მათგანი - ცეცხლის კერიდან 109 მ მანძილზე მარჯვენა პორტალის მხარეზე. ორივე სავენტილაციო ფანჯარასთან, ცეცხლის კერიდან მოშორებით, პორტალების მხარეებზე ამოქმედებულია თითო ცალი მოქნილი ცეცხლგამძლე ბარიერი.

ყოველი სცენარის შემთხვევაში დაცული იყო შემდეგი საწყისი და სასაზღვრო პირობები: ჩვეულებრივი სტანდარტული ვენტილაციისა და სახანძრო ვენტილაციის მოდელირება ითვალისწინებდა ჰაერის რაოდენობის 33 %-ით ზრდას წვის პროდუქტების მატების ხარჯზე ისეთნაირად, რომ სუფთა ჰაერის მისაწოდებელ არხში და გაჭუჭყიანებული ჰაერის ასარინებელ არხში ერთი და იმავე სავენტილაციო ნაკადის პირობებში დაცული იყო ერთნაირი სიჩქარე - 5, 10, 15 და 20 მ/წმ ყოველ მათგანში. მოდელირების დრო შეადგენდა 60 წმ. საწყისი და სასაზღვრო პირობების ასეთი კონფიგურაცია თითოეული სცენარის შეფასების საშუალებას იძლევა. ამის შედეგად გამოვკვეთება ის თავისებურებანი, რაც ახასიათებს ხანძრის უფრო რეალისტურად მიმდინარე სცენარს, თომასის სცენართან შედარებით, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, სავენტილაციო ჰაერის ხარჯის 100 %-იან ზრდას ითვალისწინებდა ნამწვი აირების ხარჯზე.

ფიგ. 1-ზე წარმოდგენილია 1-ლი სცენარის რეალიზაციის შედეგები ძირითად სატრანსპორტო გვირაბში ერთ-ერთი დამაზიანებელი ფაქტორის - ნახშირბადის მონოქსიდის CO-ს გავრცელების მაგალითზე 100 მგვტ სიმძლავრის ხანძრისათვის.






ფიგ. 1. სახანძრო და სტანდარტული ვენტილაციის ერთობლივი მოქმედებისას, ნახშირბადის მონოოქსიდის კონცენტრაციის ცვალებადობა გვირაბში, ცეცხლგამძლე ბარიერით შემოუსაზღვრავი ხანძრის პირობებში

ფიგ. 1-დან ჩანს, რომ საწყისი პირობისათვის, როცა სახანძრო სავენტილაციო ფანჯრებიდან გაწოვის კრიტიკული სიჩქარე აკმაყოფილებს პირობას  $u_{c.exh} \geq 20$  მ/წმ, ძირითად სატრანსპორტო გვირაბში პრაქტიკულად ადგილი აღარ აქვს ნამწვი აირების გავრცელებას ამოქმედებული სახანძრო ფანჯრის ფარგლებს გარეთ. აღნიშნული განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს მარჯვენა პორტალის მხარეზე.

აღსანიშნავია, რომ პირობას  $u_{c.exh} \geq 20$  მ/წმ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხო სავენტილაციო მდგომარეობის შექმნის თვალსაზრისით. ამასთან ერთად, შედარებით უფრო მეტად მძიმდება სიტუაცია ხანძრის ორივე მხარეზე, როდესაც სახანძრო ვენტილაციის სიჩქარე შედარებით დაბალია და არ აღემატება 15 მ/წმ როგორც სახანძრო ვენტილაციის ფანჯრებში, ისე გაჭუჭყიანებული ჰაერის ასარინებელ არხში.

ხანძრის შედეგად გამოყოფილი ნამწვი აირების სწრაფი და ეფექტური ლოკალიზაციისათვის, შემოთავაზებულია საქართველოს პატენტი P 2022 7371 დაცული მეთოდის გამოყენება, რაც მდგომარეობს სახანძრო ფანჯრებთან ცეცხლგამძლე ბარიერების გარკვეული წესით დამონტაჟებასა და საჭირო დროს მათ ამოქმედებაში. კერძოდ, მე-2 სცენარში მოქნილი ტრანსფორმირებადი ცეცხლგამძლე ბარიერი დამონტაჟებულია მარცხენა პორტალის მხარეზე მდებარე სახანძრო ფანჯრის მახლობლად 4 მ მანძილზე (ხანძრის კერიდან კი 94 მ მანძილზე), რის შედეგადაც ხანძრით აღძრულ ნაკადზე მისი ზემოქმედებით ხდება ნაკადის ინერციით გავრცელების შესაძლებლობის ბლოკირება ბარიერს მიღმა.

ფიგ. 2-ზე წარმოდგენილია ხანძრის განვითარების სიტუაციური სურათი, როდესაც მარცხენა პორტალის მხარეზე მდებარე სახანძრო ფანჯრის მახლობლად, ფანჯრიდან 4 მ მანძილზე, გვირაბის ჭერიდან იატაკის მიმართულებით დამონტაჟებულია 2 მ სიმაღლის ცეცხლგამძლე ბარიერი.




ფიგ. 2. ხანძრის განვითარების სცენარი ერთდროულად მოქმედი სახანძრო და სტანდარტული ვენტულაციის დროს, ცეცხლგამძლე ბარიერით ცალმხრივად შემოსაზღვრული ხანძრის კერის პირობებში.

როგორც ფიგ.2-დან ჩანს, ხანძრის კერიდან მარცხენა მხარეზე დამონტაჟებულ მოქმედ სახანძრო ფანჯარასთან, რომელიც ხანძრის კერიდან 94 მ მანძილზე არის განლაგებული, ცეცხლგამძლე ბარიერის ამოქმედების შედეგად გაუმჯობესდა სავენტულაციო სიტუაცია ბარიერსა და მარცხენა პორტალს შორის. კერძოდ, შეფერხდა დამაზიანებელი ფაქტორების გავრცელება ბარიერის მოქმედების ზონაში. ხანძრის მეორე მხარეზე, რომელიც არ არის შემოსაზღვრული ანალოგიური ბარიერით, სიტუაცია პრაქტიკულად არ შეცვლილა პირველ სცენართან შედარებით.

ამრიგად, ცეცხლგამძლე ბარიერის ეფექტურობა სახეზეა  $u_{c,exh} \geq 20$  მ/წმ პირობასთან შედარებით გაწოვის უფრო ნაკლები სიჩქარეებისათვისაც. კერძოდ, სიჩქარეებისათვის 10 და 15 მ/წმ, ხანძრით აღძრული ნაკადების გავრცელება შემოიფარგლა დამონტაჟებული ცეცხლგამძლე ბარიერის ლოკაციით (94 მ).


მე-2 სცენარის შედეგები მიღებული იქნა საბაზისოდ და მათზე დაფუძნებით დამუშავდა მე-3 სცენარი, რომლის დროსაც ხანძრის ორივე მხარეზე მდებარე მოქმედ (ღია) სახანძრო ფანჯრებთან, სატრანსპორტო გვირაბის ჭერზე იატაკის მიმართულებით, დამონტაჟდა 2 მ სიმაღლის ცეცხლგამძლე ბარიერი. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ფიგ. 3-ზე.



ფიგ. 3. ხანძრის განვითარების სცენარი ერთდროულად მოქმედი სახანძრო და სტანდარტული ვენტილაციის დროს, ცეცხლგამძლე ბარიერით ორმხრივად შემოსაზღვრული ხანძრის კერის პირობებში.


როგორც ფიგ. 3-დან ჩანს, ბარიერები განთავსებულია შესაბამის სახანძრო ფანჯრებთან ხანძრის კერიდან მარცხნივ 94 მ მანძილზე და ხანძრის კერიდან მარჯვნივ 109 მ მანძილზე. მოდელირების შედეგების მიხედვით სახანძრო ფანჯრებში გაწოვის სიჩქარეებისათვის 15 და 20 მ/წმ ხანძრით აღძრული ნაკადების გავრცელება სრულად შემოიფარგლა დამონტაჟებული ცეცხლგამძლე ბარიერის მითითებული მანძილებით 94 მ და 109 მ, ხოლო კრიტიკულ რიცხვით სიდიდეზე  $u_{c,exh} \geq 20$  მ/წმ გაცილებით ნაკლები სიჩქარეებისათვის 5 და 10 მ/წმ, ნამწვი პროდუქტების გავრცელება შეფერხდა მხოლოდ ნაწილობრივ. კერძოდ, 10 მ/წმ სიჩქარისათვის მითითებული ბარიერების მიღმა გავრცელება მოხდა ხანძრის ორივე მხარეზე შესაბამისად 113 და 120 მ მანძილზე. ხოლო 5 მ/წმ სიჩქარისათვის დამაზიანებელი ფაქტორის გავრცელება შესაბამისად მოხდა 147 მ და 151 მ მანძილებზე.

წარმოდგენილ ამოცანებში ხანძრით აღძრული ნაკადების მოქმედება მეტწილად განპირობებულია სახანძრო ფანჯრებში სავენტილაციო ნაკადის გაწოვის სიჩქარით (ან დაახლოებით იმავე რიგის ჰაერის სიჩქარით ორივე არხის პორტალებთან), ხანძრის სიმძლავრით და წვის პროდუქტების უკუდინების მანძილით. მიღებული შედეგები ფიგ. 4 და ფიგ. 5-ზე განზოგადებულია 50-100 მგვტ სიმძლავრის ხანძრებისათვის. აღნიშნულ ფიგურებზე მოცემულია ნამწვი აირების უკუდინების მანძილის ცვალებადობა ნაკადის სიჩქარის მიხედვით სავენტილაციო არხების პორტალებთან.



ფიგ. 4. გვირახის მარცხენა ფრთა ღია სახანძრო ფანჯრით ხანძრის კერიდან 94 მ მანძილზე მოქნილი ბარიერის გარეშე.

წარმოდგენილი დიაგრამებიდან ჩანს, რომ მოქნილი ბარიერების გამოყენებით წვის პროდუქტების გავრცელების მანძილი ხანძრის კერიდან მინიმუმ 10 %-ით მაინც მცირდება ყველა განხილული სიმძლავრის ხანძრისათვის. ბარიერის ეფექტურობა კარგად ჩანს აგრეთვე, როდესაც მისი მონტაჟი განხორციელებულია ხანძრის კერის ორივე მხარეზე ღია სახანძრო ფანჯრების გავლენის ზონაში, ამ უკანასკნელთა მახლობლად.



ფიგ. 5. გვირახის მარცხენა ფრთა ღია სახანძრო ფანჯრით ხანძრის კერიდან 94 მ მანძილზე, როცა ხანძრის კერა ბარიერით ორმხრივად არის შემოსაზღვრული.

#### 4. Conclusions

მოქნილი ტრანსფორმირებადი ბარიერების გამოყენებით, გვირაბის აეროდინამიკური წინაღობის ხელოვნური გაზრდით მისი სავალი ნაწილის განივი კვეთის ნაწილობრივი გადაფარვით, აგრეთვე სავენტილაციო ფანჯრებში ჰაერის დამატებითი ინტენსიური გაწოვით შესაძლებელია შევაფერხოთ წვის პროდუქტების (დამაზიანებელი ფაქტორების) უკონტროლო გავრცელება გვირაბის სავალი ნაწილის გასწვრივ. გვირაბის წარმოდგენილი გეომეტრიის, სახანძრო და სტანდარტული ვენტილაციის მოცემული ტექნოლოგიის პირობებში შესაძლებელია ვმართოთ ნამწვი ტოქსიკური აირების გავრცელების პროცესი და მოვახდინოთ მისი ლოკალიზაცია ხანძრის კერის მახლობლად ამოქმედებული სახანძრო ფანჯრების გავლენის ზონაში. 50–100 მგვტ სიმძლავრის ხანძრების შემთხვევაში ხანძრის კერიდან 90-110 მ მანძილით დაშორებული სახანძრო ფანჯრებისა და მათ მახლობლად დამონტაჟებული ბარიერების ამოქმედებით. ბარიერებით შემოსაზღვრული ლოკალიზაციის უბნის ფარგლებში ხდება ყველა დამაზიანებელი ფაქტორის ზღვრული მაჩვენებლების სწრაფი ზრდა, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გვირაბის მომსახურე ოპერატორის მიერ უბედურების ზონაში მოქცეული ადამიანების ევაკუაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს.

#### ლიტერატურა

1. Lanchava O., Nozadze G., Jangidze M. (2022) Georgian Patent, P 7371.
2. Thomas P.H. (1958) Fire Research Notes **351**, <http://www.iafss.org/publications/frn/351/-1>
3. Thomas P.H. (1968) Fire Research Notes **723**, Fire Research Station, Watford, UK.
4. Vaitkevicius A., Carvel R., Colella F. (2016) Fire Technology **52**: 1619–1628 DOI: 10.1007/s10694-015-0512-z.
5. Ingason H., In: Beard A., Carvel R. (2012) Handbook of Tunnel Fire Safety, ICE Publishing, London: 273–308.
6. Lanchava O., Javakhishvili G. (2021) Impact of strong fires on a road tunnel ventilation system. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* **15**(4): 38-45.
7. Lanchava O. (2019) Analysis of critical air velocity for tunnel fires controlled by ventilation, *Mining Journal* **1**(42): 126-132.
8. Lanchava O.A. (1998) Hygroscopic heat and mass transfer in underground structures. GTU, Tbilisi: 272.
9. Lanchava O., Nozadze G., Bochorishvili N., Lebanidze Z., Arudashvili N., Jangidze M., Tsikarishvili K. (2014) Criteria for evaluation of emergency firefighting in transport tunnels. *Transport Bridge Europe-Asia*: 29-34.
10. Lanchava O., Ilias N. (2020) Critical velocity analysis for safety management in case of tunnel fire. *MATEC Web of Conferences* **305**, 00023, SESAM 2019 <https://doi.org/10.1051/mateconf/202030500023>
11. Lanchava O., Ilias N., Radu S.M., Nozadze G., Jangidze M. (2022) Preventing the spread of combustible products in tunnels by implementing a divisible system. *Environmental Engineering and Management Journal* **21**/4: 627-635.

## საავტომობილო გვირაბებში ხანძრის მხუთავი აირების გავრცელება კრიტიკული სიჩქარის, უკუდინების მანძილისა და გრადიენტ ფაქტორის გათვალისწინებით

ზაზა ხოკერაშვილი<sup>1</sup>, ნანა მაჭავარიანი<sup>1</sup>, დავით ცანავა<sup>1</sup>

<sup>1</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად სატრანზიტო პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენებას განიხილება, სადაც ძირითადი აქცენტები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაზე და განვითარებაზე არის დასმული. ამასთან დაკავშირებით ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია და წარმატებით მიმდინარეობს ჩქაროსნული ავტომანქანების-ტრალეების ძირითადი და დამხმარე ნაგებობების პროექტების რეალიზება, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს ქვეყნის მასშტაბით 50-ზე მეტი საავტომობილო გვირაბების მშენებლობა წარმოადგენს. ასეთი რთული პროექტების წარმატებით რეალიზების კრიტერიუმად მისი მდგრადობა და უსაფრთხო ექსპლუატაცია განიხილება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ობიექტურად შეფასდეს ყველა ის რისკ-ფაქტორი, რომლებიც განაპირობებენ საავტომობილო გვირაბების უსაფრთხოდ ფუნქციონირებას [1].

საავტომობილო გვირაბის უსაფრთხოდ ექსპლუატაციის ერთ-ერთ ძირითად რისკ-ფაქტორს, სხვადასხვა მიზეზებით ინიცირებული და განვითარებული ხანძარი წარმოადგენს, რომლის მხუთავი აირები ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენს საგანგებო ვითარებაში აღმოჩენილი ადამიანების სიცოცხლისათვის, ხოლო ჭარბმა სითბომ შესაძლებელია გამანადგურებელი ზიანი მიაყენოს ინფრასტრუქტურას. ამგვარად, საავტომობილო გვირაბის ექსპლუატაციას, უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ხანძარი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საფრთხეს, რომლის რისკის დონე განისაზღვრება, გვირაბში ხანძრის შესაძლო ინიცირების ალბათობისა და ამ ხანძრით მიყენებული შესაძლო ზიანის სიმძიმის ხარისხის მიხედვით.

საავტომობილო გვირაბში ხანძრის შესაძლო ინიცირების ალბათობა და ამ ხანძრით შესაძლო ზიანის სიმძიმის ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია იმ პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაში, დაგეგმვაში და დანერგვაში, რომლებიც პირველ რიგში თავიდან აგვაცილებდა ხანძრის ინიცირებასა და განვითარებას, ხოლო ასეთის განვითარების შემთხვევაში კი, მინიმუმამდე დაიყვანდა შესაძლო შედეგების სიმძიმის ხარისხს [2, 3]. ამასთან ერთად მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ვითარების ფორმირებისას

ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენაზე ზრუნვა ნომერ პირველ ამოცანას წარმოადგენს.

გვირაბში ხანძრის ინიცირებისა და განვითარებისას, საგანგებო ვი-თარებაში აღმოჩენილი ადამიანების გადარჩენის ერთ-ერთ ძირითად პრევენციულ ღონისძიებად, მოქნილი სავენტილაციო სისტემების, მუშაობის სწორი და ეფექტური რეჟიმების შერჩევა-ფუნქციონირება წარმოადგენს ხანძრის შემთხვევაში რეალურად მიმდინარე პროცესების გავლენის გათვალისწინებით. აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გვირაბის სავენტილაციო სისტემები საშუალებას აძლევს ექსტრემალურ ვითარებაში აღმოჩენილ ადამიანებს დროულად და ორგანიზებულად განახორციელონ თვითევაკუაცია და დატოვონ სახიფათო ზონა.

მოხსენებაში მოცემულია საავტომობილო გვირაბების ციფრული და ფიზიკური მოდელირების შედეგები. პირველი მათგანი არის სრულმასშტაბიანი ხოლო ფიზიკური მოდელის შემთხვევაში გამოყენებულია მასშტაბი 1:10. განვსაზღვრულია მხუთავი აირების გავრცელების კანონზომიერება და ხასიათი სავენტილაციო ნაკადის მოძრაობის ხასიათს, მისი კრიტიკული სიჩქარის, უკუდინების მანძილის, გრადიენტ-ფაქტორისა და ხანძრის სიმძლავრის მიხედვით. შედეგები წარმოდგენილია გრაფიკებისა და ცხრილების სახით, რომელთა გამოყენება შესაძლებელია საგანგებო სიტუაციების მართვის პროექტების დამუშავებისათვის ხანძრის პირობებში კონკრეტული გვირაბის გეოგრაფიული გარემოს გეომეტრიისა და სხვა მონაცემების მხედველობაში მიღებით.

### Acknowledgements

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [Grant number AR-19-1936, Project title “*Development and testing of transformable system to save life in road tunnel in case of fire*”].

მოხსენდა კონფერენციას „ტექნიკურ მეცნიერებათა პრობლემები“ ერევანში 2022 წლის 22 მაისს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. O. Lanchava. Analysis of critical air velocity for tunnel fires controlled by ventilation. Mining Journal No 1, Tbilisi, 2019: 126-132.
2. O. Lanchava, N. Ilias, G. Nozadze, S. Radu, R. Moraru, Z. Khokerashvili, N. Arudashvili. FDS Modelling of the Piston Effect in Subway Tunnels. Environmental Engineering and Management Journal 18 (4), 2019: 317-325.
3. O. Lanchava, N. Ilias, G. Nozadze, S. Radu, R. Moraru, Z. Khokerashvili, N. Arudashvili. The impact of the piston effect on the technological characteristics of ventilation in the subway tunnels. *Proceedings of 8th International Symposium “Occupational Health and Safety” SESAM, Vol. 2, Petrosani, Romania, 2017: 342-352.*

# Propagation of carbon monoxide in road tunnels in case of fire by considering the critical velocity, backlayering and gradient factor

Zaza Khokerashvili<sup>1</sup>, Nana Macharaviani<sup>1</sup>, Davit Tsanava<sup>1</sup>

<sup>1</sup>Georgian Technical University

The optimal use of transit potential is viewed as one of the basic means under the Economic Development Strategic Plan for Georgia with a primary emphasis on the modernization and development of the transport infrastructure. In this regard, the construction and improvement projects for the main and auxiliary highway structures are planned and carried out successfully across the country, with the construction of over 50 road tunnels in the country being one of the components. The sustainability and safe operation of the tunnels is the criterion for the successful implementation of such complex projects. As a result, it is critical to evaluate all risk factors for the safe operation of road tunnels as objectively as possible [1].

One of the major risk factors for the safe operation of a road tunnel is fires that start and spread for a variety of reasons, with the released carbon monoxide threatening the lives of people in emergency and the excess heat capable of inflicting the catastrophic damage to infrastructure. Thus, fires during the operation of road tunnels are one of the major threats to safety, with the level of risk determined by the likelihood of fire initiation in the tunnel and the severity of the potential damage caused by such a fire.

The likelihood of fire initiation in the tunnel, as well as the severity of potential damage from such a fire, are largely determined by the development, planning, and implementation of preventive measures, which will, first and foremost, prevent the initiation and development of fire, and, in the event of fire, will minimize the severity of potential consequences [2, 3]. At the same time, we must keep in mind that saving human lives and health during an emergency is priority number one.

In the event of a tunnel fire, one of the primary preventive measures to save the lives of people in emergency situations is the selection and operation of flexible ventilation systems, correct and efficient modes of operation, taking into account the impact of actual processes during the fire. With this in mind, tunnel ventilation systems equipped with modern technologies enable people in the life-threatening situations to evacuate in a timely and organized manner and escape the danger zone.

The report presents the outcomes of digital and physical road tunnel modeling. The former is full-scale, whereas the latter is 1:10 scale. Carbon monoxide propagation is determined by the nature of the ventilation flow motion, its critical velocity, backlayering distance, gradient factor, and fire strength. The findings are presented in the form of graphs and tables, which can be used to develop life-saving and emergency control projects in the event of a fire, taking into account the specific tunnel geographical conditions, geometry, and other relevant data.



## ხანძრის გავლენა გვირაბის ვენტილაციაზე რიცხვითი მოდელირების შედეგების მიხედვით

ომარ ლანჩავა<sup>1</sup>, გიორგი ჯავახიშვილი<sup>2</sup>

<sup>1</sup> შრომის დაცვისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

<sup>2</sup> სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

**აბსტრაქტი.** ნაშრომში მოცემულია FDS გარემოში რიცხვითი მოდელირებით შესრულებული ხანძრის მიწისქვეშ განვითარების სცენარები და თანმდევი პროცესების ანალიზი. ნაჩვენებია გრძივი ვენტილაციის კრიტიკული სიჩქარის, წვის პროდუქტების უკუდინების სიგრძისა და გრადიენტ-ფაქტორის ცვალებადობა ხანძრის სიმძლავრის, გვირაბის გეომეტრიისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. აღნიშნულია, რომ ფრუდის რიცხვის კრიტიკული მნიშვნელობა, ისე როგორც ვენტილაციის კრიტიკული სიჩქარე არ არიან მუდმივი სიდიდეები მიწისქვეშ მიმდინარე რთულ პროცესებში. კონკრეტული რიცხვითი მაგალითების მიხედვით ნაჩვენებია, რომ თერმულად და მექანიკურად აღძრული სავენტილაციო ნაკადები ერთმანეთთან ალგებრულად იკრიბებიან და აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღების გარეშე შესაძლებელია გართულდეს სიცოცხლის გადარჩენა მიწისქვეშა ხანძრების შემთხვევაში. როგორც თეორიულად, ისე რიცხვითი ექსპერიმენტების გზით ნაშრომში დადგენილად უნდა მივიჩნიოთ, რომ ძლიერ ხანძარს გვირაბებში შეუძლია აღძრას ვენტილატორებზე უფრო დიდი დინამიკური წნევა, რომელსაც შეუძლია დადმავალი სავენტილაციო ნაკადების გადაყირავება 3% და უფრო მეტი დახრილობის გვირაბებში. წინამდებარე ნაშრომი დღის წესრიგში აყენებს არა მხოლოდ ხანძრის შემთხვევათა გულმოდგინე დაწვრილებით აღწერასა და ანალიზს, არამედ კონკრეტული გვირაბის გეომეტრიის, ადგილმდებარეობის, ბუნებრივი პირობების, სავენტილაციო სისტემებისა და ხანძრის სიმძლავრის მიხედვით მოქმედების ცხადი ალგორითმის დამუშავების საჭიროებას და მიღებული შედეგების გავრცელებას მამშველებზე, გვირაბის მომსახურე პერსონალსა და მთელ საზოგადოებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** გრძივი ვენტილაცია, კრიტიკული სიჩქარე, უკუდინება, გრადიენტ-ფაქტორი, FDS მოდელირება.

### 1. შესავალი

სტატისტიკის მიხედვით ცალკეულ გვირაბში სერიოზული ხანძრის მოხდენის შესაძლებლობა ართუ ისე მაღალია, მაგრამ პერსპექტივაში გვირაბების რაოდენობის მატება და

მოდრაობის ინტენსიურობის ზრდა იწვევს ხანძრის გაჩენის რისკის მომატებას. ხანძრის განვითარება მიწისქვეშ თავისებურებებით ხასიათდება, რომლებიც შეზღუდულ მიწისქვეშა სივრცეში აუცილებლად გამოიწვევენ კატასტროფულ შედეგებს. ამიტომ საავტომობილო გვირაბების ვენტილაცია დაფუძნებულია ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სცენარზე: 1. გვირაბის ვენტილაცია სტანდარტულ პირობებში, 2. სახანძრო ვენტილაციის დამუშავება საგანგებო პირობებისათვის სიცოცხლის, ინფრასტრუქტურის გადარჩენისა და ხანძრის ლიკვიდაციისათვის ხელშეწყობის მიზნით.

გვირაბის ხანძრების საშიშროება განპირობებულია წვის ტოქსიკური პროდუქტების ანომალური გავრცელებით მიწისქვეშა სივრცეში, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ზღუდავს ხილვადობას. შესრულებული კვლევებისა და არსებული გამოცდილების მიხედვით შესაძლებელია კვალიფიციურად გადაწყდეს ხანძართან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: კვამლის გავრცელების პრევენცია მიწისქვეშ [1-5], ტემპერატურის დინამიკა და მისი მავნე გავლენის შემცირება გვირაბებში [6-8], ხანძრის მიწისქვეშ განვითარების სცენარები [4, 9-11], კვამლისა და ტოქსიკური წვის პროდუქტების გავრცელების კანონზომიერებები სავენტილაციო ნაკადის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით [5, 10-12], კრიტიკული სიჩქარის, უკუდინების მანძილის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა [11, 13-15], გვირაბის დახრილობის გავლენა უკუდინების სიგრძეზე ბუნებრივი ვენტილაციის პირობებში [5, 12], ხანძრის გავლენა სავენტილაციო სისტემაზე [7, 12, 15].

გრძივი ვენტილაციის კრიტიკული სიჩქარე და წვის პროდუქტების უკუდინების სიგრძე გვირაბის ვენტილაციის მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პარამეტრებია ხანძრის შემთხვევაში. უკუდინება არის წვის პროდუქტების საპირისპირო გავრცელება ჰაერის სუფთა ჭავლზე, რაც გამოწვეულია მათი მაღალი ტემპერატურით, ამის გამო ნაკლები სიმკვრივით და მოძრაობით ამომგდები ძალების ხარჯზე.

კრიტიკული სიჩქარე კი არის უკუდინების გამომრიცხავი მინიმალური სიჩქარე, რომელიც უნდა მიენიჭოს სავენტილაციო ნაკადს გრძივი სავენტილაციო სისტემის პირობებში. სახანძრო ვენტილაციის ორივე მნიშვნელოვანი პარამეტრი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია თომასის მიერ [17, 18]. კრიტიკული სიჩქარის კონცეფციამ განვითარება ჰპოვა დახრილი გვირაბებისათვის მას შემდეგ, რაც კრიტიკული სიჩქარის რიცხვითი სიდიდის შემასწორებელი კოეფიციენტი - გრადიენტ-ფაქტორი იქნა შემოღებული. ვენტილაციის ყველა აღნიშნული ტექნოლოგიური პარამეტრი ფართოდ გამოიყენება სახანძრო ვენტილაციის დამუშავების საქმეში [19-23].

ჩვენს ნაშრომში [7] კლაპირონის განტოლების საფუძველზე დადგენილია, რომ გვირაბებში ძლიერი ხანძრის პირობებში თერმულად აღძრული ნაკადი ყოველთვის პრევალირებს მექანიკურად აღძრულ ნაკადზე. ამიტომ ხანძარს ამ თვალსაზრისით უფრო მეტი პოტენციალი აქვს, ვიდრე უმძლავრეს საგვირაბე ვენტილატორებს. შესაბამისად, ყველა ცნობილი უსაფრთხო სავენტილაციო სისტემები უსაფრთხოებას ინარჩუნებენ მხოლოდ გარკვეულ პირობებში და მხოლოდ გარკვეულ დროის შუალედში. როგორც წესი, ეს უკანასკნელი ყოველთვის შეზღუდულია ძლიერი ხანძრების შემთხვევაში.

## 2. თეორია

უკუდინების კრიტიკული სიჩქარე ფრუდის კრიტერიუმს პირველად დაუკავშირა თომასმა [17], აღნიშნა რა, რომ წვის პროდუქტებისა და ჰაერის ნარევის დინების ხასიათი დამოკიდებულია კვამლის ტივტივადობისა და სავენტილაციო ჭავლის ინერციული ძალების ფარდობაზე, რომელიც გამოხატულია ფრუდის კრიტერიუმით და მცირე მასშტაბის სპირტის ალის მიხედვით შემოიტანა კრიტერიუმის კრიტიკული რიცხვითი სიდიდე  $Fr_c = 1$ .

თვით ფრუდის კრიტერიუმს კი აქვს სახე

$$Fr_c = \frac{\Delta \rho g H}{\rho_0 u_c^2} \quad (1)$$

ფორმულებში შემავალი სიმბოლოები განმარტებულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ფორმულებში შემავალი სიდიდეების განმარტება და განზომილებები

$p$  - წნევა, კპა;

$v$  - აირის კუთრი მოცულობა,  $v = 1/\rho$ , მ<sup>3</sup>/კგ;

$\rho$  - აირის სიმკვრივე, კგ/მ<sup>3</sup>;

$R$  - აირის კუთრი მუდმივა,  $R = 287$  ჯ/(კგ·K);

$m$  - ნამწვი აირის მასა, კგ;

$V$  - ჰაერის მოცულობა, რომელიც მონაწილეობს წვის პროცესში, მ<sup>3</sup>;

$dV$  - მოცულობის ნაზარდი, მ<sup>3</sup>;

$dl$  - ნაკადის მიერ გავლილი მანძილი, მ;

$du$  - ნაკადის სიჩქარის ნაზარდი მოცემულ მომენტში, მ/წმ;

$A$  - გვირაბის განივი კვეთის ფართობი, მ<sup>2</sup>;

$\tau$  - დრო, წმ;

$p_2$  - ხანძრის მიერ განვითარებული წნევის სიდიდე, კპა;

$c_p$  - ჰაერის კუთრი თბოტევადობა, კჯ/(კგ·K);

$Fr_c$  - ფრუდის კრიტიკული რიცხვი;

$g$  - გრავიტაციული აჩქარება, მ/წმ<sup>2</sup>;

$H$  - გვირაბის სიმაღლე, მ;

$k$  - პროპორციულობის მუდმივა;

$k_g$  - გრადიენტ-ფაქტორი;

$l$  - გვირაბის სიგრძე, მ;

$b$  - გვირაბის სიგანე, მ;

$\dot{Q}$  - მთლიანი სითბოს გამოყოფის მაჩვენებელი ნატურაში, კვტ;

$\dot{Q}_c$  - კონვექციური სითბო, კვტ;

$s$  - გვირაბის დახრილობა, %;

$T$  - კვამლის საშუალო ტემპერატურა, K;

$T_0$  - გარე ჰაერის ტემპერატურა, K;

$\Delta T$  - ტემპერატურის ნაზარდი, K;

$u_c$  - კრიტიკული სიჩქარე ჰორიზონტალური გვირაბისათვის, მ/წმ;

$u_{cs}$  - კრიტიკული სიჩქარე დახრილ გვირაბში, მ/წმ;

$u_0$  - გრძივი ვენტილაციის საწყისი სიჩქარე, მ/წმ;

$\Delta\rho$  - სიმკვრივეთა სხვაობა გარე ჰაერსა და კვამლს შორის, კგ/მ<sup>3</sup>;

$\rho_0$  - გარე ჰაერის სიმკვრივე, კგ/მ<sup>3</sup>;

$\varphi$  - გვირაბის სიგანის ფარდობა გვირაბის სიმაღლესთან;

$L_b$  - უკუდინების სიგრძე, მ.

ხანძრისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი პარამეტრი გრძივი ვენტილაციის პირობებში - კრიტიკული სიჩქარე ჰორიზონტალური გვირაბებისათვის განისაზღვრება ფორმულით

$$u_c = k \left( \frac{g \dot{Q}_c H}{\rho_0 c_p T A} \right)^{1/3} \quad (2)$$

პროპორციულობის მუდმივა  $k$  განისაზღვრება ფრუდის კრიტიკული რიცხვით

$$k = Fr_c^{-1/3} \quad (3)$$

ხანძრის მიერ გამოყოფილი კონვექციური სითბო განისაზღვრება ფორმულით

$$\dot{Q}_c = \rho_0 c_p u_0 A \Delta T \quad (4)$$

კონვექციური სითბოსა და საერთო სითბოს შორის შემდეგი დამოკიდებულებაა

$$\dot{Q}_c = 0.7 \dot{Q} \quad (5)$$

კვამლის საშუალო ტემპერატურა გამოითვლება ფორმულით

$$T = T_0 + \frac{\dot{Q}_c}{\rho_0 c_p A u_c} \quad (6)$$

სირთულის გამო დახრილ გვირაბებში კრიტიკული სიჩქარე და უკუდინების სიგრძე ნაკლებად არის შესწავლილი და მათი სიდიდეების გამოთვლა ხდება ჰორიზონტალური გვირაბებისათვის არსებული შედეგების გამოყენებით [24]. დახრილ გვირაბში კრიტიკული სიჩქარის  $u_{cs}$  საანგარიშო ფორმულაში გამოყენებულია ჰორიზონტალური გვირაბისათვის კრიტიკული სიჩქარის რიცხვითი სიდიდე  $u_c$  შემდეგი განტოლებით [25]

$$u_{cs} = k_g u_c \quad (7)$$


მესამე მნიშვნელოვანი პარამეტრი - უკუდინების სიგრძე  $L_b$  განისაზღვრება შემდეგი ფორმულით

$$\frac{L_b}{H} = 18.5 \ln(u_{cs}/u_c) \quad (8)$$

აღსანიშნავია, რომ კრიტიკული სიჩქარის განსაზღვრისათვის ფორმულით (2), საჭიროა კვამლის საშუალო ტემპერატურისა და პროპორციულობის მუდმივას ცოდნა, ხოლო მათი საანგარიშო ფორმულები (3) და (6) შეიცავენ საძიებელ სიდიდეს  $u_c$ -ს. აღნიშნულის დასაძლევად შემოიტანეს 4.5-ის ტოლი ფრუდის კრიტიკული რიცხვი, რაც ამარტივებს გაანგარიშებას, მაგრამ არ არის საკითხის გადაჭრის გზა [7, 8].

დანზიგერმა და კენედიმ [26], ისე, რომ არ შეუსწავლიათ პროცესები სათანადო სიღრმით, რეინოლდსის რიცხვის მსგავსად ელოდნენ რა, რომ ფრუდის კრიტერიუმსაც ექნებოდა კრიტიკული რიცხვითი სიდიდე, კრიტიკული რიცხვითი მნიშვნელობა 4.5 შემოიტანეს თითქოსდა ლისა და სხვების მითითებული ნაშრომის მიხედვით [27], რომელიც მრავალი ავტორის მიერ განხილვის საგანი იყო წლების განმავლობაში კრიტიკული სიჩქარისა და უკუდინების მანძილთან დაკავშირებით. ანალოგიურია კენედის მოხსენება „კრიტიკული სიჩქარე: წარსული, აწმყო და მომავალი“, რომელიც მან გააკეთა 1996 წელს ლონდონში სემინარზე „კვამლი და კრიტიკული სიჩქარე გვირაბებში“ [28].

აღნიშნული დაშვება საკითხს ამარტივებს, რადგან ამ შემთხვევაში ფორმულა (3)-ის მიხედვით კოეფიციენტი  $k = 0.606$ , მაგრამ არ არის მართებული, რაც ჩანს ქვემოთ მოცემული ფიგურიდანაც.



**ფიგ. 1.** ფრუდის კრიტიკული რიცხვის ცვალებადობა კრიტიკული სიჩქარის მიხედვით, როცა გვირაბის სიმაღლე არის 6 მ; გვირაბის განივი კვეთის ფართობი 50 მ<sup>2</sup>; გარე ჰაერის ტემპერატურა 293 K ; კვამლის საშუალო ტემპერატურების შესაბამისად: I – 573; II – 903; III – 1373 K.

ფიგ. 1-დან ჩანს, რომ კრიტიკული სიჩქარის რიცხვითი სიდიდის ცვალებადობის დიაპაზონი არის 2.5-3.2 მ/წმ მაშინ, თუ ფრუდის კრიტიკული რიცხვი არის მუდმივი სიდიდე ( $Fr_c = 4.5$ ). ამგვარად, კრიტიკული სიჩქარის მაქსიმალური სიდიდე ამ შემთხვევაში შეადგენს 3.2 მ/წმ და თითქოსდა ანალოგიურ პირობებში უკუდინების პრობლემა აღარ უნდა არსებობდეს. მით უმეტეს, რომ ავარიული ვენტილაციის სტრატეგიაში მიღებულია, რომ გრძივი ვენტილაციის პირობებში, ჰაერის სიჩქარე 3 მ/წმ საკმარისია კვამლის კონტროლისათვის გვირაბების დიდ ნაწილში ნებისმიერი ხანძრის პირობებში. აღნიშნული დებულება დასაბამს იღებს თომასიდან [18], რომელიც აგრეთვე დადასტურებულია

ნაშრომებში [3, 16]. კვამლის გაკონტროლების იდეა კი არის, რომ ხანძრის კერიდან გვირახის ჰაერმიმწოდებელ პორტალამდე უნდა იყოს კვამლისა და წვის სხვა ტოქსიკური პროდუქტებისაგან თავისუფალი ზონა.

აღნიშნული დებულებისა და მასთან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის საკითხების მართებულობის შემოწმების მიზნით შევასრულეთ რიცხვითი მოდელირება FDS პროგრამულ გარემოში სასრულ მოცულობათა მეთოდის გამოყენებით.

### 3. შედეგები და დისკუსია

#### 3.1. ხანძრის სცენარები გვირახში გრძივი ვენტილაციის პირობებში

FDS პროგრამულ გარემოში სასრულ მოცულობათა მეთოდის გამოყენებით შესწავლილია გვირახში სხვადასხვა სიმძლავრის 5, 10, 20, 30, 50 მეგავატი ხანძრების განვითარების სცენარები სხვადასხვა დახრილობის გვირახებში ( $s = 0, 1, 3, 4, 6 \%$ ). გვირახის გეომეტრია შემდეგია: სიგრძე -  $l = 100$  მ; სიგანე -  $b = 8$  მ; სიმაღლე -  $H = 6$  მ; ხანძრის კერის ფართობი  $16$  მ<sup>2</sup>; გვირახის გვერდების თანაფარდობის კოეფიციენტი  $\varphi = 1.33$ . ცეცხლის კერა გეომეტრიული ზომებით  $2.75 \times 5.8 \times 1.5$  მ განთავსებულია გვირახის ცენტრალურ ნაწილში. ხანძრის მოდელირებისათვის უმრავლეს შემთხვევებში წვის რეაგენტი იყო ბენზინი. შესრულდა აგრეთვე ცალკეული რიცხვითი ექსპერიმენტები წვის შემდეგ რეაგენტებზე: დიზელი, ნავთობი და შეშა. მოდელირების დრო -  $120$  წმ. რიცხვითი ამოცანების მოდელირებისათვის გამოყენებული იქნა მოცულობითი ბადური მეთოდი, ბადის ცალკეული უჯრედის ზომები იყო  $0.5 \times 0.5 \times 0.5$  მ. ყოველი მოდელი შეიცავდა დაახლოებით  $55$  ათას უჯრედს.


დადმავალი სავენტილაციო ნაკადების მოდელირებისათვის ზედა პორტალთან დროისათვის  $\tau = 0$  წმ ჩაირთვება 2, 3 ან 4 ცალი ჭავლური ვენტილატორი, რომელთა ჯამური წარმადობა შესაბამისად შეადგენს 28, 42 და 56 მ<sup>3</sup>/წმ. ვენტილატორის მიერ განვითარებული წნევა არის 2000 პა. ვენტილატორები ექვეციით წარიტაცებენ ჰაერის ნაკადს, რომლის საშუალო სიჩქარე გვირახში ცვალებადია ვენტილატორების რიცხვის მიხედვით. დროის მომენტში  $\tau = 60$  წმ მოდელზე ამოქმედდება ხანძარი და ექსპერიმენტი დანარჩენ დროში გრძელდება ხანძრის თანხლებით. აღმავალი სავენტილაციო ნაკადების მოდელირებისათვის ვენტილატორების ჩართვა მოხდება ქვედა პორტალთან, ხოლო დანარჩენი აღწერილის ანალოგიურად განხორციელდება.

მოდელირების შედეგების რეგისტრაციისთვის გამოყენებული იქნა წერტილოვანი და მოცულობითი ვირტუალური საზომი მოწყობილობები. წერტილოვანი საზომი მოწყობილობები ახდენდნენ გასაზომი სიდიდის რეგისტრაციას განთავსების წერტილში. ასეთი მოწყობილობები განლაგდა გვირახის ღერძულა ხაზზე გრძივი მიმართულებით  $10$  მ ინტერვალით ორ რიგად. პირველი რიგი განლაგდა გვირახის სავალი ნაწილიდან  $1.7$  მ სიმაღლეზე, ხოლო მეორე რიგი -  $5.7$  მ-ზე. მოდელირებისას გამოყენებული იქნა ოთხი ჯგუფის საზომი მოწყობილობები, რომლებიც ახდენდნენ ჰაერის სიჩქარის, ტემპერატურის, ჰაერის და ჭვარტლის სიმკვრივეების გაზომვას და დამახსოვრებას. მოცულობითი საზომი მოწყობილობები ახდენდნენ გვირახის ერთეულოვანი სისქის ელემენტარულ კვეთში ჰაერის,

ნახშირბადის მონოქსიდის, ნახშირბადის დიოქსიდისა და ჭკარტლის სიმკვრივეების საშუალო მნიშვნელობების განსაზღვრას.


ჰაერის მოძრაობის სიჩქარის დეტალური აღრიცხვისთვის გამოყენებული იქნა გაზომვის კომბინირებული მეთოდი, როდესაც რეგისტრაცია ხორციელდებოდა როგორც წერტილოვანი, ისე მოცულობითი საზომი მოწყობილობების მეშვეობით. ამასთან, წერტილოვანი მოწყობილობები განლაგდა გვირაბის ღერძულა ხაზის მართობულ სიბრტყეზე. ყოველ სიბრტყეში შვიდი-შვიდი ცალი ანალოგიური მოწყობილობა ერთმანეთისაგან 1 მ დაშორებით განლაგდა ისე, რომ პირველი მოწყობილობა განთავსდა იატაკის დონეზე. სიბრტყეებს შორის დაშორება ექსპერიმენტის მსვლელობისას შეადგენდა 10 მ (ფიგ 2).

წარმოვადგენთ გვირაბში ხანძრის მოდელირების დამახასიათებელ სქემას, რომელიც შეესაბამება როგორც დახრილ, ისე ჰორიზონტალურ გვირაბს. ყველა მოდელისათვის ხანძრის კერა განლაგებული არის გვირაბის ცენტრალურ ნაწილში. აღმავალი ნაკადის შემთხვევაში ჰაერის მიწოდება ხდება პორტალიდან 1, ხოლო გაჭუჭყიანებული ჰაერის არინება - პორტალიდან 2. დაღმავალი ნაკადისათვის პირიქით - ჰაერმიწოდებელი არის პორტალი 2.



**ფიგ. 2.** ჭავლური ვენტილატორებისა და საზომი მოწყობილობების განლაგება გვირაბის მოდელზე გრძივი ვენტილაციის სხვადასხვა სქემებისათვის: 1 - ქვედა პორტალი, საიდანაც იწყება სიგრძის ათვლა; აღნიშნულ პორტალში დამონტაჟებულია ორი, სამი ან ოთხი ცალი ჭავლური ვენტილატორი აღმავალი სავენტილაციო ნაკადებისათვის; 2 - ზედა პორტალი, სადაც დამონტაჟებულია ორი, სამი ან ოთხი ცალი ჭავლური ვენტილატორი დაღმავალი სავენტილაციო ნაკადებისათვის; 3 - ხანძრის კერა; 4 - წერტილოვანი საზომი მოწყობილობები; 5 - მოცულობითი საზომი მოწყობილობები; 6 - ვენტილატორები დაღმავალი სავენტილაციო ნაკადებისათვის.

ექსპერიმენტების მიზანი იყო კრიტიკული სიჩქარის განუხრელი ზრდის დემონსტრირება ხანძრის სიმძლავრის მატების პირობებში, აგრეთვე უკუდინების თავიდან ასაცილებლად აღნიშნული ცნებაზე დაფუძნების რეალობასთან შეუსაბამობა რიცხვითი მოდელირების შედეგების შესაბამისად. გვირაბის განივი კვეთისათვის აღებული იქნა მარკუთხა ფორმის მარტივი გეომეტრია. სავენტილაციო ნაკადის საშუალო სიჩქარის ცვალებადობა 50 მგვტ ხანძრის შემთხვევაში სხვადასხვა დახრილობის გვირაბებში მოცემულია ფიგ. 3-ის მარცხენა ნახაზზე. ამ შემთხვევაში გვირაბში ჰაერის მიწოდება ხდება ერთმანეთის მიმართ პარალელურად დამონტაჟებული ორი ცალი ჭავლური ვენტილატორით. იმავე ფიგურის მარჯვენა ნახაზზე მოცემულია სავენტილაციო ნაკადის სიჩქარის ცვალებადობა როცა ერთმანეთის პარალელურად მოქმედებენ ორი, სამი და ოთხი ცალი ერთდროულად ჩართული ვენტილატორები.



**ფიგ. 3.** სავენტილაციო ნაკადის საშუალო სიჩქარის ცვალებადობა 50 მგვტ ხანძრის შემთხვევაში: მარცხენა ნახაზზე: 1 - დახრილობა 6 % (აღმავალი ნაკადი); 2 - დახრილობა 0 % ; 3 - დახრილობა 6 % (დაღმავალი ნაკადი), ერთდროულად მოქმედებს ორი ვენტილატორი, ხანძარი ამოქმედდა 20 წმ-ის შემდეგ; მარჯვენა ნახაზზე: 1 - ერთდროულად მოქმედებს ოთხი ვენტილატორი; 2 - ერთდროულად მოქმედებს სამი ვენტილატორი; 3 - ერთდროულად მოქმედებს ორი ვენტილატორი, ხანძარი ამოქმედდა 60 წმ-ის შემდეგ.

ფიგ. 3-ის მარცხენა ნახაზიდან გვირახის ნულოვანი დახრილობის შემთხვევაში ჩანს, რომ ხანძარი წარმოადგენს წინაღობას სავენტილაციო ნაკადისათვის (მრუდი 2). დროში 0.00 წმ ჩაერთო ჭავლური ვენტილაცია, სავენტილაციო ნაკადმა მიიღო სიჩქარე დაახლოებით 3.4 მ/წმ-მდე. მე-20 წმ-ზე გვირახის ცენტრალურ ნაწილში ამოქმედებული 50 მგვტ სიმძლავრის ხანძარი დროსელური ეფექტის ხარჯზე ამცირებს ჰაერის სიჩქარეს 0.4 მ/წმ-ით. ამ შემთხვევაში ხანძრის მიერ აღძრული წევა პრაქტიკულად ნულის ტოლია.

ვენტილაციის დაღმავალი ნაკადის შემთხვევაში (მრუდი 3) სავენტილაციო ნაკადი არის დადებითი მიმართულების, ხანძრის არსებობა კვლავ წინაღობაა ვენტილაციისათვის და იგი ჰაერის სიჩქარეს ამ შემთხვევაშიც დაახლოებით 0.4 მ/წმ-ით ამცირებს, ხოლო სიჩქარის დანარჩენი შემცირება - დაახლოებით 1.4 მ/წმ არის ხანძრის მიერ აღძრული უარყოფითი მიმართულების ნაკადისა და დადებითი მიმართულების სავენტილაციო ნაკადის ალგებრულად შეკრების შედეგი.

აღმავალი სავენტილაციო ნაკადის შემთხვევაში (მრუდი 1) სავენტილაციო და ხანძრის მიერ აღძრული ნაკადის ალგებრული შეკრება ზრდის ჯამურ ნაკადს დაახლოებით 1.3 მ/წმ-ით, რადგან ორივე ნაკადი ერთ მიმართულებისაა. კერძოდ, ორივე ნაკადი არის უარყოფითი მიმართულების. ხანძარი ამ შემთხვევაშიც აეროდინამიკური წინაღობაა სავენტილაციო ნაკადისათვის და ჯამური სიჩქარე შემცირებულია სათანადო სიდიდით, დაახლოებით 0.4-0.5 მ/წმ-ით.

ამგვარად გამოიკვეთა, რომ ჰაერის სიმკვრივის შემცირებით აღძრული ნაკადი 3.0-3.5-ჯერ უფრო ძლიერ გავლენას ახდენს სავენტილაციო ნაკადის ინტენსიურობისა და ხარჯის შემცირებაზე, ვიდრე ხანძარი როგორც ადგილობრივი წინაღობა.

რალა აღნიშვნა უნდა, ამ აზრაცში მოცემული აღწერა უფრო სრულყოფილია, ვიდრე დროსელის ეფექტის გავლენის სხვა ავტორების მიერ შესრულებული უფრო ადრინდელი ანალიზები, რომლებიც საერთოდ არ ღებულობდა მხედველობაში მექანიკური და თერმული სავენტილაციო ნაკადების ალგებრულად შეკრების შესაძლებლობას.




ლისა და სხვების ნაშრომში [27] შესწავლილი იყო 0,3X0,3X10 მ ზომების შემის ხერგილისაგან გამოწვეული ხანძარი აეროდინამიკურ მილში და აგრეთვე აღნიშნული იყო აეროდინამიკური წინაღობის შესახებ, რომელიც ხანძრის კერაზე 6-ჯერ მატულობდა, ხოლო ხანძრის მიღმა ორივე მხარეზე - დაახლოებით 1.5-ჯერ. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში დიფერენცირებული არ არის სიმკვრივის შემცირებით შექმნილი გარემოება, ყველაფერი მიწერილია აეროდინამიკურ წინაღობაზე და პროცესების ანალიზი სიღრმით არ გამოირჩევა. იმავე ნაშრომში აღნიშნულია, რომ უკუდინება შეიმჩნეოდა, როცა ხანძრის კერაზე დროსელირებული სავენტიაციო ნაკადის სიჩქარე შეადგენდა 0.6 მ/წმ-ს, რაც შეესაბამებოდა ფრუდის კრიტერიუმის რიცხვით სიდიდეს  $Fr_c \approx 7$ . არც ეს მონაცემები არ შეესაბამება ჩვენს მიერ მიღებულ მაჩვენებლებს. ნაშრომში [16] ყურადღება გამახვილებულია ხანძრის უნარზე მოახდინოს სავენტიაციო ნაკადის დროსელირება, რაც ნიშნავს დამატებითი აეროდინამიკური წინაღობის შექმნას სავენტიაციო ჭავლის მოძრაობის გზაზე. დიფერენცირებული ამ ნაშრომშიც არ არის ნაკადების ალგებრულად შეკრებით გამოწვეული ფიზიკური ეფექტები და ხანძრით შექმნილი აეროდინამიკური წინაღობა. იმავე ნაშრომში მითითებულია, რომ ხანძრის სიმძლავრის ზრდის პირობებში სულ უფრო მეტი ჭავლური ვენტიატორი არის საჭირო კვამლის კონტროლისათვის აღმოდებულ გვირაბებში, რაც აგრეთვე არის აღწერილი მომდევნო აბზაცში ჩვენი შედეგების მიხედვითაც.

ფიგ. 3-ის მარჯვენა ნახაზიდან ჩანს, რომ გვირაბის განივკვეთში ერთმანეთის პარალელურად მოქმედი ორი ცალი ვენტიატორის შემთხვევაში, ჰაერის სიჩქარე ხანძრის ამოქმედებამდე აღწევს კრიტიკული სიჩქარის დეკლარირებულ რიცხვით სიდიდეს (3.0 მ/წმ), მაგრამ ხანძრის ამოქმედების შემდეგ ( $\tau = 60$  წმ) ჰაერის ნაკადის საშუალო სიჩქარე კი არ მატულობს წვის პროდუქტების დამატების შედეგად, არამედ კლებულობს, რაც არის უკუდინების შედეგი გვირაბის იმ ნაწილში, სადაც გადის სუფთა ჭავლი. სამი ვენტიატორის ერთდროულად მოქმედების შემთხვევაში სიჩქარე აღწევს კრიტიკულ სიჩქარეზე გაცილებით უფრო მეტ რიცხვით სიდიდეს და უტოლდება 3.5 მ/წმ, მაგრამ სუფთა ჰაერის ჭავლზე უკუდინებას მაინც აქვს ადგილი. ფიგ. 3-ის მარჯვენა ნახაზიდან აგრეთვე ჩანს, რომ გვირაბის განივკვეთში ერთმანეთის პარალელურად მოქმედი ოთხი ცალი ვენტიატორის შემთხვევაშიც კი, ხანძრის ამოქმედების შემდეგ ( $\tau = 60$  წმ) ჰაერის ნაკადის საშუალო სიჩქარე კი არ მატულობს წვის პროდუქტების დამატების შედეგად, არამედ კლებულობს. ამ მოვლენის ბუნება გახსნილია ნაშრომებში [29-39], რომლებშიც აღნიშნულია, რომ ხანძარი აღძრავს საგვირაბე ვენტიატორების შესაძლებლობებზე გაცილებით მაღალ დინამიკურ წნევას.

ამგვარად, გრძივი ვენტიაციის კრიტიკული სიჩქარე 3 მ/წმ, რომელიც უკუდინების თავიდან ასაცილებელ ზღვრულ სიჩქარედ მითითებულია ნაშრომებში [3, 16, 18], სინამდვილეში განუხრელად იზრდება რიცხვითი მოდელირების წარმოდგენილი შედეგების მიხედვით, რაც აგრეთვე ირიბად ადასტურებს, რომ ცნობები ფრუდის კრიტიკული რიცხვის მუდმივობის შესახებ გვირაბის ხანძრებში არ შეესაბამება სინამდვილეს. ჩვენი შეხედულებით აქ მნიშვნელოვანია თერმულად და მექანიკურად აღძრული ნაკადების ალგებრულად შეკრებადობის მხედველობაში მიღება გვირაბის ხანძრებში და აგრეთვე, ხანძრის ისეთი სცენარების დამუშავება მიწისქვეშა სივრცისათვის, როცა ხანძრის კერაზე სუფთა და გაჭუჭყიანებული ჰაერის ნაკადების ერთმანეთთან შერევა სხვადასხვა პროპორციით ხდება.

ფიგ. 4-ზე წარმოდგენილია რიცხვითი მოდელირების შედეგები 5, 10, 30, 50 მგვტ სიმძლავრის ხანძრებისათვის სხვადასხვა დახრილობის 0, 1, 3, 4, 6 % გვირაბებში. გვირაბის გეომეტრია: სიგრძე - 100 მ; სიგანე - 8 მ; სიმაღლე - 6 მ; ხანძრის კერის ფართობი 16 მ<sup>2</sup>; ცეცხლის კერა განთავსებულია გვირაბის ცენტრალურ ნაწილში. ხანძრის მოდელირებისათვის წვის რეაგენტი - ბენზინი. მოდელირების დრო 120 წმ, B პორტალთან დროისათვის  $\tau = 0$  წმ ერთმანეთის მიმართ პარალელურად ჩაირთვება 2 ცალი ჭავლური ვენტილატორი ჯამური წარმადობით 28 მ<sup>3</sup>/წმ და წნევით 2000 პა. ვენტილატორები ექვეციით წარიტაცებენ ჰაერის ნაკადს, რომლის ხარჯი შესაძლებელია განისაზღვროს ჰაერის სიჩქარისა და გვირაბის კვეთის მიხედვით. დროის მომენტში  $\tau = 20$  წმ მოდელზე ამოქმედდება ხანძარი და ექსპერიმენტი დანარჩენ დროში გრძელდება ხანძრის თანხლებით. ამ პერიოდისათვის სავენტილაციო ნაკადს დაფარული აქვს მანძილი B პორტალიდან ხანძრის კერამდე




ფიგ. 4. ჰორიზონტალური გვირაბის ვენტილაცია 5, 10, 30, 50 მგვტ ხანძრის გაჩენის მომენტისათვის  $\tau = 20$  წმ: 1 - ჭავლური ვენტილატორი; O - ხანძრის კერის ცენტრი.

სხვადასხვა სიმძლავრის ხანძრის დროს გამოყოფილი მავნე აირებისა და კვამლის მოცულობის სიდიდეები შეტანილია ცხრილში 2. შეფასება გაკეთებულია გვირაბის ნულოვანი დახრილობის პირობებში. ამ შემთხვევაში ჰაერის სიმკვრივის შემცირება ტემპერატურის მომატების შედეგად პრაქტიკულად არ იწვევს უკუდინებას, ხოლო წვის პროდუქტები შეერევა სავენტილაციო ნაკადში და იწვევს ამ უკანასკნელის სიჩქარის გაზრდას. ჰაერის სიჩქარე გვირაბში განისაზღვრა რიცხვითი მოდელის მიხედვით ჰაერის ნაკადის ფრონტის მოძრაობის შესაბამისად B პორტალიდან A პორტალის მიმართულებით. სიჩქარე  $u_1$  განისაზღვრა B პორტალიდან O წერტილამდე მანძილისა და მის დასაფარავად საჭირო დროის მიხედვით, ჰაერის შესაბამისი ხარჯი არის  $G_1$ . სიჩქარე  $u_2$  შეესაბამება მანძილს O წერტილიდან A პორტალამდე, ჰაერის შესაბამისი ხარჯი არის  $G_2$ . კვამლისა და წვის სხვა ტოქსიკური პროდუქტების ხარჯი განისაზღვრა ფორმულით

$$G = G_2 - G_1 \quad (9)$$

ცხრილი 2. ჰაერის ხარჯი და სიჩქარე გვირაბში მოდელირების მიხედვით

ხანძრის სიმძლავრე, მგვტ	$u_1$ , მ/წმ	$u_2$ , მ/წმ	$G_2$ , მ <sup>3</sup> /წმ	$G_1$ , მ <sup>3</sup> /წმ	$G$ , მ <sup>3</sup> /წმ
5	2.9	3.6	139.2	172.8	33.6
10	2.9	4.1	139.2	196.6	57.6
30	2.9	5.0	139.2	240.0	100.8
50	2.9	5.6	139.2	268.8	129.6




ნაშრომში განხილულია ქართულ ორნამენტში გამოყენებული ფერების კვლევის საკითხები.

ორნამენტი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი საერო-საეკლესიო სამოსში, ფეხსაცმელში, ხალიჩურ ნაწარმში, იარაღში, სამკაულში, ქვითხურობაში, ხითხურობაში, მეთუნეობაში და სხვ. ფერთა უხვი პალიტრითაა გადმოცემული ორნამენტი ფერწერულ იკონოგრაფიაში, ხელნაწერ წიგნებსა და მინიატიურებში. ორნამენტი, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის მატარებელია.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას თან მოჰყვა ეთნოგრაფიული ნივთების კომერციალიზაცია, ვხვდებით უხეშ უზუსტობებს - ფორმების, წარმოშობის, დომინანტი ფერებისა და შემკულობების თვალსაზრისით. ხშირად ნაკეთობებზე გამოსახული ორნამენტების არც ფორმას და არც ფერთა შეხამებას საერთო არ აქვს ძველ ქართულ ორნამენტთან. გაჩნდა საშიშროება იმისა, რომ გაგრძელდეს სტილიზირება და საზოგადოების არაინფორმაციულობამ განაპირობოს მისი სრული აღრევა და მივიწყება.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში ორნამენტი შესწავლილია როგორც მხატვრული, ასევე სიმბოლური თვალსაზრისით.

მიუხედავად საკითხის კვლევის არსებული მდგომარეობისა, ჯერ კიდევ არ მომხდარა ქართული ორნამენტის სისტემატიზაცია ფორმის, ფერისა და სიმბოლური მახასიათებლების მიხედვით და მათი რაციონალური გამოყენება სხვადასხვა ტექნოლოგიებში ორიგინალური ფორმისა და ფერის შენარჩუნებითა და დაცვით.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „ძველი ქართული ნაქსოვი ორნამენტის სახეობების კვლევა და მემკვიდრეობის ძეგლის მოძიებას, შესწავლა-გაანალიზებას, სისტემატიზაციასა და კლასიფიცირებას თანამედროვე საფეიქრო ტექნოლოგიებში დანერგვის მიზნით. პროექტის განხორციელებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ყოფაში გამოყენებული ფერთა გამის, ფერთა შეხამების, ჰარმონიულობის, შეპირისპირების ან მათი კონტრასტულობის და გამოყენებული საღებარების (ქიმიური/ ბუნებრივი შესაღები მასალა) მოძიება და შესწავლა, რისთვისაც დაიგეგმა სამეცნიერო ჯგუფის მივლინებები აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში (ბოლნისი, გორი, სიღნაღი, თელავი, ალვანი ,თუშეთი).

მივლინებების პერიოდში რეგიონულ და კერძო მუზეუმებში დაცული მასალისა და ყოფაში (ოჯახებში) შემორჩენილი ნივთების მიხედვით, მოხდა მოძიებული ორნამენტის სახეებისა და ფერების ფოტოფიქსაცია, ჩატარდა ინტერვიუები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლებთან, მოხდა ჩაწერა შემდგომი დამუშავების მიზნით.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან საგანგებოდ შევისწავლეთ ეკლესია-მონასტრების, სალოცავებისა და ძველი საცხოვრებელი სახლების შიდა და გარე ინტერიერში არსებული დეკორი, მოხდა მათი ფოტოფიქსაცია, ზემოთ აღნიშნული თანმიმდევრობით კვლევისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** *ორნამენტი, ფერი, ჰარმონიზაცია, აღქმა, ქართული კოსტიუმი, დომინანტი ფერი, ფორმა, კულტურული მემკვიდრეობა*

ფერთა შეხამების შერჩევა, რომელიც ჰარმონიზირდება ინდივიდუალური მომხმარებლის გარეგნულ სახესთან, წარმოადგენს რთულ და მნიშვნელოვან საკითხს და ეფუძნება ფერთა მხედველობითი აღქმის კანონზომიერებებს.

ჰარმონიზაცია არის შეთანხმება და თანმიმდევრობა ფერთა შეხამებაში. იგი წარმოიქმნება ფერთა შეპირისპირების ან მათი კონტრასტულობის საფუძველზე.

ფერთა ჰარმონია მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც კოსტიუმის, ასევე მისი ელემენტების ფორმასთან და დანიშნულებასთან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერთა აზრობრივ და სიმბოლურ დატვირთვას. ამას ადასტურებს ფერთა ისტორიული სიმბოლიკაც.

ფერთა სიმბოლიკას გასულ საუკუნეებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძველად ფერის მიხედვით განასხვავებდნენ ყოველდღიურ, სადღესასწაულო და სარიტუალო სამოსს. მაგალითად, ქართველი მეფე ახალ წელს ყვითელი ყაბარჩით იმოსებოდა [ხელმწიფის კარის გარიგება], ყვითელი ფერი კი ჩინეთში საიმპერატორო ფერად მიიჩნეოდა. წითელ და ლურჯ სამოსს მეომრები ატარებდნენ. თაღ ფერებს ზოგადად სოციალურად დაბალი წოდებრივი ფენა იცვამდა.

უძველესი ცივილიზაციის ხალხებში (მაგ, ეტრუსკები (Funeral dance, Etruscan fresco from a tomb cover, 5th century B.C.) და სხვ.) შავი, წითელი და თეთრი გლოვის აღმნიშვნელი ფერები იყო, როგორც ეს ბოლო დრომდე შემორჩა ხევისურულ ყოფას. ამავდროულად კი იგივე ფერებით (შავი, წითელი, თეთრი) შეკერილი სამოსით სადღესასწაულო, ოფიციალურ და საზეიმო შეხვედრების დროს იმოსებოდნენ მონარქები და სხვა დაწინაურებული პირები. თეთრი სადღესასწაულო. საქორწილო ფერია, ძველად და ახლა პატარძლის ჩაცმულობა თოვლივით თეთრი ფერი უმწიკვლობის, სინაზისა და სიწმინდის სიმბოლოა.

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ქართველთა ჩაცმულობაში სამი ძირითადი ფერი დომინირებს. ესენია: თეთრი, წითელი და შავი. ცნობილია ასევე ისიც, რომ ქართული ფოლკლორი სწორედ აღნიშნული ფერებითაა გაჯერებული და თითოეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა და სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. ქართველ ეთნოსთა ამ ფერებისკენ ლტოლვა ვალენტობის ეკოლოგიური თეორიის (EVT) თანახმად ბიოლოგიურადაა კოდირებული ქართულ გენეტიკაში, რომელიც ჯერ ქვეცნობიერ სამყაროში დაილექა, შემდეგ კი მსოფლმხედველობასა და იდენტობაში გამოვლინდა და ადგილი მატერიალურ კულტურაშიც დაიმკვიდრა [კვანტიძე გ. ფერების სიმბოლიზმი ქართულ ტრადიციულ კოსტიუმში. ჟურნალი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, N 7. 2022].

ფერთა ჰარმონიზაციის მიხედვით, ქართული კოსტიუმი და ორნამენტი მრავალმხრივ საინტერესოა. რეგიონალურ სამოსში ვხვდებით ჰარმონიულ, მტკიცე და ქრომატულ ხევისურულ (სურ.1) და თუშურ ტალავარს (სურ.2.); ჰარმონიულ, მშვიდ, ჟღერად, მყარ, მდგრად და აქრომატულ ზოგადქართულსა და აფხაზურ ჩოხა-ახალუხებსა (სურ.3) და სარტყელ-გულისპირიან ქართულ კაბას (სურ.4). კონტრასტულ, დინამიურ და ნაჯერფერებიან აჭარულ სიხმა კაბას (სურ. 5), ჩათაკასა და თოლაბუსის სარტყელს, ასევე სამცხე-ჯავახურ ჩაქურასა და ქალის კაბას. მდგრად და ნაჯერფერებიან რაჭულ კაფთარას (სურ. 6), ჩიმჩიყსა და ფემტემალს; მკვეთრად აქრომატულ, მტკიცე და მშვიდ სვანურს; არამდგრად და ჰარმონიულ გურულს, მტკიცე და ბრძოლისუნარიან ნაბადს, მდგრად და დინამიურ ელეგს (სურ.7) და ა.შ.

ფერთა სიმბოლიკას აქტუალობა არ დაუკარგავს დღესაც. თანამედროვე ფერთა თეორიის მიხედვით, თანაბარკონტრასტული ფერადი სივრცე წარმოადგენს წერტილთა სამგანზომილებიან მიმდევრობას, სადაც თითოეული ფერადი სხეულის ფერთა ხასიათის აღქმას წარმოადგენს: სიღიავე, ფერადი დინება, გაჯერებულობა. ფერადი ტონი იცვლება წრეზე, გაჯერებულობა რადიუსზე, სიღიავე ვერტიკალზე. არაჰარმონიულად იკვეთება ფერთა ისეთი შეხამებაც, რომელთა შორის განსხვავებაც ფერთა წრის გარშემოწერილობის არაუმცირეს 1/3-ის ტოლია. მეორე მხრივ, ორი მომდევნო მსგავსი ფერებიდან ჰარმონიულად ითვლება ის, რომელიც უფრო ადვილად აღსაქმელია.

ჰარმონიულად ითვლება ერთნაირი სიღიავის ფერი, ან ერთი ფერის მეორესთან დამატების გზით მიღებული ფერები. ჰარმონია მიიღება ისეთ ფერთა შეხამებით, რომელთა არჩევის სისტემაც არაორაზროვნად ნათელია. ასე მაგ., ყვითელი ფერის კონტრასტულობის გამოსავლენად უკეთესია გამოვიყენოთ მუქი ყავისფერი ფონი და არა შავი, რადგანაც შავის

ყვითელ ფერთან შეხამებისას, ქრომატული კონტრასტის კვალდაკვალ, შეიძლება გარდაიქმნას მოცისფრო ელფერის ფერად.

ჰარმონია მიიღწევა ნიუანსის, იგივეობისა და კონტრასტის პრინციპით. ჰარმონიის მაჩვენებლად გვევლინება დომინანტი ფერი, რომელიც კომპოზიციაში თამაშობს ძირითად როლს. ფერის დომინანტური როლი განისაზღვრება მის მიერ დაკავებული ფართობის მიხედვით, გაჯერებულობით ან სიმკვეთრით. კონტრასტის ჰარმონიაში ყველა ფერი ეწინააღმდეგება მთავარს, ხოლო ნიუანსისა და იგივეობის ჰარმონიაში ყველა ფერი ერთმანეთს უახლოვდება გაჯერებულობით, სიღიავით, სითბოთი და სიცივით. იგივეობისა და ნიუანსის ჰარმონიის შემადგენელი ფერები განლაგებულია ფერთა წრის სპექტრის საზღვრებში, მაგ.: ლურჯი და ღია ლურჯი. ერთფეროვან ჰარმონიაში გამოიყენება ერთი ფერის რამდენიმე ელფერი (ყავისფერი, კრემისფერი, ხორცისფერი). ნიუანსის ჰარმონია შედგება მომიჯნავე, ან მონათესავე ფერებისაგან, რომლებიც ფერთა წრეზე გვერდიგვერდაა განთავსებული: ცისფერი და მოცისფრო-მომწვანო; ნარინჯისფერი და ნარინჯისფერ-წითელი. თუმცა, ერთფეროვან და მონათესავე ჰარმონიებს შეუძლიათ გამოიწვიონ მონოტონურობის, დაღლილობისა და გაღიზიანების შეგრძნება, განსაკუთრებით, მოდუნებული, უსიცოცხლო, ინერტული ჯგუფის ფერებისათვის. ასეთი სამოსის გამოსაცოცხლებლად მიზანშეწონილია კომპოზიციაში აქცენტის შეტანა თვისობრივად სხვა ფერის მცირე ზომის ლაქის სახით. ასეთი აქცენტის მეორე როლია ყურადღების კონცენტრაცია ტანსაცმლის ამა თუ იმ საჭირო მონაკვეთზე. თუ მონათესავე ფერთა შერწყმა არის მსუბუქი, ნაკლებად აქტიური და სტატიური, კონტრასტული ფერების შერწყმა პირიქითაა - მკვეთრი, აქტიური და ემოციური. კონტრასტულად ითვლება ფერები, რომლებიც განლაგებულნი არიან ფერთა წრეზე ერთმანეთის საპირისპიროდ 90 გრადუსზე მეტი კუთხით.

*კონტრასტულ ფერთა* შეხამება შეიძლება იყოს რამდენიმე სახის: დამატებით ფერთა ერთი წყვილის შეხამება, რომლებიც მოთავსებული არიან ფერთა წრის დიამეტრის მოპირდაპირე ბოლოებზე (მაგ: ყვითლისა და იისფრის და წითლისა და მწვანის შეხამება). დამატებითი ფერების (მაგ.: მოყვითალო მომწვანოსთან, მოწითალო იისფერთან), სამი ფერის კონტრასტული შერწყმა ან ტრიადის ჰარმონიის შედგენა შესაძლებელია ძირითადი ფერებისა და მათ ელფერებისგან. ფერები განლაგებულია ფერთა წრეში ჩახაზული ტოლგვერდა სამკუთხედის წვეროებზე, მაგ: ყვითელი, წითელი, ლურჯი ან ნარინჯისფერი, მწვანე და იისფერი.

*ქრომატული ჰარმონიის* რაოდენობა განუსაზღვრელია. ქრომატული ფერები არაქრომატულებთან ქმნიან სხვადასხვა შეხამებას. თბილი ფერი განსაკუთრებით იგებს მუქი არაქრომატულების გვერდით, ხოლო ცივი-ნათელთან. გაჯერებული ფერები ჰარმონიაში თეთრთან და შავთან, ნაკლებად გაჯერებულები სხვადასხვა ელფერის რუხთან. არაქრომატული ფერები ამ შეხამებაში გამოიყენება სხვა ფერებისა და დეტალებს გამოსაკვეთად. ყოველთვის ჰარმონიულად და კლასიკური შეხამების აქრომატულ ფერებად გვევლინებიან: თეთრი შავთან, რუხი შავთან, თეთრი რუხთან, ღია რუხი მუქთან. ამავე დროს, ფერადი ჰარმონია სიმპათია-ანტიპათიის საგანია და თავისთავად ქმნის ემოციურ

შთაბეჭდილებას, რომელიც შეიძლება ერთ ადამიანსაც კი განსხვავებული ჰქონდეს. ამ შემთხვევაში დადებითი ემოციური შთაბეჭდილება შეიძლება მივიღოთ იმ ფერებისგან, რომლებსაც ადრე გულგრილად ვუყურებდით. გადაღლილობის ამ ფსიქოლოგიური პრინციპიცაა აგებული ფერთა მოდური შეხამების ცვლილებამ, რომლებიც ზოგჯერ მკვეთრად ცვლიან მათ ჰარმონიულობაზე წარმოდგენას. როცა ფერები ეხებიან ერთმანეთს, ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და შეუძლიათ წარმოქმნან განსხვავებული შთაბეჭდილებები. ქრომატული კონტრასტის კვალდაკვალ შავი გაფორმება წითელ ფონზე ჩანს მომწვანოდ, იისფერ ფონზე-მომწვანო-მოყვითალოდ. ლურჯი ნახატი წითელ ფონზე გამოიყურება მომწვანოდ. საერთოდ, მუქი ფერი ღია ფერის სიახლოვეს გვერჩვენება უფრო მუქად და პირიქით. ნეიტრალური ფერის ზოლი ერთმანეთზე ზეგავლენას ცვლის ფერებში.

ფერთა შეხამებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ ფერის სიჭარბე. ზოგჯერ ძირითადი ფერი შეიძლება გამოვკვეთოთ კონტრასტული ფერის გასაფორმებელი დეტალით. ძირითადი ქსოვილისათვის ჩვეულებრივ იყენებენ შედარებით რბილ და მშვიდ ტონს, გასაფორმებელი მასალისთვის კი-გაჯერებულსა და მკვეთრს. ფერთა შეხამების ჰარმონიულობა დამოკიდებულია საგნის ფერადი მონაკვეთის აბსოლუტურ კუთხურ სიდიდეზე, კომპოზიციასა და თვით ფერებზე. როგორც ვიცით, შესრულებული მინიატურა 10-ჯერ გადიდებისას უხეშდება. კოსტიუმში ეს წარმოჩინდება გასაფორმებელი ორნამენტის რაოდენობის ან გასაფორმებელი ელემენტის მასის გადიდებით. მცირე მოცულობის გაფორმება ყოველთვის გამოიყურება მკვეთრად. ქართულ კოსტიუმში ფერთა შეხამების ჰარმონიულობის თვალსაჩინო მაგალითია ხევსურული ტალავარის ორნამენტი, თუშური ჩითების დეკორი, მოხეური კაბის ზოომორფული ორნამენტი და სხვ.

ცნობილია, რომ საგნის ფარდობითი ზომის მონაკვეთები ზემოქმედებენ ფერთა ჰარმონიის წარმოშობაზე. მიუღებელი ფერებიც შეიძლება იქცეს ჰარმონიულად, თუ შევცვლით საგნის ფაქტურას ან გამოვიყენებთ მას სხვადასხვა რაოდენობით. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ აქტიური ფერები თანაბარი ფლობის შემთხვევაში, გადაწონიან პასიური მწვანისა და ლურჯის აღქმას კოსტიუმში. წითელი ფერი უფრო მკვეთრი და დასამახსოვრებელია. წითელი ფერის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ არასაკმარისად აჩვენებს საგნისა და მასალის სტრუქტურულ თვისებებს, რაც აშკარად აჭარული კოსტიუმის ფერთა ჰარმონიზაციას მიესადაგება.

ქართული კოსტიუმის ორნამენტში ფერთა კომპოზიციის 3 სახეა მოცემული: 1) ერთფეროვანი; 2) პოლარული (ქრომატული-აქრომატულთან, ღია-მუქთან, თბილი-ცივ ფერთან, გაჯერებული-ნაკლებად გაჯერებულთან; 3) მრავალფეროვანი-ტრიადის ჰარმონია მონათესავე ფერებთან მაგ.: წითელი კაბა, ყვითელი ჟაკეტი, ლურჯი ყელსახვევი და ა.შ. რაც ძლიერ მოგვაგონებს აჭარელი ქალის კოსტიუმს.

ფერთა თეორიის მიხედვით, გაჯერებული ფერების დიდი რაოდენობა თვალს აღიზიანებს, ამიტომ კოსტიუმში, განსაკუთრებით კი კლასიკური სტილის სამოსში მათ ყველაზე ხშირად გამოიყენებენ გაფორმების სახით ან დამატებით ელემენტად. ქართულ კოსტიუმში გაჯერებული ფერების რაოდენობა ორნამენტშია გამოყუენებული, რაც ამ

პრობლემას, ანუ თვალის გაღიზიანებას ხსნის საოცარი ჰარმონიული შეხამება კოსტიუმის ქსოვილისა და ამ კოსტიუმზე სამშვენისად დატანილი ორნამენტის ფერები.

ამგვარად, როგორც კვლევამ აჩვენა, ქართულ კოსტიუმსა და ორნამენტში ფერთა შერწყმა, ტონი, გაჯერებულობა და შეხამება სრული ჰარმონიულობით პასუხობს ფერთა თეორიის მოთხოვნას და ქართველთა გენეტიკურად ესთეტიური გემოვნების გამორჩეული მაჩვენებელია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დოლიძე ნ., დათუაშვილი მ., უგრეხელიძე ი., ჩარკვიანი ი., ჩირგაძე ქ., ლურსმანაშვილი ლ., კვანტიძე გ., 2017: ქართული ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი. მონოგრაფია. გამომც. აწსუ. ქუთ.
2. დოლიძე ნ., დათუაშვილი მ., უგრეხელიძე ი., ჩარკვიანი ი., ჩირგაძე ქ., ლურსმანაშვილი ლ., კვანტიძე გ., 2017: ქართული ეროვნული სამოსის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარება. მონოგრაფია. აწსუ გამომც. ქუთ.
3. დოლიძე ნ., დათუაშვილი მ., უგრეხელიძე ი., ჩარკვიანი ი., ჩირგაძე ქ., ლურსმანაშვილი ლ., კვანტიძე გ., 2017: ქართული ეროვნული სამოსის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. აწსუ გამომცემლობა. ქუთ.
4. კვანტიძე გ., 2018: ქართული სამოსის ორნამენტი. მონოგრაფია. გამომცემლობა სვეტი. თბ.
5. კვანტიძე გ., 2019: ქართული ჩაცმულობა (XVI-XVIII სს.), მონოგრაფია, თბილისი
6. თოფურია ნ., 1953: მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ.
7. კალანდია, გ. 2017: ქსოვილი საქართველოდან. რედ. გ. კვანტიძე, საქართველოს ხელოვნების სასახლე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. გამომც. „ფავორიტი“. თბ.
8. ხიდაშელი, მ. 2010: არქაული ხანის გეომეტრიული სიმბოლოები, საქართველოს ძველი კულტურის საკითხები, თბ.
9. ხიდაშელი, მ. 2010 : ფერის სიმბოლიკა მახლობელი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედი კულტურებსა და ქართულ ხალხურ კულტურაში, საქართველოს ძველი კულტურის საკითხები, თბ.
10. ღონღაძე, გ. 2004: ფერთამეტყველება ქართულ შელოცვებში. ქართველური მემკვიდრეობა. VIII. თბ.
11. "ხელმწიფის კარის გარიგება" 1970: ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ.

## ილუსტრაციები



სურ.1 – ხევსურული ტალავარი. XIX ს-ის I ნახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი



სურ.2 – თუმური ტალავარი. XIX ს-ის I ნახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი





სურ.3 – ზოგადქართული და აფხაზური ჩოხა-ახალუხი. XIX ს-ის I ნახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი



სურ.4 – ზოგადქართული სარტყელ-გულისპირიანი ქართული კაბა. XIX ს-ის I ნახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი



სურ.5 – აჭარული სიხმა კაბა. XIX ს-ის I ნახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი



სურ.6 – რაჭული კაფთარა. XIX ს-ის I ნახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი



სურ.7 - ზოგადქართული ელეგი. XVIII ს-ის II ნახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. სიმონ  
ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი

# Color Harmonization in Georgian Ornaments

Lia Lursmanashvili<sup>1</sup>, Gulnara Kvantidze<sup>2</sup>, Nato Failodze<sup>3</sup>

<sup>1</sup> Professor, Georgian Technical University, Faculty of Architecture, Urban Planning and Design; ORCID ID 0000-0001-9453-5820 <sup>2</sup> Senior Curator of History and Ethnography Collection Georgian National Muzeum, ORCID ID - 0000-0002-5582-0693; <sup>3</sup> Akaki Tsereteli State University, Faculty of Engineering and Technology, ORCID ID - 0000-0002-7298-6281

---

## ABSTRACT

In the paper are discussed the issues of research of the colors used in Georgian ornament.

In the Georgian ethnography, the ornaments are represented in a various way as in secular so in the church clothes, shoes, carpet products, weapons, jewelry, stone carpentry, pottery and etc.

The ornaments are presented with a rich palette of colors in pictorial iconography, manuscripts and miniatures. Ornament, as one of the important monuments of Georgian cultural heritage, is the representation of national identity and indigenosity.

The development of tourism in Georgia was accompanied by the commercialization of ethnographic items and as a matter of fact, we find gross inaccuracies - in terms of forms, origin, dominant colors and decorations.

As a result, often, neither the shape nor the combination of colors of the ornaments have anything to do with the old Georgian ornament. There is a danger that the stylization will continue and lack of information will lead to its complete confusion and even to oblivion.

In the Georgian sciences ornaments are studied as in the artistic so in the symbolic ways.

In spite of existing situation with studies, systemization of the Georgian ornaments is not conducted according to form, color and symbolic peculiarities and their rational usage in the various technologies sustaining and protecting the original forms and colors.

**Keywords:** *Ornament, Color, Harmonization, Perception, Georgian dress, Dominant color, Form, Cultural Heritage*



კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ T ლიმფოციტებისა და მისი სუბპოპულაციების რაოდენობრივი შეფასება სტატისტიკურად სარწმუნო კორელაციას სიმსივნის სხვადასხვა ჰისტოლოგიურ ტიპებთან მიმართებაში არ უჩვენებს, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს სიმსივნეების ინტრასიმსივნური ჰეტეროგენულობა და ინდივიდ სპეციფიურობა.

**საკვანძო სიტყვები:** საკვერცხის კიბო; საკვერცხის მიკროგარემო; სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტები; TILs;

### **მიმოხილვა**

საკვერცხის კიბო წარმოადგენს მთელს მსოფლიოში გინეკოლოგიური სიმსივნეებით განპირობებული სიკვდილიანობის მთავარ მიზეზს[1]. საქართველოში საკვერცხის კიბო გავრცელების მიხედვით მეოთხე ადგილს, ხოლო სიკვდილიანობის მაჩვენებლის მიხედვით მესამე ადგილს იკავებს. უახლესი ეპიდემიოლოგიური მონაცემების მიხედვით, 2021 წელს აშშ-ში საკვერცხის კიბოს 21421 ახალი შემთხვევა და მისგან გამოწვეული სიკვდილის 13770 ფაქტი დაფიქსირდა[1]–[3]. ადრეული სკრინინგული მეთოდების არარსებობისა და უსიმპტომო კლინიკური მიმდინარეობის გამო, საკვერცხის კიბოს უმეტესობა დიაგნოსტირებულია პროგრესულ სტადიაზე, როდესაც დაავადების პროგნოზი უკვე ცუდია. თანამედროვე მედიკამენტური მკურნალობისა და ქირურგიის მიღწევების მიუხედავად, საკვერცხის კარცინომა მაინც რჩება ყველაზე ლეტალურ გინეკოლოგიურ კიბოდ. 5 წლიანი გადარჩენის მაჩვენებელი 46%-ია ყველა სტადიის კომბინირების შემთხვევაში [3], [4].

ჰისტოლოგიური წარმოშობის მიხედვით საკვერცხის სიმსივნეები იყოფა ეპითელურ, ჩანასახოვან და სტრომულ სიმსივნეებად. საკვერცხის პირველადი სიმსივნეების თითქმის 90% ეპითელური წარმოშობისაა[5], [6]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) კლასიფიკაციის მიხედვით, საკვერცხის სიმსივნეები კლასიფიცირდება შემდეგ ტიპებად: სეროზული, მუცინური, ენდომეტრიული, ნათელ უჯრედოვანი, გარდამავალ უჯრედოვანი, შერეული ეპითელური, არადიფერენცირებული და არაკლასიფიცირებული. ამ ტიპებიდან ყველაზე გავრცელებულია საკვერცხის სეროზული კარცინომა. FIGO კლასიფიკაციის მიხედვით საკვერცხის სეროზული კარცინომა კლასიფიცირდება როგორც დაბალი და მაღალი ხარისხის, რასაც აქვს მნიშვნელოვანი პროგნოზული ღირებულება. გარდა ამისა, საკვერცხის სეროზული სიმსივნეების ქვეჯგუფი კლასიფიცირდება, როგორც borderline, რომელსაც ახასიათებს როგორც კეთილთვისებიანი სეროზული ცისტადენომების, ასევე ავთვისებიანი სეროზული კარცინომების ჰისტოლოგიური ნიშნები [3], [7], [8].

საკვერცხის კარცინომების მიკროგარემო, ძირითადად, წარმოდგენილია მაკროფაგებით, დენდრიტული უჯრედებით, ნეიტროფილებიდა და ლიმფოციტებით. საკვერცხის ეპითელური კარცინომის მაინფილტრირებელმა ლიმფოციტებმა (TIL) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

იმუნო-ონკოლოგიური ბიომარკერების საერთაშორისო სამუშაო ჯგუფმა (The International Immuno-Oncology Biomarkers Working Group) 2017 წელს განსაზღვრა „ინტრაეპითელური“ (iTILs), როგორც უშუალოდ სიმსივნეში წარმოდგენილი ლიმფოციტები TIL-ები და



"სტრომული" (sTILs), როგორც TILs, რომელიც იმყოფება ეპითელური შრის ქვემოთ 1 მმ-ით. ანთებითი ინფილტრატის შესაფასებლად, sTIL-ები და iTIL-ები გამოიხატება პროცენტულად ან მედიანით [5], [9].

გარკვეული კვლევების თანახმად მოწოდებულია რეკომენდაცია თუ როგორ უნდა შეფასდეს სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების არსებობა. უნდა დათვალიერდეს 3-10 მხედველობის ველი პრეპარატის x200 ან x400 მაღალი გადიდების ველში (HPF). TIL-ების შეფასება სხვადასხვა ორგანოთა სისტემის სიმსივნეებში გარკვეულ კვლევებში წარმოებს როგორც H&E-ით ასევე IHC-ით სხვადასხვა ანტისხეულების გამოყენებით [10].

კვლევებში არ არსებობს უნივერსალური მიდგომა და რეკომენდაცია, შესაბამისად ზოგიერთ კვლევაში ვხვდებით ოთხი ხარისხით ინფილტრაციის შეფასების მოდელს (დაბალი: 1-2, საშუალო 3-19 და მაღალი  $\geq 20$ ) მაშინ როცა სხვა ავტორების მიხედვით, თუ TIL-ები  $> 5$  ან 10 HPF-ზე, განსაზღვრებოდა, როგორც დადებითი iTIL-ები და გამოიყოფოდა მხოლოდ დადებითი და უარყოფითი შემთხვევები.

საკვერცხის ეპითელურ სიმსივნეებში შეიძლება აღმოჩნდეს T უჯრედების სხვადასხვა ქვეჯგუფები: ვლინდება CD8+ T ციტოტოქსიური და CD4+ T ჰელპერი ლიმფოციტები მათი გამოვლენა ხდება ზედაპირზე არსებული მოლეკულების ან მათ მიერ წარმოებული ციტოკინების საშუალებით. ჰელპერი CD4+ უჯრედები იყოფა ქვეტიპებად: Th1 უჯრედები, რომლებიც წარმოქმნიან ინტერლეიკინს 2 (IL-2) და ინტერფერონ-  $\gamma$ -ს (INF- $\gamma$ ) (მოქმედებს CD8+ უჯრედებზე); Th2 უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებენ IL-4, 5, 6, 10 და 13 (ჰუმორული იმუნიტეტი); Th17 უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებენ IL-17; და T ფოლიკულური ჰელპერი (TFH,) რომლებიც ურთიერთქმედებენ B ლიმფოციტებთან[11]-[13].

სიმსივნის მაინფილტრირებელი B ლიმფოციტები (B-TILs) გამოვლინდა ზოგიერთ სოლიდურ სიმსივნეში, მათ შორის საკვერცხის ეპითელურ კარცინომაში. მარეგულირებელი T უჯრედები (TREG) წარმოქმნის ციტოკინებს იმუნოსუპრესიული აქტივობით, მათ შორის IL-10 და TGF $\beta$ . FOXP3 და CD25-ის ექსპრესიის საშუალებითაც ხშირად ხდება სიმსივნის მიკროგარემოში არსებული TREG-ების იდენტიფიცირება. სიმსივნეში და მის გარშემო გამოვლენილია ყველა ტიპის იმუნური უჯრედი [13].

საკვერცხის კიბო არის ჰეტეროგენული დაავადება სიმსივნის მაინფილტრირებელ ლიმფოციტებთან TIL-ებთან მიმართებით. ჰისტოლოგიური ქვეტიპების თვალსაზრისით, კვლევების უმეტესობა მოიცავს მხოლოდ საკვერცხის მაღალი ხარისხის სეროზულ კარცინომებს, სხვა ჰისტოლოგიურ ტიპებთან მიმართებით კვლევები მწირია.

## მასალა და მეთოდები

ჩვენი კვლევის თანახმად განხორციელებულ იქნა კოჰორტული რეტროგრადული ანალიზი, რისთვისაც გამოყენებული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორიის საარქივო მასალა

არაპერსონიფიცირებული პარაფინის ბლოკები. პაციენტები დიაგნოსტირებული იყვნენ 2019 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 28 თებერვლამდე ამავე განყოფილებაში. კვლევა მხარდაჭერილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის მიერ (N2-2022/95). ნიმუშები რანდომულად იქნა შერჩეული თითოეული სიმსივნის ჰისტოლოგიური ტიპისათვის თანაბარი რაოდენობით. კვლევაში ჩართული იყო სულ 75 შემთხვევა, რომლებიც გადანაწილდნენ შემდეგ ქვეტიპებად:

- I ჯგუფი - საკვერცის სეროზული მოსაზღვრე (borderline) სიმსივნეები (n=15).
- II ჯგუფი - საკვერცხის მუცინური მოსაზღვრე სიმსივნეები (n=15),
- III ჯგუფი - საკვერცის მუცინური კარცინომა (n=15),
- IV ჯგუფი - საკვერცხის დაბალი ხარისხის სეროზული კარცინომა (n=15),
- V ჯგუფი - საკვერცხის მაღალი ხარისხის სეროზული კარცინომა (n=15).

შესაბამის ჯგუფებში დაიგეგმა იმუნოჰისტოქიმიური კვლევა და განხორციელდა შემდეგი საფეხურების გათვალისწინებით. FFPE ქსოვილოვანი ნიმუშები დეპარაფინირებულ იქნა ქსილოლში, რეკიდრატირებულ იქნა ეთანოლის სერიული განზავების გამოყენებით (96%, 80%, 70%) და განხორციელდა ანტიგენის აღდგენის პროცედურა.

გამოყენებულ იქნა მზა ანტისხეულები შემდეგი ანტიგენებისთვის: CD3 (clone: LN10) და CD4 (clone: 4B12), CD8 (clone: 4B11)(მწარმოებელი Novocastra). შეღებვა და ვიზუალიზაცია განხორციელდა Bond polymer refine detection system-ის მეშვეობით.

იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგების შეფასება განხორციელდა ორი დამოუკიდებელი პათანატომის მიერ (გ.ბ; შ.კ) რაოდენობრივი მონაცემები დამუშავდა შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით: კორელაცია განისაზღვრა Spearman rank test-ის მიხედვით ხოლო შედარებითი ანალიზისთვის ჯგუფებს შორის გამოყენებული იქნა Mann-Whitney და Kruskal-Wallis ტესტი. მგრძნობელობა და სპეციფიურობა შეფასდა 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალით. P რიცხვი <0.05 განხილულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნოდ. ყველა სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა SPSS statistical software V20.0-ის საშუალებით.

## შედეგები და განხილვა

იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის შემდგომ იმუნოკომპეტენტური უჯრედების პროცენტული ექსპრესიის საფუძველზე გამოვლინდა ყველა ჯგუფში შესაბამისი ქვეჯგუფები შეფასებული იქნა CD3, CD4, CD8ის ქვეჯგუფებში მარკერების ექსპრესიის ხარისხის მიხედვით შემთხვევების პროცენტული განაწილება:

- მარკერების ექსპრესიის დაბალი ხარისხი (0-2%);
- ზომიერი ხარისხი -(3-8%);
- მაღალი ხარისხი - (9>);

	CD 3	CD 3	CD 3	CD 4	CD 4	CD 4	CD 8	CD 8	CD 8
	0-2	3-8	9 >	0-2	3-8	9 >	0-2	3-8	9 >
სეროზული მოსაზღვრე სიმსივნე	46. 7	53. 3	0.0	40. 0	60. 0	0.0	80. 0	20. 0	0.0
სეროზული კარცინომა - დაბალი ხარისხის	33. 3	26. 7	40. 0	46. 7	53. 3	0.0	26. 7	53. 3	20. 0
სეროზული კარცინომა - მაღალი ხარისხის	0.0	46. 7	53. 3	66. 7	33. 3	0.0	0.0	46. 7	53. 3
მუცინური მოსაზღვრე სიმსივნე	73. 3	26. 7	0.0	60. 0	40. 0	0.0	80. 0	20. 0	0.0
მუცინური კარცინომა	33. 3	66. 7	0.0	73. 3	26. 7	0.0	20. 0	33. 3	46. 7

**ცხრილი N1** CD3, CD4, CD8ის ქვეჯგუფებში მარკერების ექსპრესიის ხარისხის მიხედვით შემთხვევების პროცენტული განაწილება.

გამოკვლევულ საკვერცხის სეროზულ-მოსაზღვრე შემთხვევებიდან (n=15) **CD3**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 46.6%-ში; ზომიერი ექსპრესია 53.5%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა. **CD4**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 40%-ში; ზომიერი ექსპრესია 60%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა. **CD8**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 80%-ში; ზომიერი ექსპრესია 20%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა.

გამოკვლევულ საკვერცხის სეროზული დაბალი ხარისხის კარცინომების შემთხვევებიდან (n=15) **CD3**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 33.3%-ში; ზომიერი ექსპრესია 46.6%-ში; მაღალი ექსპრესია 53.3%-ში. **CD4**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 40.0%-ში; ზომიერი ექსპრესია 53.3%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა. **CD8**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 26.6%-ში; ზომიერი ექსპრესია 53.3%-ში; მაღალი ექსპრესია 20%-ში;


გამოკვლევულ საკვერცხის სეროზული მაღალი ხარისხის კარცინომების შემთხვევებიდან (n=15) **CD3**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია არ აღინიშნებოდა არცერთ შემთხვევათა ; ზომიერი ექსპრესია 46.6%-ში; მაღალი ექსპრესია 53.3%-ში. **CD4**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 66.6%-ში; ზომიერი ექსპრესია 33.3%-ში; მაღალი ექსპრესია არ

აღინიშნებოდა. **CD8**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია არ აღინიშნებოდა არცერთ შემთხვევაში; ზომიერი ექსპრესია 46.6%-ში; მაღალი ექსპრესია 53.3%-ში;

გამოკვლევულ საკვერცხის მუცინურ-მოსაზღვრე შემთხვევებიდან (n=15) **CD3**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 73.6%-ში; ზომიერი ექსპრესია 26.6%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა. **CD4**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 60%-ში; ზომიერი ექსპრესია 40%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა. **CD8**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 80%-ში; ზომიერი ექსპრესია 20.0%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა.

გამოკვლევულ საკვერცხის მუცინური კარცინომების შემთხვევებიდან (n=15) **CD3**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 33.3%-ში; ზომიერი ექსპრესია 66.6%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა. **CD4**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 73.3%-ში; ზომიერი ექსპრესია 26.6%-ში; მაღალი ექსპრესია არ აღინიშნებოდა. **CD8**-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნებოდა შემთხვევათა 20%-ში; ზომიერი ექსპრესია 33.3%-ში; მაღალი ექსპრესია 46.3%-ში;

**სურათი N1.**




A. IHC/200x: CD3-ის ზომიერი ხარისხის ექსპრესია საკვერცხის მაღალი ხარისხის სეროზულ კარცინომაში;  
 B. IHC/200x: CD8-ის მაღალი ხარისხის ექსპრესია საკვერცხის მაღალი ხარისხის სეროზულ კარცინომაში;  
 C. IHC/200x: CD4-ის ზომიერი ექსპრესია საკვერცხის მუცინურ კარცინომებში;  
 D. IHC/200x: მაღალი ექსპრესია CD8-ის მაღალი ხარისხის ექსპრესია საკვერცხის დაბალიხარისხის სეროზულ კარცინომაში;  
 E. IHC/200x: მაღალი ექსპრესია CD3-ის ზომიერი ხარისხის

ექსპრესია საკვერცხის დაბალი ხარისხის სეროზულ კარცინომაში; F. IHC/200x: CD3-ის ზომიერი ექსპრესია საკვერცხის მუცინურ კარცინომებში;

**შედარება:**

საკვერცხის სეროზულ მოსაზღვრე სიმსივნის შემთხვევებში CD3-ის დაბალი ხარისხის (0-2%) ექსპრესია 1.57ჯერ ნაკლებია საკვერცხის მუცინურ მოსაზღვრე სიმსივნესთან შედარებით; ზომიერი ხარისხის (3-8%) ექსპრესია 2 ჯერ მეტია; CD4-ის დაბალი ხარისხის (0-2%) ექსპრესია 0.66ჯერ ნაკლებია საკვერცხის მუცინურ მოსაზღვრე სიმსივნესთან შედარებით; ზომიერი ხარისხის (3-8%) ექსპრესია 0.6 ჯერ მეტია; CD8-ის დაბალი და ზომიერი ხარისხის ექსპრესიის მონაცემი მუცინურ მოსაზღვრე სიმსივნის ანალოგიურია; ზომიერი ხარისხის (3-8%) ექსპრესია 0.6 ჯერ მეტია;


საკვერცხის სეროზული მოსაზღვრე სიმსივნეებში - CD3-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია 0.7ჯერ მეტია საკვერცხის დაბალი ხარისხის სეროზული კარცინომასთან შედარებით ; ზომიერი ხარისხის ექსპრესია ორჯერ მეტია; CD4- ის დაბალი ხარისხის ექსპრესია სეროზულ მოსაზღვრე სიმსივნის შემთხვევებში 1.1 ჯერ ნაკლებია საკვერცხის დაბალი ხარისხის სეროზულ კარცინომებთან შედარებით; ზომიერი ექსპრესია 1.1 ჯერ მეტია; CD8- ის დაბალი ხარისხის ექსპრესია სეროზულ მოსაზღვრე სიმსივნის შემთხვევებში 3.0 ჯერ მეტია საკვერცხის დაბალი ხარისხის სეროზულ კარცინომებთან შედარებით; ზომიერი ექსპრესია 2.6 ჯერ ნაკლებია;



დიაგრამა 1. CD3-ის ექსპრესია


საკვერცხის დაბალი ხარისხის სეროზული კარცინომის შემთხვევებში CD3-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნება 33.3% ში მაშინ როცა მაღალი ხარისხის სეროზულ

კარცინომებში დაბალი ხარისხის ექსპრესია არ აღინიშნა. ზომიერი ექსპრესია 1.7ჯერ მეტია მაღალი ხარისხის სეროზულ კარცინომებში; მაღალი ხარისხის ექსპრესია აღინიშნა 1.3 ჯერ უფრო მეტ შემთხვევაში მაღალი ხარისხის სეროზულ კარცინომებში დაბალი ხარისხის კარცინომებისგან განსხვავებით. CD4-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია საკვერცხის დაბალი ხარისხის სეროზულ კარცინომებში 0.6ჯერ ნაკლებია მაღალი ხარისხის სეროზულ კარცინომებთან შედარებით. ზომიერი ხარისხის ექსპრესია 1.6ჯერ მეტია დაბალი ხარისხის სეროზულ კარცინომებში; CD8-ის ზომიერი ხარისხის ექსპრესია 1.1ჯერ მეტია სეროზულ დაბალი ხარისხის კარცინომებში მაღალი ხარისხის კარცინომასთან შედარებით; მაღალი ხარისხის ექსპრესია 0.3 ჯერ ნაკლებია დაბალი ხარისხის სეროზულ კარცინომებში მაღალი ხარისხის სეროზული კარცინომისაგან განსხვავებით.



დიაგრამა 2. CD4-ის ექსპრესია

საკვერცხის მუცინური სიმსივნის შემთხვევებში CD3-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია 2.2 ჯერ მეტად აღინიშნა საკვერცხის მუცინური კარცინომასთან შედარებით; ზომიერი ექსპრესია მუცინურ მოსაზღვრე სიმსივნეში 0.3 ჯერ ნაკლებია მუცინურ კარცინომასთან შედარებით. CD4-ის დაბალი ხარისხის ექსპრესია 1.2ჯერ მეტია მუცინურ კარცინომის შემთხვევებში; ზომიერი ხარისხის ექსპრესია 1.5 ჯერ მეტია მუცინურ სიმსივნეში მუცინურ კარცინომასთან შედარებით; CD8-ის ექსპრესიის დაბალი ხარისხი მუცინურ მოსაზღვრე სიმსივნეების 4ჯერ მეტია მუცინურ კარცინომასთან შედარებით. მუცინურ კარცინომებში აღინიშნება ზომიერი ხარისხის ექსპრესია 1.6ჯერ უფრო ხშირად მუცინურ მოსაზღვრე სიმსივნესთან შედარებით.



ცხრილი 3. CD8-ის ექსპრესია

## დასკვნა

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ T ლიმფოციტებისა და მისი სუბპოპულაციების რაოდენობრივი შეფასება სტატისტიკურად სარწმუნო კორელაციას სიმსივნის სხვადასხვა ჰისტოლოგიურ ტიპებთან მიმართებაში არ უჩვენებს, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს სიმსივნეების ინტრასიმსივნური ჰეტეროგენულობა და ინდივიდ სპეციფიურობა.

## გამოყენებული ლიტერატურა

- [1] D. L. Longo and R. C. Young, “The natural history and treatment of ovarian cancer,” *Annu Rev Med*, vol. 32, pp. 475–490, 1981, doi: 10.1146/annurev.me.32.020181.002355.
- [2] J. Ferlay *et al.*, “Estimating the global cancer incidence and mortality in 2018: GLOBOCAN sources and methods,” *Int J Cancer*, vol. 144, no. 8, pp. 1941–1953, Apr. 2019, doi: 10.1002/ijc.31937.
- [3] P. Achimas-Cadariu, P. Kubelac, A. Irimie, I. Berindan-Neagoe, and F. Rühli, “Evolutionary perspectives, heterogeneity and ovarian cancer: a complicated tale from past to present,” *J Ovarian Res*, vol. 15, no. 1, pp. 1–13, Dec. 2022, doi: 10.1186/S13048-022-01004-1/FIGURES/1.
- [4] M. Timmermans, G. S. Sonke, K. K. van de Vijver, M. A. van der Aa, and R. F. P. M. Kruitwagen, “No improvement in long-term survival for epithelial ovarian cancer patients: A population-based study between 1989 and 2014 in the Netherlands,” *Eur J Cancer*, vol. 88, pp. 31–37, Jan. 2018, doi: 10.1016/j.ejca.2017.10.030.
- [5] M. C. A. Wouters *et al.*, “Treatment regimen, surgical outcome, and t-cell differentiation influence prognostic benefit of tumor-infiltrating lymphocytes in high-grade serous ovarian

cancer,” *Clinical Cancer Research*, vol. 22, no. 3, pp. 714–724, Feb. 2016, doi: 10.1158/1078-0432.CCR-15-1617.

- [6] S. Zhan *et al.*, “New Insights into Ferroptosis Initiating Therapies (FIT) by Targeting the Rewired Lipid Metabolism in Ovarian Cancer Peritoneal Metastases,” *Int J Mol Sci*, vol. 23, no. 23, Dec. 2022, doi: 10.3390/ijms232315263.
- [7] Y. Xu, F. Zuo, H. Wang, J. Jing, and X. He, “The current landscape of predictive and prognostic biomarkers for immune checkpoint blockade in ovarian cancer,” *Front Immunol*, vol. 13, p. 1045957, Oct. 2022, doi: 10.3389/fimmu.2022.1045957.
- [8] S. Gomez *et al.*, “Inhibiting DNA methylation and RNA editing upregulates immunogenic RNA to transform the tumor microenvironment and prolong survival in ovarian cancer,” *J Immunother Cancer*, vol. 10, no. 11, p. e004974, Nov. 2022, doi: 10.1136/jitc-2022-004974.
- [9] J. M. Santos *et al.*, “Oncolytic adenovirus shapes the ovarian tumor microenvironment for potent tumor-infiltrating lymphocyte tumor reactivity,” *J Immunother Cancer*, vol. 8, no. 1, Jan. 2020, doi: 10.1136/jitc-2019-000188.
- [10] Y. R. Chung, H. J. Kim, M. H. Jang, and S. Y. Park, “Prognostic value of tumor infiltrating lymphocyte subsets in breast cancer depends on hormone receptor status,” *Breast Cancer Res Treat*, vol. 161, no. 3, pp. 409–420, Feb. 2017, doi: 10.1007/s10549-016-4072-9.
- [11] G. Mittica *et al.*, “Adoptive immunotherapy against ovarian cancer,” *J Ovarian Res*, vol. 9, no. 1, May 2016, doi: 10.1186/s13048-016-0236-9.
- [12] S. E. Stanton and M. L. Disis, “Clinical significance of tumor-infiltrating lymphocytes in breast cancer,” *J Immunother Cancer*, vol. 4, no. 1, Oct. 2016, doi: 10.1186/s40425-016-0165-6.
- [13] P. P. Santoiemma and D. J. Powell, “Tumor infiltrating lymphocytes in ovarian cancer,” *Cancer Biol Ther*, vol. 16, no. 6, pp. 807–820, Jan. 2015, doi: 10.1080/15384047.2015.1040960.

## Features of distribution of intratumoral lymphocytes in ovarian epithelial tumours of different histological types and degree of malignancy

Rusudan Devadze<sup>1</sup>; Arsen Gvenetadze<sup>2</sup>; Shota Kepuladze<sup>3</sup>; George Burkadze<sup>4</sup>

<sup>1</sup>PhD Student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University; <sup>2</sup> Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University; <sup>3</sup> PhD Student at Tbilisi State Medical University, MD, Pathologist; <sup>4</sup> Professor at Tbilisi State Medical University, Head of the Department of Molecular pathology;

### Abstract

Ovarian cancer is the leading cause of death from gynaecological cancers worldwide. In Georgia, ovarian cancer ranks fourth in terms of prevalence, and third in terms of mortality rate. According to the latest epidemiological data, there will be 21,421 new cases of ovarian cancer and 13,770 deaths from



ovarian cancer in the United States in 2021. Due to the lack of early screening methods and asymptomatic clinical courses, most ovarian cancer is diagnosed at an advanced stage, when the prognosis of the disease is already poor. Despite the advances in modern medical treatment and surgery, ovarian carcinoma remains the most lethal gynaecological cancer. The 5-year survival rate is 46% for all stages combined. The microenvironment of ovarian carcinomas is mainly represented by macrophages, dendritic cells, neutrophils and lymphocytes. Epithelial ovarian carcinoma-infiltrating lymphocytes (TIL) have attracted much interest in the last five years. Ovarian cancer is a heterogeneous disease concerning tumour-infiltrating lymphocytes and TILs. In terms of histological subtypes, most studies include only high-grade serous carcinomas of the ovary, and studies on other histological types are scarce. The results of our study show that the quantitative evaluation of T lymphocytes and their subpopulations does not show a statistically reliable correlation between different histological types of tumours, which may be due to the intratumoral heterogeneity and individual specificity of tumours.

**Keywords:** *ovarian cancer; microenvironment of the ovary; tumor infiltrating lymphocytes; TILs;*

## ადგილობრივი ნედლეულის გარდაქმნის პროცესები კლინკერის წარმოების მბრუნავი ღუმელის სისტემაში რეაქტორ-დეკარბონიზატორის გამოყენების გათვალისწინებით

ვახტანგ ჩხეიძე

უფროსი პროცეს მენეჯერი, ღუმელის ექსპერტ სისტემის პროექტ მენეჯერი, შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

### აბსტრაქტი

ცემენტის და კლინკერის წარმოებისთვის ყოველთვის აქტუალური იყო დანახარჯების შემცირება, ნამწვი ჰაერების ანუ ემისიების შემცირება და ხარისხის სტაბილური გაზრდა. თანამედროვე მსოფლიოში CO<sub>2</sub>-ის გამონაბოლქვის შემცირებაზე ყურადღება განსაკუთრებითაა გამახვილებული, გლობალური დათბობის და სხვა ბევრი გარემოს დაცვითი საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე. არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე სადოქტორო ნამუშევრის ძირითად მიზნები იყო:

- სველი მეთოდის, გრძელი მბრუნავი ღუმელების მშრალი მეთოდის, რეაქტორ-დეკარბონიზატორიანი ღუმელით ჩანაცვლება, კლინკერის ხარისხის გაზრდის ან შენარჩუნების პირობებში
- კავთისხევის კირქვის კარიერის ამოწურვის გამო, მთავარი ნედლეულის წყაროს ჩანაცვლება
- საწვავის რაოდენობის და ჩამჯდარი ნაცრის გავლენის შესწავლა და საუკეთესო ნარევის შერჩევა
- ნედლეული კომპონენტების სხვადასხვა მიქსების გამოცდა და საუკეთესო ნარევის დადგენა
- ნედლეული ფქვილის და საწვავის კლინკერად გარდაქმნის პროცესის შესწავლა
- პუცოლანური დანამატის - ტუფის გააქტიურება კლინკერის მაცივარში.

სველი მეთოდიდან მშრალ მეთოდზე გადასვლა მოხდა ისე, რომ კლინკერის დაფქვადობა გაიზარდა, კლინკერის სიმტკიცე იგივე ან გაზრდილია შედარებით ნაკლები LSF-ის კოეფიციენტით, სითბური ხარჯი ტონა კლინკერზე შემცირდა 2-ჯერ და წარმადობა გაიზარდა 2-ჯერ (ერთად აღებულ 3 სველ ღუმელთან მიმართებაში).

საკვანძო სიტყვები: ცემენტი, კლინკერი, ტუფი, ემისიები, კირქვა, კლინკერის მაცივარი, პუცოლანური მასალა

კავთისხევის კარიერის გადართვით გამოწვეული სირთულეები მოგვარებულ იქნა, სასხორის კირქვასთან ერთად გამამდიდრებლად გამოყენებულ იქნა დედოფლის წყაროს კირქვა რომლის 95%-ზე მეტი კალციუმის კარბონატია. ეს ჩანაცვლება მოხდა ისე, რომ კლინკერის ხარისხზე უარყოფითი გავლენა არ ჰქონია და პირიქით იგივე უფრო მეტად სტაბილური და აქტიური გახადა.

ნახშირის და შესაბამისად ნაცრის 2-ჯერ შემცირების შემდეგ ნედლეული ფქვილის ქიმია გადაითვალა ისე რომ კლინკერის ხარისხი იყო იგივე ან გაზრდილი. შესაბამისი გადათვლა ხდებოდა ცდების ყველა ეტაპზე.

კლინკერის ახალი მეთოდით გამოწვის პროცესი შესწავლილი და ოპტიმიზირებული იქნა. ნედლეულის და საწვავის გადანაწილების 20 ინდუსტრიული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა საუკეთესო მიქსები, რომელთა საშუალებით კლინკერის ხარისხი იზრდება ან იგივე რჩება, ხოლო თბური დანახარჯი, საწვავის და ნედლეული ფქვილისგან მიღებული CO<sub>2</sub>-ის ემისიები კი შემცირდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ტუფის თერმული აქტივაცია, რომელიც წარმატებით დამთავრდა უკვე არა მხოლოდ ლაბორატორიული არამედ ინდუსტრიული ექსპერიმენტითაც. ინოვაციური იდეის საწყისი ის იყო რომ ფიზიკურად შეკავშირებული წყლის გამოდევნა (გამოშრობა) პუცოლანურ მასალას გაცილებით აქტიურს ხდის და მისი 10%-მდე მოხმარება კლინკერთან მიმართებაში არამხოლოდ ინარჩუნებს არამედ ზრდის კიდევ ამ ნარევის სიმტკიცეს კლინკერთან შედარებით.

არსებული პუცოლანური მასალის გააქტიურების მეთოდი შესწავლილი იყო ძველი რომაელებისპერიოდიდან მოყოლებული. თუმცა პუცოლანური დანამატის გააქტიურებას სჭირდება არანაკლები თბური ენერჯია გასახერხებლად ვიდრე კლინკერს და შესაბამისად ისიც გამოყოფს დამატებით CO<sub>2</sub>-ის ემისიებს. ამიტომ სტანდარტული მიდგომით გააქტიურებული პუცოლანური მასალა შედარებით ნაკლებად ამცირებს გამონაბოლქვს, თერმულ და სხვა ხარჯებს, ამასთანავე საჭიროებს მინიმუმ 10 მილიონის ინვესტიციას და მინიმუმ 6 თვიან სამონტაჟო პერიოდს.

კლინკერის წარმოების პროცესების სრული შესწავლიდან გამომდინარე გამოიკვეთა სექცია, სადაც ტემპერატურა 600°C-დან 1200°C-მდე მერყეობს და მის შესამცირებლად გარემო ჰაერებს ვიყენებთ. აღნიშნული სექცია არის კლინკერის მაცივარი, სადაც ლუმელიდან გადმოსული 1200-1300°C-ზე გახურებული კლინკერი ხვდება. კლინკერი გაივლის 30 მეტრიან მაცივარს და დაახლოებით 100°C-მდე გაცივდება. ჩვენთვის სასურველი ტემპერატურები ცხელი მხრიდან 5-დან 10 მეტრამდე მონაკვეთში იყო.

ცხელი ბოლოდან 10 მეტრის მოშორებით მოხდა მასალის ჩამყრელი ყელის მოწყობა სადაც ტუფის მიწოდება 2 ბრუნ-რეგულირებადი ლენტით და ხვიმირით ხდება. 5% დოზით საწარმოო ექსპერიმენტი წარმატებულად დამთავრდა, მაგრამ ასევე შესაძლებელია პროპორციების გაზრდა 10%-მდე, შემდეგი ცდების პირობებში. ასევე ჩაყრის წერტილის

გადატანა შეიძლება უფრო ცხელი მხარისკენ რაც კიდევ უფრო მეტად გააქტიურებს ტუფს და მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ მისი პროცენტულობა კლინკერში.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნულმა ექსპერიმენტმა საშუალება მოგვცა ვაწარმოოთ 100% კლინკერი 90% ემისიებით და თერმული ხარჯით, რაც გლობალურად წარმოუდგენელი შედეგია. პროექტის განხორციელება ხდება მინიმალური დანახარჯებით (200 ათასი ლარი) და რაც მთავარია არ მოითხოვს საწვავით მიღებულ თერმულ ენერგიას, რაც საოპერაციო ხარჯებს და ემისიებს თითქმის ანულებს. მაცივრის აღნიშნული სექცია შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სხვა ცემენტის დანამატი მასალის შრობა-გახურებისთვის.

## **Conversion processes of local raw materials considering the use of reactor-decarbonizer in rotary kiln system for clinker production**

**Vakhtang Chkheidze**

Senior process manager, Kiln expert system project manager, LLC HeidelbergCement Georgia

### **Abstract**

In cement and clinker production energy consumption reduction, specific emissions reduction and quality stable increase always has been daily challenge which was addressed in many studies. Nowadays, CO<sub>2</sub> emissions are under special focus since the gas is a main contributor in global warming and many other environmental topics. Considering existing challenges, the PhD study is addressing following:

- Revamping from wet process to the new dry line clinker production process
- Revamping from the old Kavtiskhevi quarry to new Saskhori quarry
- Raw meal, kiln feed and clinker quality adjustment after changing the type and amount of the fuel
- Study of clinkerization process based on the modified design
- Activation of puzzolanic material – Tuff in the clinker cooler

Clinker production process change from wet process to dry process was performed the way that clinker quality was at least the same but grindability of the clinker was increased with relatively lower lime saturation factor. Of course by avoiding drying wet slurry and making heat exchange process more efficient due to more dispersive, powderous material the heat consumption was reduced twice and capacity of the kiln line was doubled.

The difficulties caused by switching the Kavtishkevi quarry were solved by using Saskhori limestone as a main source and Dedopsitskaro limestone was used as a sweetener, which contains more than 95% calcium carbonate. This substitution took place in such a way that it did not have a negative impact on the quality of the clinker and on the contrary made it more stable and active.

After reducing coal and thus ash by 2 times, raw flour chemistry was recalculated so that the quality of clinker was the same or increased. Appropriate recalculation was done at all stages of trials.

The clinker process burning with a new method was studied and optimized. As a result of 20 industrial experiments of raw material and fuel distribution, the best mixes were determined, by means of which the quality of clinker increases or remains the same, while the thermal consumption was reduced as was CO<sub>2</sub> emissions from fuel and from raw meal.

The most important achievement was the thermal activation of Tuff (Zeolite), which was successfully completed not only in the laboratory but also in the industrial experiment. The origin of the innovative idea was that the drying out of physically bound water makes the puzzolanic material much more active due to created pores. The material usage (with clinker) up to 10% in relation to clinker not only preserves but also increases the strength of this mix compared to clinker.

The method of activation of existing puzzolanic material has been studied since the ancient Roman period. However, the activation of the puzzolanic additive requires less thermal energy than the clinker, and therefore also emits additional CO<sub>2</sub> emissions. Therefore, the puzzolanic material activated by the standard approach reduces emissions, thermal and other costs relatively less, and also requires an investment of at least 10 million and an installation period of at least 6 months.

Based on a complete study of the clinker production processes, a section was identified where the temperature ranges from 600°C to 1200°C and we use ambient air to reduce it. This section is a clinker cooler, where clinker heated at temperatures 1200-1300°C is coming out of from the rotary kiln. The clinker is passing a 30-meter cooler and cools down to about 100°C. The temperatures we wanted were 5 to 10 meters from the hot side. 10 meters away from the hot end, a material discharge chute was arranged, where tuff is supplied with transport conveyors and hopper. The production experiment with a dose of 5% was successful, but it is also possible to increase the proportions to 10% in the following trials. Also, the feeding point on the clinker cooler roof can be moved to the hotter side, which will further activate the tuff and allow us to increase its percentage in the clinker.

The most important is that this experiment allowed us to produce 100% clinker with 90% emissions and thermal consumption, which is an incredible result globally, especially for CO<sub>2</sub> reduction. The project was implemented with minimal costs (200,000 GEL) and, most importantly, does not include the thermal energy obtained with fuel, which almost cancels the operating costs and emissions. This section of the clinker cooler can be studied to use for drying and heating any other cement additive material.

**Key words:** *Cement, clinker, tuff, emissions, limestone, clinker cooler, puzzolanic material*